ჟ. სოფერსენ მოუმი
ჭრელი საბერველი

ავტორის წინათქმაამ წიგნის იდეა დანტეს შემდეგმა სიტყვებმა შთამაგონა: „როს წუთისოფლად მიბრუნება მოგვიხდეს ისევ, და მიატოვო დასვენება დიდხანს, ნამგზავრმა, მევედრებოდა ახლა სული რიცხვით მესამე: მეც მომიგონე. გევედრები, გახლავარ პია, სიენამ მომცა მე სიცოცხლე, მომკლა მარემამ, ეს კარგად იცის ვინც დანიშნულს მაჩუქა ერთხელ თავის ცერისგან წაძრობილი ბეჭდისა თვალი.“ჭრელი საბურველი„ გთხოვთ, როცა ხანგრძლივი მოგზაურობიდან სამყაროში დაბრუნდებით და ამდენი ხეტიალისგან დაისვენებთ“, - ალაპარაკდა მესამე აჩრდილი, რომელმაც შეცვალა მეორე, „გამიხსენე, მე პია ვარ. სიენამ შემქმნა, მარემამ კი გამანადგურა: ეს იცის მან, ვინც დამნიშნა, მაჩუქა ბეჭედი და თავის მეუღლედ დამასახელა.“ მაშინ წმინდა თომას სამედიცინო სკოლაში ვსწავლობდი. სააღდგომოდ ექვსი კვირით დაგვასვენეს. წამოვედი ოცი გირვანქითა და ჩემი პატარა სამგზავრო ჩემოდნით, რომელშიც მთელი ჩემი ტანსაცმელი ჩაეტია. ოცი წლის ვიყავი. გენუასა და პიზის გავლით ფლორენციაში ჩავედი. ვიქირავე ოთახი ვია ლაურაში, საიდანაც ტაძრის უმშვენიერესი გუმბათი მოჩანდა. სახლის მეპატრონე ქვრივი ქალი ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა; მან, შევაჭრების შემდეგ ოთახი (კვებასთან ერთად) დღეში ოთხ ლირად მომაქირავა. არამგონია, ქვრივისთვის ეს პირობები ხელსაყრელი ყოფილიყო, რადგან საოცარი მადა მქონდა, შემეძლო მაკარონის მთელი მთა სულმოუთქმელად გადამესანსლა. მათ ტოსკანის მთებში ვენახი ჰქონდათ და იქიდან მოტანილი კიანტი საუკეთესო ღვინო იყო, რაც კი ოდესმე იტალიაში დამელია. მისი ქალიშვილი ყოველდღე მამეცადინებდა იტალიურში. ის მე ასაკიანი მეგონა, თუმცა, როგორც შემდეგ გავიგე, მხოლოდ 26 წლის იყო. მან დიდი მწუხარება გადაიტანა, მისი საქმრო, ოფიცერი, აბისინიაში მოკლეს და მას შემდეგ ქალწულობის აღთქმა დადო. დედამისის სიკვდილის შემდეგ (სანდომიანი, ჭაღარა, მხიარული ქალბატონი, რომელიც სიკვდილს უფლის ნებამდე არ აპირებდა) ერსილიას მონასტერში წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ასეთი მომავალი სულაც არ აღელვებდა. უყვარდა

ხუმრობა, სიცილი. სადილ-ვახშმობის დრო მხიარულად გადიოდა, თუმცა მეცადინეობას სერიოზულად ეკიდებოდა; როცა უყურადღებოდ ვიყავი, ხელზე ბავშვივით შავ სახაზავს მარტყამდა. მისი საქციელი ძველი დროის პედაგოგებს მაგონებდა. მათზე ადრე რაღაცები წამეკითხა და ყოველთვის მეცინებოდა. ყოველდღე დატვირთული ვიყავი. დილას იბსენის პიესის რამდენიმე გვერდის თარგმნით ვიწყებდი, რაც დიალოგის ხელოვნების შესწავლაში დამეხმარებოდა. შემდეგ რასკინის ტომებით ხელში ფლორენციის ღირსშესანიშნაობებს ვეცნობოდი. ვიხიბლებოდი ჯოტოს კოშკითა და გიბერტის ბრინჯაოს კარით, მაოცებდა ბოტიჩელის გალერეა უფიცაში, ხოლო ზურგს ვაქცევდი ხოლმე იმათ, რომელთა ნახვასაც ჩემი მოძღვარი არ მომიწონებდა. საუზმის შემდეგ იტალიურის გაკვეთილები მქონდა, მერე ეკლესიებსა და არნოს სანაპიროზე დავხეტიალობდი. სადილის შემდეგ თავგადასავლებს ვეძებდი, თუმცა იმდენად უმწიკვლოდ და მოკრძალებით, რომ შინაგანი სიკეთის საზღვრებისთვის არასდროს გადამიბიჯებია. მიუხედავად იმისა, რომ სინიორამ შესასვლელი კარის გასაღები მომცა, ის მაინც თავისუფლად ამოისუნთქავდა ხოლმე, როცა ჩემი ფეხის ხმას გაიგებდა, რადგან ყოველთვის ეშინოდა, რომ კარის ჩაკეტვა დამავიწყდებოდა. მე გუელფისა და გიბელინის ისტორიის კითხვას ვაგრძელებდი. სამწუხაროდ, ვაცნობიერებდი, რომ იტალიაში ისე ვერ გავატარებდი დროს, როგორც პოეტი-რომანტიკოსები (თუმცა, მეეჭვება რომელიმე მათგანს, აქ, ჩემსავით ექვსი კვირის განმავლობაში ოც გირვანქად ეცხოვრა). ჩემი ფხიზელი და შემოქმედებითი ცხოვრებით სულიერად ვტკბებოდი. რადგან დანტეს „ჯოჯოხეთი“ ადრე მქონდა წაკითხული (ინგლისურ თარგმანში, თუმცა კეთილსინდისიერად ვეძებდი უცხო სიტყვებს ლექსიკონში), ერსილიასთან „განსაწმენდელით“ დავიწყე. როცა ზემოთ აღნიშნულ ციტატამდე მივედით, მან განმიმარტა, რომ პია იყო სიენელი დიდგვაროვანი, რომლის ქმარი მის ერთგულებაში დაეჭვდა, მაგრამ, მისი დიდებული ნათესავების შურისძიების შიშით, ცოლის მოკვლაზე ხელი აიღო. წაიყვანა თავის ციხესიმაგრე მარემაში, რომლის

მომწამვლელი ნისლი, იმედი ჰქონდა ბოლოს მოუღებდა. თუმცა პია დიდხანს არ კვდებოდა. ქმარმა მოთმინება დაკარგა და ბრძანა, ფანჯრიდან გადაეგდოთ. საიდან იცოდა ეს ყველაფერი ერსილიამ, წარმოდგენა არ მაქვს. მართალია, დანტეს ეს ციტატა ცოტა არადამაჯერებლად მეჩვენებოდა, მაგრამ მან მთლიანად დაიპყრო ჩემი წარმოსახვა. რამდენიმე წელი ყველაფერს გონებაში ვხარშავდი და ზოგჯერ დღე და ღამე ამაზე ვფიქრობდი. ჩემთვის ხშირად ვიმეორებდი: „სიენამ შემქმნა მე და მარემამ გამანადგურა“. ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი იმ მრავალ სიუჟეტთაგან, რომელიც გონებაში მიტრიალებდა, ამიტომაც დიდხანს აღარც გამხსენებია. ვერ წარმომედგინა, თუ ასეთი ამბები თანამედროვე ცხოვრებაშიც ხდებოდა. მსგავს შემთხვევას ჩინეთში დიდი ხნით მოგზაურობის დროს წავაწყდი. ეს არის ერთადერთი რომანი, რომელიც არა ხასიათიდან, არამედ ფაბულიდან გამომდინარე დავწერე. ხასიათისა და ფაბულის თანხვედრის ახსნა ადვილი როდია. არ შეიძლება პერსონაჟის შექმნა უჰაერო სივრცეში: როგორც კი მასზე ფიქრს იწყებ, მაშინვე რაღაც მოქმედ სიტუაციაში წარმოიდგენ; გამოდის, რომ ხასიათი და მთავარი მოქმედება წარმოსახვაში ერთდროულად იბადება. მაგრამ, ჩემ შემთხვევაში, პერსონაჟები სიუჟეტის მიხედვით შევარჩიე. მათ დიდი ხნის განმავლობაში ვიცნობდი, თუმცა განსხვავებულ სიტუაციაში. ამ წიგნის გამო ვერ გავექეცი იმ უსიამოვნებას, რომელსაც ვერც ერთი მწერალი გვერდს ვერ აუვლის. დასაწყისში ჩემს გმირებს მივეცი ფართოდ გავრცელებული გვარი - ლეინი. აღმოჩნდა, რომ ამ გვარის ხალხი ცხოვრობს ჰონკონგში. მათ უჩივლეს იმ ჟურნალის გამომცემელს, სადაც რომანი იბეჭდებოდა. გამომცემელი იძულებული გახდა 250 სტერლინგი გადაეხადა. ასე რომ, გმირის გვარი ფეინით შევცვალე. შემდგომში ჰონკონგის გუბერნატორის თანაშემწემ რომანში რატომღაც საკუთარ თავზე ცილისწამება ამოიკითხა და სასამართლოთი დამემუქრა. ამან ძალიან გამაკვირვა, რადგან ინგლისში ჩვენ შეგვიძლია სცენაზე წარმოვადგინოთ პრემიერ-მინისტრი, რომანში დავწეროთ არქიეპისკოპოსზე ან ლორდ-

კანცლერზე და ეს მაღალჩინოსნები წარბსაც არ შეიხრიან. ზედმეტი ხმაურის ასაცილებლად, ჰონკონგი შევცვალე გამოგონილი ცინ-იანით (თუმცა, მოგვიანებით ისევ ჰონკონგი აღვადგინე). იმ დროისთვის წიგნი დაბეჭდილი იყო, მაგრამ ტირაჟი გასაყიდად ვერ გავიდა. ზოგიერთმა რეცენზენტმა, რომელთაც გამომცემლისგან წიგნის მიღება მოასწრეს, სხვადასხვა მიზეზის გამო უკან აღარ დააბრუნეს და ეს ეგზემპლარები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. როგორც ვიცი, მათი რაოდენობა სამოცს არ აღემატება და მასში კოლექციონერები დიდ ფულს იხდიან. „...ჭრელი საბურველი, რომელსაც ხალხი სიცოცხლეს ეძახის“. ქალმა შიშით შეჰყვირა. - რა მოხდა? - ჰკითხა კაცმა და მიუხედავად იმისა, რომ დარაბებმიხურულ ოთახში ბნელოდა, ქალის შიშისგან შეშლილი სახე მაინც დაინახა. - ვიღაცამ კარის გაღება სცადა. - ალბათ, რომელიმე მსახური იყო. - ამ დროს არასოდეს მოდიან. იციან, რომ საუზმის შემდეგ ყოველთვის მძინავს. - აბა, სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო? - უოლტერი, - თქვა ჩურჩულით, თან ტუჩები უთრთოდა და ხელით ფეხსაცმელზე ანიშნა. ქალის შიში კაცსაც გადაედო და მღელვარებისგან ვერა და ვერ ჩაჰყო ფეხი ისედაც ვიწრო ფეხსაცმელში. მოუთმენლობისგან სუნთქვაშეკრულმა ქალმა მაშველი მიაწოდა, თავად კიმონოში გაეხვია, ფეხშიშველა ტუალეტის მაგიდასთან მივიდა და, სანამ ის მეორე ფეხსაცმელს შეიკრავდა, მოკლედ შეჭრილი თმა სავარცხლით შეისწორა და პიჯაკი მიაწოდა. - აქედან როგორ გავიდე? - სჯობს, ცოტა მოიცადო. გავიხედავ, გზა თავისუფალია თუ არა. - შეუძლებელია, უოლტერი ყოფილიყო. ლაბორატორიიდან ხუთ საათამდე არასდროს გამოდის. - მაშ, ვინ იყო? ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ქალი ცახცახებდა. მამაკაცმა იფიქრა, რომ კრიტიკულ მომენტში ქალს შეიძლება თავგზა აბნეოდა და მოულოდნელად გაბრაზდა. თუკი სარისკო იყო, რატომღა ამშვიდებდა, საშიში არაფერიაო? სუნთქვაშეკრულმა ქალმა ხელი მკლავზე დაადო. მამაკაცმა თვალი გააყოლა მის მზერას, რომელიც ვერანდაზე გამავალ ფანჯრებს მიშტერებოდა. მიხურულ დარაბებში ურდულიც კი გაეყარათ. უცებ დაინახეს, რომ თეთრი ფაიფურის

მრგვალი სახელური ნელა დატრიალდა. არადა, ვერანდიდან ფეხის ხმა არ გაუგიათ. შემაძრწუნებელი იყო ეს უხმო მოძრაობა. გავიდა ერთი წუთი - ჩამიჩუმი არ ისმოდა. შემდეგ რაღაც საშინელმა, ასევე ზებუნებრივმა ძალამ, ფრთხილად და უხმოდ გადააბრუნა მეორე დარაბის თეთრი ფაიფურის სახელურიც. ეს იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ კიტის ნერვებმა უმტყუნა, უნდოდა დაეკივლა, პირიც კი გააღო, მაგრამ მამაკაცი მიუხვდა და სწრაფად დააფარა პირზე ხელი - კივილი თითებში ჩაახშო. დუმილი. მუხლებაკანკალებული კიტი მამაკაცს მიეყრდნო. კაცს შეეშინდა, გული არ წაუვიდესო და წარბშეკრულმა საწოლთან მიიყვანა და დასვა. ქალი მიტკლისფერი იყო. ნამზეურის მიუხედავად, მამაკაცსაც გაფითრებოდა ლოყები. ის ქალის გვერდით იდგა და ფაიფურის სახელურს მონუსხულივით მისჩერებოდა. ხმას არ იღებდნენ. მამაკაცმა შეამჩნია, რომ ქალი ტიროდა. - თუ ღმერთი გწამს, შეწყვიტე, - წაიჩურჩულა გაღიზიანებულმა. - თუ გვნახეს, ტირილით ვერაფერს შეცვლი. აქედან როგორმე გამოვძვრებით... ქალი ცხვირსახოცს ეძებდა. მამაკაცი მიხვდა, რაც უნდოდა და ხელჩანთა მიაწოდა. - სად არის შენი შლემი? - ქვევით დავტოვე. - ღმერთო ჩემო! - იცი რა, როგორმე თავი ხელში უნდა აიყვანო. დარწმუნებული ვარ, უოლტერი არ იქნებოდა. რატომ დაბრუნდებოდა ამ დროს? ის ხომ შუადღისას არასოდეს მოსულა? - არა. - სანაძლეოს ვდებ, მსახური იყო. ქალმა ოდნავ გაიღიმა, მამაკაცის თბილმა, ალერსიანმა ხმამ დაამშვიდა. მისი ხელი აიღო და ნაზად მოუჭირა. მამაკაცმა ცოტა ხანს ადროვა დასაწყნარებლად. - მისმინე, სულ აქ ხომ არ ვიქნებით, - უთხრა შემდეგ. - იქნებ ვერანდაზე გახვიდე და გაიხედ-გამოიხედო? - არამგონია, ფეხზე დგომა შევძლო. - აქ, სადმე ბრენდი ხომ არ გაქვს? ქალმა თავი გაიქნია. მამაკაცს წამით სახე მოეღუშა, მოთმინებას ჰკარგავდა. აღარ იცოდა, რა ექნა. უცებ ქალმა ხელი უფრო მაგრად მოუჭირა. - იქ რომ გველოდებოდეს? კაცმა ძალდატანებით გაიღიმა. კვლავ თავშეკავებით და დამაჯერებლად საუბრობდა, რადგან მისი ზემოქმედების ძალას კარგად აცნობიერებდა. - შეუძლებელია. გამაგრდი, კიტი. როგორ

შეიძლება შენი ქმარი ყოფილიყო? ის რომ მოსულიყო, ჰოლში ვიღაცის შლემი ენახა, ზემოთ ამოსულიყო და შენი ოთახიც დაკეტილი დახვედროდა, ნამდვილად ერთ ამბავს ატეხდა. აშკარად, რომელიმე მსახური იყო. მხოლოდ ჩინელი თუ მოაბრუნებს ასე სახელურს. ქალი თავს ახლა უკეთ გრძნობდა. - თუნდაც მოსამსახურე ყოფილიყო, არც ეს არის სასიამოვნო. - ამა შეიძლება მოვისყიდოთ, თუ საჭირო იქნა, დავაშინებ კიდეც. სახელმწიფო მოხელეობა ვერაფერი სახარბიელოა, მაგრამ რაღაც უპირატესობა მაინც აქვს. ალბათ, მართალი იყო. ქალი ადგა, მისკენ მობრუნდა და ხელები გაიწვდინა. მამაკაცი მოეხვია და ტუჩებში აკოცა. ტკივილამდე მისული ბედნიერებისგან თრთოდა. კიტი მას აღმერთებდა. მამაკაცმა ხელი გაუშვა და ქალი ფანჯარასთან მივიდა, ურდული გასწია, დარაბა ოდნავ გამოაღო და გარეთ გაიხედა. არავინ ჭაჭანებდა. მერე ფეხაკრეფით ვერანდაზე გავიდა. ჯერ ქმრის აბაზანაში შეიხედა, შემდეგ თავის სასტუმრო ოთახში. ორივე ცარიელი იყო. მერე საწოლ ოთახში დაბრუნდა და მამაკაცს თავდაქნევით უხმო. - არავინაა. - მგონი, ყველაფერი მოგვეჩვენა. - ნუ იცინი, ძალიან შემეშინდა. ჩემს სასტუმრო ოთახში დამელოდე. წინდებსა და ფეხსაცმელს ჩავიცვამ. მამაკაცი კიტის დაემორჩილა. ხუთ წუთში ქალიც მოვიდა. კაცი სიგარეტს ეწეოდა. - სოდიანი ბრენდი თუ შეიძლება? - კი, ახლავე დავრეკავ. - არც შენ გაწყენდა დალევა. ისინი უხმოდ ელოდნენ მსახურს, რომელსაც ქალმა სასმელის მოტანა უბრძანა. - ლაბორატორიაში დარეკე და იკითხე, იქ არის თუ არა უოლტერი, - უთხრა შემდეგ, - შენს ხმას ვერ იცნობენ. მამაკაცმა ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა და ექიმი ფეინი იკითხა. მერე ყურმილი დადო. - იქიდან საუზმის შემდეგ წასულა, - უთხრა ქალს, - მსახურს ჰკითხე, აქ ხომ არ მოსულა. - არ შემიძლია. ძალიან უცნაურად მოეჩვენება, აქ თუ იყო და მე არ მინახავს. მსახურმა ბიჭმა სასმელი მოიტანა. ტაუნსენდმა დაისხა, ქალსაც შესთავაზა, მაგრამ მან თავი გააქნია. - რა ვქნათ, თუ უოლტერი იყო? - ჰკითხა ქალმა. - იქნებ, მისთვის ეს ყველაფერი სულერთია. - უოლტერისთვის? - კიტის ხმაში დაეჭვება იგრძნობოდა. - ყოველთვის მეგონა, რომ უოლტერი ძალიან

მორიდებული იყო. ზოგიერთი მამაკაცი აურზაურს ვერ იტანს. ის საკმაოდ გონიერია და ადვილად მიხვდება, რომ სკანდალის ატეხვით ვერაფერს მოიგებს. ერთი წუთითაც არ მჯერა, რომ უოლტერი იყო, მაგრამ, რომც ყოფილიყო, ჩემი აზრით, არაფერს იზამს. ვფიქრობ, ყურადღებასაც კი არ მიაქცევს. ქალი წუთით ჩაფიქრდა. - მე მას ძალიან ვუყვარვარ. - მით უკეთესი, შენ მას ეჭვებს გაუფანტავ. ტაუნსენდმა კიტის მომხიბლავად გაუღიმა. ამ ღიმილის წინაშე ქალი ყოველთვის უძლური იყო. ეს ღიმილი კაცს ჯერ ღია ცისფერ თვალებში ჩაუდგებოდა და მერე თანდათან ლამაზ ტუჩებზე ეშვებოდა. მას პატარა, სწორი, თეთრი კბილები ჰქონდა. მოკლედ, კიტის მის ვნებიან ღიმილზე მუდამ გული უფართხალებდა. - ჩემთვის სულერთია, - თქვა ქალმა თითქმის მხიარულად, - ამდენ ნერვიულობად არც ღირდა. - ჩემი ბრალია. - რატომ მოხვედი? ძალიან გამიკვირდა, თვალებს ვერ ვუჯერებდი. - ვეღარ გავძელი. - ძვირფასო! - და ქალი ოდნავ მისკენ გადაიხარა. ანთებული მუქი თვალებით ვნებიანად შეჰყურებდა, ბაგე სურვილს გაეპო და მამაკაცმა გულში ჩაიკრა. ქალი ნეტარი ოხვრით მის ძლიერ მკლავებს მინებდა. - ხომ იცი, ყოველთვის შეგიძლია გქონდეს ჩემი იმედი, - უთხრა მამაკაცმა. - შენთან ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა, შენც ისევე გაგაბედნიერო, როგორც მე მაბედნიერებ. - ხომ აღარ გეშინია? - უოლტერის დანახვაც არ მინდა, - მიუგო ქალმა. მამაკაცმა არ იცოდა, რა ეპასუხა, ამიტომ მხოლოდ აკოცა. მისგან განსხვავებით, ქალს საოცრად ნაზი კანი ჰქონდა. შემდეგ კიტის ხელი აიღო და პატარა ოქროს საათს დახედა. - იცი, ახლა რა უნდა ვქნა? - უნდა გაიქცე, - გაუღიმა ქალმა. მამაკაცმა თავი დაუქნია. ქალი კიდევ უფრო ძლიერ ჩაეხუტა, მაგრამ იგრძნო, კაცს სურვილი განელებოდა და მოშორდა. - სირცხვილია, სამუშაოზე სულ აიღე ხელი. ახლავე წადი. ტაუნსენდმა ცდუნებას ვერ გაუძლო. - რაღაც ძალიან ჩქარობ ჩემს თავიდან მოშორებას, - თქვა ხუმრობის კილოთი. - თავადაც იცი, როგორ მინდა დარჩე, - უპასუხა ქალმა გულწრფელად. მამაკაცმა კმაყოფილებით გაიცინა. - ამოიღე მაგ პატარა, ლამაზი თავიდან იმ იდუმალ სტუმარზე ფიქრი. დარწმუნებული ვარ, მოსამსახურე

იქნებოდა. თუ რამე უსიამოვნება მოხდა, გპირდები, დაგიხსნი. - ამაში დიდი გამოცდილება გაქვს? ტაუნსენდს სახეზე კმაყოფილი ღიმილი გადაეფინა. - არა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თავი მხრებზე მაბია. ვერანდაზე გასული კიტი მიმავალ ტაუნსენდს გაჰყურებდა. მან ქალს ხელი დაუქნია. მის დანახვაზე კიტი სიხარულისგან თრთოდა. ბიჭივით მოქნილი ორმოცდაერთი წლის ტაუნსენდი მკვირცხლი ნაბიჯებით მიდიოდა. ვერანდა ჩრდილში გაეხვია. მოთენთილი, სიყვარულით დაღლილი კიტი შეყოვნდა. მათი სახლი ჰეფი ველის მთის ფერდობზე იდგა. უფრო ფეშენებელურ და ძვირადღირებულ შენობაზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ქალის დაბინდული მზერა ვერც კი ამჩნევდა გემებით სავსე ლურჯად მოლივლივე ზღვის ნავსადგურს. ის მხოლოდ თავის საყვარელზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, დღეს სულელურად მოიქცნენ, მაგრამ თუ ტაუნსენდს სურდა კიტი, განა, შეეძლო ქალს წინდახედული ყოფილიყო? ორჯერ თუ სამჯერ, საუზმის შემდეგ, ის ადრეც მოვიდა, რადგან პაპანაქება სიცხეში გარეთ გამოსვლა არავის მოაფიქრდებოდა. მისი მოსვლა-წასვლა მსახურ ბიჭებსაც კი არ შეუმჩნევიათ. ჰონკონგში ძალზე ძნელი იყო შეხვედრა. კიტის სძულდა ეს ჩინური ქალაქი, მუდამ ღელავდა ვიქტორია როუდზე იმ პატარა ჭუჭყიან სახლში შესვლისას, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ. სახლი ანტიკვარი ნივთებით მოვაჭრეს ეკუთვნოდა. იქ მყოფი ჩინელები უსიამოვნოდ აშტერდებოდნენ. კიტი ვერ იტანდა იმ მოხუცი კაცის პირფერულ ღიმილს, რომელსაც დუქნის უკან, სიღრმეში გაჰყავდა და ჩაბნელებული კიბით ზევით მიუძღოდა. კიტის აკრთობდა ბინძური ოთახი და კედელზე მიდგმული ხის განიერი საწოლი. - რა საშინლად ჭუჭყიანია, არა? - უთხრა ჩარლის, როცა იქ პირველად შეხვდა. - შენს მოსვლამდე იყო ასეთი, - მიუგო მან. როგორც კი ჩარლი მკლავებს შემოჰხვევდა, კიტის ყველაფერი ავიწყდებოდა. ოჰ, რა საშინელებაა, არც კიტი იყო თავისუფალი და არც ჩარლი! კიტის არ მოსწონდა ჩარლის ცოლი. მისი ფიქრები ახლა სწორედ დოროთი ტაუნსენდს გადასწვდა. როგორი უიღბლო უნდა იყო, რომ დოროთი გერქვას! როგორ აბერებს ადამიანს ეს სახელი! მისის ტაუნსენდი, სულ ცოტა,

ოცდათვრამეტი წლის მაინც იქნებოდა. ჩარლის არ უყვარდა ცოლი, დიდი ხანია, მობეზრებული ჰყავდა, მაგრამ, როგორც ჯენტლმენს შეჰფერის, მასზე არასოდეს ლაპარაკობდა. კიტის დამცინავად, მაგრამ თბილად გაეღიმა. რას იზამ, ასეთი სულელური ხასიათი აქვს - შეუძლია ცოლს უღალატოს, მაგრამ მასზე ცუდს ვერ ათქმევინებ. დოროთი კიტიზე მაღალი იყო, არც გამხდარი ითქმოდა, არც მსუქანი. ალბათ, ლამაზიც არასდროს ყოფილა და თავის დროზე, მხოლოდ სინორჩის წყალობით გათხოვდა. ღია წაბლისფერი ხშირი თმა, ცივი ცისფერი თვალები და საკმაოდ სწორი, მაგრამ არცთუ ლამაზი ნაკვთები ჰქონდა. ადამიანს მისი უფერული ლოყებისა და სახის კანისთვის მეორედ შეხედვა არც მოუნდებოდა. ისე იცვამდა, როგორც ჰონკონგში გუბერნატორის თანაშემწის ცოლს შეეფერებოდა. კიტის გაეღიმა და მხრები ოდნავ აიჩეჩა. რასაკვირველია, ვერავინ უარყოფდა, რომ დოროთი ტაუნსენდს სასიამოვნო ხმა ჰქონდა. შესანიშნავი დედაც იყო, ჩარლი ამას ყოველთვის აღნიშნავდა. სწორედ ასეთ ქალს უწოდებდა კიტის დედა კეთილშობილ ქალბატონს. მაგრამ კიტის არ უყვარდა დოროთი. მას აღიზიანებდა, რომ დოროთის თავი თავისუფლად ეჭირა, რომ ჩაიზე ან სადილზე მასთან სტუმრობისას ზრდილობიანად ექცეოდა, რადგან გრძნობდა, რომ დოროთისთვის ის არაფერს წარმოადგენდა. მისი აზრით, დოროთის, შვილების გარდა, არავინ აინტერესებდა: ორი ბიჭი ინგლისის სკოლაში სწავლობდა, მესამე კი ექვსი წლის იყო და, ალბათ, მომავალ წელს შეიყვანდა სკოლაში. მისის ტაუნსენდს მუდამ ნიღაბი ეკეთა. ღიმილით, თავაზიანად საუბრობდა იმაზე, რასაც მისგან ელოდნენ, მაგრამ ამ გულითადობის მიუხედავად, თავი ყველასგან შორს ეჭირა. დოროთის ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყავდა, რომლებიც მისით ნამდვილად აღფრთოვანებულნი იყვნენ. კიტის აზრით, დოროთი მას ვულგარულად თვლიდა. ქალი წამოენთო. ბოლოს და ბოლოს, მისის ტაუნსენდს არავითარი მიზეზი არ ჰქონდა მასთან თავი ქედმაღლურად დაეჭირა! მართალია, მამამისი ოდესღაც კოლონიის გუბერნატორი იყო, - ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი

თანამდებობაა, ოთახში შესვლისას, ყველა ფეხზე დგება, მანქანით ჩაივლი და მამაკაცები ქუდის მოხდით გესალმებიან, - მაგრამ უკვე გადამდგარ გუბერნატორზე უფრო უმნიშვნელო ვინ უნდა იყოს? დოროთი ტაუნსენდის პენსიონერი მამა ერლზ-ქორთის პატარა სახლში ცხოვრობდა. რომც დაეპატიჟა, კიტის დედა დოროთისთან სტუმრობაზე ნამდვილად დაფიქრდებოდა, რადგან იქ მოწყენილობა დასტანჯავდა. კიტის მამა, ბერნარდ გარსტინი, სამეფო ადვოკატი, დღეს თუ ხვალ მოსამართლედ დაინიშნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ისინი საუთ კენსინგტონში ცხოვრობდნენ. როცა კიტი ქორწილის შემდეგ ჰონკონგში ჩამოვიდა, ძალიან გაუჭირდა იმ ამბავთან შეგუება, რომ მის სოციალურ მდგომარეობას ამიერიდან ქმრის საქმიანობა განსაზღვრავდა. რა თქმა უნდა, კიტის ყველა კარგად ექცეოდა. ორი-სამი თვის განმავლობაში ისინი თითქმის ყოველ საღამოს სტუმრად დადიოდნენ. ერთხელ გუბერნატორის რეზიდენციაში სადილად მიიპატიჟეს. კიტი, როგორც ახლადდაქორწინებული, თვით გუბერნატორმა მიიყვანა სუფრასთან, მაგრამ ქალი მალე მიხვდა, რომ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე ბაქტერიოლოგის ცოლს, დიდი პრეტენზია ვერ ექნებოდა და ძალიან გაბრაზდა. - რა უცნაურია, - უთხრა ქმარს, - აქ ვერავის ნახავ ისეთს, ვის გამოც ინგლისში თავს შევიწუხებდით. დედაჩემს მათი დაპატიჟება აზრადაც არ მოუვიდოდა. - მაგაზე ნუ წუხხარ, - უპასუხა ქმარმა, - ხომ იცი, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. - რა თქმა უნდა, არ აქვს, მხოლოდ მათ იდიოტობაზე მეტყველებს. მაგრამ, როცა მახსენდება ჩვენს ოჯახში რა ხალხი დადიოდა, უცნაურად მეჩვენება ამათი ჩვენდამი მოპყრობა. - სოციალური თვალსაზრისით, მეცნიერი ბევრს არაფერს წარმოადგენს, - გაეღიმა უოლტერს. კიტი ამას ახლა მიხვდა, ცოლად რომ მიჰყვებოდა, მაშინ ამაზე არც უფიქრია. - ვერ ვიტყვი, დიდად მსიამოვნებს, სუფრასთან გვერდით გადამზიდავი კომპანიის აგენტი რომ მიზის, - თქვა მან სიცილით, რათა ქმარს მის ნათქვამში სნობიზმის ნიშნები არ ამოეკითხა. უოლტერმა, ალბათ, საყვედური მაინც იგრძნო ცოლის მხიარულ კილოში, რადგან ხელზე მორცხვად მოუჭირა ხელი.

- ძალიან ვწუხვარ, კიტი, ძვირფასო, მაგრამ ამაზე ნუ ინაღვლებ. - არა, აღელვებას არც ვაპირებ. არა, უოლტერი ნამდვილად არ იქნებოდა, უთუოდ რომელიმე მსახური იყო. ბოლოს და ბოლოს, ამას არც აქვს მნიშვნელობა, რადგან ჩინელმა მსახურებმა ისედაც ყველაფერი იციან, მაგრამ ენას კბილს აჭერენ. კიტის კინაღამ გული გაუჩერდა, როცა გაახსენდა, როგორ ნელა მობრუნდა თეთრი ფაიფურის მრგვალი სახელური. სჯობს, აღარ გარისკონ. უკეთესი იქნება ერთმანეთს ანტიკვარული ნივთების მაღაზიაში თუ შეხვდებიან. იქ შესულ კიტიზე ვერაფერს იფიქრებდნენ. იქ მათ არავითარი საფრთხე არ ელოდათ. მაღაზიის მეპატრონემ იცოდა, ვინ იყო ჩარლი და არც ისეთი სულელი იყო, რომ გუბერნატორის თანაშემწის გულისწყრომა დაემსახურებინა. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამას, როცა ჩარლის კიტი უყვარს? ქალი შემობრუნდა და სასტუმრო ოთახში შევიდა, დივანზე დაეშვა, სიგარეტის ასაღებად მაგიდისკენ დაიხარა და უცებ წიგნზე დადებულ ბარათს მოჰკრა თვალი და მაშინვე გახსნა. წერილი ნაჩქარევი ხელით, ფანქრით იყო დაწერილი: „ძვირფასო კიტი! გიგზავნით წიგნს, თქვენ რომ გინდოდათ. გამოგზავნას ვაპირებდი, მაგრამ ექიმი ფეინი შემხვდა და მითხრა, მე წავუღებ, შინ მივდივარო.“ თქვენი ვ.ჰ. კიტიმ ზარი დარეკა. როცა მსახური ბიჭი შემოვიდა, მაშინვე ჰკითხა, ვინ და როდის მოიტანა წიგნიო. - ბატონმა მოიტანა, მისის, საუზმის შემდეგ, - მიუგო მან. მაშ, უოლტერი ყოფილა. კიტიმ მაშინვე კოლონიის სამინისტროს კანცელარიაში დარეკა. ჩარლი იკითხა, შემდეგ უთხრა ის, რაც ახლახან გაიგო და ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჩარლიმ უპასუხა: - ახლა მნიშვნელოვანი თათბირი მაქვს და ვერ დაგელაპარაკები. ვფიქრობ, პანიკა საჭირო არ არის. კიტიმ ყურმილი დადო. მიხვდა, ჩარლი მარტო არ იყო - მას ხომ მუდამ საქმე ჰქონდა. გაღიზიანდა. მერე საწერ მაგიდას მიუჯდა, სახე ხელებში ჩარგო. საქმეში გარკვევას შეეცადა: შესაძლოა უოლტერს ეგონა, რომ ეძინა. რა, არ შეიძლებოდა ოთახი ჩაეკეტა? სცადა გაეხსენებინა, ლაპარაკობდნენ თუ არა. თუნდაც ასე ყოფილიყო, ისინი ხომ ხმას არ აუწევდნენ. მაგრამ ქუდი?! სულელი,

დაბლა რამ დაატოვებინა?! თუმცა ჩარლის ვერ დაადანაშაულებდა. რას იფიქრებდა, რომ ქუდის ჰოლში დატოვება არ შეიძლებოდა. თანაც არაფერი ამტკიცებდა, რომ უოლტერმა ქუდი შენიშნა. ალბათ, ჩქარობდა, საქმეზე მიდიოდა და წიგნი და ბარათი დატოვა. უცნაური ის იყო, რომ ჯერ კარის, შემდეგ კი ორივე დარაბის გაღება სცადა. თუ იფიქრა, რომ ცოლს ეძინა, არც შეაწუხებდა. რა სულელია კიტი! კიტიმ უსიამოვნო ფიქრები მოიშორა და, როგორც ყოველთვის, ჩარლიზე ფიქრის დროს, გულში ტკბილი ტკივილი იგრძნო. ეს ბედნიერება ნამდვილად ღირდა ამ ტანჯვად. ჩარლიმ უთხრა, დაგიცავო და თუ საქმე ცუდად წავა, მაშინ.... ატეხოს უოლტერმა აურზაური, თუ უნდა! სამაგიეროდ, მას ჩარლი ჰყავს! რა ენაღვლება? იქნებ, სჯობდეს კიდეც, რომ უოლტერს ყველაფერი გაეგო. მას არასოდეს ჰყვარებია უოლტერი, ხოლო, რაც ჩარლი ტაუნსენდი შეუყვარდა, ქმრის ალერსს ვეღარ იტანდა. იქნებ, მასთან ცხოვრება აღარც მოენდომებინა? ძალიანაც კარგი! უოლტერი ვერაფერს დაამტკიცებს. თუ დაკითხავენ, კიტი ყველა ბრალდებას უარყოფს, უკიდურეს შემთხვევაში კი, სიმართლეს პირში მიახლის და მერე რაც უნდა, ის ქნას. კიტი ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ მიხვდა თავის შეცდომას, რაშიც თავად იმდენად არ იყო დამნაშავე, რამდენადაც დედამისი. აფორიაქებულმა კიტიმ კედელზე დაკიდებულ დედის სურათს შეხედა. ვერ აცნობიერებდა, რად უნდოდა იმის სურათი, ვინც მაინცდამაინც არ უყვარდა. მამის ერთი სურათი კი, რომელიც მისი სამეფო ადვოკატობის დროს იყო გადაღებული, ქვემოთ, როიალზე იდო. ეს დაბალი ტანის, სახედანაოჭებული მამაკაცი, რომელსაც დაღლილი თვალები, გრძელი ზედა ტუჩი და თხელი პირი ჰქონდა, პარიკსა და მანტიაში შთაბეჭდილებას მაინცდამაინც ვერ ახდენდა. ხუმარა ფოტოგრაფმა უთხრა, გაიღიმეთო, მაგრამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მამას სახე უფრო მოეღუშა. მისის გარსტინმა სწორედ იმიტომ ამოარჩია ეს სურათი, რომ, მისი აზრით, ქმარი, რომელსაც დაშვებული ტუჩის კუთხეები და ნაღვლიანი თვალები ოდნავ სევდიან იერს ანიჭებდა, აქ მოსამართლეს ყველაზე მეტად ჰგავდა. თვით მისის

გარსტინი სურათზე იმ კაბით იყო, რომლითაც სასამართლოში წავიდა, როცა მისი ქმარი სამეფო ადვოკატი გახდა. ამ ხავერდის კაბაში დიდებულად გამოიყურებოდა. სურათზე გრძელი შლეიფი მთელი მომხიბვლელობით ჩანდა. მისის გარსტინს თავზე ბუმბულები ეკეთა, ხელში კი ყვავილები ეჭირა. გამართული იდგა. ორმოცდაათი წლის ქალი იყო, გამხდარი, ბრტყელი მკერდით, მაღალი ყვრიმალებით, კარგი ფორმის, ოდნავ დიდი ცხვირითა და ხშირი, სწორი შავი თმით, რომელზეც კიტი ყოველთვის ეჭვით ფიქრობდა: თუ არ იღებავს, ელფერს ოდნავ მაინც უცვლისო. ადვილად შეამჩნევდით, რომ მისის გარსტინის მშვენიერი შავი თვალები ყოველთვის მოუსვენრად გამოიყურებოდნენ. მასთან საუბრისას მის უშფოთველ, გადატკეცილ მოყვითალო სახეზე სწორედ ეს მოუსვენარი თვალები აგაფორიაქებდათ. ეს თვალები ხან თქვენ გაკვირდებოდათ, ხან სხვებს, შემდეგ ისევ თქვენ გიბრუნდებოდათ და გრძნობდით, კრიტიკულად გათვალიერებდათ და თან არც ის ეპარებოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა. აცნობიერებდით, რომ ერთს ამბობდა და მეორეს ფიქრობდა. მისის გარსტინი მტკიცე, სასტიკი, ენერგიული, პატივმოყვარე, ძუნწი და თავქარიანი ქალი იყო. მამამისს, ლივერპულელ ადვოკატს, ხუთი ქალიშვილი ჰყავდა. ის ბერნარდ გარსტინს ჩრდილოეთში გამსვლელი სასამართლო სხდომის დროს შეხვდა. მისი აზრით, ამ ახალგაზრდას ეტყობოდა, კარგი მომავალი ექნებოდა, შორს წავიდოდა, ქალიშვილსაც იგივეს უმტკიცებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მონდომებული, შრომისმოყვარე და ნიჭიერი კი იყო, მაგრამ წინსვლის სურვილი არ ჰქონდა. მართალია, მისის გარსტინს ქმარი ეზიზღებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ მისი საშუალებით თავად შეეძლო წარმატებისთვის მიეღწია და გადაწყვიტა, თავის ჭკუაზე ეტარებინა. ამიტომაც შეუბრალებლად ექცეოდა: უჩიჩინებდა, გასაქანს არ აძლევდა. მალე მიხვდა, როგორ ეიძულებინა ქმარი თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო: მოსვენება არ უნდა მიეცა მანამ, სანამ არაქათგამოცლილი არ დანებდებოდა. თავის მხრივ, მისის გარსტინი საჭირო ხალხთან დაახლოებას ცდილობდა.

ეფარისევლებოდა სამეფო კარის მოხელეებს, რომლებიც მის ქმარს საქმეს აძლევდნენ. ახლოს ეცნობოდა მათ ცოლებს, ეპირფერებოდა მოსამართლეებსა და მათ მეუღლეებს, განადიდებდა იმ პოლიტიკოსებს, ვისაც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ოცდახუთი წლის მანძილზე მისის გარსტინს სადილზე არავინ დაუპატიჟებია მხოლოდ იმიტომ, რომ მოსწონდა. დიდ სადილებს დროის თანაბარი შუალედებით მართავდა, მაგრამ ისეთივე ძუნწი იყო, როგორც პატივმოყვარე. ვერ იტანდა ფულის ხარჯვას. ეგონა, ნახევარ ფასში სხვასავით მდიდრულად მოაწყობდა ყველაფერს. სადილი დიდხანს გრძელდებოდა, კერძებიც მრავალნაირი მოჰქონდათ, მაგრამ ყველაფერს ხელმომჭირნეობის ელფერი დაჰკრავდა. არ ფიქრობდა, რომ ჭამისა და საუბრის დროს ხალხი შეამჩნევდა, რას ასმევდნენ. შუშხუნა მოზელვეინს ხელსახოცში ახვევდა, ხალხს რომ შამპანური ჰგონებოდა. ბერნარდ გარსტინს საკმარისი, მაგრამ არცთუ ისე დიდი პრაქტიკა ჰქონდა. თითქმის ყველამ გაუსწრო, ვინც ადვოკატის ლიცენზია მის შემდეგ მიიღო. მისის გარსტინმა ქმარი აიძულა საპარლამენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა, რაც ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მისმა მომჭირნეობამ აქაც სძლია პატივმოყვარეობას - ვერა და ვერ აიძულა საკუთარი თავი, რომ ამომრჩეველთა გულის მოსაგებად საკმარისი ფული დაეხარჯა. ბერნარდ გარსტინის, როგორც კანდიდატის, მიერ გაღებული შემოწირულობები სხვადასხვა ფონდებისადმი ყოველთვის საკმარისზე ნაკლები იყო და ამიტომაც მარცხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისის გარსტინისთვის მეტად სასიამოვნო იქნებოდა პარლამენტარის ცოლობა, მან გმირულად გადაიტანა ეს მარცხი. ქმრის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მან რამდენიმე ცნობილი პიროვნება გაიცნო, რითაც საგრძნობლად აიმაღლა საკუთარი იმიჯი. იცოდა, რომ ბერნარდ გარსტინი პარლამენტში ვერასოდეს გამოიჩენდა თავს. მხოლოდ იმიტომ უნდოდა ქმრის პარლამენტარობა, რომ მას პარტიის მადლიერება დაემსახურებინა, ორი-სამი დაკარგული ხმისთვის ბრძოლა კი, უთუოდ მისცემდა ამის

საშუალებას. მაგრამ ბერნარდ გარსტინი ჯერ კიდევ რიგითი ადვოკატი იყო, როცა ბევრი მასზე გაცილებით ახალგზარდა უკვე სამეფო იურისტი გახდა. მასაც აუცილებლად უნდა მიეღო ეს წოდება, არა მარტო იმიტომ, რომ სხვაგვარად მოსამართლე ვერ გახდებოდა, არამედ ცოლის გამოც. მისის გარსტინი თავს დამცირებულად გრძნობდა, როცა იძულებული იყო, სადილზე თავისზე ათი წლით უმცროსი ქალების შემდეგ შესულიყო. მაგრამ აქ ის ქმრის სიჯიუტეს წააწყდა, რასაც დიდი ხნის გადაჩვეული იყო. ბერნარდ გარსტინი შიშობდა, რომ როგორც სამეფო ადვოკატი, სამუშაოს ვერ იშოვიდა. ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო, ეუბნებოდა ცოლს, რაზეც მკვახე პასუხს იღებდა, ანდაზები ჭკუასუსტთა ფარიაო. ქმარი უმტკიცებდა, რომ შეიძლება შემოსავალი განახევრებოდა, იცოდა, ცოლზე ეს არგუმენტი ყველაზე მეტად იმოქმედებდა, მაგრამ ქალი არ უსმენდა, სულმოკლეს ეძახდა, მოსვენებას არ აძლევდა და ბოლოს, ქმარი, ჩვეულებისამებრ, დანებდა. მან სამეფო ადვოკატის წოდება ითხოვა, რაც მალევე მიანიჭეს. ბერნარდ გარსტინის წინათგრძნობა გამართლდა. კარიერა ვერ მოიწყო. საქმეებიც ცოტა ჰქონდა, მაგრამ წყენას არ იმჩნევდა. შეიძლება ცოლს გულში საყვედურობდა, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ამბობდა. უფრო გულჩათხრობილი გახდა, თუმცა შინ ისედაც სიტყვაძუნწი იყო და ოჯახის წევრებმა მომხდარი ცვლილება ამიტომაც ვერ შეამჩნიეს. ქალიშვილები მას მხოლოდ შემოსავლის წყაროდ თვლიდნენ: ეგონათ, ძაღლივით უნდა ეწანწალა, რომ მათ საჭმელ-სასმელი, ბინა, ტანსაცმელი, გასართობები და სხვა რამ არ მოჰკლებოდათ; როცა მიხვდნენ, რომ მისი მიზეზით ფული შემოაკლდათ, მამისადმი გულგრილობას ბრაზი და ზიზღიც დაერთო. აზრადაც არ მოსვლიათ, ოდესმე საკუთარი თავისთვის ეკითხათ, რას გრძნობდა ეს დაბეჩავებული ჩია კაცი, რომელიც შინიდან დილაადრიან გადიოდა და საღამოს იმ დროს ბრუნდებოდა, როცა ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა სადილისთვის. ის სრულიად უცხო იყო მათთვის. თვლიდნენ, რომ, როგორც მამა, ვალდებული იყო თავისი შვილები ჰყვარებოდა და

ხელისგულზე ეტარებინა. მისის გარსტინი გამბედავი ქალბატონი იყო, რაც, თავისთავად, მომხიბვლელობას მატებდა. მისთვის მთელ სამყაროდ ქცეულ საკუთარ წრეში არავის შეამჩნევინებდა, რომ იმედების გაცრუების გამო თავს დამცირებულად გრძნობდა. ცხოვრების წესი არ შეუცვლია. შილინგს შილინგზე აკოწიწებდა და იმდენი მოახერხა, რომ კვლავაც ბრწყინვალე წვეულებებს მართავდა, მეგობრებსაც ჩვეული სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა. მუდამ მარაგში ჰქონდა თავშესაქცევი ჭორები, რომელსაც მის წრეში ელიტარულ საუბარს ეძახდნენ. ის მეტად სასიამოვნო სტუმარი გახლდათ იმ საზოგადოებისთვის, სადაც სხვები ასეთ ლაყბობას ვერ ახერხებდნენ. ის საუბრის ახალ თემას არასოდეს დაუბნევია და დროზე ჩართული სიტყვითაც ხშირად დაურღვევია უხერხული სიჩუმე. ახლა უკვე ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ბერნარდ გარსტინი ოდესმე უმაღლესი სასამართლოს წევრი გახდებოდა, მაგრამ იმის იმედი მაინც რჩებოდა, რომ რომელიმე საგრაფოს მოსამართლეობას ეღირსებოდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ინგლისის რომელიმე კოლონიაში მოსამართლედ მაინც დანიშნავდნენ. ჯერჯერობით კი, მისის გარსტინი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მისი ქმარი უელსის ერთ-ერთი ქალაქის მოსამართლედ დანიშნეს. ახლა მთელ იმედებს ქალიშვილებზე ამყარებდა. თუ კარგად გათხოვდებოდნენ, ცხოვრებაში აუხდენელ ოცნებებს ამით აინაზღაურებდა. ორი ქალიშვილი ჰყავდა - კიტი და დორისი. დორისი ყოველთვის შეუხედავი იყო - გრძელი ცხვირი და უშნო ტანი ჰქონდა. ამიტომ მისის გარსტინს იმის იმედიღა ჰქონდა, რომ დორისი კარგი შემოსავლის, სათანადო პროფესიის მქონე კაცს მაინც გაჰყვებოდა. სამაგიეროდ, კიტი იყო ლამაზი. ბავშვობიდანვე ეტყობოდა, რომ მშვენიერი ქალი დადგებოდა. დიდრონი, მუქი, წყლიანი, ცოცხალი თვალები, ხვეული მოწითალო-მოწაბლისფრო თმა, მშვენიერი კბილები და ნაზი კანი ჰქონდა. თუმცა სრულყოფილ სილამაზეში ხელს უშლიდა ოთხკუთხა ნიკაპი და დიდი ცხვირი, თუმცა არც ისე დიდი, როგორიც მის დას ჰქონდა. ეს უფრო ახალგაზრდული სილამაზე იყო, ამიტომ მისის გარსტინმა გააცნობიერა, რომ კიტი

აყვავებისთანავე უნდა გაეთხოვებინა. საზოგადოებაში პირველად გამოსული კიტი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. მისი გრძელი წამწამებით შემოჯარულ-გასხივოსნებული სახე და მიბნედილი თვალები კაცს გულს აუჩქროლებდა. ცდილობდა, მომხიბლავი მხიარულებით ყველასთვის თავი მოეწონებინა. მისის გარსტინმა მთელი თავისი ტლანქი, თავშეკავებული, ანგარებიანი, პრაქტიკული სიყვარული, რისი უნარიც კი გააჩნდა, კიტიზე გადაიტანა. პატივმოყვარე ოცნებებმა გაიტაცა - უნდოდა ქალიშვილი არა კარგად, არამედ ბრწყინვალედ გაეთხოვებინა. კიტი, რომელსაც ბავშვობიდანვე შთააგონეს, რომ მშვენიერი ქალი დადგებოდა, დედის პატივმოყვარე ზრახვებს ძალიან კარგად ამჩნევდა. თავადაც ამისკენ მიილტვოდა. კიტის საზოგადოებაში გამოსვლის შემდეგ, მისის გარსტინი დასაშვები თუ აკრძალული გზით, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ წვეულებებზე მიეპატიჟებინათ, სადაც მისი ქალიშვილი შესაძლო საქმროებს შეხვდებოდა. კიტიმ ფურორი მოახდინა. სილამაზესთან ერთად, სასიამოვნო მოსაუბრეც იყო და ძალიან მალე ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო მისი შესაფერისი და ისიც ყველას ერთნაირად მეგობრულად ექცეოდა, მეტად ფრთხილობდა, მცდარი ნაბიჯი არ გადაედგა. კვირაობით, ნაშუადღევს, მათი მისაღები საუთ კენსინგტონში სავსე იყო შეყვარებული ყმაწვილკაცებით, მაგრამ მისის გარსტინმა მოწონების ღიმილით შენიშნა, რომ კიტის მათგან შორს ეჭირა თავი და მისი ჩარევა საჭირო არ იყო. მისი ქალიშვილი მზად იყო ყველას გაარშიყებოდა, ყველა ერთმანეთისთვის წაეკიდებინა და თავი გაერთო, მაგრამ, თუკი ვინმე, ბოლოს და ბოლოს, ხელს სთხოვდა, მტკიცე უარით ისტუმრებდა. პირველმა სეზონმა ისე ჩაიარა, რომ შესაფერისი საქმრო არ გამოჩენილა. მეორეც ასევე დამთავრდა, მაგრამ კიტი ახალგაზრდა იყო და შეეძლო მოეცადა. მისის გარსტინი თავის მეგობრებს ეუბნებოდა, ცოდოა გოგოს გათხოვება ოცდაერთ წლამდეო. მაგრამ გავიდა მესამე წელი, მას მეოთხეც მიჰყვა. ორმა თუ სამმა ძველმა თაყვანისმცემელმა ისევ სთხოვა კიტის ხელი, მაგრამ

ისინი კვლავ ჯიბეგაფხეკილები იყვნენ; ერთი-ორმა თავისზე უმცროსმა ბიჭმაც სთხოვა ცოლობა; ერთმა გადამდგარმა მოხელემ, ინდოეთის იმპერიის მეორე ხარისხის ორდენის კავალერმაც შესთავაზა ხელი და გული. მაგრამ ის ორმოცდაცამეტი წლისა იყო. კიტი კვლავ ბევრს ცეკვავდა. დადიოდა ჩოგბურთის ტურნირებზე, კრიკეტის მატჩებზე, დოღზე ასკოტში და ნაოსნობაზე ჰენლიში1. ერთობოდა, დროს ატარებდა, მაგრამ არც ერთს, რომლის საზოგადოებრივი მდგომარეობა და შემოსავალიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მისთვის ცოლობა არ უთხოვია. მისის გარსტინი შეშფოთდა. შეამჩნია, რომ კიტი უკვე ორმოცი და ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცების ყურადღებას იპყრობდა. შეახსენა კიდეც თავის ქალიშვილს, ერთ-ორ წელიწადში ასეთი ლამაზი აღარ იქნები, თან შენზე ახალგაზრდა ქალები მოდიანო. ოჯახურ წრეში მისის გარსტინი სიტყვების შერბილებას არ ცდილობდა და მკვახედ აფრთხილებდა შვილს, მთხოვნელი აღარ გეყოლებაო. კიტი მხრებს იჩეჩავდა. ფიქრობდა, რომ უწინდებურად ლამაზი იყო, იქნებ, უფრო ლამაზიც, რადგან ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კარგი ჩაცმა-დახურვა ისწავლა, დროც ბევრი ჰქონდა. გათხოვებას მხოლოდ გათხოვილი ქალის სახელისთვის თუ მოისურვებდა, იცოდა, ბევრი დიდი სიამოვნებით შეირთავდა. ადრე თუ გვიან უსათუოდ გამოჩნდებოდა შესაფერისი ადამიანი. მაგრამ მისის გარსტინი უფრო გამჭრიახი იყო: ბრაზობდა თავის ლამაზ ქალიშვილზე, რომელმაც ვერც ერთი შემთხვევა ვერ გამოიყენა; უფრო დაბლა ჩამოვიდა - პროფესიულ კლასს მიუბრუნდა, ვისაც ადრე ცხვირს უბზუებდა; და ახალგაზრდა, კარგი მომავლის მქონე იურისტის ან ბიზნესმენის ძებნა დაიწყო. კიტიმ ოცდახუთ წელს მიაღწია და კვლავ გაუთხოვარი იყო. მისის გარსტინი ბრაზობდა, შემთხვევას არ უშვებდა, რომ ქალიშვილისთვის გუნება მოეშხამა. სულ იმას ეკითხებოდა, მამაშენმა როდემდე უნდა შეგინახოსო. მისტერ გარსტინი წელზე ფეხს იდგამდა, რომ ქალიშვილისთვის კარგად გათხოვების საშუალება მიეცა, მან კი ვერც ერთი შემთხვევა ვერ გამოიყენა. მისის გარსტინს არასოდეს უფიქრია, რომ, შესაძლოა, მისი

გადაჭარბებული თავაზიანობა აფრთხობდა მდიდარი მამების შვილებსა და ტიტულოვან მემკვიდრეებს, რომელთაც მეტისმეტად გულთბილად ხვდებოდა. კიტის წარუმატებლობას მისსავე უჭკუობას აბრალებდა. ამასობაში დორისიც წამოიზარდა. ისეთივე გრძელი ცხვირი და უშნო ტანი ჰქონდა, ცუდად ცეკვავდა. ის საზოგადოებაში გამოსვლისთანავე ჯეფრი დენისონზე დაინიშნა. ჯეფრი მდიდარი ქირურგის ერთადერთი ვაჟი გახლდათ. მამამისმა ომის დროს ბარონეტობა1 მიიღო. ჯეფრის მემკვიდრეობით გადაეცემოდა ეს ტიტული და საკმაოდ დიდი ქონებაც. რა თქმა უნდა, ექიმის ბარონეტობა განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ტიტული მაინც იყო. შეშინებული კიტი უოლტერ ფეინს გაჰყვა ცოლად. დიდი ხანი არ იყო, რაც კიტი უოლტერ ფეინს იცნობდა. მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არასოდეს მიუქცევია. აღარც ახსოვდა, სად და როდის შეხვდნენ პირველად ერთმანეთს, სანამ ნიშნობის შემდეგ უოლტერმა არ უთხრა, პირველად მეჯლისზე გნახე, სადაც ამხანაგებმა წამიყვანესო. კიტის მაშინ ნამდვილად არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის და თუ ეცეკვა, მხოლოდ იმიტომ, რომ კეთილი გული ჰქონდა და ცეკვაზე უარს არავის ეუბნებოდა. ვერც კი იცნო, როცა, ორი-სამი დღის შემდეგ, უკვე სხვა მეჯლისზე, უოლტერი მასთან მივიდა და გამოელაპარაკა. შემდეგ კიტიმ შეამჩნია, რომ ყველა მეჯლისზე, სადაც კი მიდიოდა, უოლტერიც იქ ხვდებოდა. - იცით, თქვენთან სულ მცირე ათჯერ მაინც ვიცეკვე და იქნებ, სახელი მაინც მითხრათ? - უთხრა ბოლოს სიცილით. მამაკაცი აშკარად დაიბნა. - როგორ, ჩემი სახელი არ იცით? ჩვენ ხომ ერთმანეთი გაგვაცნეს. - კი, მაგრამ ზოგი ისე გაურკვევლად ლაპარაკობს, რომ სრულებით არ გამიკვირდება, თქვენც რომ არ იცოდეთ ჩემი სახელი. უოლტერმა გაუღიმა. დინჯი, ოდნავ პირქუში სახე, მაგრამ ძალიან სასიამოვნო ღიმილი ჰქონდა. - რა თქმა უნდა, ვიცი, - და წუთით გაჩუმდა, - თქვენ ცნობისმოყვარე არ ხართ? - ჰკითხა შემდეგ. - იმდენად, რამდენადაც ქალთა უმეტესობა. - ნუთუ, ერთხელ მაინც არ მოგსვლიათ აზრად ვინმესთვის ჩემზე გეკითხათ? კიტი ცოტა

გამხიარულდა. გაუკვირდა, რატომ ეგონა ამ კაცს, რომ მისით დაინტერესდებოდა. თანაც კიტის არ უყვარდა ადამიანების წყენინება, ამიტომ თვალისმომჭრელი ღიმილით შეხედა. მშვენიერი თვალები კი, ჩრდილოვანი ხეებით შემოჯარულ ტბებს რომ მიუგავდა, მომაჯადოებელ სიკეთეს ასხივებდა. - კარგი, რა გქვიათ? - უოლტერ ფეინი. კიტის უკვირდა, რატომ დადიოდა უოლტერი მეჯლისებზე, ის ხომ არც კარგად ცეკვავდა და აქ არც თუ ისე ბევრი ნაცნობი ჰყავდა. თავში გაუელვა, მე ხომ არ შევუყვარდიო, მაგრამ მხრების აჩეჩვით მოიშორა ეს ფიქრი: ბევრი ქალი იცოდა, რომელთაც ეგონათ, მამაკაცებს ერთი დანახვით ვაჯადოვებთო და მათი ტრაბახი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. მაგრამ, საქმე ის იყო, რომ უოლტერ ფეინს სხვებთან შედარებით ცოტა უფრო მეტი ყურადღება მიაქცია. ის არ იქცეოდა კიტის მოტრფიალე სხვა ახალგაზრდებივით, რომელთა უმრავლესობაც გულახდილად ამჟღავნებდა თავის გრძნობებს და მის კოცნას ცდილობდა; პირიქით, უოლტერ ფეინი კიტიზე და საკუთარ თავზეც ძალიან ცოტას თუ ლაპარაკობდა. საკმაოდ გულჩათხრობილი იყო, რაც კიტის საერთოდ არ აღელვებდა: თვითონ ბევრი სალაპარაკო თემა ჰქონდა მარაგში და სიამოვნებდა, რომ უოლტერი მის მახვილსიტყვაობაზე იცინოდა. უოლტერი კი საუბრისას სულელურს არაფერს იტყოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მორცხვი იყო. როგორც გაირკვა, აღმოსავლეთში ცხოვრობდა და ინგლისში შვებულებით ჩამოსულიყო. ერთ კვირას, ნაშუადღევს, უოლტერი მათ საუთ კენსინგტონში ეწვია, სადაც თხუთმეტიოდე სტუმარი შეკრებილიყო. ერთხანს რაღაც უხერხულად იჯდა, მერე კი ადგა და წავიდა. მოგვიანებით კიტის დედამისმა ჰკითხა, ეს ახალგაზრდა რას წარმოადგენსო. - წარმოდგენა არ მაქვს. შენ დაპატიჟე? - დიახ, ბედლის ოჯახში გავიცანი. მითხრა, კიტის მეჯლისებზე ხშირად ვხედავო. მე კი ვუთხარი, კვირაობით სტუმრებს სიამოვნებით ვღებულობ-მეთქი. - გვარად ფეინია, აღმოსავლეთში მუშაობს. - დიახ, ექიმია. უყვარხარ? - სიმართლე გითხრა, არ ვიცი! - ვფიქრობ, დროა იცოდე, თუკი უყვარხარ. - კიდეც რომ ვუყვარდე, მაინც არ გავყვები, -

მიუგო კიტიმ უდარდელად. მისის გარსტინმა არაფერი უპასუხა. მისი სიჩუმე ძლიერ უკმაყოფილებას გამოხატავდა. კიტი წამოენთო: მიხვდა, დედამისისთვის უკვე სულერთი იყო, ვის გაჰყვებოდა, ოღონდაც თავიდან მოეშორებინა. მომდევნო კვირის განმავლობაში კიტი სამჯერ შეხვდა უოლტერს მეჯლისებზე. ეტყობოდა, სიმორცხვეს ცოტა სძლია და ახლა უფრო გულღიად საუბრობდა. მართალია, ექიმი იყო, მაგრამ პრაქტიკა არ ჰქონდა, ბაქტერიოლოგი გახლდათ (კიტის ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ პროფესიაზე) და ჰონკონგში მუშაობდა. შემოდგომაზე უკან უნდა დაბრუნებულიყო. ბევრს უამბობდა ჩინეთზე. კიტის უკვე ჩვევად ექცა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს, ყველაფერი აინტერესებდა, რასაც უყვებოდნენ, თუმცა ესეც იყო, ჰონკონგის ცხოვრება მართლაც მიმზიდველი ეჩვენა: იქ, თურმე, უამრავი კლუბი იყო, თამაშობდნენ ჩოგბურთს, ცხენბურთს, გოლფს, იმართებოდა დოღი. - ბევრს ცეკვავენ იქ? - ჩემი აზრით, კი. კიტის აინტერესებდა, რაიმე მიზნით ხომ არ უყვებოდა უოლტერი ამ ამბებს. მას თითქოს სიამოვნებდა კიტის საზოგადოება, მაგრამ არასოდეს - არც ხელის მოჭერით, არც გამოხედვით, არც სიტყვით - უგრძნობინებია მისთვის, რომ ის მისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ნაცნობი გოგონა, რომელთანაც ცეკვა შეიძლება. მომდევნო კვირას უოლტერი კვლავ ეწვია სახლში. ამ დროს კიტის მამაც დაბრუნდა - წვიმის გამო გოლფის სათამაშოდ ვერ წასულიყო. მან და უოლტერ ფეინმა დიდხანს ისაუბრეს. მოგვიანებით კიტიმ ჰკითხა მამას, რაზე საუბრობდითო. - როგორც ჩანს, ჰონკონგში ცხოვრობს, სადაც მთავარი მოსამართლე ჩემი ძველი მეგობარია, ერთად ვსწავლობდით. ჭკვიანი ახალგაზრდა ჩანს. კიტიმ იცოდა, რომ მამამისს უკვე მობეზრებული ჰქონდა ახალგაზრდა მამაკაცები, რადგან ქალიშვილების გამო იძულებული იყო, ისინი გაერთო. - თქვენ იშვიათად მოგწონთ ჩემი თაყვანისმცემლები, მამა, - უთხრა კიტიმ. მამამ კეთილი, დაღლილი თვალები მიაპყრო. - ცოლად გაყოლას ხომ არ აპირებ? - რა თქმა უნდა, არა. - უყვარხარ? - საამისო არაფერი ეტყობა. - მოგწონს? - არა მგონია, ძალიან მომწონდეს. ცოტა

მაღიზიანებს კიდეც. კიტის არ მოსწონდა ამ ტიპის მამაკაცები. უოლტერი სუსტი, არცთუ ისე მაღალი აღნაგობის გახლდათ. შავგვრემანი და ყოველთვის კოხტად გაპარსული იყო. დახვეწილი ნაკვთები, მუქი, პატარა, არც ისე მოძრავი, ცნობისმოყვარე, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნო თვალები, დაჟინებული მზერა, სწორი ცხვირი, ლამაზი შუბლი და კარგი ფორმის პირი ჰქონდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თითქოს სასიამოვნო გარეგნობის უნდა ყოფილიყო, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მასზე ლამაზს ვერ იტყოდით. უოლტერით უკვე დაინტერესებულ კიტის, გაუკვირდა, რომ ცალ-ცალკე მისი ყველა ნაკვთი კარგი იყო. ეს კია, ცოტა ცივი გამომეტყველება ჰქონდა. ახლა, როცა კიტიმ უკეთესად გაიცნო, მიხვდა, რომ მასთან, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობდა თავს. უოლტერს მხიარულების ნასახი არ ეტყობოდა. სეზონის დასასრულისათვის ისინი ბევრჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ უოლტერს თავი კვლავ შორს ეჭირა. უწინდებურად გულჩათხრობილი იყო. ვერ იტყოდით, რომ მორცხვობდა, მაგრამ კიტისთან კვლავ მორიდებულად იქცეოდა. ისევ ზოგად თემებზე საუბრობდა. ქალმა ბოლოს დაასკვნა, რომ უოლტერი მასზე სრულებითაც არ იყო შეყვარებული. მას მოსწონდა კიტი, მასთან საუბარი ეადვილებოდა, მაგრამ აღარც გაახსენდებოდა, როგორც კი ნოემბერში ჩინეთში დაბრუნდებოდა. კიტის არც ის გაუკვირდებოდა, რომ უოლტერი ჰონკონგის საავადმყოფოს მედდაზე, ხეპრე, გაუთლელ, ჯან-ღონით სავსე მღვდლის ქალიშვილზე ყოფილიყო დანიშნული. მას სწორედ ასეთი ცოლი შეეფერებოდა. მალე დორისიც დაინიშნა ჯეფრი დენისონზე. თვრამეტი წლის დორისს საკმაოდ კარგი ბედი გამოუჩნდა, ოცდახუთი წლის კიტი კი, ჯერაც არ იყო გათხოვილი. ხომ შეიძლება სულაც ვერ გათხოვილიყო? იმ სეზონში მისი ერთადერთი ხელის მთხოვნელი ჯერ კიდევ ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი, ოცი წლის ბიჭი იყო: თავისზე ხუთი წლით უმცროსს ხომ ვერ გაჰყვებოდა? კიტიმ ბევრჯერ თვითონაც გაიფუჭა საქმე. გასულ წელს აბანოს ორდენის1 ქვრივ კავალერს, სამი შვილის მამას უთხრა უარი, რასაც

თითქმის ნანობდა კიდეც. ახლა დედა გულს გაუწყალებს, დორისი კი, რომელიც ყოველთვის განტევების ვაცი იყო ოჯახში, რადგან კიტის ბრწყინვალე გათხოვებას უწინასწარმეტყველებდნენ, ნიშნის მოგებით დაუწყებს ყურებას. კიტის ტკივილისგან გული შეეკუმშა. და აი, ერთ დღეს, კიტი მაღაზია ჰეროდიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ბრომტონ როუდზე შემთხვევით უოლტერ ფეინს შეხვდა. ის შეჩერდა და გამოელაპარაკა. შემდეგ სხვათა შორის ჰკითხა, ჰაიდპარკში ხომ არ შეგვევლოო. კიტის შინ წასვლის დიდი სურვილი არ ჰქონდა (იქ სასიამოვნო არაფერი ელოდა). გზა განაგრძეს და, როგორც ყოველთვის, სხვადასხვა თემებზე საუბრობდნენ. მერე უოლტერმა ჰკითხა, ზაფხულში სად მიდიხართო. - ზაფხულობით ყოველთვის სოფელში ვიკეტებით ხოლმე. სასამართლო პროცესებით დაღლილი მამაჩემი დასასვენებლად ყველაზე წყნარ ადგილს არჩევს. კიტი ცრუობდა, ძალიან კარგად იცოდა, რომ მამამისს იმდენი სამუშაო არ ჰქონდა, რომ დაღლილიყო და, რომც ჰქონოდა, არავინ ჰკითხავდა, სად სურდა დასვენება. უბრალოდ, ეს წყნარი ადგილი იაფი უჯდებოდათ. - ის სკამები რაღაც ძალიან მაცდურად დგას, არა? - ჰკითხა უცებ უოლტერმა. კიტიმ მის მზერას თვალი გააყოლა და ხის ძირში, მოლზე ერთმანეთის გვერდით მდგარი ორი მწვანე სკამი დაინახა. - მოდი, დავსხდეთ, - თქვა კიტიმ. მაგრამ რომ დასხდნენ, უოლტერი რაღაცაზე ჩაფიქრდა. უცნაური ვინმე იყო ეს კაცი. კიტი ენას არ აჩერებდა, მხიარულად საუბრობდა და თან უკვირდა, რატომ სთხოვა უოლტერმა პარკში შესვლა. იქნებ, უნდა კიტის ხეპრე ჰონკონგელი მედდის მიმართ განცდილი თავისი გრძნობები გაუმხილოს? უცებ უოლტერი მოუბრუნდა და სიტყვა გააწყვეტინა. კიტი მიხვდა, რომ ის არც უსმენდა. სახე მიტკალივით გაფითრებოდა. - რაღაც მინდა გითხრათ. კიტიმ უცებ შეხედა და მის თვალებში მტანჯველი შიში ამოიკითხა. უოლტერს მღელვარებისგან ხმა უკანკალებდა, მაგრამ სანამ კიტი მისი აღელვების მიზეზს მიხვდებოდა, უოლტერმა განაგრძო: - მინდოდა მეკითხა, ცოლად გამომყვებით? - ძალიან გამაოცეთ, - მიუგო კიტიმ და განცვიფრებული უმწეოდ

მიაჩერდა. - არ იცოდით, რომ ძალიან მიყვარდით? - არასოდეს გამოგიმჟღავნებიათ. - ძალიან მოუხერხებელი და ტლანქი ვარ, ნაფიქრის გადმოცემა უფრო მიჭირს, ვიდრე იმის, რასაც არ ვფიქრობ. კიტის გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მისთვის ადრეც ბევრჯერ უთხოვიათ ხელი, მაგრამ მხიარულად ან სენტიმენტალურად და ისიც ასევე პასუხობდა, მაგრამ ცოლობა ასე მოულოდნელად და ასე ტრაგიკულად არავის უთხოვია. - ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა, - მიუგო ყოყმანით. - დანახვისთანავე შემიყვარდით. მინდოდა ადრეც მეთქვა, მაგრამ ძალა არ მყოფნიდა, ვერ გავბედე... - ვერ ვიტყვი, რომ თქვენგან დიპლომატი დადგებოდა, - ჩაიცინა კიტიმ. ღიმილმა შვება მოჰგვარა, რადგან იმ მშვენიერ, მზიან დღეს ჰაერი უცებ ავისმომასწავებლად დამძიმდა. უოლტერი მოიღუშა. - იცით, რასაც ვგულისხმობ, არ მინდოდა იმედი დამეკარგა. მაგრამ ახლა თქვენ მიდიხართ, შემოდგომაზე კი, მე ჩინეთში ვბრუნდები. - მე კი, ამ მხრივ, თქვენზე არასოდეს მიფიქრია, - მიუგო კიტიმ უმწეოდ. უოლტერს აღარაფერი უთქვამს. შუბლშეკრული ბალახს დაჰყურებდა. ძალიან უცნაური ვინმე იყო. მაგრამ ახლა, როცა უკვე ყველაფერი უთხრა, კიტიმ გუმანით იგრძნო, რომ ასეთ სიყვარულს აქამდე არ შეხვედრია. ცოტა არ იყოს, შეშინებული და, ამასთანავე, აღფრთოვანებული იყო. უოლტერის სიმშვიდემ კი ერთგვარად მოაჯადოვა კიდეც. - მოფიქრებისთვის დრო მომეცით. უოლტერს არც ამჯერად უთქვამს რამე, არც კი განძრეულა. ხომ არ აპირებს გადაწყვეტილების მიღებამდე კიტი არ გაუშვას? რა სისულელეა. კიტი დედას უნდა მოელაპარაკოს. როგორც კი უთხრა, დრო მომეცითო, მაშინვე უნდა ამდგარიყო. არადა, დაელოდა, ეგონა, უოლტერი რამეს ეტყოდა; ახლა კი რატომღაც მონუსხულივით იჯდა, თითქოს თითის განძრევისაც კი ეშინოდა. უოლტერს არ უყურებდა, მაგრამ თვალწინ მაინც მისი სახე ედგა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ თავისზე ოდნავ მაღალ მამაკაცს გაჰყვებოდა. ახლოდან თუ დააკვირდებოდით, მას სასიამოვნო ნაკვთები და, ამავე დროს, ცივი სახე ჰქონდა. ამიტომ ადვილი არ იყო, მის გულში დანთებული ვნების ცეცხლი გეგრძნოთ. - მე ხომ თქვენ

თითქმის არ გიცნობთ, - უთხრა გაუბედავად. უოლტერმა შეხედა და ქალმაც თვალი გაუსწორა. მამაკაცის თვალებიდან საოცარი სინაზე და, ამავე დროს, ნაცემი ძაღლივით, მუდარაც გამოსჭვიოდა, რამაც, ცოტა არ იყოს, გააღიზიანა კიტი. - ვფიქრობ, ახლოს რომ გამიცნობთ, უფრო კარგი შეხედულება შეგექმნებათ ჩემზე, - უთხრა უოლტერმა. - თქვენ ძალიან მორცხვი ხართ, არა? ეს მართლაც ყველაზე უცნაური წინადადება იყო, რაც კი კიტისთვის ოდესმე შეუთავაზებიათ. მისი აზრით, რაზეც ისინი ახლა საუბრობდნენ, ასეთ დროს უჩვეულო იყო. მას არავითარი გრძნობა არ ჰქონდა ამ კაცის მიმართ. თვითონაც არ იცოდა, რატომ მაშინვე არ უთხრა უარი. - რა სულელი ვარ, - თქვა უოლტერმა, - მინდა გითხრათ, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარხართ, მაგრამ ამის თქმა ძალიან მიჭირს. ესეც უცნაური იყო, რადგან ამ ნათქვამმა, მისდა უნებურად, ააღელვა კიტი. სინამდვილეში უოლტერი ცივი ადამიანი არ იყო, მხოლოდ გრძნობის გამოხატვას ვერ ახერხებდა. კიტის ამ წუთას ის ისე მოეწონა, როგორც არასდროს. დორისი ნოემბერში თხოვდება. უოლტერი მაშინ ჩინეთის გზას დაადგება და თუ კიტი ცოლად გაჰყვება, ერთად გაემგზავრებიან. დიდად არ სიამოვნებს დორისის ქორწილზე თაიგულით ხელში დგომა - სიხარულით აარიდებდა თავს. მერე დორისი გათხოვილი ქალი იქნება, კიტი კი - ისევ ქალწული! ყველამ იცის, რომ დორისი ახალგაზრდაა, კიტი კი მის გვერდით შინაბერა გამოჩნდება. მართალია, უოლტერთან ქორწინება დიდად არ ახარებს, მაგრამ ქორწინება მაინც ქორწინებაა, ხოლო ჩინეთში ცხოვრება საქმეს უფრო გააადვილებს. კიტის დედამისის მწარე ენის ეშინოდა. მისი ასაკის გოგონები უკვე დიდი ხნის გათხოვილები იყვნენ. უმრავლესობას შვილებიც ჰყავდა. კიტის მობეზრდა მათთან სიარული და მათ შვილებზე აღფრთოვანებული ლაპარაკის მოსმენა. უოლტერ ფეინი ახალ ცხოვრებას სთავაზობდა. კიტი მისკენ მიბრუნდა. სახეზე ღიმილი ეფინა, რომლის ზემოქმედების ძალაც მან მშვენივრად იცოდა. - ნაჩქარევად რომ დაგთანხმდეთ, როდის ვიქორწინებთ? უოლტერს აღტაცებისგან სუნთქვა შეეკრა, ლოყები შეეფაკლა. - ახლა, ახლავე,

რაც შეიძლება მალე. თაფლობის თვეს, აგვისტოსა და სექტემბერს, იტალიაში გავატარებთ. მაშასადამე, ამ ზაფხულს კიტი თავს დააღწევს დედ-მამასთან ერთად კვირაში ხუთ გინეად დაქირავებულ სოფლის მღვდლის სახლს. გონების თვალით მაშინვე წარმოიდგინა „მორნინგ პოსტის“ განცხადება - რადგან სასიძო აღმოსავლეთში უნდა დაბრუნდეს, ქორწილი სასწრაფოდ შედგება. კიტი საკმაოდ კარგად იცნობდა დედამისს. იმედი ჰქონდა, რომ ის ამ ფაქტთან დაკავშირებით შთამბეჭდავ ხმაურს ასტეხდა. დორისი ამ დროს მაინც მოექცეოდა ჩრდილში და როცა მის უფრო მდიდრულ ქორწილს გადაიხდიდნენ, კიტი უკვე შორს იქნებოდა. კიტიმ ხელი გაუწოდა. - ვფიქრობ, ძალიან მომწონხართ. დრო უნდა მომცეთ, რომ შეგეჩვიოთ. - მაშ, თანახმა ხართ? - გააწყვეტინა უოლტერმა. - ვფიქრობ, კი. მაშინ უოლტერს კარგად არ იცნობდა, ახლაც, ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ, მხოლოდ ოდნავ უკეთ თუ იცნობდა ქმარს. თავიდან კიტი აფასებდა მის გულკეთილობას, სიამოვნებდა და თან აკვირვებდა მისი ვნებიანი სიყვარული. უოლტერი ძალიან ყურადღებიანი და მზრუნველი ქმარი იყო: საკმარისი იყო, კიტის სულ უმნიშვნელო რამ ენატრა, რომ უკვე მზად იყო შესასრულებლად. პატარ-პატარა საჩუქრებსაც არ აკლებდა. კიტი თუ ავად გახდებოდა, ნებისმიერ მედდაზე უკეთ უვლიდა. კიტიც თითქოს კეთილგანწყობას იჩენდა, ასეთი გარჯის საშუალებას რომ აძლევდა. უოლტერი ზედმეტად ზრდილობიანი იყო. ოთახში კიტის შესვლისას ფეხზე დგებოდა; მანქანიდან გადმოსვლისას ხელს შეაშველებდა, ხოლო თუ შემთხვევით ქუჩაში შეხვდებოდა, ქუდს მოუხდიდა; თავაზიანად უღებდა კარს და წინ უშვებდა. ცოლის საწოლ ოთახში დაუკაკუნებლად არ შევიდოდა. ისე კი არ ეპყრობოდა, როგორც მამაკაცთა უმრავლესობა ექცევა ხოლმე ცოლებს, არამედ ისე, თითქოს ორივე სტუმრად იმყოფებოდა მეგობრის აგარაკზე. ეს სასიამოვნო, მაგრამ ცოტა არ იყოს სასაცილოც იყო. კიტი უფრო შინაურულად იგრძნობდა თავს ქმართან, ეს უკანასკნელი უფრო დაუდევარი რომ ყოფილიყო. ვერც ცოლქმრულმა ურთიერთობამ დააახლოვა უოლტერთან, რომელიც ვნებამოძალებული, ფიცხი,

უცნაურად ისტერიული და სენტიმენტალური მამაკაცი აღმოჩნდა. კიტი განცვიფრდა, როცა გააცნობიერა, რომ უოლტერი ზედმეტად ემოციური იყო. ვერ გაეგო, სიმორცხვის გამო იყო ის ასე თავდაჭერილი, თუ დიდი ხნის ვარჯიშით მიაღწია ამას. ქმრის მკლავებში მოქცეულ კიტის, ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა, რომ მუდამ მორიდებული და სერიოზული უოლტერი, სულ რომ ეშინოდა, სულელური არაფერი წამომცდესო, ვნების დაკმაყოფილების შემდეგ, ბავშვივით ელაპარაკებოდა. ერთხელ კიტიმ ამის გამო გულიც კი ატკინა, როცა დამცინავად უთხრა, რა სულელურად ყბედობო. მან იმ წამსვე იგრძნო, როგორ მოუდუნდა უოლტერს მასზე შემოხვეული ხელები. ერთხანს დუმდა, მერე კი უსიტყვოდ გაუშვა ცოლს ხელი და თავის ოთახში გავიდა. კიტის მისი წყენინება არ უნდოდა და ერთი თუ ორი დღის შემდეგ უთხრა: - შე სულელო, რაც გინდა, ის მითხარი- ხოლმე, ჩემთვის სულერთია. უოლტერმა დამნაშავის ღიმილით უპასუხა. კიტი მალე მიხვდა, რომ უოლტერი საკმაოდ დაკომპლექსებული იყო. როდესაც მეჯლისზე ყველა მღეროდა, ის იძულებითაც კი არ აღებდა პირს: იჯდა თავისთვის და კმაყოფილების ნიშნად იღიმებოდა, თუმცა ეს ღიმილიც ნაძალადევი იყო, დაცინვას უფრო ჰგავდა და იფიქრებდით, თითქოს ამ ადამიანებს, თავს რომ ირთობენ, სულელებად თვლისო. ვერც ბანქოს ააღებინებდით ხელში, მაშინ, როცა ირგვლივ ყველა თამაშობდა, მათ შორის მხიარული კიტიც. ჩინეთში მიმავალ გემზე ყოფნისას უოლტერმა ცივი უარი განაცხადა სამასკარადო კოსტიუმის ჩაცმაზე, არადა, ყველას ასე ეცვა. კიტის გუნებას უფუჭებდა ის, რომ მის ქმარს ყველაფერი მოსაბეზრებლად ეჩვენებოდა. ხალისიან კიტის კი შეეძლო მთელი დღე ენა არ გაეჩერებინა, სულ ეკისკისა. ამიტომ ქმრის გულჩათხრობილობა აღიზიანებდა. ვერც იმას იტანდა, რომ უოლტერს ჩვევად ექცა, ცოლის უბრალო შენიშვნებიც კი უპასუხოდ დაეტოვებინა. მერე რა, რომ ეს შენიშვნები პასუხს არც საჭიროებდა, კიტის მაინც ხომ ესიამოვნებოდა. თუკი წვიმისას კიტი აღნიშნავდა: კოკისპირულად წვიმსო, ძალიან გაუხარდებოდა ქმარს რომ ეთქვა: „დიახ, მართლაც

ასეა“ ის კი ხმას არ იღებდა. ზოგჯერ კიტის სურდა კარგად შეენჯღრია ქმარი. - მე ვთქვი, კოკისპირულად წვიმს-მეთქი, - გაიმეორა კიტიმ. - გავიგონე, - მიუგო ქმარმა ალერსიანი ღიმილით. „გამოდის, მას ჩემი შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლია. ხმა იმიტომ არ ამოიღო, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა; მაგრამ თუკი სათქმელის არქონის გამო აღარავინ დაილაპარაკებს, ადამიანებს ძალიან მალე ენა აღარ დასჭირდებათ,“ - გაიფიქრა კიტიმ ღიმილით. კიტისთვის ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ უოლტერს ხიბლი აკლდა და ამიტომაც ვერ სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულით. ამის აღმოსაჩენად მას ჰონკონგში დიდხანს ცხოვრება არ დასჭირვებია. ქმრის საქმიანობაზე კვლავ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. სამაგიეროდ, სწრაფად მიხვდა, რომ ბაქტერიოლოგობა დიდი არაფერი იყო. უოლტერს, ჩანდა, სურვილიც არ ჰქონდა, მისი ცხოვრების ამ ნაწილში ცოლიც ჩაერთო. კიტის უნდოდა რამეთი დაინტერესებულიყო, ამიტომ პირველ ხანებში ქმარს თავისი საქმიანობის შესახებ ეკითხებოდა, რაზეც უოლტერი ხუმრობით პასუხობდა. - ძალიან მოსაწყენი და ტექნიკური საქმეა, - უთხრა ერთხელ, - ამასთან, არც სათანადოდ გვიხდიან. უოლტერი ძალიან გულჩათხრობილი იყო. თუკი რამ იცოდა კიტიმ მის წინაპრებზე, წარმომავლობაზე, განათლებასა თუ წარსულ ცხოვრებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ კითხვებით გული შეუღონა. უცნაური იყო, მაგრამ უოლტერს ყველაზე მეტად სწორედ შეკითხვა აღიზიანებდა. როცა ცნობისმოყვარე კიტი კითხვას კითხვაზე აყრიდა, უფრო და უფრო მკვახე პასუხებს იღებდა. კიტი იმდენს კი ხვდებოდა, რომ უოლტერი რამის დამალვის მიზნით კი არ არიდებდა თავს კითხვებს, არამედ, უბრალოდ, სიტყვაძუნწი იყო და საკუთარ თავზე ლაპარაკს ვერ იტანდა, რცხვენოდა და თავს უხერხულად გრძნობდა. არ იცოდა, ადამიანისთვის გული როგორ გადაეშალა. ძალიან უყვარდა კითხვა, მაგრამ წიგნები, რომელსაც ის კითხულობდა, კიტის მოსაწყენი ეჩვენებოდა. თუ მეცნიერული მუშაობით არ იყო დაკავებული, ჩინეთზე დაწერილ წიგნებსა და ისტორიულ შრომებს კითხულობდა. წამით არ ისვენებდა. ალბათ, უსაქმოდ გაჩერება არც

შეეძლო. თამაშებიდან მხოლოდ ჩოგბურთსა და ბრიჯს1 აღიარებდა. კიტი ვერ ხვდებოდა, რატომ შეუყვარდა უოლტერს. თავისი თავი ამ თავშეკავებული, ცივი და აუღელვებელი კაცისთვის ძალზე შეუფერებლად მიაჩნდა, ამასთან, აშკარად გრძნობდა, რომ უოლტერს გაგიჟებით უყვარდა. ყველაფერს აკეთებდა, ოღონდ ცოლისთვის ესიამოვნებინა. მისი მონა-მორჩილი იყო. მისი გულისთვის სახრჩობელაზეც ავიდოდა. როცა კიტი ქმრის ხასიათის იმ მხარეზე ფიქრობდა, რომელსაც მხოლოდ თვითონ ხედავდა, ამ დროს თითქმის სძულდა. ნეტავ, უოლტერს სარკასტული საქციელი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც კიტის მოსწონდა, თავისი სისუსტის დასაფარად ხომ არ სჭირდებოდა? ის უოლტერს ჭკვიან კაცად თვლიდა. თითქოს სხვებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ უოლტერი მხოლოდ ორი-სამი კარგი ნაცნობის გარემოცვაში თუ გამოიჩენდა თავს და ესეც მხოლოდ მაშინ, თუ ხასიათზე იყო. ვერ იტყოდით, რომ კიტის ქმარი თავს აბეზრებდა, მაგრამ აშკარად გულგრილად იყო განწყობილი მისადმი. ჩარლზ ტაუნსენდის ცოლს კიტი რამდენჯერმე შეხვდა მეჯლისზე. თავად ჩარლზი კი, ჰონკონგში ჩამოსვლიდან რამდენიმე კვირაში გაიცნო, მაშინ, როცა ქმართან ერთად სადილზე დაპატიჟეს. კიტი თავდაცვისთვის იყო მომზადებული - ჩარლზ ტაუნსენდი გუბერნატორის თანაშემწე გახლდათ, მაგრამ კიტი სრულებით არ აპირებდა მისთვის დაუდევარი მფარველის როლის თამაშის ნება მიეცა, როგორც ეს, მიუხედავად ზრდილი ქცევისა, მისის ტაუნსენდს სჩვეოდა. ვრცელი დარბაზი ისევე მყუდრო და სადა იყო, როგორც ყველა სხვა სასტუმრო ოთახი ჰონკონგში. დიდი წვეულება გაემართათ. კიტი და მისი ქმარი ბოლოს მივიდნენ. როცა ოთახში შევიდნენ, ფორმებში გამოწყობილი ჩინელი მსახურები სტუმრებს კოქტეილსა და ზეთისხილს სთავაზობდნენ. მისის ტაუნსენდი ჩვეული გულგრილობით მიესალმა, სიაში ჩაიხედა და უოლტერს უთხრა რომელ ქალბატონთანაც უნდა დამჯდარიყო მაგიდასთან. კიტიმ მისკენ მომავალი მაღალი, სიმპათიური მამაკაცი დაინახა. - ეს ჩემი ქმარი გახლავთ. - პატივი მაქვს, თქვენ გვერდით ვიჯდე, - უთხრა მისტერ

ტაუნსენდმა. კიტიმ მაშინვე თავისუფლად იგრძნო თავი და მტრული გრძნობაც გაუქრა. მისტერ ტაუნსენდის მომღიმარ თვალებში კიტიმ მოულოდნელი გაკვირვებაც შეამჩნია. ამის მიზეზს მაშინვე მიუხვდა, რამაც ღიმილი მოჰგვარა. - ლუკმას ვეღარ შევჭამ, - უთხრა ტაუნსენდმა, - არადა, სადილი, რამდენადაც დოროთის ვიცნობ, ძალიან გემრიელი იქნება. - რატომ? - ვინმეს აუცილებლად უნდა გავეფრთხილებინე. - რასთან დაკავშირებით? - სიტყვაც არ დასცდენია არავის. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ასეთ მზეთუნახავს ვნახავდი? - რა უნდა გიპასუხოთ? - არაფერი. მე ვილაპარაკებ. ამის გამეორება არ მომწყინდება. კიტი დაინტერესდა, რა შეიძლებოდა ეთქვა მის შესახებ ტაუნსენდისთვის ცოლს. ის ხომ აუცილებლად ჰკითხავდა რამეს. მომღიმარი თვალებით კიტის შემყურე ტაუნსენდს კი, მაშინვე გაახსენდა... - ექიმ ფეინის ცოლი ვნახე, - უთხრა ცოლმა. - როგორი ქალია? - ჰკითხა მან. - საკმაოდ ლამაზი, ნამდვილი მსახიობია. - სცენაზე თამაშობდა? - არა მგონია. მამამისი ექიმი თუ იურისტი უნდა იყოს, ზუსტად არ ვიცი. ვფიქრობ, სადილზე უნდა დავპატიჟოთ. - ნაადრევი ხომ არ არის? სუფრასთან გვერდიგვერდ რომ ისხდნენ, ტაუნსენდმა უთხრა, უოლტერ ფეინს კოლონიაში ჩამოსვლის დღიდან ვიცნობო. - ბრიჯს ვთამაშობთ ხოლმე. თქვენი ქმარი კლუბის საუკეთესო მოთამაშეა. როცა შინ ბრუნდებოდნენ, კიტიმ მისი ნათქვამი უოლტერს გადასცა. - ხომ იცი, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. - თვითონ როგორ თამაშობს? - არა უშავს, თუ მოსაგები ხელია, კარგად, მაგრამ თუ ცუდი კარტი აქვს, თავს ვეღარ აკონტროლებს. - შენსავით კარგად თამაშობს? - ჩემს თამაშზე დიდი წარმოდგენა არ მაქვს. ასე ვთქვათ, მეორე კლასის კარგი მოთამაშე ვარ. ტაუნსენდს კი ჰგონია, რომ პირველი კლასისაა. არადა, ცდება. - არ მოგწონს? - არც მომწონს, არც მეჯავრება, ვიცი, თავის საქმეს კარგად უძღვება, თანაც ამბობენ, კარგი სპორტსმენიაო. ეგ კაცი მაინცდამაინც არ მაინტერესებს. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა უოლტერის შეფასებამ კიტი გააღიზიანა. თავის თავს ეკითხებოდა, რა საჭირო იყო ასეთი სიფრთხილე: ადამიანი ან მოგწონს, ან - არა. მას კი

ძალიან მოეწონა ჩარლზ ტაუნსენდი. ამას არც თვითონ ელოდა. ალბათ, კოლონიაში, ყველა იცნობს და ძალიან მალე გუბერნატორის ადგილსაც დაიკავებს. თამაშობს ჩოგბურთს, ცხენბურთს, გოლფს, ჰყავს დოღის ცხენები. მზად არის ყველას დაეხმაროს. ცდილობს საქმეში ბიუროკრატობა არ გამოიჩინოს. კიტი ვერ ხვდებოდა, ტაუნსენდის ქების მოსმენისას აქამდე რატომ ღიზიანდებოდა. რატომღაც ეგონა, ძალიან პატივმოყვარე იქნებოდა. არადა, როგორ ცდებოდა! სწორედ ამას ვერ დასწამებდი ჩარლზ ტაუნსენდს. კიტიმ ძალიან მხიარულად გაატარა ის საღამო. ისაუბრეს ლონდონის თეატრებზე, დოღსა და რეგატაზე - კიტისთვის ნაცნობ თემებზე, თითქოს ლენოქსგარდენის ქუჩაზე, მისი რომელიმე მეგობრის სახლში იყვნენ. მოგვიანებით კი, როცა სადილის შემდეგ მამაკაცები სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, ტაუნსენდი მასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც მახვილგონივრული არაფერი უთქვამს, კიტი მაინც იცინოდა. იმდენად ნათქვამი არ აცინებდა, რამდენადაც მისი საუბრის მოსმენა სიამოვნებდა: ტაუნსენდის დაბალ, ხავერდოვან ხმაში სითბო იგრძნობოდა, მისი კეთილი, ცისფერი თვალები მიმზიდველად ბრწყინავდა, ამის გამო, მის გვერდით თავს ნებისმიერი ადამიანი შინაურულად იგრძნობდა. ტაუნსენდი დიახაც, რომ მომხიბლავი იყო, და სწორედ ამიტომ, ასეთი სასიამოვნოც. ტაუნსენდი მაღალი იყო. კიტის აზრით, სულ ცოტა, ექვსი ფუტი და ორი დუიმი მაინც იქნებოდა. შესანიშნავი აღნაგობაც ჰქონდა. დაკუნთულ სხეულზე ეტყობოდა, რომ ჯანმრთელი იყო. საუცხოოდ ეცვა, იქ მყოფ ყველა მამაკაცზე უკეთესად. რაც ეცვა, უხდებოდა. კიტს მოსწონდა, როცა მამაკაცი თავის გარეგნობაზე ზრუნავდა. თვალი უოლტერისკენ გააპარა. უკეთ ჩაცმა მას ნამდვილად არ აწყენდა. თვალში მოხვდა ტაუნსენდის მაჯის საკინძები და ჟილეტის ღილები. საიუველირო მაღაზიაში არაერთხელ უნახავს ისინი. ცხადია, ტაუნსენდებს მისი ხელფასის გარდა, სხვა შემოსავალიც ექნებოდათ. მიუხედავად ნამზეური სახისა, ტაუნსენდს მაინც ეტყობოდა ჯანსაღი ფერი. კიტის ძალიან მოეწონა მისი პატარა, აწკეპილი კოხტა ულვაში, რომელიც

სქელ წითელ ტუჩებს ვერ უფარავდა, სწორად დავარცხნილი მოკლე, მბზინვარე შავი თმა. თუმცა მის გარეგნობაში ყველაზე გამოკვეთილი მაინც ხშირი წარბებქვეშიდან მომზირალი ცისფერი, მომღიმარი და ალერსიანი თვალები იყო, რომელიც მის სასიამოვნო ხასიათში გარწმუნებდათ. ამ ცისფერი თვალების პატრონი გულშიც კი არ გაივლებდა ვინმეს წყენინებას. კიტიმ მშვენივრად შეამჩნია, რომ ტაუნსენდზე შთაბეჭდილება მოახდინა. სასიამოვნო ქათინაურებიც რომ არ ეთქვა, აღტაცებით მოელვარე თვალები მაინც გასცემდა. ხიბლავდა მისი ძალდაუტანებელი ქცევა, სიმორცხვის ნატამალი რომ არ ეტყობოდა. კიტი თავისუფლად გრძნობდა თავს, აღფრთოვანებული იყო, როგორ შეაპარებდა ხოლმე ტაუნსენდი ალერსიან სიტყვებს გაცხარებულსაუბარში. როცა წასვლისას დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა, ტაუნსენდმა ხელზე მოუჭირა, რის აზრსაც შეუძლებელი იყო, კიტი ვერ მიმხვდარიყო. - ვიმედოვნებ, რომ კვლავ შევხვდებით, - თქვა მან ელიტისთვის დამახასიათებელი გულგრილობით, მაგრამ მისმა თვალებმა ამ სიტყვებს სულ სხვა მნიშვნელობა მიანიჭა, რაც კიტის არ გამოპარვია. - ჰონკონგი ძალიან პატარაა, არა? - მიუგო მან. ვინ იფიქრებდა, რომ სამ თვეში ასე დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს? მოგვიანებით ტაუნსენდმა უთხრა, იმ პირველ საღამოს გამაგიჟე, შენზე მშვენიერი არსება არასოდეს მინახავსო. კიტის კაბაც კი ახსოვდა. ეს მისი საქორწინო კაბა იყო და ტაუნსენდმა უთხრა, ველის შროშანს ჰგავდიო. კიტიმ, ტაუნსენდის გამოტყდომამდე, უკვე იცოდა, რომ მასზე შეყვარებული იყო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შეშინებული, მისგან თავს შორს იჭერდა. მაგრამ ტაუნსენდის მგზნებარე ბუნების გამო ეს რთული იყო. კიტის ეშინოდა, კოცნა რომ მომინდომოს, ვაითუ, ვერ გავუძალიანდეო, რადგან თავის ტანზე შემოჭდობილ მის მკლავებს რომ წარმოიდგენდა, გული გამალებით უცემდა. კიტის ადრე არავინ ჰყვარებია. არადა, რა კარგი ყოფილა სიყვარული! ახლა, როცა სიყვარულის გემო გაიგო, უცებ უოლტერისადმი სიბრალული იგრძნო. ქმარს მხიარულად ეკეკლუცებოდა და ხედავდა, რომ უოლტერს ეს სიამოვნებდა. ადრე კიტის, ცოტა არ იყოს, მისი ეშინოდა კიდეც, მაგრამ

ახლა უფრო თავდაჯერებული გახდა. ქმარს აჯავრებდა და კმაყოფილებას განიცდიდა, როცა უოლტერი საპასუხოდ ნაზად უღიმოდა. ქმარი გაკვირვებული და ნასიამოვნები ჩანდა. უყურებდა რა უოლტერს, კიტი ფიქრობდა, მალე ის უფრო მამაკაცური გახდებაო. ახლა, როცა კიტიმაც გაიგო ნამდვილი გატაცების გემო, ქნარის სიმებზე თითის მსუბუქი შეხებასავით ართობდა ქმრის გრძნობებზე თამაში. ეცინებოდა, როცა აცბუნებდა და ქმარს თავგზას უბნევდა. მას შემდეგ კი, რაც ჩარლზი მისი საყვარელი გახდა, კიტის უოლტერთან ურთიერთობა მეტისმეტად აბსურდულად მიაჩნდა. ქმრის სიდინჯისა და თავშეკავებულობის ყოველ გამოვლინებაზე, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გაეცინა. კიტი იმდენად ბედნიერი იყო, რომ ქმარსაც კი არ ეპყრობოდა ცუდად. ბოლოს და ბოლოს, ჩარლზი ხომ უოლტერის წყალობით გაიცნო. კიტიმ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმამდე ცოტა ხანს იყოყმანა, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ სურდა ტაუნსენდის ვნებას დანებებოდა (მით უმეტეს, არც მისი გრძნობა ჩამოუვარდებოდა ჩარლზისას), არამედ იმიტომ, რომ აღზრდა და ცხოვრების მორალური წესები აფრთხობდა. შემდეგ უკვირდა (გადამწყვეტი ნაბიჯი შემთხვევამ განაპირობა. ხელსაყრელ დრომდე ვერც ერთი ბედავდა), ამ ფაქტმა ოდნავაც რომ არ შეცვალა. ეგონა, ამის შემდეგ მასში საოცარი გარდაქმნა მოხდებოდა, სულ სხვა გახდებოდა. სარკეში ჩახედვისას დაიბნა კიდეც, ერთი დღის წინ ნანახი იგივე ქალი რომ დაინახა. - ხომ არ მიბრაზდები? - ჰკითხა ჩარლზმა. - გაღმერთებ, - წაიჩურჩულა მან. - არ ფიქრობ, რომ სულელურად დაკარგე ამდენი დრო? - მართლა სულელი ვიყავი. მოზღვავებულმა ბედნიერებამ კიტის ადრინდელი მომხიბვლელობა დაუბრუნა. გათხოვებამდე, როცა უკვე სინორჩეს კარგავდა, დაღლილი და გამოფიტული ჩანდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, უშნოვდებაო. მაგრამ ოცდახუთი წლის გაუთხოვარ და გათხოვილ ქალს შორის დიდი განსხვავებაა. კიტი იმ ვარდის კოკორს დაემსგავსა, ბოლოში ჭკნობა რომ შეჰპარვია, მერე კი უცებ მთელი სისავსით გაიფურჩქნა. ვარსკვლავა-თვალები კიდევ უფრო უელვარებდა. მის საუცხოო სახის კანს (კიტი ამით დიდად ამაყობდა და

საგულდაგულოდ უვლიდა) ვერც ატამს შეადარებდი და ვერც ყვავილს, თავად ისინი ჰგავდნენ მის კანს. კიტი კვლავ თვრამეტი წლის გოგოსავით გამოიყურებოდა. ის თვალისმომჭრელად ბრწყინავდა, რაც შეუძლებელი იყო არ შეგემჩნია. მეგობარი ქალები ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდნენ, ბავშვს ხომ არ ელოდებიო. გულგრილმა ადამიანებმაც კი, რომლებიც ადრე ამბობდნენ, ერთი გრძელცხვირა კოხტა ქალიაო, აღიარეს, ვცდებოდითო. კიტი, როგორც ჩარლზმა პირველივე შეხვედრისას აღნიშნა, მართლაც მზეთუნახავი იყო. ისინი მოხერხებულად ნიღბავდნენ თავიანთ ურთიერთობას. ფართო მხარბეჭი მაქვს, უთხრა ერთხელ ჩარლზმა („სამარცხვინოა, გარეგნობით ნუ ტრაბახობ“, მხიარულად გააწყვეტინა კიტიმ). მისთვის სულ ერთი იყო, მაგრამ კიტის გამო, ისინი ვალდებულნი იყვნენ, არასდროს გაერისკათ. ერთმანეთს ხშირად ვერ შეხვდებოდნენ - ჩარლზი ამ დროს თავის თავზე მეტად კიტიზე ზრუნავდა. ხან ანტიკვარიატის მაღაზიაში ხვდებოდნენ, ხანაც საუზმის შემდეგ, როცა შინ არავინ იყო, კიტის სახლში. თუმცა, ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ სხვადასხვა საზოგადოებაში. ეცინებოდა, ჩარლზი ოფიციალურად რომ ესაუბრებოდა, თანაც მხიარულად, როგორც ყველას. ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ქალს სულ ცოტა ხნის წინ ვნებიანად ეხვეოდა. კიტი მას აღმერთებდა. ჩარლზი საუცხოო სანახავი იყო ცხენბურთის თამაშისას შავ ჩექმებსა და თეთრ შარვალში. ჩოგბურთის ფორმაში კი მთლად პატარა ბიჭს ჰგავდა. ძალიან ამაყობდა თავისი გარეგნობით: ასეთი საუცხოო აღნაგობის მამაკაცი კიტის ჯერ არ ენახა. ჩარლზი ფიგურის შესანარჩუნებლად თავს არ ზოგავდა: პურს, კარტოფილსა და კარაქს პირს არ აკარებდა, თანაც ბევრს ვარჯიშობდა. თითებსაც უვლიდა - კვირაში ერთხელ ფრჩხილებს იკეთებდა, რაც კიტის ძალიან მოსწონდა. პირველი კლასის სპორტსმენი იყო - გასულ წელს ჩოგბურთის ადგილობრივ ჩემპიონატშიც კი გაიმარჯვა. ის ყველაზე კარგი მოცეკვავე იყო, ვისთანაც კი კიტის ოდესმე უცეკვია. მასთან ცეკვა საოცნებო იყო. ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩარლზი ორმოცი

წლის იყო. კიტისაც არ სჯეროდა. - მგონი, იტყუები და სინამდვილეში ოცდახუთის ხარ. ტაუნსენდს გაეცინა. მისი სიტყვები ესიამოვნა. - ძვირფასო, თხუთმეტი წლის ბიჭი მყავს. უკვე შუა ხნის ვარ. ორ-სამ წელიწადში უკვე ღიპიანი ბებერი ვიქნები. - ასი წლისაც შეუდარებელი იქნები. კიტის მოსწონდა მისი ხშირი შავი წარბები და ფიქრობდა, რომ სწორედ ისინი ანიჭებდნენ მის თვალებს ემოციურობას. ჩარლზი სრულყოფილების განსახიერება იყო. საკმაოდ კარგად უკრავდა პიანინოზე, რა თქმა უნდა, რეგტაიმს1, კომიკურ სიმღერასაც მეტად სასიამოვნო ხმით და იუმორით ასრულებდა. კიტის აზრით, ამქვეყნად მისთვის შეუძლებელი არაფერი იყო. თავის საქმესაც ჭკვიანურად უძღვებოდა. კიტიმაც გაიზიარა მისი სიხარული, როცა ჩარლზმა უთხრა, გუბერნატორმა პირადად მომილოცა, როცა ერთ რთულ საქმეს კარგად გავართვი თავიო. - არ მინდა ტრაბახში ჩამითვალო, - გაიცინა ჩარლზმა და კიტის სიყვარულით სავსე თვალები მიაპყრო, - მაგრამ მთელ სამსახურში კაცი არ მეგულება, ვინც ამ საქმეს ჩემზე უკეთ გააკეთებდა. ოჰ, როგორ უნდოდა კიტის ჩარლზის ცოლი ყოფილიყო! დარწმუნებით იმის თქმა, რომ უოლტერმა სიმართლე გაიგო, ჯერ ადრე იყო. თუ ვერ გაიგო, ალბათ, სჯობდა ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო, მაგრამ თუ გაიგო, საბოლოო ჯამში ყველასთვის უკეთესი იქნებოდა. მართალია, კიტი თავდაპირველად კმაყოფილი არ იყო, მაგრამ, მაინც ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ჩარლზს მალულად უნდა შეხვედროდა, მაგრამ, როცა სიყვარული თანდათან გაუღრმავდა, იმ დაბრკოლებებს, რომლებიც მუდამ მასთან ყოფნაში უშლიდა ხელს, უკვე მოთმინებიდან გამოჰყავდა. ტაუნსენდს ხშირად უთქვამს, რომ თავისი მდგომარეობა, რომელიც ასეთ სიფრთხილეს აიძულებდა, ეზიზღებოდა, ბორკილები ორივეს ხელ-ფეხს უკრავდა. რა კარგი იქნებოდა, თავისუფლები რომ ყოფილიყვნენ. კიტიმ კარგად იცოდა, ჩარლზი რასაც გულისხმობდა: უსიამოვნება და სკანდალი არავის უნდა. სანამ ცხოვრების შეცვლას გადაწყვეტ, ყველაფერი მანამდე კარგად უნდა აწონ-დაწონო. თავისუფლები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ რა ადვილი იქნებოდა ყველაფერი! თუმცა, ეს დიდად მაინც არავის

დააზარალებდა. კიტიმ კარგად იცოდა ჩარლზის ცოლისადმი დამოკიდებულება. ის ცივი ქალი იყო და უკვე წლებია ცოლ-ქმარს ერთმანეთთან სიყვარული კი არა, მხოლოდ ჩვევა, მდგომარეობა და, რა თქმა უნდა, შვილები აკავშირებდათ. ჩარლზისთვის უფრო ადვილი იყო ეს ყველაფერი, ვიდრე მისთვის: უოლტერს უყვარდა კიტი. მაგრამ ის მაინც თავისი საქმით იყო გატაცებული, გარდა ამისა, მამაკაცებს ყოველთვის აქვთ ისეთი თავშესაფარი, როგორიც კლუბია. თავიდან შეიძლება იდარდოს, მაგრამ მერე ბედს შეურიგდება. თანაც რა უშლის ხელს სხვა ქალის შერთვაში. ჩარლზმა ერთხელ უთხრა კიდეც, ვერ ვხვდები, თავი რატომ გაწირე უოლტერ ფეინისთვისო. სასაცილოა, რამდენიმე საათის წინ რატომ შეაშინა იმ აზრმა, რომ უოლტერმა დანაშაულზე წაასწრო? რა თქმა უნდა, კარის სახელურის ნელ-ნელა შეტრიალების ნახვა შემაძრწუნებელი იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ იცოდნენ, რას მოიმოქმედებდა უოლტერი და ყველაზე უარესისთვისაც კი მზად იყვნენ. ჩარლზიც ისეთსავე დიდ შვებას იგრძნობდა, როგორსაც კიტი, თუ იმის გაკეთებას, რაზეც ორივე ასე ოცნებობდა, ძალით აიძულებდნენ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ კიტიმ აღიაროს: მას წესიერი და მოსიყვარულე ქმარი ჰყავს. ის სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და განქორწინების უფლებას მისცემს. მათ შეცდომა დაუშვეს და საბედნიეროდ, დროზე მიხვდნენ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა. კიტიმ მოიფიქრა, რას ეტყვის ქმარს და თავს როგორ დაიჭერს: ის თბილი, ღიმილიანი და მტკიცე იქნება. ჩხუბი რა საჭიროა, შემდგომში კიტის ყოველთვის გაუხარდება მისი ნახვა. გულწრფელად სჯერა, რომ ერთად გატარებული ორი წელი უოლტერისთვის ტკბილ მოგონებად დარჩება. „არა მგონია, დოროთი ტაუნსენდი ჩარლზთან გაყრის წინააღმდეგი იყოს“, ფიქრობდა ის, „ახლა, როცა უმცროსი ბიჭიც ინგლისში მიჰყავს, მისთვისაც ბევრად უკეთესი იქნება იქ ყოფნა. რა საქმე აქვს ჰონკონგში. ყოველ არდადეგებს თავის ბიჭებთან გაატარებს. დედ-მამაც ხომ ინგლისში ჰყავს“. ყველაფერი ძალზე მარტივად, სკანდალისა და ურთიერთწყენის გარეშე უნდა მოეგვარებინათ. მერე კი, ის და ჩარლზი დაქორწინდებოდნენ. კიტიმ

ღრმად ამოისუნთქა. ისინი უსაზღვროდ ბედნიერები იქნებიან. საამისოდ მართლაც რომ ღირდა ეს განსაცდელი. მის გონებაში ჩარლზთან თანაცხოვრების სურათები ერთმანეთს ცვლიდა. წარმოიდგინა, როგორ გაერთობოდნენ, იმოგზაურებდნენ, თვალწინ დაუდგა სახლი, სადაც იცხოვრებდნენ; წარმატება, რომელსაც ჩარლზი კარიერაში მიაღწევდა; ფიქრობდა, რომ თვითონაც მხარში ამოუდგებოდა... ჩარლზი ძალიან იამაყებს მისით, კიტი კი, მას ისედაც აღმერთებს. მაგრამ მის ოცნებებს უცებ ავი წინათგრძნობა შეეპარა. სასაცილო იყო: თითქოს სიმებიანი ორკესტრი პასტორალურ მელოდიებს უკრავდა, დასარტყამი ინსტრუმენტები კი, ავისმომასწავებლად ჟღერდა. ადრე თუ გვიან, უოლტერი დაბრუნდება. მასთან შეხვედრა რომ წარმოიდგინა, კიტის გულმა ბაგაბუგი დაუწყო. უცნაური იყო, უოლტერი შუადღისას ისე წავიდა, მისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. რა თქმა უნდა, კიტის მისი არ ეშინია. ბოლოს და ბოლოს, რისი გაკეთება შეუძლია უოლტერს? მაგრამ შიში ბოლომდე მაინც ვერ დაძლია. უოლტერისთვის სათქმელი კიდევ ერთხელ გაიხსენა. რას მოუტანს ჩხუბი და სკანდალი? ღმერთია მოწმე, რომ ძალიან წუხს, რადგან მისთვის ტკივილის მიყენება არ უნდოდა, მაგრამ, თუ არ უყვარს, რა უნდა ქნას?! თვალთმაქცობა უაზრობაა, ყოველთვის სიმართლის თქმა სჯობს. იმედია, უოლტერი ძალიან არ განიცდის. მათ შეცდომა დაუშვეს და ერთადერთი გონივრული გზა ამის აღიარებაა. კიტი ყოველთვის თბილად მოიგონებს უოლტერს. მიუხედავად ამისა, უეცარი შიშისგან ხელისგულებიც კი გაუოფლიანდა. ამ შიშის გამო უოლტერზე გაბრაზდა. თუ სცენებს მოუწყობს, კი ბატონო; მაგრამ მაშინ მწარე სიმართლეს პირში მიახლის. ეტყვის, რომ არასოდეს ჰყვარებია, რომ ქორწინებიდან მოყოლებული, ყოველდღე ნანობდა. უოლტერი სულელია. ოჰ, როგორ მოაბეზრა თავი, მოაბეზრა, მოაბეზრა! უოლტერს ეგონა, ყველას სჯობდა. რა სასაცილოა, არც იუმორის გრძნობა ჰქონდა. კიტი მის ქედმაღლობას, გულცივობასა და თავშეკავებას ვეღარ იტანდა. აადვილია, იყო თავშეკავებული, როცა საკუთარი თავის გარდა,

არავინ და არაფერი გადარდებს. უკვე მართლა მოაბეზრა თავი. კიტი მის კოცნასაც კი ვეღარ იტანდა. ნეტავ, რატომ არის ასე თავდაჯერებული? საშინლად ცეკვავს, საზოგადოებაში ყველას გუნებას უფუჭებს, არც სიმღერა იცის, სხვებზე უკეთ ვერც ცხენბურთსა და ჩოგბურთს თამაშობს. ბრიჯი? ბრიჯი ვის აინტერესებს? კიტის თანდათან ბრაზი მოერია. ერთი გაბედოს და უსაყვედუროს! ყველაფერი, რაც მოხდა, საკუთარ თავს დააბრალოს. კმაყოფილიც კი იყო, რომ ქმარმა, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე გაიგო. კიტის სძულს ის და მისი დანახვაც აღარ უნდა. დიახ, უხარია, რომ ყველაფერი დასრულდა. რატომ აღარ დაანებებს უოლტერი თავს? მოსვენება არ მისცა, სანამ ცოლად არ გაჰყვა, ახლა კი, კიტის აევსო მოთმინების ფიალა. - მორჩა! - გაიმეორა ხმამაღლა, სიბრაზისაგან ხმა უკანკალებდა, - მორჩა! ბაღის ჭიშკართან მანქანა შეჩერდა. უოლტერი კიბეზე ამოდიოდა. უოლტერი ოთახში შევიდა. კიტის გული საშინლად უცემდა. ხელებიც უკანკალებდა, კიდევ კარგი, დივანზე იწვა. ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა, ვითომ კითხულობდა. უოლტერი ერთი წამით კარში შედგა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. კიტის გული გადაუქანდა. იგრძნო, რომ ხელ-ფეხი გაეყინა და აკანკალდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაცამ გადაუარა. უოლტერს სახე მიტკალივით გაფითრებოდა. ზუსტად ასეთი სახე ჰქონდა მაშინაც, როცა პარკში ისხდნენ და ცოლობა სთხოვა. გაყინული, იდუმალებით მოცული, არაბუნებრივად დიდი, მუქი თვალებით მისჩერებოდა. მან ყველაფერი იცოდა. - ადრე დაბრუნებულხარ, - შენიშნა კიტიმ. ტუჩები უცახცახებდა. სიტყვებს ძლივს პოულობდა. ეშინოდა, გული არ წასვლოდა. - მგონი, ჩვეულებრივ დროს მოვედი. კიტის მისი ხმა ეუცხოვა. უოლტერმა ბოლო სიტყვაზე ხმას აუწია, რომ ნათქვამისთვის ბუნებრივობა მიეცა, მაგრამ ნაძალადევი გამოუვიდა. „ნეტავ, თუ ამჩნევს, ხელ-ფეხი რომ მიცახცახებს“, გაიფიქრა კიტიმ. თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ეკივლა. უოლტერმა თვალები დახარა. - ტანსაცმელს გამოვიცვლი. ის ოთახიდან გავიდა. კიტი განადგურებული იყო. ორ-სამ წუთს გაუნძრევლად იწვა, ბოლოს

სხეული გაჭირვებით აითრია. წამოდგა. ეგონა, ჩაიკეცებოდა. ვერანდაზე გასასვლელად სკამებსა და მაგიდებს ეყრდნობოდა. მერე კედელ-კედელ თავის ოთახამდე მიაღწია, კაბა გამოიცვალა და მისაღებში დაბრუნდა (სასტუმრო ოთახში მხოლოდ წვეულების დროს შედიოდნენ). უოლტერი მაგიდასთან იდგა და ჟურნალში ილუსტრაციებს ათვალიერებდა. კიტიმ თავს ძალა დაატანა, რომ შესულიყო. - ჩავიდეთ ქვევით? სადილი მზადაა. - დიდხანს გალოდინე? აცახცახებულ ტუჩებს ვერ იმორჩილებდა. როდისღა ეტყვის უოლტერი? ისინი დასხდნენ. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ უოლტერმა რაღაც ბანალური თქვა, რაც ავისმომასწავებლად გაისმა. - „ემპრესი“1 დღეს არ ჩამოსულა, - თქვა მან, - ნეტავ, ქარიშხლის გამო ხომ არ დაიგვიანა? - დღეს უნდა ჩამოსულიყო? - დიახ. კიტიმ ახლაღა შეხედა და დაინახა, რომ მისი ქმარი თეფშს დაშტერებოდა. უოლტერმა კიდევ რაღაც უმნიშვნელო თქვა, იმ დღეებში დაგეგმილ ჩოგბურთის ტურნირზე. დიდხანს და დაწვრილებით ლაპარაკობდა. ზოგადად სასიამოვნო, მდიდრული ინტონაციის ხმა ჰქონდა, მაგრამ ახლა ერთფეროვნად საუბრობდა, რაც საოცრად არაბუნებრივად ჟღერდა. კიტის ეგონა, მისი ხმა სადღაც შორიდან ესმოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში უოლტერი ხან თავის თეფშს დაჰყურებდა, ხან მაგიდას, ხანაც კედელზე ჩამოკიდებულ სურათს აშტერდებოდა. კიტისთვის თვალებში არ შეუხედავს. ქალი მიხვდა, უოლტერს მისი ცქერაც არ შეეძლო. - ავიდეთ მაღლა? - ჰკითხა უოლტერმა, როცა ისადილეს. - როგორც გინდა. კიტი ადგა. უოლტერმა კარი გაუღო. თვალები დახარა, როცა ქალმა ჩაუარა. მისაღებში რომ დაბრუნდნენ, მან ისევ ილუსტრირებული ჟურნალი აიღო. - ეს ახალი „სკეტჩია“? მგონი, არ მინახავს. - არ ვიცი, არ შემიმჩნევია. ჟურნალი თითქმის ორი კვირა იდო აქ და კიტიმ იცოდა, რომ უოლტერს ის თავიდან ბოლომდე წაკითხული ჰქონდა. უოლტერმა ჟურნალი აიღო და დაჯდა. კიტი ისევ დივანზე წამოწვა და წიგნი გადაშალა. საღამოობით, როცა მარტონი იყვნენ, კუნკენს ან პასიანსს თამაშობდნენ. უოლტერი მოხერხებულად გადაწოლილიყო

სავარძელში და ვითომ დიდი გულისყურით ათვალიერებდა სურათებს, თუმცა ერთი ფურცელიც არ გადაუშლია. კიტი კითხვას შეეცადა, მაგრამ ასოები ვერ გაარჩია, თვალები უჭრელდებოდა. თავი საშინლად ასტკივდა. როდისღა ამოიღებს ხმას? ერთ საათს ჩუმად ისხდნენ. კიტი კითხვით თავს აღარ იკატუნებდა. წიგნი კალთაზე დაუვარდა და სივრცეს მიაშტერდა. მონუსხულივით იწვა. მცირედი ფაჩუნიც კი გულს უხეთქავდა. უოლტერი გაუნძრევლად, მაგრამ მოხერხებულად იჯდა და ფართო, გაყინული თვალებით ჟურნალს დასჩერებოდა. მისი სიმშვიდე უცნაური მუქარით იყო აღსავსე და კიტის თავდასხმისთვის მომზადებულ გარეულ ნადირს აგონებდა. როცა ანაზდად უოლტერი წამოდგა, კიტი შეკრთა. მუშტები შეკრა, იგრძნო, როგორ გაფითრდა. აჰა, დაიწყო! - სამუშაო მაქვს, - წაილაპარაკა უოლტერმა წყნარი, გულგრილი ხმით, თვალები დახრილი ჰქონდა, - თუ წინააღმდეგი არ იქნები, ჩემს კაბინეტში წავალ. როცა მოვრჩები, ალბათ, შენ უკვე დაძინებული დამხვდები. - დღეს ძალიან დავიღალე. - ღამე მშვიდობისა. - ღამე მშვიდობისა. უოლტერი ოთახიდან გავიდა. დილით, როგორც კი დრო იხელთა კიტიმ, ტაუნსენდს სამსახურში დაურეკა. - დიახ, რა მოხდა? - შენი ნახვა მინდა. - არ მცალია, ძვირფასო, ხომ იცი, ვმუშაობ. - ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება სამსახურში მოვიდე? - ოჰ, არა, შენს ადგილას ასე არ მოვიქცეოდი. - მაშინ, შენ მოდი. - არ შემიძლია, ვერ გამოვალ. რას იტყვი, შუადღისას რომ შევხვდეთ? მგონი, სჯობს, შენთან არ მოვიდე. - ახლავე უნდა გნახო. სიჩუმე ჩამოვარდა. კიტის შეეშინდა, ტელეფონი ხომ არ გათიშაო. - მისმენ? - ჰკითხა აღელვებულმა. - ჰო, ვფიქრობ. მოხდა რამე? - ტელეფონში ვერ გეტყვი. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. - მომისმინე, - თქვა ბოლოს ჩარლზმა, - პირველ საათზე ათი წუთით გნახავ, თუ გინდა. წადი კუ-ჩოუსთან და მაშინვე მოვალ, როგორც კი მოვახერხებ. - ანტიკვარიატის მაღაზიაში? - ჰკითხა შეშფოთებით კიტიმ. - აბა, „ჰონკონგის“1 მისაღებში ხომ ვერ შეგხვდები, - მიუგო ჩარლზმა. კიტიმ მის ხმაში გაღიზიანება შენიშნა. - კარგი, კუ-ჩოუსთან ვიქნები. ვიქტორია როუდზე კიტიმ რიქშა2 გაუშვა და ვიწრო, ციცაბო

ქუჩას აუყვა. ცოტა ხანს გარეთ შეყოვნდა, ვითომ მისი ყურადღება იქ გამოფენილმა ანტიკვარულმა ნივთებმა მიიპყრო. მაგრამ მუშტრის მომლოდინე ბიჭმა, მაშინვე იცნო, ღიმილით გაიბადრა და მერე ვიღაცას შიგნით ჩინურად რაღაც უთხრა. შავსამოსიანი, დაბალი, სახეჩაბიჟვინებული მაღაზიის მეპატრონე გარეთ გამოვიდა და მიესალმა. კიტი სწრაფად შევიდა. - მისტერ ტაუნსენდი ჯერ არ არის, თქვენ ზევით ახვალთ? კიტი მაღაზიის უკან გავიდა. მორყეულ, ჩაბნელებულ კიბეს აუყვა. ჩინელი უკან მიჰყვა და საძინებლის კარი გაუღო. დახუთულ ოთახში ოპიუმის მძაფრი სუნი იდგა. კიტი სანდალოზის ხის სკივრზე ჩამოჯდა. უცებ კიბის ჭრიალა საფეხურებზე მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა. ტაუნსენდი ოთახში შემოვიდა და კარი ჩაკეტა. კიტის დანახვაზე მოღუშული სახე მომხიბლავი ღიმილით შეეცვალა, მოეხვია და ტუჩებში აკოცა. - რა მოხდა? - უკვე კარგად ვარ, რომ დაგინახე, - გაეღიმა ქალს. ტაუნსენდი საწოლზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. - დღეს რაღაც დაღლილი ჩანხარ. - რა გასაკვირია, - მიუგო კიტიმ, - მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ტაუნსენდმა ქალს ღიმილით შეხედა. მაგრამ ეს ღიმილი ცოტა ძალდატანებითი და არაბუნებრივი ჩანდა, კიტიმ თვალებშიც შიში შეამჩნია. - უოლტერმა იცის. წამით დუმილი ჩამოვარდა, სანამ ტაუნსენდი რამეს უპასუხებდა. - რა თქვა? - არაფერი უთქვამს. - არა? - მან ქალს გამჭოლი მზერა ესროლა, - მაშ, რატომ გგონია, რომ იცის? - ყველაფერზე ეტყობა. გამომეტყველებაზე, ლაპარაკზე... - ხომ არ გაწყენინა? - პირიქით, ზედმეტად ზრდილობიანად იქცეოდა. ქორწინების მერე პირველი შემთხვევაა, ღამე, ძილის წინ რომ არ მაკოცა. კიტიმ თვალები დახარა, დარწმუნებული არ იყო, რომ ჩარლზმა გაუგო. უოლტერი, ჩვეულებისამებრ, მოეხვეოდა ხოლმე, ტუჩებით მის ტუჩებს დაეკონებოდა და არ უშვებდა. აამ დროს მთელი სხეული ვნებიანად მოუდუნდებოდა. - როგორ გგონია, რატომ არაფერი გითხრა? - არ ვიცი. სიჩუმე ჩამოვარდა. კიტი გაუნძრევლად იჯდა სანდალოზის ხის სკივრზე და შეშფოთებული ადევნებდა თვალს ტაუნსენდს, რომელსაც სახე კვლავ მოეღუშა და შუბლი შეეჭმუხნა.

მერე მოულოდნელად ახედა და თვალებში გესლიანმა დაცინვამ გაუელვა. - ნეტავ, თუ აპირებს რაიმეს თქმას? კიტიმ არ უპასუხა. ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა. - ბოლოს და ბოლოს, ის არ იქნება პირველი, ვინც ასეთ რამეზე თვალებს ხუჭავს. სკანდალით რას მოიგებს? ეს რომ ნდომოდა, ოთახში შემოგეჭრებოდა. - მას თვალები აუციმციმდა და ღიმილისგან სახე გაებადრა - რა სასაცილო და სულელურ დღეში აღმოვჩნდებოდით... - ნეტავ, წუხელ მისი სახე გენახა. - ვიცი, აღელვებული იქნებოდა. ბუნებრივია, თავზარდაცემულია: კაცისთვის ამაზე დიდი დამცირება არ არსებობს. ის ყოველთვის სულელურად გამოიყურება, მაგრამ ჩემზე არასოდეს დაუტოვებია ისეთი კაცის შთაბეჭდილება, ვინც თავის შინაურ საქმეს საჯაროდ განიხილავს. - მეც ასე მგონია, - მიუგო ჩაფიქრებულმა კიტიმ. - ვიცი, ძალიან მგრძნობიარეა. - მით უკეთესი ჩვენთვის. ხომ იცი, სხვის ადგილას უნდა წარმოიდგინო თავი და შენს თავს ჰკითხო, როგორ მოვიქცეოდიო. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ ერთი გზა არსებობს, სახელის გატეხვა რომ აიცდინო, ეს გზა კი თავის მოჩვენებაა, ვითომ არაფერი იცი. სანაძლეოს ვდებ, უოლტერიც ასე მოიქცევა. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ტაუნსენდი, მხნეობა მით უფრო ემატებოდა. ცისფერი თვალები აუციმციმდა, კვლავ ჩვეული მხიარულება და ხალისი დაუბრუნდა. გამამხნევებელ თავდაჯერებულობას ასხივებდა. - ღმერთმა იცის, მასზე ცუდის თქმა არ მინდა, მაგრამ, თუ საქმეს ჩავუღრმავდებით, ბაქტერიოლოგი დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს. როცა გუბერნატორი სიმონსი პენსიაზე გავა, მის ადგილს, ალბათ, მე დავიკავებ, ამიტომ უოლტერი დაინტერესებული უნდა იყოს ჩემი კეთილგანწყობით. ისევე, როგორც ყველა ჩვენგანმა, ისიც ვალდებულია იფიქროს საკუთარ კეთილდღეობაზე. როგორ გგონია, კოლონიის სამინისტრო რამეს შესთავაზებს ისეთ კაცს, რომელიც სკანდალს ატეხს? დამიჯერე, თუ ენას კბილს დააჭერს, მოგებული დარჩება, ხოლო თუ აურზაურს ატეხს, ყველაფერს დაკარგავს. კიტი უხერხულად შეიშმუშნა. კარგად იცოდა, რომ უოლტერი მორცხვი იყო და ადვილად დასაჯერებელია, რომ

სკანდალსა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცევას მოერიდებოდა, მაგრამ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ყველაფერ ამისგან უოლტერს მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქრი შეაჩერებდა. შეიძლება კიტიმ ბევრი არაფერი იცოდა ქმარზე, მაგრამ ჩარლზი საერთოდ არ იცნობდა მას! - შენ გავიწყდება, რომ გაგიჟებით ვუყვარვარ! ტაუნსენდმა არაფერი უპასუხა, გაუღიმა და ეშმაკურად შეხედა. კიტის უყვარდა მისი ეს მომხიბლავი გამოხედვა. - რა იყო? ახლა ვიცი, რაღაც საშინელებას იტყვი. - იცი, ქალებს მუდამ გგონიათ, კაცები თქვენზე იმაზე მეტად გიჟდებიან, ვიდრე ეს სინამდვილეშია. მთელი ამ ხნის განმავლობაში კიტიმ პირველად გაიცინა. ტაუნსენდის თავდაჯერება გადაედო. - შენი ენა რას აღარ იტყვის! - იმიტომ გითხარი, რომ შენი ქმარი ამ ბოლო დროს მაინცდამაინც არ გადარდებს. იქნებ, მასაც ძველებურად აღარ უყვარხარ? - ყოველ შემთხვევაში, იმით მაინც არ ვიტყუებ თავს, რომ შენ გაგიჟებით გიყვარვარ, - შეეპასუხა კიტი. - ახლა კი ცდები. რა მუსიკალური იყო ეს სიტყვები! კიტიმ ეს ისედაც იცოდა და ვნებამ გული გაუთბო. ტაუნსენდი ამის თქმაზე საწოლიდან წამოდგა, მასთან მივიდა, გვერდით მიუჯდა და წელზე ხელი მოჰხვია. - ნუღარ იტკივებ მაგ პატარა, სულელ თავს, - უთხრა ტაუნსენდმა, - დამიჯერე, საშიში არაფერია. დარწმუნებული ვარ, უოლტერი ისე მოიქცევა, ვითომ არაფერი იცის. იცი, ასეთი რამის დამტკიცება ძალიან ძნელია. შენ ამბობ, ვუყვარვარო. იქნებ არ უნდა, რომ ბოლომდე დაგკარგოს. ჩემი ცოლი რომ იყო, გეფიცები, ამის გარდა ყველაფერზე წავიდოდი. კიტი მისკენ გადაიხარა. ჩარლზის მკლავებში სხეული მოუდუნდა. ეს კაცი ტკივილამდე უყვარდა. მისმა ბოლო სიტყვებმა დააფიქრა, იქნებ, უოლტერსაც ისე უყვარდა, რომ ყველა დამცირებას აიტანდა, ოღონდ კი, კიტის ხანდახან სიყვარულის ნება მიეცა. ეს მისთვის გასაგები იყო, თვითონაც ხომ სწორედ ასე უყვარდა ჩარლზი. სიამაყის თრთოლვამ აიტანა და ამავე დროს ოდნავ ზიზღიც იგრძნო იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ასეთი მონური სიყვარული შეეძლო. ჩარლზს კისერზე სიყვარულით შემოჰხვია ხელი. - რა კარგი ხარ. სანამ აქ მოვდიოდი,

ფოთოლივით ვთრთოდი, შენ კი როგორ დამამშვიდე. ტაუნსენდმა მისი სახე ხელისგულებში მოიქცია და ტუჩებში აკოცა. - ძვირფასო! - როგორ მშვიდად ვგრძნობ თავს შენთან, - ამოიოხრა კიტიმ. - დარწმუნებული ვარ, არაფერი გაქვს ასაღელვებელი. ხომ იცი, განსაცდელში არასოდეს მიგატოვებ. კიტის შიში დაავიწყდა, თუმცა წამით სინანული იგრძნო, სამომავლო გეგმები რომ დაემსხვრა. ახლა, როცა ყველანაირი განსაცდელი წარსულს ჩაბარდა, უნდოდა კიდეც, უოლტერს განქორწინება მოეთხოვა. - ვიცოდი, შენი იმედი ყოველთვის უნდა მქონოდა, - უთხრა ტაუნსენდს. - მეც ასე ვფიქრობ. - არ მიდიხარ სასაუზმოდ? - ოჰ, ჯანდაბას საუზმე. მან ქალი თავისკენ მიიზიდა და მკლავები შემოაჭდო. ტუჩებით კიტის ტუჩები მოძებნა... - ოჰ, ჩარლზ, გამიშვი. - არასოდეს. კიტიმ გაიცინა: ეს იყო ბედნიერი და გამარჯვებული სიყვარულის სიცილი. თვალები სურვილით ანთებოდა. ტაუნსენდმა ფეხზე წამოაყენა და მკერდზე მიხუტებული ქალისთვის ხელი არ გაუშვია, კარი ისე ჩაკეტა. მთელი საღამო კიტი ჩარლზის უოლტერისადმი ნათქვამზე ფიქრობდა. იმ საღამოს ისინი სადილად იყვნენ დაპატიჟებულნი. როცა უოლტერი კლუბიდან დაბრუნდა, კიტი იცვამდა. მან კარზე დაუკაკუნა. - შემოდი. უოლტერს კარი არ გაუღია. - ტანსაცმლის გამოსაცვლელად მივდივარ. რამდენ ხანში მორჩები? - ათ წუთში. უოლტერს აღარაფერი უთქვამს. თავის ოთახში გავიდა. გუშინდელივით დაძაბული ტონი ჰქონდა. მაგრამ კიტი ახლა საკუთარ თავში სავსებით დარწმუნებული იყო. უოლტერზე ადრე ჩაიცვა და ქმარი დაბლა რომ ჩამოვიდა, უკვე მანქანაში დახვდა. - მგონი, გალოდინე, - უთხრა უოლტერმა. - როგორმე გადავიტან, - უპასუხა კიტიმ და გაღიმებაც კი მოახერხა. კიდევ ერთი-ორი სიტყვა თქვა, გორაკიდან რომ ეშვებოდნენ, მაგრამ უოლტერი მოკლედ პასუხობდა. კიტიმ მხრები აიჩეჩა: თუ უოლტერს გაბუტვა უნდა, დაე, გაიბუტოს, სულაც არ ედარდება. სანამ ადგილზე არ მივიდნენ, კრინტი არ დაუძრავს. დიდი წვეულება იყო. ძალიან ბევრი სტუმარი ჰყავდათ, ათასგვარი კერძი ჩამოატარეს. კიტი მხიარულად ესაუბრებოდა მეზობლებს და თან უოლტერს უყურებდა. მას საშინლად

გაფითრებული და ნაწამები სახე ჰქონდა. - თქვენი ქმარი, ცოტა არ იყოს, დაღლილი ჩანს. ბევრი ხომ არ იმუშავა? - ყოველთვის ბევრს მუშაობს. - ალბათ, მალე გაემგზავრებით? - ო, დიახ, შარშანდელივით იაპონიაში წასვლას ვფიქრობ, - უპასუხა კიტიმ, - ექიმი მირჩევს, რომ სიცხეს თავი გავარიდო, თუკი სიცოცხლე არ მომბეზრებია. უოლტერს ერთხელაც არ გამოუხედავს მისკენ ღიმილით, როგორც, ჩვეულებისამებრ, წვეულებაზე იცოდა ხოლმე. კიტიმ მანამდეც შეამჩნია, ქვევით, მანქანასთან ჩამოსულ ქმარს, რომ თვალს არიდებდა, არც მაშინ შეუხედავს, როცა ჩვეული თავაზიანობით ცოლს მანქანიდან გადმოსვლისას ხელი შეაშველა. ახლაც, აქეთ-იქით მსხდომ ქალებთან საუბრისას, საერთოდ არ გაუღიმია, თვალებგაშტერებული იყურებოდა. ფერმკრთალ სახეზე უზარმაზარი და ნახშირივით შავი უჩანდა თვალები. სახე გაყინული და პირქუში ჰქონდა. „რა სასიამოვნო მოსაუბრე იქნება“, გაიფიქრა კიტიმ დაცინვით. ამ საცოდავი ქალების თავგამოდებულმა მცდელობამ, საუბარში ჩაეთრიათ ეს კუშტი ადამიანი, ცოტა არ იყოს, გაამხიარულა კიტი. უოლტერმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცის და ცოლზე განრისხებულია. მაშ, რატომ არაფერი თქვა? იქნებ, მართლაც იმიტომ, რომ იმდენად უყვარს, ეშინია, არ მიატოვოს? ამ ფიქრმა ოდნავ ზიზღი მოჰგვარა კიტის, მაგრამ ეს არ იყო სიძულვილი, სხვა რომ არაფერი, უოლტერი მისი ქმარი იყო, მის სახლში ცხოვრობდა და მის პურს ჭამდა. თუ ცოლის საქმეში არ ჩაერევა და უფლებას მისცემს, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, კიტი ძალიან კარგად მოეპყრობა. მეორე მხრივ, უოლტერის სიჩუმე შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მისივე ავადმყოფური სიმორცხვით იყო გამოწვეული. ჩარლზი არ შემცდარა, როცა თქვა, უოლტერივით არავის ეშინია სკანდალისო. უოლტერი საჯაროდ საუბარს ყოველთვის არიდებდა თავს. ერთხელ მოუყვა კიდეც კიტის: სასამართლოში ვიყავი გამოძახებული მოწმედ, როგორც ექსპერტს, ჩვენება უნდა მიმეცა და პროცესამდე მთელი კვირა თვალი არ მომიხუჭავსო. მართლაც ავადმყოფურად მორცხვი იყო. და კიდევ: მამაკაცები ძალიან პატივმოყვარენი არიან. ამიტომ, თუ ამ ამბავს

ვერავინ გაიგებდა, უოლტერს შეიძლება ამაზე თვალიც კი დაეხუჭა. კიტი ისევ ჩაფიქრდა: ნეტავ, მართალი იყო ჩარლზი, როცა უოლტერზე თქვა, მან კარგად იცის, ქარი საიდან უბერავსო? ჩარლზი, ინგლისური კოლონიის ყველაზე პოპულარული ადამიანი, მალე გუბერნატორი გახდებოდა. მას შეეძლო, ერთი მხრივ, უოლტერს გამოსდგომოდა, მეორე მხრივ, დიდი უსიამოვნებაც მიეყენებინა, თუ უოლტერი მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. თავისი საყვარლის ძალისა და გამბედაობის გაფიქრებაზე კიტის სიხარული დაეუფლა. რა უშიშრად გრძნობდა თავს მის ძლიერ მკლავებში! რა უცნაურები არიან ეს მამაკაცები: კიტის ვერ წარმოედგინა, თუ უოლტერს რაიმე სიმდაბლის ჩადენა შეეძლო, მაგრამ ვინ იცის? იქნებ, მისი სიდინჯე უზნეობისა და სულმდაბლობის ნიღაბი იყო. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ჩარლზი მართალი იყო. ქმარს კიდევ ერთხელ შეხედა, ახლა უკვე ყოველგვარი სიბრალულის გარეშე. ისე მოხდა, რომ ამ დროს უოლტერის გვერდით მსხდომი ქალები თავიანთ მეზობლებს ესაუბრებოდნენ. მარტოდ დარჩენილი უოლტერი წინ გაშტერებული იყურებოდა. ირგვლივ თითქოს ვერაფერს ხედავდა, თვალები საშინელი სევდით ავსებოდა. ამან შეაძრწუნა, თავზარი დასცა კიტის. მეორე დღეს, ნასაუზმევს, როცა კიტის ის-ის იყო ჩათვლიმა, კარზე კაკუნმა გამოაფხიზლა. - ვინ არის? - დაიძახა გაღიზიანებულმა. მიჩვეული არ იყო ამ დროს შეწუხებას. - მე ვარ. კიტიმ ქმრის ხმა იცნო და სწრაფად წამოჯდა. - შემოდი. - გაგაღვიძე? - ჰკითხა უოლტერმა შემოსვლისას. - სიმართლე გითხრა, კი, - უპასუხა კიტიმ ისეთივე მოჩვენებითი ბუნებრიობით, როგორითაც ბოლო ორი დღე ელაპარაკებოდა ქმარს. - გამოხვალ მეორე ოთახში? სალაპარაკო მაქვს. კიტის გული შეუქანდა. - ხალათს ჩავიცვამ. უოლტერი გავიდა. კიტიმ შიშველი ფეხები ქოშებში წაჰყო და კიმონოში გაეხვია. სარკეში ჩაიხედა. ფერწასულ სახეზე ცოტა ფერუმარილი წაისვა. წუთით კართან შეჩერდა. საუბრისთვის მოემზადა და გაბედულად შევიდა ქმართან. - როგორ მოახერხე ლაბორატორიიდან წამოსვლა? ამ დროს იშვიათად გხედავ. - არ დაჯდები? უოლტერს

მისთვის არ შეუხედავს. დინჯად ლაპარაკობდა. კიტიმ სიხარულით შეუსრულა თხოვნა: მუხლები უცახცახებდა, აღარც ხუმრობის თავი ჰქონდა და გაჩუმება არჩია. უოლტერიც დაჯდა და სიგარეტს მოუკიდა. მოუსვენრად ათვალიერებდა ოთახს, თითქოს, საუბრის დაწყება უჭირსო. უცებ ჯიქურ შეხედა კიტის. მთელი ეს ხანი თვალი არ გაუსწორებია მისთვის, ამიტომ ამ პირდაპირმა მზერამ ისე შეაშინა ქალი, რომ კინაღამ იკივლა. - ოდესმე გსმენია რამე მეი-ტან-ფუზე? - ჰკითხა ქმარმა. - ბოლო დროს ხშირად იხსენიებენ გაზეთებში. კიტი გაკვირვებული მიაჩერდა. შეყოყმანდა, სანამ უპასუხებდა. - ეგ ის ადგილი არ არის, სადაც ქოლერაა? მისტერ არბათნოტი საუბრობდა წუხელ ამაზე. - იქ ეპიდემიაა, თანაც ისეთი ძლიერი, როგორიც, მრავალი წელია, იქ არავის ახსოვს. ერთი მისიონერი ექიმი ჰყავდათ, რომელიც სამი დღის წინ ქოლერით მოკვდა. არის ერთი ფრანგული დედათა მონასტერიც და, რა თქმა უნდა, საბაჟოს მოხელეც ჰყავთ. სხვა ევროპელები ქალაქიდან წავიდნენ. უოლტერი კვლავაც დაჟინებით უყურებდა კიტის და ქალმა თვალი ვეღარ მოარიდა. ცდილობდა უოლტერის გამომეტყველებიდან რაიმე ამოეკითხა, მაგრამ აღელვებისგან არაფერი გამოუვიდა. ისღა შეამჩნია, რომ უოლტერი უცნაურად ფრთხილობდა. როგორ შეეძლო მისთვის ასე დაჟინებით შეეხედა? თვალი ერთხელაც კი არ დაუხამხამებია. - ფრანგი მონაზვნები, რაც შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ. ობლების თავშესაფარი საავადმყოფოდ გადააქციეს, მაგრამ ხალხი მაინც ბუზებივით იხოცება. მე იქ წასვლის და სამედიცინო დახმარების სურვილი გამოვთქვი. - შენ? კიტი გველნაკბენივით შეკრთა. პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ თუ უოლტერი წავიდოდა, თავისუფალი იქნებოდა და დაუბრკოლებლად შეხვდებოდა ჩარლზს. მაგრამ ამ ფიქრმა შეაძრწუნა და იგრძნო, როგორ გაწითლდა. რატომ მისჩერებია ასე უოლტერი? დარცხვენილმა გვერდზე გაიხედა. - აუცილებელია შენი წასვლა? - ენის ბორძიკით ჰკითხა. - იქ არც ერთი უცხოელი ექიმი არ ჰყავთ. - ჰო, მაგრამ შენ ხომ ბაქტერიოლოგი ხარ და არა ექიმი. - მე, როგორც იცი, სამედიცინო განათლება მივიღე და ექიმად დიდხანს

ვმუშაობდი საავადმყოფოში. თუმცა კარგია, ახლა რომ ბაქტერიოლოგი ვარ. კვლევითი სამუშაოებისთვის არაჩვეულებრივი საშუალება მეძლევა, - თითქმის უდარდელად თქვა უოლტერმა. კიტი გაკვირვებული დარჩა, როცა მის თვალებში დამცინავი ანარეკლი შეამჩნია. ნეტავ, რა იყო ამის მიზეზი? - მერედა, ეს ხომ მეტად სახიფათოა? - კი, ასეა. უოლტერმა გაიღიმა. ეს იყო დამცინავი ღიმილი. კიტი შუბლით ხელს დაეყრდნო. ეს ხომ თვითმკვლელობაა. თვითმკვლელობა და მეტი არაფერი! რა საშინელებაა! არ ეგონა, თუ უოლტერზე ასე იმოქმედებდა ეს ამბავი. არა, ეს არამც და არამც არ უნდა დაუშვას. ეს საზარელი ბოროტება იქნება. რა კიტის ბრალია, თუ არ უყვარს. თავზარი დაეცა. ვერ წარმოეგინა, თუ უოლტერი მისი გულისთვის თვითმკვლელობაზე წავიდოდა. ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. - რატომ ტირი? უოლტერს ცივი ხმა ჰქონდა. - ვალდებული ხარ, რომ წახვიდე? - არა, ჩემი სურვილით მივდივარ. - არ წახვიდე, უოლტერ, გთხოვ. საშინელება იქნება, რამე რომ მოხდეს. ხომ შეიძლება მოკვდე? თუმცა უოლტერს ისევ უშფოთველი სახე ჰქონდა, თვალებში კვლავ ღიმილის ჩრდილი გაუკრთა. არ უპასუხა. - სად არის ეს ადგილი? - ჰკითხა კიტიმ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. - მეი-ტან-ფუ? დასავლეთის მდინარის შენაკადზეა. ჩვენ დასავლეთის მდინარეს ავუყვებით და მერე ტახტრევნით წავალთ. - ვინ ჩვენ? - მე და შენ. კიტიმ სწრაფად შეხედა. იფიქრა, ხომ არ მომესმაო. მაგრამ უოლტერს თვალებში ჩამდგარი ღიმილი ახლა ბაგეზეც გადაეფინა. კიტის თვალს არ აშორებდა. - გგონია, მეც წამოვალ? - მეგონა, მოისურვებდი. კიტის სუნთქვა გაუხშირდა. ჟრუანტელმა დაუარა. - იქ ქალს რა უნდა. მისიონერმა რამდენიმე კვირის წინ გამოაგზავნა იქიდან ცოლ-შვილი. სამხედრო სამსახურის მოხელე და მისი ცოლიც წამოვიდნენ. ეს უკანასკნელი ჩაის წვეულებაზე ვნახე, ახლა გამახსენდა. თქვა კიდეც, საიდანღაც ქოლერის გამო წამოვედითო. - იქ ხუთი ფრანგი მონაზონია. კიტი საშინლად დაიძაბა. - ვერ ვხვდები, რას გულისხმობ. სიგიჟე იქნება ჩემი იქ წამოსვლა. ხომ იცი, რა სუსტი ვარ, ექიმმა ჰეივორდმა მითხრა, ჰონკონგიდან უნდა გახვიდე

სიცხეების გამოო. ჯერ იქაური სიცხე და მერე კიდევ ქოლერა: შიშისგან ჭკუიდან შევიშლები. ეს ხომ თვითმკვლელობაა. რა საჭიროა ჩემი წამოსვლა. მე იქ მოვკვდები. უოლტერმა არაფერი უპასუხა. სასოწარკვეთილმა კიტიმ ქმარს შეხედა და ყვირილი ძლივს შეიკავა. უოლტერი ისე ბოროტად უყურებდა, რომ შიშმა აიტანა. მის სახეზე ქალმა სიძულვილი ამოიკითხა. ნუთუ, უოლტერს მართლა უნდა კიტის სიკვდილი? და თავის საშინელ ფიქრს თავადვე უპასუხა. - ეს სისულელეა. თუ შენ ფიქრობ, რომ უნდა წახვიდე, შენი ნებაა. მაგრამ ჩემგან ამას ნუ მოელი. მძულს ავადმყოფობა, მით უმეტეს, ქოლერა. თავი მამაც ქალად არ მიმაჩნია და ამას არც ვმალავ. აქ მანამდე დავრჩები, სანამ იაპონიაში წასვლის დრო არ მოვა. - მეგონა, ასეთ სახიფათო ექსპედიციაში ჩემ გვერდით ყოფნას ისურვებდი. ახლა უოლტერი ცოლს აშკარად დასცინოდა. კიტი დაიბნა. ვერ ხვდებოდა, გულით ამბობდა ამას, თუ მხოლოდ მისი შეშინება სურდა. - არა მგონია, ვინმემ გამამტყუნოს, თუ უარს ვიტყვი ისეთ სახიფათო ადგილას წასვლაზე, სადაც არაფერი მესაქმება და ვერც ვერავის გამოვადგები. - შენ იქ ძალიან საჭირო იქნები, მხარში ამომიდგები და გამამხნევებ. კიტი კიდევ უფრო გაფითრდა. - არ მესმის, რას ამბობ. - ამის გაგებას დიდი ჭკუა არ უნდა. - მე არ მოვდივარ, უოლტერ, საშინელებაა ჩემგან ამის მოთხოვნა. - მაშინ, არც მე წავალ და ახლავე წარვადგენ თხოვნას სასამართლოში. კიტი ქმარს უაზროდ მიაჩერდა. მისმა სიტყვებმა ისე დააბნია, უცებ ვერც კი გააცნობიერა, რას ეუბნებოდა. - გამაგებინე, რისი თქმა გინდა? - ჰკითხა გაუბედავად და თავისი ყალბი ტონი თავადვე დააფიქსირა. უოლტერის მკაცრი სახე ზიზღსა და მედიდურობას ერთდროულად გამოხარტავდა. - ალბათ, იმაზე უფრო ბრიყვად ჩამთვალე, ვიდრე ვარ. კიტიმ არ იცოდა, რა ეპასუხა. ვერ გადაეწყვიტა, აღშფოთებულიყო, თავისი უდანაშაულობის მტკიცება დაეწყო, თუ ესაყვედურებინა. უოლტერი თითქოს მიუხვდა. - ყველა მტკიცებულება უკვე ხელთა მაქვს. კიტი ატირდა. ცრემლები დიდ შინაგან ტკივილს არ გამოუწვევია და ამიტომ, არც მათი მოწმენდა უცდია: ტირილი აზრის მოსაკრებად და დროის

მოსაგებად სჭირდებოდა, მაგრამ სათქმელი მაინც ვერ ჩამოაყალიბა. უოლტერი გულგრილად უყურებდა და მისი სიმშვიდე კიდევ უფრო აფრთხობდა ქალს. - ტირილი მწუხარებას ვერ შეგიმსუბუქებს. - უთხრა მოთმინებადაკარგულმა უოლტერმა. მისმა ცივმა და უხეშმა ტონმა კიტი აღაშფოთა. მან უკვე დაიმორჩილა თავი: - ჩემთვის სულერთია. მე მგონი, გაყრის წინააღმდეგი არც შენ იქნები. ეს მამაკაცისთვის არაფერია. - იქნებ მითხრა, შენ გამო რატომ უნდა ჩავიგდო თავი უხერხულ მდგომარეობაში? - ამას შენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ჯენტლმენურად მოიქეცი, მეტს არაფერს გთხოვ. - ესეც არ იყოს, შენს კეთილდღეობაზე ხომ უნდა ვიზრუნო. კიტი გასწორდა და ცრემლები მოიწმინდა. - რას გულისხმობ? - ჰკითხა ქმარს. - ტაუნსენდი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგირთავს, თუ მოპასუხედ გამოვა სასამართლოში. საქმე კი, ისეთ სკანდალურ მიმართულებას მიიღებს, რომ მისი ცოლი იძულებული გახდება გაშორდეს. - თვითონაც არ იცი, რას ამბობ! - დაიყვირა კიტიმ. - რა სულელი ხარ. უოლტერს ისეთი ზიზღნარევი კილო ჰქონდა, კიტი სიბრაზისგან გაწითლდა. ალბათ, იმან უფრო გააბრაზა, რომ აქამდე მისგან მხოლოდ ტკბილი და ალერსიანი სიტყვები ესმოდა. მიჩვეული იყო, რომ ქმარი ყოველგვარ ახირებას უსიტყვოდ უსრულებდა. - თუ სიმართლე გინდა, მოგახსენებ. ჩარლზს ძალიან უნდა ცოლად შემირთოს. დოროთი ტაუნსენდი თანახმაა გაშორდეს. როგორც კი თავისუფლები ვიქნებით, მაშინვე დავქორწინდებით. - თვითონ გითხრა, თუ მისი საქციელიდან დაგრჩა ასეთი შთაბეჭდილება? უოლტერს თვალები დამცინავად უბრწყინავდა. კიტიმ თავი უხერხულად იგრძნო. მთლად დარწმუნებული არ იყო, ასე უთხრა თუ არა ჩარლზმა. - სულ ამას მეუბნებოდა. - ეს სიცრუეა, შენც კარგად იცი, რომ ასეა. - მთელი არსებით ვუყვარვარ და მეც ასევე მიყვარს. შენ უკვე ყველაფერი იცი, არაფრის უარყოფას არ ვაპირებ, რატომ უნდა უარვყო? მთელი წელია საყვარლები ვართ და ამით ვამაყობ კიდეც. ის ჩემთვის ყველაფერია, მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაიგე. უკვე საშინლად მოგვბეზრდა ამ ყველაფრის დამალვა. შევცდი, შენ რომ

გამოგყევი, სულელი ვიყავი. არასოდეს მყვარებიხარ, არაფერი გვქონდა საერთო. ვინც შენ მოგწონს, მე არ მომწონს. რაც შენ გაინტერესებს, მე საერთოდ არ მიზიდავს. მიხარია, რომ ყველაფერი დასრულდა. უოლტერი გაუნძრევლად იჯდა და გაქვავებული სახით უსმენდა. სულაც არ ეტყობოდა, რომ კიტის ნათქვამმა მასზე რამენაირად იმოქმედა. - იცი, რატომ გამოგყევი? - იმიტომ, რომ გინდოდა შენი დის, დორისისთვის დაგესწრო გათხოვება. ეს სიმართლე იყო. კიტის არ მოეწონა, რომ ეს უოლტერმაც იცოდა. საოცარია, მაგრამ შიშისა და სიბრაზის მიუხედავად ქალმა სიბრალული იგრძნო მისდამი. უოლტერს ოდნავ გაეღიმა. - ვერ ვიტყვი, რომ იმედები გამიცრუე, - უთხრა მან, - ისედაც ვიცოდი, რა სულელი, თავქარიანი და უჭკუო იყავი, მაგრამ მაინც მიყვარდი. ვიცოდი, რა მდარე მიზნები და იდეალები გქონდა და მაინც მიყვარდი. ისიც ვიცოდი, რომ არაფრით გამოირჩეოდი, მაგრამ მაინც მიყვარდი. მეცინება, როცა მახსენდება, რა თავგამოდებით ვცდილობდი იმ საგნებით დაინტერესებას, შენ რომ გართობდა; როგორ ვცდილობდი შენთვის უვიცად, სულმდაბლად, ჭორიკანად და უტვინოდ მომეჩვენებინა თავი. ვიცოდი, როგორ გაფრთხობდა ჭკუა-გონება და ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ისეთივე სულელი გგონებოდი, როგორიც შენი ნაცნობი მამაკაცები არიან. ვიცოდი, რომ მხოლოდ ანგარიშით გამომყევი, მე კი, ისე მიყვარდი, ჩემთვის სულ ერთი იყო. შეყვარებულთა უმრავლესობას, რამდენადაც ვიცი, თუ სიყვარულით არ პასუხობენ, სწყინს, ბრაზიანი და უხეში ხდება. მე ასეთი არ ვყოფილვარ. არც არასოდეს მიფიქრია, რომ შემიყვარებდი, საამისო მიზეზს ვერ ვხედავდი. ჩემს თავზეც არ მქონია ზედმეტი წარმოდგენა. მადლობელი ვიყავი, რომ ნებას მაძლევდი მყვარებოდი. როცა ზოგჯერ შეგამჩნევდი, ჩემთან ყოფნა გსიამოვნებდა, როცა შენს თვალებში კეთილგანწყობას ამოვიკითხავდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვცდილობდი ჩემი სიყვარულით თავი არ მომებეზრებინა; მუდამ იმის მოლოდინში ვიყავი, რომ მოგბეზრდებოდი. რასაც ქმრების უმრავლესობა უფლებით მოითხოვს, მე მზად ვიყავი წყალობად

მიმეღო. ბავშვობიდანვე ქათინაურებს მიჩვეული კიტისთვის ასეთი რამ არასოდეს არავის უთქვამს. მის გულში გაღვიძებულმა ბრმა სიძულვილმა შიში განდევნა. სიბრაზემ ლამის დაახრჩო. იგრძნო, საფეთქლებზე ძარღვები დასკდომამდე დაებერა. შელახული პატივმოყვარეობა ქალს უფრო ამძვინვარებს, ვიდრე ძუ ლომს ბოკვრის წართმევა. მას ოთხკუთხა ყბა უშნოდ დაუგრძელდა, მშვენიერი თვალები სიძულვილით აევსო, მაგრამ თავი შეიკავა. - თუ მამაკაცს ის არ გააჩნია, რაც აუცილებელია, რათა ქალმა შეიყვაროს, მისი ბრალია და არა ქალის. - ნამდვილად. მისმა დამცინავმა კილომ კიდევ უფრო გააღიზიანა კიტი. იგრძნო, რომ სიმშვიდის შენარჩუნებით მას უფრო შეურაცხყოფდა. - მე არც ძალიან განათლებული ვარ და არც ძალიან ჭკვიანი. ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ. ისეთი რაღაცები მიყვარს, რაც იმ ხალხს მოსწონს, რომელთა შორისაც ვცხოვრობდი. მიყვარს ცეკვა, ჩოგბურთი, თეატრი, მიყვარს კარგი მოთამაშე მამაკაცები. სიმართლე გითხრა, ძალიან მომაბეზრე თავი. ისიც მომბეზრდა, რაც შენ მოგწონს, რადგან ჩემთვის არაფერს წარმოადგენს და არც მჭირდება. ვენეციაში გალერეების დაუსრულებლად თვალიერებას, მე გოლფის თამაში მერჩივნა. - ვიცი. - ვწუხვარ, თუ იმედები გაგიცრუე. სამწუხაროდ, ჩემთვის ფიზიკურად ყოველთვის აუტანელი იყავი. ამაში მე არ უნდა დამადანაშაულო. - არც გადანაშაულებ. კიტის ერჩია უოლტერი გამძვინვარებულიყო, რადგან მის რისხვას რისხვითვე უპასუხებდა. უოლტერის თავშეკავება კი არაადამიანური იყო. კიტის ამ წუთში ისე სძულდა ქმარი, როგორც არასდროს. - ჩემი აზრით, შენ კაცი არ ხარ. რატომ არ შემოიჭერი საძინებელში, როცა ჩარლზთან ერთად ჩაკეტილი მნახე? მის საცემრად მაინც უნდა გაწეულიყავი, შეგეშინდა? მაგრამ ამის თქმაზე სირცხვილისგან თვითონვე გაწითლდა. უოლტერმა არაფერი უპასუხა, მაგრამ მის თვალებში კიტიმ საშინელი ზიზღი ამოიკითხა. უოლტერს ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა. - იქნებ, ერთი ისტორიული პიროვნების1 არ იყოს, იმდენად ამაყი ვარ, რომ ჩხუბი არ ვიკადრე. კიტიმ ვერაფერი უპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ერთხანს

უოლტერი თვალს არ აშორებდა. - ვფიქრობ, ყველაფერი გითხარი, რის თქმასაც ვაპირებდი. თუ მეი-ტან-ფუში წამოსვლაზე უარს ამბობ, სასამართლოში საქმეს აღვძრავ. - რატომ არ ხარ თანახმა, რომ გაგეყარო? უოლტერმა, როგორც იქნა, თვალი მოაშორა. სავარძელში გადაწვა და სიგარეტს მოუკიდა. ბოლომდე ისე მოსწია, ხმა არ ამოუღია. შემდეგ ნამწვი მოისროლა და გაიღიმა. კვლავ კიტის შეხედა. - თუ მისის ტაუნსენდი თანახმა იქნება ქმარს გაშორდეს, მისტერ ტაუნსენდი კი წერილობით პირობას დადებს, რომ განქორწინების ძალაში შესვლიდან ერთ კვირაში ცოლად შეგირთავს, მაშინ თანახმა ვარ. უოლტერმა ეს ისე თქვა, კიტი დაიბნა, მაგრამ პირადი ღირსების გრძნობა ავალდებულებდა მისი წინადადება მედიდურად მიეღო. - ეს ძალიან დიდი სულგრძელობაა შენგან, უოლტერ. მისდა გასაოცრად, უოლტერმა მოულოდნელად გადაიხარხარა, კიტი სიბრაზისგან წამოენთო. - რა გაცინებს? სასაცილოს ვერაფერს ვხედავ. - მაპატიე, ალბათ, თავისებური იუმორის გრძნობა მაქვს. კიტიმ წარბშეკვრით შეხედა. ძალიან უნდოდა მწარე და გულსატკენი რამ ეთქვა მისთვის, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, უოლტერმა საათს დახედა. - იჩქარე, თუ გინდა ტაუნსენდს სამსახურში მიუსწრო. თუ მეი-ტან-ფუში ჩემთან ერთად წამოსვლას გადაწყვეტ, ზეგ უნდა გავიდეთ. - გინდა დღესვე ვუთხრა? - საქმის გადადება არ ღირს. კიტის გული აუძგერდა, მაგრამ არა შიშით, თვითონაც ვერ აცნობიერებდა, რას გრძნობდა. ერჩია, ჩარლზის შესამზადებლად უფრო მეტი დრო ჰქონოდა. თუმცა, მის გრძნობებში ეჭვი არ ეპარებოდა. ტაუნსენდს ხომ ისევე ძლიერ უყვარს კიტი, როგორც კიტის უყვარს ის. ცოდვაც კია იმის გაფიქრება, რომ ჩარლზი სიხარულით არ შეეგებება ამ ამბავს. ის დინჯად მიუბრუნდა უოლტერს. - არა მგონია, იცოდე, რა არის სიყვარული. წარმოდგენაც არ გაქვს, რა თავდავიწყებით გვიყვარს მე და ჩარლზს ერთმანეთი. ჩვენთვის სიყვარულის გარდა, სხვა არაფერი არსებობს. სიყვარულისთვის ყოველგვარ მსხვერპლს გავიღებთ. უოლტერმა თავი ოდნავ დაუკრა, მაგრამ არაფერი თქვა. თვალი გააყოლა კიტის, რომელიც ნელი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. კიტიმ პატარა ბარათი

გაუგზავნა ჩარლზს: „გთხოვ მნახო. სასწრაფო საქმე მაქვს“. ჩინელმა ბიჭმა უთხრა, მოითმინეთო და პასუხი მოუტანა: მისტერ ტაუნსენდი ხუთ წუთში მიგიღებთო. კიტი უჩვეულოდ ღელავდა. როცა, ბოლოს და ბოლოს, ჩარლზის ოთახში შევიდა, ის ხელის ჩამოსართმევად წინ შეეგება. მაგრამ, როგორც კი ბიჭმა კარი გაიხურა და ისინი მარტო დატოვა, მყის მოიშორა ფორმალური თავაზიანობა. - მისმინე, ძვირფასო, არ შეიძლება სამუშაო საათებში შენი აქ მოსვლა. ძალიან ბევრი საქმე მაქვს, თანაც ხალხსაც არ უნდა მივცეთ ჭორაობის საბაბი. კიტიმ თავისი მშვენიერი თვალები შეანათა, გაღიმება სცადა, მაგრამ ტუჩები არ დაემორჩილა: - საჭირო რომ არ ყოფილიყო, არ მოვიდოდი. ტაუნსენდმა გაუღიმა და მკლავზე ხელი მოჰკიდა. - რადგანაც აქ ხარ, დაჯექი. ოთახი ცარიელი იყო, ვიწრო, მაღალჭერიანი კედლები ბაც და მუქ აგურისფრად შეეღებათ. დიდ საწერ მაგიდასთან იდგა გორგოლაჭებიანი სკამი ტაუნსენდისთვის და ტყავის სავარძელი სტუმრებისთვის. მეტი არაფერი. შეშფოთებული კიტი დაჯდა. ტაუნსენდი მაგიდას მიუჯდა. კიტიმ არ იცოდა, ჩარლზი რომ სათვალეს ხმარობდა. ტაუნსენდმა რომ შეამჩნია, ქალი სათვალეს უყურებდა, მოიხსნა. - მხოლოდ კითხვის დროს ვხმარობ, - თითქოს თავი იმართლა. კიტის ცრემლები წასკდა, არ იცოდა, რატომ. მოტყუება წინასწარ არც ჰქონდა განზრახული, უფრო ქვეცნობიერად უნდოდა ჩარლზის თანაგრძნობის გამოწვევა. ჩარლზმა გულგრილად შეხედა. - მოხდა რამე? ოჰ, ძვირფასო, ნუ ტირი. კიტიმ ცხვირსახოცი ამოიღო და ქვითინის შეკავებას ცდილობდა. ჩარლზმა ზარი დარეკა და ბიჭს კართან შეხვდა. - ვინმემ თუ მიკითხა, უთხარი, გასულია-თქო. - დიახ, სერ. ბიჭმა კარი გაიხურა. ჩარლზი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და კიტის მხრებზე ხელი მოჰხვია. - აბა, კიტი, ძვირფასო, მითხარი, რა მოხდა. - უოლტერს გაყრა უნდა, - უთხრა კიტიმ. იგრძნო, რომ ჩარლზმა მხარზე ხელი შეუშვა და სხეული დაეძაბა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ტაუნსენდი წამოდგა და ისევ თავის სკამზე დაჯდა. - მაინც რას გულისხმობ? - ჰკითხა ყრუდ. კიტიმ მაშინვე შეხედა. ჩარლზს სახე წამოწითლებოდა. - ველაპარაკე, პირდაპირ სახლიდან

მოვდივარ. ამბობს, ყველა დამამტკიცებელი საბუთი ხელთ მაქვსო. - შენ ხომ არ გაეცი თავი? ხომ არაფერი აღიარე? კიტის გული ჩაწყდა. - არა, - მიუგო. - დარწმუნებული ხარ? - ჰკითხა ჩარლზმა და გამჭოლად შეხედა. - რა თქმა უნდა, - კვლავ იცრუა კიტიმ. ჩარლზი სკამზე გადაწვა და კედელზე ჩამოკიდებულ ჩინეთის რუკას უაზროდ მიაჩერდა. კიტი აღელვებული ადევნებდა თვალს. როგორღაც დააბნია მისმა ასეთმა საქციელმა. ეგონა, მოეხვეოდა და ეტყოდა, მადლობა ღმერთს, ახლა შეგვიძლია სულ ერთად ვიყოთო. რა უცნაურები არიან კაცები. კიტი ჩუმად ტიროდა. თანაგრძნობის გამოწვევას აღარ ცდილობდა, უბრალოდ, ამ დროს ტირილი, თითქოს, ბუნებრივად მიაჩნდა. - ძალიან ცუდ დღეში ჩავცვივდით, - თქვა ჩარლზმა ბოლოს. - მაგრამ თავგზა არ უნდა აგვებნეს. ხომ იცი, ტირილი ვერაფერს გვიშველის. კიტიმ ხმაში გაღიზიანება შეატყო და თვალები შეიმშრალა. - ჩემი ბრალი არ არის, ჩარლზ, ვერაფერი გავაწყვე. - რა თქმა უნდა, ვერაფერს გააწყობდი. ბედმა გვიმუხთლა. მეც ისევე დამნაშავე ვარ, როგორც შენ. ახლა უნდა მოვიფიქროთ, როგორ დავაღწიოთ თავი. ვფიქრობ, შენც ისევე არ გინდა გაყრა, როგორც მე. განცვიფრებულმა კიტიმ კინაღამ შეჰკივლა - ჩარლზი მასზე სულ არ ფიქრობდა. - ნეტავ, რა საბუთი აქვს ხელთ? არ ვიცი, როგორ დაამტკიცებს, რომ იმ ოთახში ერთად ვიყავით. ისე კი, კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ფრთხილად ვიქცეოდით. დარწმუნებული ვარ, ანტიკვარული მაღაზიის მოხუცი მეპატრონე არ გაგვცემდა; ვინმეს იქ შესულები რომც ვენახეთ, ხომ შეიძლებოდა ერთად გვეძებნა ანტიკვარული ნივთები? ჩარლზი საკუთარ თავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე კიტის. - ბრალდების წაყენება საკმაოდ ადვილია, მაგრამ დამტკიცებაა ძნელი. ყველა ვექილი ამას გეტყვის. ჩვენ ყველაფერი უნდა უარვყოთ. თუ სასამართლოთი დაგვემუქრა, ვეტყვით, ჯანდაბამდეც გზა გქონიაო და პროცესსაც მოვიგებთ. - ვერ წავალ სასამართლოში, ჩარლზ. - ვითომ რატომ? ვშიშობ, მოგიწევს. ღმერთმა იცის, რომ სკანდალი არ მჭირდება, მაგრამ ვერც გულხელდაკრეფილები ვისხდებით. - რაში გვჭირდება თავდაცვა? - რა კითხვაა. ბოლოს და ბოლოს, ეს ამბავი

მარტო შენ კი არა, მეც მეხება. მაგრამ არა მგონია, საშიში იყოს. როგორმე შევძლებთ შენი ქმრის მორჯულებას. ერთადერთი, რაც ახლა მაღელვებს, საუკეთესო გამოსავლის პოვნაა. მერე, თითქოს რაღაც მოიფიქრაო, მომხიბლავი ღიმილით მიუბრუნდა კიტის და ერთი წუთის წინ ასეთი უხეში და საქმიანი ხმა მომხიბლავი გაუხდა. - ალბათ, ძალიან აღელვებული იყავი, ჩემო პატარავ. ეს ძალიან ცუდი ამბავია, - და კიტის ხელი მოჰკიდა. - ხათაბალაში გავებით, მაგრამ თავს დავაღწევთ. განა... (უცებ ჩარლზი გაჩუმდა. კიტიმ იეჭვა, ალბათ, უნდოდა ეთქვა, განა, პირველად დამიღწევია თავიო), - ახლა მთავარი, თავის ხელში აყვანაა. ნუ გეშინია, გასაჭირში მარტო არ მიგატოვებ. - არ მეშინია და არც მაინტერესებს, რას იზამს. ჩარლზი კვლავ იღიმოდა, მაგრამ მისი ღიმილი ცოტა ნაძალადევი ჩანდა. - თუ საქმე ცუდად წავიდა, გუბერნატორისთვის მომიწევს თქმა. მართალია, გამლანძღავს, მაგრამ კეთილი, შეგნებული ადამიანია. როგორმე მოაგვარებს ყველაფერს. აურზაური არ აწყობს. - რას გააკეთებს? - ჰკითხა კიტიმ. - ეტყვის, რაც საჭიროა. თუ მის პატივმოყვარეობაზე ვერ იმოქმედებს, მოვალეობის გრძნობას შეახსენებს. კიტის გააჟრჟოლა. ვერა და ვერ გააგებინა ჩარლზს, რომ საქმე სახუმაროდ როდი ჰქონდათ, მისმა არასერიოზულობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. ნანობდა, სამსახურში რომ მიაკითხა. აქაურობა აფრთხობდა. ჩარლზის მკლავებში მოქცეული და მის კისერზე მკლავებშემოხვეული უფრო ადვილად ეტყოდა სათქმელს. - შენ არ იცნობ უოლტერს, - უთხრა ქალმა. - მე ის ვიცი, რომ ყველა კაცს თავისი ფასი აქვს. კიტის მთელი არსებით უყვარდა ჩარლზი, მაგრამ მისმა პასუხმა, ცოტა არ იყოს, დაანაღვლიანა, ჭკვიანი კაცია და ასეთ სისულელეს არ უნდა ამბობდესო. - ვფიქრობ, ვერ მიხვდი, როგორი გაბრაზებულია უოლტერი. მისი სახე და თვალები არ გინახავს. ჩარლზმა ერთხანს არაფერი უპასუხა, ოდნავ გაღიმებული უყურებდა კიტის. ქალი მიხვდა მის ფიქრებს: უოლტერი ბაქტერიოლოგია, სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობს და კოლონიის ხელისუფალთათვის რაიმე უსიამოვნების მიყენებას ვერ გაბედავსო. - თავის მოტყუება არაფერს

გარგებს, ჩარლზ, - უთხრა გულწრფელად, - თუ უოლტერი პროცესს წამოიწყებს, ვერც შენ და ვერც სხვა ვერ გადაათქმევინებს. ჩარლზს ისევ მოეღუშა სახე. - მან მოიფიქრა, რომ მოპასუხედ გამოვეყვანე? - პირველად მან თქვა. ძლივს დავითანხმე ბოლოს, რომ გაყრის უფლება მოეცა. - მაშ, არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, - ჩარლზი ისევ მოეშვა, მის თვალებში კიტიმ შვება ამოიკითხა, - ეს ძალიან კარგი გამოსავალია. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცურ ღირსებას მაინც შეინარჩუნებს. - მაგრამ უოლტერმა პირობა წამომიყენა. ჩარლზმა გაკვირვებით შეხედა და თითქოს ჩაფიქრდა. - ძალიან მდიდარი არ ვარ, მაგრამ, რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ. კიტი გაჩუმდა. ტაუნსენდი ისეთ რაღაცებს ამბობდა, რასაც მისგან არ ელოდა და სათქმელსაც უძნელებდა. ახლა რომ მის მოსიყვარულე მკლავებში ყოფილიყო მოქცეული, ალმურმოდებულ სახეს მის მკერდში ჩამალავდა და ერთი ამოსუნთქვით ეტყოდა ყველაფერს. - იმ შემთხვევაში გამშორდება, თუ შენი ცოლიც თანახმა იქნება გაყრაზე. - კიდევ რა? კიტიმ ძლივს ამოიღო ხმა. - და, რა ძნელია ამის თქმა, ჩარლი, რა საშინლად ჟღერს, - თუ შენ პირობას დადებ, რომ განქორწინების გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთ კვირაში ცოლად შემირთავ. ჩარლზი ერთხანს ჩუმად იყო. შემდეგ კიტის ხელი აიღო და ნაზად მოუჭირა. - ხომ იცი, ძვირფასო, - უთხრა მან, - რაც უნდა მოხდეს, დოროთი ამ საქმეში არ უნდა გავრიოთ. კიტიმ დაბნეულად შეხედა. - კი მაგრამ, როგორ შევძლებთ? - მხოლოდ ჩვენს თავზე არ უნდა ვიფიქროთ. ხომ იცი, სხვა შემთხვევაში შენს შერთვაზე მეტად ქვეყნად არაფერს ვინატრებდი, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრიც არ შემიძლია, მე ვიცნობ დოროთის, ვერაფრით დავითანხმებ გაყრაზე. კიტი თანდათან შიშმა აიტანა. ისევ ატირდა. ჩარლზი წამოდგა, გვერდით მიუჯდა და წელზე ხელი მოჰხვია. - ეცადე, არ იღელვო, ძვირფასო. თავი ხელში უნდა ავიყვანოთ. - მეგონა, გიყვარდი. - რა თქმა უნდა, მიყვარხარ, - უთხრა მან ნაზად, - ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. - თუ ცოლი არ გაგშორდება, უოლტერი მოპასუხედ გაგიწვევს. ჩარლზმა პასუხი დააგვიანა, შემდეგ უხალისოდ უთხრა: - ეს, რა თქმა

უნდა, კარიერას დამიმსხვრევს, მაგრამ, ვშიშობ, შენც კარგს არაფერს მოგიტანს. თუ საქმე ცუდად წავიდა, გულახდილად გამოვუტყდები დოროთის: ძალზე გულნატკენი დარჩება, მაგრამ მაპატიებს, - უცებ რაღაც მოაფიქრდა. - იქნებ, უკეთესიც იყოს, ყველაფერი გულახდილად ვუთხრა. დოროთი რომ შენს ქმართან მივიდეს, უთუოდ დაარწმუნებს, ენას კბილი დააჭიროს. - ანუ არ გინდა, რომ გაგშორდეს? - ჩემს ბიჭებზეც ხომ უნდა ვიფიქრო. თანაც, ბუნებრივია, არც დოროთი მინდა გავაუბედურო. ჩვენ ყოველთვის კარგად ვიყავით ერთმანეთთან. შენც იცი, რომ შესანიშნავი მეუღლეა. - აბა, რატომ მითხარი, ჩემთვის არაფერს წარმოადგენსო? - ეგ არ მითქვამს. მე გითხარი, არ მიყვარს-მეთქი. რამდენი წელია ერთად აღარ გვძინავს, იშვიათი შემთხვევების გარდა, მაგალითად, შობას, მისი შინ დაბრუნების წინადღეს ან ჩამოსვლის დღეს. ასეთი რამეები სულაც არ აინტერესებს. მაგრამ ჩვენ ყოველთვის შესანიშნავი მეგობრები ვიყავით. მეტიც, მასზე ძალიან ვარ დამოკიდებული. - თუ ასეა, როგორ გგონია, უკეთესი ხომ არ იყო ჩემთვის გაგენებებინა თავი? კიტის თვითონაც უკვირდა, ასე მშვიდად როგორ ლაპარაკობდა, როცა შიშისგან სული ეხუთებოდა. - შენსავით ლამაზი დიდი ხანია არავინ მენახა. გაგიჟებით შემიყვარდი. ამაში ვერ დამადანაშაულებ. - სხვა რომ არაფერი, შენ მითხარი, გასაჭირში არ მიგატოვებო. - ღმერთო ჩემო, არც ვაპირებ მიტოვებას, ჩვენ დიდ განსაცდელში ჩავცვივდით და, თავი რომ დავიძვრინოთ, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია. - გარდა ერთი მარტივი და ბუნებრივი რამისა. ჩარლზი წამოდგა და თავის სკამს დაუბრუნდა. - ძვირფასო, კეთილგონიერება უნდა გამოიჩინო. სჯობს, გულახდილები ვიყოთ, არ მინდა გული გატკინო, მაგრამ სიმართლე უნდა გითხრა. მე კარიერა მაინტერესებს, მიზეზს ვერ ვხედავ საიმისოდ, რომ გუბერნატორობაზე ხელი ავიღო! თუ ეს ამბავი არ მივაჩუმათეთ, მაშინ გუბერნატორობას უნდა დავემშვიდობო. შეიძლება, სამსახურში დამტოვონ, მაგრამ სახელი შემელახება. თუ სამსახურიდან წავალ, მაშინ ჩინეთში ბიზნესი უნდა დავიწყო, აქ ბევრს ვიცნობ. ორივე შემთხვევაში მხოლოდ დოროთის

მხარში ამოდგომის იმედი უნდა მქონდეს. - მაშ, რაში გჭირდებოდა იმის თქმა, რომ ჩემ გარდა, არავინ გინდოდა? ჩარლზმა ჭირვეულად დაუშვა ტუჩის კუთხეები. - ძვირფასო, პირდაპირ კი არ უნდა მიიღო შეყვარებული კაცის ნათქვამი. - მაშ, ამას არ გულისხმობდი? - იმ წუთში კი. - და მე რა მეშველება, თუ უოლტერი გამეყრება? - თუ საბუთი არ გვექნა, რა თქმა უნდა, თავს ვერ დავიცავთ. ეს ამბავი არ გახმაურდება, თან ხალხიც ახლა საკმაოდ შეგნებულია. კიტის ახლაღა გაახსენდა დედამისი. გააჟრჟოლა. ისევ ტაუნსენდს შეხედა. გულისტკენას სიბრაზეც დაერთო. - დარწმუნებული ვარ, შენ ძალიან ადვილად გადაიტანდი იმ უსიამოვნებებს, რაც მე გამოვცადე, - უთხრა მან. - ერთმანეთის გულისტკენით შორს ვერ წავალთ, - უთხრა ჩარლზმა. კიტიმ სასოწარკვეთით ამოიკვნესა. რა საშინელებაა, ასე ერთგულად გიყვარდეს მამაკაცი და მან კი გული ასე გატკინოს. ჩარლზს, ალბათ, არც ესმის, რამდენს ნიშნავს ის კიტისთვის. - ოჰ, ჩარლზ, ხომ იცი, როგორც მიყვარხარ? - მეც ხომ მიყვარხარ, ძვირფასო, მაგრამ ჩვენ უკაცრიელ კუნძულზე არ ვცხოვრობთ, ახლა ყველაფერი უნდა ვცადოთ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან თავი დავაღწიოთ. კეთილგონიერება უნდა გამოიჩინო. - როგორ გამოვიჩინო კეთილგონიერება? ჩემთვის ეს სიყვარული ყველაფერი იყო და შენც ჩემი სიცოცხლის მიზანი იყავი. არცთუ ისე სასიამოვნოა იმის გაგება, რომ შენთვის ეს ყველაფერი მხოლოდ უმნიშვნელო ეპიზოდი ყოფილა. - რა თქმა უნდა, ეპიზოდი არ იყო, მაგრამ იმის მოთხოვნა შენი მხრიდან, რომ გაყრა ვაიძულო ცოლს, რომელსაც ასე ვარ მიჩვეული, შენ შეგირთო და კარიერა გავიფუჭო, მეტისმეტია. - იმაზე მეტს არ გთხოვ, რასაც მე შენთვის გავაკეთებდი. - ჩვენ სხვადასხვა მდგომარეობაში ვართ. - ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ შენ არ გიყვარვარ. - კაცს შეიძლება ძალიან უყვარდეს ქალი, მაგრამ მთელი ცხოვრება მასთან გატარება არ უნდოდეს. კიტიმ სწრაფად შეხედა და სასოწარკვეთამ შეიპყრო. ლოყებზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა. - ოჰ, რა სისასტიკეა! როგორ შეგიძლია ასეთი უგულო იყო? კიტი გულამოსკვნით აქვითინდა. ჩარლზმა

შეშფოთებით გახედა კარს. - ძვირფასო, ეცადე თავი შეიკავო. - შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ, - სლუკუნებდა კიტი, - უშენოდ ვერ ვიცოცხლებ. საერთოდ არ გებრალები? ლაპარაკი აღარ შეეძლო. თავშეუკავებლად ტიროდა. - არ მინდა ულმობელი ვიყო, ღმერთია მოწმე, შენი გულისტკენა არ მინდა, მაგრამ სიმართლე უნდა მეთქვა. - ეს მთელი ჩემი ცხოვრების დანგრევას ნიშნავს. რატომ არ დამანებე თავი? რა დაგიშავე? - თუ რამეს გიშველის, რომ ყველაფერში მე დამადანაშაულო, დაე, ასე იყოს. კიტი სიბრაზისგან წამოენთო. - მაშ, მე თვითონ ჩამოგეკიდე კისერზე? მოსვენება არ მოგეცი, სანამ ჩემს ხვეწნა-მუდარას არ დაჰყევი? - მე ეს არ მითქვამს. მაგრამ ნამდვილად ვერ შეგიყვარებდი, შენი მხრიდანაც იგივე რომ არ მეგრძნო. ოჰ, სირცხვილო! კიტი მიხვდა, რომ ჩარლზმა სიმართლე უთხრა. მოღუშულმა და აფორიაქებულმა ტაუნსენდმა არ იცოდა, ხელები სად წაეღო. გაღიზიანებულ მზერას კიტის მალიმალ სტყორცნიდა. - არ გაპატიებს შენი ქმარი? - ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ. - არ მითხოვია. ჩარლზმა უნებლიეთ ხელები მომუჭა. კიტიმ შეამჩნია, რომ გაბრაზებულმა ენაზე მომდგარი უკმეხი სიტყვები გადაყლაპა. - რატომ არ მიდიხარ და პატიებას არ სთხოვ? თუ ისე უყვარხარ, როგორც ამბობ, უნდა გაპატიოს. - რა ცუდად იცნობ მას! კიტიმ თვალები შეიმშრალა. თავშეკავება სცადა. - ჩარლზ, თუ მიმატოვებ, მოვკვდები. მზად იყო მისთვის თანაგრძნობა ეთხოვა. თავიდანვე უნდა ეთქვა ყველაფერი. როცა ჩარლზი გაიგებდა, რა საშინელი არჩევანის წინაშე იდგა კიტი, ისევ დიდსულოვანი, სამართლიანი გახდებოდა და მხოლოდ მასზე იფიქრებდა. ოჰ, როგორ უნდოდა კიტის მისი ძვირფასი, მფარველი მკლავები კვლავაც მოჰხვეოდა. - უოლტერს უნდა, მეი-ტან-ფუში წავყვე. - ჰო, მაგრამ იქ ხომ ქოლერაა. ასეთი საშინელი ეპიდემია ბოლო ორმოცდაათი წელია არ ყოფილა. ქალს იქ რა ესაქმება. ვერ წახვალ. - შენ თუ მიმატოვებ, წასვლა მომიწევს. - რას გულისხმობ? არ მესმის. - უოლტერი ქოლერით გარდაცვლილი მისიონერი ექიმის ნაცვლად მიდის. უნდა, რომ მეც წავყვე. - როდის? - ახლა, ახლავე. ტაუნსენდმა სკამი უკან გასწია და დაბნეულმა შეხედა კიტის. - ალბათ,

სულ გამოვშტერდი, რადგან შენს ნათქვამს თავი და ბოლო ვერ გავუგე. თუ უნდა, რომ თან წაჰყვე, განქორწინება რაღა შუაშია? - არჩევანი შემომთავაზა: ან მეი-ტან-ფუში წასვლა, ან პროცესის წამოწყება. - გავიგე, - ტაუნსენდს ხმა ოდნავ შეეცვალა. - მგონი, დიდსულოვნებაა მისი მხრიდან. შენ როგორ ფიქრობ? - დიდსულოვნება? - იქ წასვლა დიდი გმირობაა. მისგან ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. უკან რომ დაბრუნდება, წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენი გარანტირებული აქვს. - კი მაგრამ, მე, ჩარლზ? - სასოწარკვეთილი ხმით წამოიყვირა კიტიმ. - ვფიქრობ, თუ უნდა, რომ წაჰყვე, ასეთ დროს უარის თქმა უაზრობა იქნება. - ეს სიკვდილს ნიშნავს, გარდაუვალ სიკვდილს. - ოჰ, გეყოფა, ნუ აზვიადებ. არ წაგიყვანდა, ასე რომ ფიქრობდეს. უოლტერზე უფრო მეტი საფრთხე შენ არ გემუქრება. თუ ფრთხილად იქნები, საშიში არაფერია. მე აქ ვიყავი ქოლერის დროს, მაგრამ არაფერი მომსვლია. მთავარია, უმად არ ჭამო ხილი, სალათა და ამგვარები, და ადუღებული წყალი სვა, - ჩარლზს თანდათან ემატებოდა თავდაჯერება და რიხი. უკვე აღარც ისეთი მოღუშული იყო. გამოცოცხლდა, თითქმის გამხიარულდა კიდეც, - ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მისი საქმეა? ის მიკრობებითაა დაინტერესებული. თუ დაფიქრდები, ძალიან კარგი შანსი ეძლევა. - კი მაგრამ, მე, ჩარლზ? - გაიმეორა კიტიმ უკვე არა სასოწარკვეთილი, არამედ შეშინებული ხმით. - კაცს რომ უკეთ გაუგო, მის ადგილას უნდა წარმოიდგინო თავი. მისი აზრით, შენ ცოტა ურჩი იყავი და უნდა, საფრთხეს მოგაშოროს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ის შენთან გაყრას არ მოინდომებდა. ასეთი კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. მეტად სასიკეთო რამ შემოგთავაზა, შენ კი უარით განარისხე. შენი დადანაშაულება არ მინდა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ჩვენგანის გულისთვის, მეტი კეთილგონიერება უნდა გამოგეჩინა. - კი მაგრამ, იმას არ ფიქრობ, რომ მოვკვდები? რომ სწორედ იმიტომ მივყავარ, რომ ჩემი სიკვდილი უნდა? - ჩემო კარგო, ძალიან ცუდ დღეში ვართ, მელოდრამის დრო არ არის. - გადაწყვიტე, რომ არ გამიგო, - ოჰ, როგორ სტკიოდა კიტის გული და როგორ ეშინოდა! მზად იყო, ეყვირა.

- როგორ შეგიძლია, რომ სასიკვდილოდ გამწირო! დავუშვათ, რომ არ გიყვარვარ და არ გებრალები, ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობა მაინც როგორ არ გაქვს. - იცი, მგონი უსამართლოდ მექცევი. რამდენადაც მესმის, შენი ქმარი ძალიან სულგრძელად იქცევა. მზად არის გაპატიოს, თუ საშუალებას მისცემ. უნდა, აქაურობას მოგაშოროს და ისეთ ადგილას წაგიყვანოს, სადაც რამდენიმე თვე საფრთხე აღარ დაგემუქრება. იმას არ ვამბობ, რომ მეი-ტან-ფუ კურორტია, არც ერთი ჩინური ქალაქი არ ვარგა ჯანმრთელობისთვის, მაგრამ საშიში მაინც არაფერია. ეგ შიში ცუდიც კია. ვიცი, ეპიდემიის დროს ბევრი შიშით უფრო კვდება, ვიდრე ავადმყოფობით. - მაგრამ, რომ მეშინია? როცა ამაზე ლაპარაკობდა, კინაღამ გული წამივიდა. - ვიცი, თავიდან თავზარი დაგეცემოდა, მაგრამ მშვიდად თუ შეხედავ, ყველაფერი კარგად იქნება. წინ საინტერესო თავგადასავლები გელის. - მე კი მეგონა... მე კი ვფიქრობდი... სასოწარკვეთილი კიტი წინ და უკან ირხეოდა. ჩარლზს არაფერი უთქვამს. კვლავ ისე კუშტად იყურებოდა, კიტის აქამდე რომ არ ენახა. ქალი ახლა აღარ ტიროდა. თვალები მშრალი ჰქონდა, მშვიდად, ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ საუბრობდა. - გინდა, წავიდე? - სხვა არჩევანი არ გვაქვს, ასე არ არის? - მართლა? - გულწრფელად გეტყვი, შენმა ქმარმა განქორწინების პროცესი რომც წამოიწყოს და მოიგოს, მაინც ვერ შეგირთავ. ტაუნსენდს ეგონა საუკუნე გავიდა, სანამ კიტი რამეს უპასუხებდა. ქალი ნელა წამოდგა. - არა მგონია, ჩემს ქმარს გადაწყვეტილი ჰქონოდა პროცესის წამოწყება. - მაშ, თუ ღმერთი გწამს, რატომ გადამიტრიალე გული? კიტიმ ცივად შეხედა. - იცოდა, რომ მიმატოვებდი. კიტი გაჩუმდა. როგორც უცხო ენის სწავლისას, ერთ გვერდს რომ წაიკითხავ და პირველად ვერაფერს გაიგებ, სანამ რომელიმე საკვანძო სიტყვას ან წინადადებას არ მიაგნებ, და შენი დაღლილი გონება მიახლოებით მაინც გააცნობიერებს მთელი გვერდის შინაარსს, სწორედ ასე გაჰყვა კიტი უოლტერის აზრებს. თითქოს ბნელი, უფერული პეიზაჟი ელვამ გაანათა და უცებ ყველაფერი ისევ დაბნელდა. კიტი შეძრა იმან, რისი დანახვაც მოასწრო. - მხოლოდ იმიტომ დამემუქრა, რომ იცოდა,

სულით დაეცემოდი, ჩარლზ. საოცარია, ასე კარგად როგორ შეგაფასა. მხოლოდ მას შეეძლო ჩემთვის ასე მწარე დარტყმა მოეყენებინა. ასეთი საშინელი იმედგაცრუება არასდროს მიგრძვნია. ჩარლზი მის წინ დადებულ საშრობ ქაღალდს დააჩერდა. წარბები შეყარა და მოიღუშა. არაფერი უპასუხა. - იცოდა, რომ პატივმოყვარე, მხდალი და ანგარებიანი ხარ. უნდოდა ეს საკუთარი თვალით მენახა. იცოდა, რომ საფრთხის მოახლოებისას კურდღელივით გაიქცეოდი, რომ მწარედ ვცდებოდი, როცა მეგონა, გიყვარდი, რადგან შენ საკუთარი თავის გარდა, არავის სიყვარული არ შეგიძლია. იცოდა, რომ საკუთარი ტყავის გადასარჩენად დაუფიქრებლად გამწირავდი. - თუ მართლა სიამოვნებას განიჭებს ჩემთვის შეურაცხყოფის მოყენება, ვფიქრობ, ჩივილის უფლება არ მაქვს. ქალები უსამართლოები ხართ და თითქმის ყოველთვის კაცებს ადანაშაულებთ, თუმცა სათქმელი მათაც აქვთ. კიტის მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. - ახლა კი, მეც ამეხილა თვალები იმაზე, რაც უოლტერს ასე კარგად ცოდნია. მივხვდი, რომ გულქვა და დაუნდობელი ხარ, ენითგამოუთქმელი თავკერძა, კურდღელივით მხდალი, მატყუარა და თვალთმაქცი და, რაც ყველაზე საშინელებაა, - კიტის ტკივილისგან სახე დაემანჭა, - რაც ყველაზე საშინელებაა, მაინც მთელი არსებით მიყვარხარ. - კიტი! კიტის მწარედ გაეცინა. ჩარლზმა, როგორც ყოველთვის, ტკბილი, ჟღერადი ხმით წარმოთქვა მისი სახელი, რომელიც ასე იოლად გამოსდიოდა და რომელსაც უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. - რა სულელი ხარ, - უთხრა კიტიმ. წამოწითლებულმა და შეურაცხყოფილმა ჩარლზმა სწრაფად დაიხია უკან, ამ ქალის ვერაფერი გაეგო. კიტიმ დაცინვით შეხედა. - უკვე გეჯავრები, არა? შენი ნებაა. ჩემთვის უკვე სულერთია. მან ხელთათმანების ჩაცმა დაიწყო. - რას აპირებ? - ჰკითხა ჩარლზმა. - ოჰ, ნუ გეშინია, შენ არაფერი დაგიშავდება, არ დაზარალდები. - ღვთის გულისათვის, ასე ნუ მელაპარაკები, კიტი, - მიუგო მან. მჟღერ ხმაში აღელვება დაეტყო. - იცოდე, ყველაფერი, რაც შენ გეხება, მეც მეხება. ძალიან მაინტერესებს, რა მოხდება. ქმარს რას ეტყვი? - ვეტყვი, რომ მზად ვარ მეი-ტან-ფუში წავყვე. - იქნებ, აღარც

დაგაძალოს, როცა დათანხმდები. ჩარლზმა ვერ გაიგო, ამის თქმაზე ქალმა ასე უცნაურად რატომ შეხედა. - მართლა ხომ არ გეშინია? - ჰკითხა. - არა, - მიუგო ქალმა, - შენ გამბედაობა შემმატე. ეპიდემიის კერაში წასვლა მართლაც რომ საუცხოო თავგადასავალი იქნება და თუ მოვკვდები, ამ ქვეყანას დიდი არაფერი დააკლდება. - რამდენადაც შემეძლო, ვეცადე შენ მიმართ კეთილი ვყოფილიყავი. კიტიმ კვლავ შეხედა. თვალებში ისევ ცრემლები ჩაუდგა და გული აუჩუყდა. კინაღამ აჯობა დაუოკებელმა სურვილმა, მკერდზე მიხუტებოდა და მის ტუჩებს დაწაფებოდა, მაგრამ ამას აზრი აღარ ჰქონდა. - თუ სიმართლე გინდა, იცოდე, - უთხრა და თან ცდილობდა ხმა დაემორჩილებინა, - შიშისგან გული მიმდის. მივდივარ და სიკვდილის შიში თან მიმყვება. არ ვიცი, რა განიზრახა უოლტერმა თავისი ბნელი, უკუღმართი ტვინით. შიშისგან ვცახცახებ. სიკვდილი ჩემთვის, ალბათ, შვება იქნება. იგრძნო, რომ თავს ვეღარ შეიკავებდა და სწრაფად წავიდა კარისკენ. სანამ ჩარლზი წამოდგებოდა, კიტი უკვე გარეთ იყო. ტაუნსენდმა შვებით ამოისუნთქა. ძალიან მოუნდა სოდიანი ბრენდი. კიტი რომ დაბრუნდა, უოლტერი შინ დახვდა. ქალს ერჩია პირდაპირ თავის ოთახში ასულიყო, მაგრამ ქმარი ქვევით, ჰოლში იდგა და მსახურ ბიჭს რაღაცას ეუბნებოდა. კიტი ისე უბედურად გრძნობდა თავს, გაუხარდა კიდეც, ეს დამცირებაც რომ უნდა გადაეტანა. შეჩერდა და უოლტერს შეხედა. - შენთან ერთად მოვდივარ, - უთხრა. - კარგი. - როდისთვის ვიყო მზად? - ხვალ საღამოსთვის. კიტის თვითონაც ვერ გაეგო, საიდან გაუჩნდა ეს სიმამაცე. უოლტერის გულგრილობა ლახვარივით მოხვდა. საკუთარი სიტყვები უკვირდა. - ვფიქრობ, საზაფხულო კაბებისა და სუდარის გარდა არაფერი დამჭირდება. კიტი სახეში უყურებდა უოლტერს. მიხვდა, მისმა სიტყვებმა გააბრაზა. - მე უკვე ვუთხარი შენს მოსამსახურეს, რაც უნდა ჩაალაგოს. კიტიმ თავი დახარა და თავის ოთახში გავიდა. ძალიან ფერმკრთალი იყო. როგორც იქნა, დანიშნულების ადგილს მიუახლოვდნენ. უკვე რამდენიმე დღეა ბრინჯის თვალუწვდენელ მინდვრებშუა გადაჭიმულ ვიწრო, მოკირწყლულ გზას ტახტრევნებით მიუყვებოდნენ. განთიადისას

გაუდგნენ გზას, სანამ პაპანაქება სიცხემ არ აიძულა გზისპირა დუქანს შეფარებოდნენ. შემდეგ კი, ისევ გზა განაგრძეს, ვიდრე არ მიაღწიეს ქალაქს, სადაც ღამე უნდა გაეთიათ. კიტის ტახტრევანი ამალის თავში იდგა, მას უოლტერისი მოჰყვებოდა. მათ არეულ-დარეულად მიჰყვებოდნენ ყულები,1 რომელთაც ლოგინი, სანოვაგე და აღჭურვილობა მიჰქონდათ. კიტი გარშემო ვერაფერს ხედავდა. დრო უსასრულოდ გაიჭიმა. სიჩუმეს ხანდახან რომელიმე მტვირთავის შენიშვნა ან ულაზათო სიმღერა არღვევდა. კიტის აფორიაქებული გონება ისევ და ისევ ჩარლზის სამსახურში მომხდარი გულშემზარავი სცენის წვრილმანებს დასტრიალებდა. როცა ახსენდებოდა, თუ რა მშრალი და საქმიანი სახე მიიღო მათმა საუბარმა, ლამის გული გასკდომოდა. კიტიმ ვერ უთხრა, რისი თქმაც უნდოდა და ვერც ისე ელაპარაკა, როგორც აპირებდა. ჩარლზს რომ მისი უსაზღვრო სიყვარული, გულში დანთებული ვნება და უმწეობა დაენახა, ასეთ გულგრილობას ვეღარ გამოიჩენდა და ბედის ანაბარა არ მიატოვებდა. კიტი სახტად დარჩა, ყურებს არ დაუჯერა, როცა ჩარლზმა უთხრა (რაც თქმის გარეშეც ცხადი იყო), რომ კიტი სულ არ ედარდებოდა. ამიტომაც მაშინ ბევრი არ უტირია, ისე იყო განცვიფრებული. მას მერე სასოწარკვეთილი კიტი ცრემლად იღვრებოდა. როცა ღამღამობით რომელიმე ფარდულში ქმართან ერთად სტუმრებისთვის განკუთვნილ საუკეთესო ოთახში იწვა და გრძნობდა, რომ რამდენიმე ნაბიჯზე ბრეზენტის საწოლში უოლტერს არ ეძინა, კბილებით ბალიშს ჩააფრინდებოდა ხოლმე, რათა ქმარს მისი ქვითინი არ გაეგო. მაგრამ დღისით, ტახტრევნის ფარდებს მოფარებული, გულამოსკვნით ტიროდა. ისე სტკიოდა გული, რომ ლამის ხმამაღლა ეკივლა. ასეთი ტანჯვა ვერ წარმოედგინა. სასოწარკვეთილი თავის თავს ეკითხებოდა, ასეთი რა დავაშავეო. ვერ გაეგო, რატომ არ უყვარდა ჩარლზს: ალბათ, თავისი ბრალი იყო, მაგრამ მან ხომ ყველაფერი გააკეთა, რომ მისთვის თავი შეეყვარებინა. ერთმანეთს კარგად ეგუებოდნენ; როცა ერთად იყვნენ, სულ იცინოდნენ; ისინი არა მარტო საყვარლები, არამედ კარგი მეგობრებიც იყვნენ. თავზარდაცემულს ვერაფერი

გაეგო. თავს ირწმუნებდა, ჩარლზი მძულს და მეზიზღებაო, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა ეცხოვრა, თუ ვეღარასოდეს ნახავდა. უოლტერს თუ დასასჯელად მიჰყავს მეი-ტან-ფუში, ტყუილად ირჯება, კიტის აღარ ანაღვლებს, რა მოუვა. მის ცხოვრებას აზრი აღარ აქვს. ძნელი ყოფილა ოცდაშვიდი წლის ასაკში სიცოცხლის დასრულება. თბომავალზე, რომლითაც ისინი დასავლეთის მდინარეს აღმა აუყვნენ, უოლტერი თავაუღებლად კითხულობდა. კიტის მხოლოდ ჭამის დროს თუ დაელაპარაკებოდა, ისიც შემთხვევითი თანამგზავრი ქალის მსგავსად, ზრდილობის გამო; ალბათ, ასე იმიტომ მექცევა, რომ ჩვენს შორის არსებული უფსკრული გააღრმავოსო, ფიქრობდა კიტი. კიტიმ, როცა როგორღაც გონება გაუნათდა, ჩარლზს უთხრა, უოლტერმა იმიტომ გამომგზავნა შენთან განქორწინების მუქარით, თუ დაავადებულ ქალაქში არ წავყვებოდი, რომ ჩემი თვალით მენახა, როგორი გულგრილი, მხდალი და ეგოისტი ხარო. კიტი მართალი იყო. ასეთი ფანდი სწორედაც რომ შეესაბამებოდა უოლტერის მწარე იუმორს. მან ძალიან კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა და კიტის დაბრუნებამდე დაავალა მის მსახურს იმის ჩალაგება, რაც საჭირო იყო. კიტი ქმრის თვალებში მისი და მისი საყვარლის მიმართ ზიზღს კითხულობდა. უოლტერი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ტაუნსენდის ადგილას, ამქვეყნად ვერაფერი შეუშლიდა ხელს მსხვერპლი გაეღო კიტის სულ მცირე ახირების დასაკმაყოფილებლადაც კი. ქალმა იცოდა, რომ ეს მართალი იყო, მაგრამ ახლა, როცა კიტის თვალები აეხილა, როგორღა შეუძლია უოლტერს ასე გაწიროს, ხომ იცის, როგორ ეშინია? თავიდან ეგონა, უოლტერი ატყუებდა, სანამ მართლა არ დაიძრნენ, უფრო სწორად, სანამ მდინარე არ მოიტოვეს და ტახტრევნებით არ განაგრძეს გზა. ბოლო წუთამდე ფიქრობდა, რომ უოლტერი ღიმილით ეტყოდა, შენი წამოსვლა საჭირო აღარ არისო. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ედო მის ქმარს გულში. არ შეიძლება მართლა ნდომებოდა კიტის სიკვდილი, რადგან ასე ძლიერ უყვარდა. ახლა მანაც გამოსცადა სიყვარული და უოლტერის მისადმი თაყვანისცემის უამრავი ნიშანიც კარგად

ახსოვდა. მისთვის კიტი სალოცავი ხატი იყო. შეუძლებელია, ახლაც არ ჰყვარებოდა. განა, შეიძლება, იმიტომ გადაიყვარო ადამიანი, რომ ბოროტად მოგექცა? კიტის ხომ ისეთი ტანჯვა არ მიუყენებია უოლტერისთვის, როგორიც ჩარლზმა მას მიაყენა და, ყველაფრის მიუხედავად, მის ერთ დაძახებაზეც მზად იყო, ამქვეყნად ყველაფერი მიეტოვებინდა და უკან გაკიდებოდა. მართალია, ჩარლზმა გაწირა და არაფერი გააკეთა მისთვის, გულქვა და ბოროტი იყო, მაგრამ კიტის მაინც უყვარდა. თავიდან ფიქრობდა, გავა დრო და უოლტერიც, ადრე თუ გვიან, მაპატიებსო. იმდენად დარწმუნებული იყო ქმარზე საკუთარ გავლენაში, რომ ვერაფრით დაიჯერებდა, მის სამუდამო დაკარგვას. „ვერ დაშრეტს სიყვარულს წყალი მრავალი და მდინარე ვერ წარხოცავს მას“1. მაგრამ ახლა უკვე ეჭვი ეპარებოდა. როცა საღამოს უოლტერი დუქნის სწორ საზურგიან სკამზე იჯდა და ფარნის შუქზე წიგნს კითხულობდა, ჩრდილში ჩალის ლეიბზე წამოწოლილ კიტის თავისუფლად შეეძლო მისთვის ეთვალთვალა. სწორი ნაკვთები უოლტერს მკაცრ, პირქუშ იერს აძლევდა. ვერ დაიჯერებდი, რომ ამ სახეზე ოდესმე ტკბილი ღიმილი გადაიფინებოდა. ისე მშვიდად კითხულობდა, თითქოს კიტი მისგან სადღაც ათასი მილის მოშორებით იყო. ხედავდა, რომ გვერდებს შლიდა და თვალებს ნელ-ნელა აყოლებდა სტრიქონებს. ის ცოლზე არ ფიქრობდა. ხოლო, როცა მაგიდა გაშალეს და სადილი მოიტანეს, წიგნი გვერდზე გადადო და კიტის შეხედა (ვერ ხვდებოდა, რომ სინათლე მის სახის გამომეტყველებას ააშკარავებდა). ქალი შეკრთა, ისეთი ფიზიკური ზიზღი ამოიკითხა მის თვალებში, დიახ, ამან შეაშინა კიტი. ნუთუ მისი სიყვარულიდან აღარაფერი დარჩა? ნუთუ, მართლა უნდა მისი სიკვდილი? სისულელეა. ასე მხოლოდ შეშლილი კაცი მოიქცევა. იქნებ, უოლტერი არც არის ნორმალური? - ამის გაფიქრებაზე კიტის გააჟრჟოლა. აქამდე ჩუმად მყოფი მებარგულები უცებ ალაპარაკდნენ... ერთ-ერთი მათგანი ხელების ქნევითა და კიტისთვის გაუგებარი სიტყვებით მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. კიტიმ იქითკენ გაიხედა, საითკენაც მებარგული ანიშნებდა და მთის თავზე

თაღი დაინახა. უკვე იცოდა, რომ ეს ვიღაც სვებედნიერი სწავლულის ან სათნო ქვრივის საპატივცემულოდ აღმართული მემორიალი იყო. მას მერე, რაც მდინარე უკან მოიტოვეს, ბევრ ასეთ თაღს წააწყდნენ, მაგრამ ჩამავალი მზის სხივებით განათებული ეს მემორიალი ყველაზე ზღაპრული იყო. და მაინც, თვითონაც არ იცოდა, რატომ... მისმა დანახვამ ააფორიაქა. ეს მემორიალი რაღაც ისეთს გამოხატავდა, რასაც კიტი გრძნობდა, მაგრამ სიტყვებით ვერ გამოთქვამდა. იქნებ, ის დაცინვა ან მუქარა იყო, ბუნდოვნად რომ გრძნობდა? კიტი ბამბუკის ჭალას მიუყვებოდა. ბამბუკები ისე გადმოხრილიყვნენ მოკირწყლულ გზაზე, იფიქრებდით, მისი შეჩერება უნდათო. ზაფხულის საღამო იყო, ნიავი არ იძვროდა, მაგრამ ბამბუკის წვრილი მწვანე ფოთლები ოდნავ მაინც ირხეოდა. კიტის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხეებს უკან ვიღაც იმალებოდა და მას უთვალთვალებდა. ისინი მთის ძირს მიადგნენ და ბრინჯის მინდვრებიც უკან მოიტოვეს. მებარგულები რწევა-რწევით შეუდგნენ აღმართს. მთა ახლო-ახლო მიჯრილი ბორცვებით ისე იყო დაღარული, როგორც ზღვის მიქცევის შემდეგ ქვიშის პლაჟი. კიტისთვის ესეც ნაცნობი იყო: ბევრჯერ ჩაუარეს ასეთ ადგილებს, როცა დასახლებულ ქალაქს უახლოვდებოდნენ ან ტოვებდნენ. ეს სასაფლაო იყო. ახლა მიხვდა, რატომ მიაქცევინეს მებარგულებმა ყურადღება მთის წვერზე მდგარ ამ თაღზე: გზის დასასრული ახლოვდებოდა. თაღში რომ გაიარეს, მებარგულები შეჩერდნენ. მხარი უნდა ეცვალათ. ერთ-ერთმა მათგანმა გაოფლილი სახე ჭუჭყიანი ჩვრით მოიწმინდა. მიხვეულ-მოხვეული გზა ქვევით მიემართებოდა. გზის ორივე მხარეს ბინძური სახლები იდგა. ღამდებოდა. უცებ მებარგულები აღელვებულად ალაპარაკდნენ და ერთი ნახტომით კედელს გაეკრნენ. კიტის ტახტრევანი შეინჯღრა. მაშინვე მიხვდა მათი დაფრთხობის მიზეზს: კედელთან მდგომ მებარგულებს სწრაფად და ხმის ამოუღებლად ჩაუარა ოთხმა გლეხმა, რომელთაც შეუღებავი კუბო მოჰქონდათ. კუბოს ნედლი ხე ჩამოწოლილ ბინდში თეთრად ანათებდა. კიტის შიშისგან გულმა ბაგაბუგი დაუწყო. კუბო ჩაატარეს, მაგრამ მებარგულები ადგილიდან

არ დაძრულან, თითქოს გზის გასაგრძელებლად მხნეობა არ ჰყოფნიდათ. მერე უკნიდან ვიღაცამ დაიყვირა და ისინიც ხმაგაკმენდილები დაიძრნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ღია ჯიშკარში შეუხვიეს. ტახტრევანი მიწაზე დადგეს. ეს მომქანცველი გზის დასასრული იყო. კიტი ბუნგალოს სასტუმრო ოთახში შევიდა. ჩამოჯდა. ყულებმა კი ბარგი შემოიტანეს. ეზოში უოლტერი მითითებებს იძლეოდა, სად უნდა დაედოთ ესა თუ ის ნივთი. კიტი ძალიან დაღლილი იყო. უეცრად უცნობმა ხმამ შეაკრთო. - შეიძლება, შემოვიდე? კიტი გაფითრდა. იმდენად დაქანცულიყო, რომ უცნობთან შეხვედრის თავი აღარ ჰქონდა. გრძელ, დაბალ ოთახს მხოლოდ ერთი დაჩრდილული ლამპა ანათებდა. მამაკაცი სიბნელეს გამოეყო და ხელი გაუწოდა. - უედინგტონი, კომისრის თანაშემწე. - აჰ, საბაჟოს მოხელე, ვიცოდი, რომ აქ იყავით. მკრთალ სინათლეზე კიტიმ მხოლოდ ის გაარჩია, რომ ჩია ტანის გამხდარ კაცს მელოტი თავი და პატარა, უწვერული სახე ჰქონდა. - ზედ მთის ძირში ვცხოვრობ, მაგრამ რადგან ამ გზით მოხვედით, ჩემს სახლს ვერ დაინახავდით. ვიფიქრე, დაღლილები იქნებიან და სადილად ჩემთან ვერ წამოვლენ-მეთქი. ამიტომ სადილი აქ შევუკვეთე და თავიც დავიპატიჟე. - ძალიან სასიამოვნოა. - აი, ნახავთ, მზარეული არც ისე ცუდია. უოტსონის მსახურებიც დავიტოვე. - უოტსონი ის მისიონერია, აქ რომ ცხოვრობდა? - დიახ, ძალიან კარგი კაცი იყო. თუ გინდათ, ხვალ გაჩვენებთ მის საფლავს. - რა კეთილი ხართ, - უთხრა კიტიმ ღიმილით. ამ დროს ოთახში უოლტერი შემოვიდა (უედინგტონი კიტისთან შემოსვლამდე მას გაეცნო). უედინგტონმა უთხრა: - ეს წუთია, თქვენს მეუღლეს ვუთხარი, რომ თქვენთან ერთად ვსადილობ. რაც უოტსონი მოკვდა, მონაზვნების გარდა ხმის გამცემი არავინ მყავს, ფრანგული კი, მაინცდამაინც ბრწყინვალედ არ ვიცი. თუმცა, ან რაზე უნდა ველაპარაკო. - მოსამსახურე სასმელს ახლავე მოიტანს, - თქვა უოლტერმა. მსახურმა სოდიანი ვისკი შემოიტანა და კიტიმ შეამჩნია, რომ უედინგტონმა ბლომად დაისხა. მისმა საუბრის ტონმა და ხითხითმა თავიდანვე აფიქრებინა კიტის, რომ ნასვამი იყო. - ჩვენი

ბედნიერებისა იყოს, - თქვა მან, შემდეგ უოლტერს მიუბრუნდა. - თქვენ ბლომად სამუშაო გექნებათ. ბუზებივით იხოცებიან. ქალაქის მერი თავგზააბნეულია. პოლკოვნიკი იუ - გარნიზონის მეთაური - ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ქალაქში მისმა ჯარისკაცებმა მაროდიორობა არ დაიწყონ. თუ ახლო მომავალში რამე არ შეიცვალა, ჩვენსავე ლოგინებში ჩაგვხოცავენ ყველას. ვეცადე, დამერწმუნებინა მონაზვნები, აქაურობას გასცლოდნენ, მაგრამ არ მიდიან, წმინდანის მანტია უნდათ, ეშმაკმა დალახვროს. უდარდელად, ზედაპირულად ლაპარაკობდა და მის ხმაშიც სიცილის ლანდი იგრძნობოდა, ამიტომ, ღიმილის გარეშე ვერ მოუსმენდი. - თქვენ რატომ არ წახვედით? - ჰკითხა უოლტერმა. - შტატის ნახევარი დავკარგე, დანარჩენებიც ყოველ წუთს შეიძლება დაწვნენ და სული განუტევონ. ვინმე ხომ უნდა დარჩეს და საქმეს მიხედოს. - აგცრეს? - კი, უოტსონმა ამცრა, თვითონაც აიცრა, მაგრამ ვერაფერი უშველა მაგ საცოდავს, - ის კიტის მიუბრუნდა და სასაცილო პატარა სახე მხიარულად დაემანჭა, - არა მგონია, დიდი საფრთხე გემუქრებოდეთ, თუ სიფრთხილეს გამოიჩენთ. რძე და წყალი აადუღეთ. ახალ ხილსა და უმ ბოტსნეულს არ გაეკაროთ. გრამაფონის ფირფიტები ხომ არ ჩამოგიტანიათ? - მგონი, რომ არა, - მიუგო კიტიმ. - ვწუხვარ, იმედი მქონდა, ჩამოიტანდით. დიდი ხანია, არ მომისმენია. ჩემი ძველი ფირფიტები კი, მომბეზრდა. ბიჭი შემოვიდა და იკითხა, ხომ არ ისადილებთო. - იმედია სადილისთვის ტანსაცმლის გამოცვლას არ აპირებთ, - უთხრა უედინგტონმა. - ჩემი მსახური გასულ კვირას გარდაიცვალა, ახალი კი ნამდვილი ჩერჩეტია. ამიტომ სადილისთვის აღარ გამომიცვლია. - წავალ, ქუდს მოვიხდი, - თქვა კიტიმ. მისი ოთახი გვერდით იყო, ცოტა ავეჯი იდგა. იატაკზე მისი მსახური ქალი დაჩოქილიყო. გვერდით ლამპა მოედგა და კიტის ბარგს ალაგებდა. ამ პატარა სასადილო ოთახის დიდი ნაწილი უზარმაზარ მაგიდას ეჭირა. კედლებზე ბიბლიური სცენების გრავიურები და ბიბლიური ტექსტები ეკიდა. - მისიონერებს ყოველთვის დიდი სასადილო მაგიდები აქვთ, - თქვა უედინგტონმა. - თითოეული ბავშვის გაჩენისას ხელფასზე საკმაო დანამატს იღებენ. თავიდანვე ისეთ

მაგიდებს ყიდულობენ, რომ ყველა პატარა დაეტიოს. ჭერში პარაფინის დიდი ლამპა ეკიდა და კიტიმ ახლა უკეთ დაინახა უედინგტონი. სიმელოტის გამო მანამდე ხნიერი მოეჩვენა, თუმცა ახლა დაინახა, რომ ორმოც წელს კიდევ ბევრი უკლდა. მრგვალი, მაღალი შუბლი და უნაოჭო, ფერიანი, პატარა სახე, ასევე პატარა, ნათელი ცისფერი თვალები და ქერა თხელი წარბები ჰქონდა. სახე მაიმუნს მიუგავდა, თუმცა რაღაც მომხიბლაობაც ახლდა. ნაკვთები, ცხვირი, პირი ბავშვისაზე ოდნავ დიდი თუ ექნებოდა. სასაცილო, პატარა ბებერ ბიჭს ჰგავდა. ლიქიორს ეძალებოდა და სადილზე კარგადაც გამოთვრა. მაგრამ სიმთვრალეში არავის შეურაცხყოფდა და იმ სატირივით მხიარულობდა, მძინარე მწყემსს ღვინის ტიკჭორა რომ მოპარა. ჰონკონგზე ისაუბრა. იქ ბევრი მეგობარი ჰყავდა და მათი ამბავი აინტერესებდა. ერთი წლის წინ იქ დოღზე ყოფილა და ახლა ცხენებსა და მათ მეპატრონეებს ახსენებდა. - მართლა, ტაუნსენდი რას შვრება? - იკითხა მოულოდნელად, - გუბერნატორობას ხომ არ აპირებს? კიტიმ იგრძნო, როგორ წამოწითლდა, მაგრამ ქმარს მისთვის არ შეუხედავს. - არ გამიკვირდება, - მიუგო უოლტერმა. - ისეთი კაცია, წინ წავა. - იცნობთ? - ჰკითხა უოლტერმა. - კი, ძალიან კარგად. ერთხელ შინიდან ერთად გამოვემგზავრეთ. მდინარის გაღმა ნაპირიდან გონგის ხმა და მაშხალების ტკაცუნი მოისმა. იქ, მათთან ასე ახლოს, შიშით მოცული დიდი ქალაქი გადაშლილიყო და მის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ანაზდეული ვერაგი სიკვდილი დათარეშობდა. უედინგტონმა ლონდონზე ჩამოაგდო საუბარი. თეატრები ახსენა. ყველაფერი იცოდა, რაც მაშინ იდგმებოდა და ისიც გაიხსენა, რა ნახა, როცა ბოლოს შინ შვებულებით ჩავიდა. რომელიღაც მდარე კომედიანტის იუმორი გაიხსენა და გაეცინა. მუსკომედიის მშვენიერ ვარსკვლავზე საუბრისას კი ამოიოხრა. სიამოვნებით ტრაბახობდა, ჩემმა ბიძაშვილმა ყველაზე სახელგანთქმული ვარსკვლავი შეირთო ცოლადო. ერთხელ მასთან ვსაუზმობდი და იმ ქალმა თავისი ფოტო მაჩუქაო და დაჰპირდა, რომ საბაჟოში სადილად სტუმრობისას აჩვენებდა. უოლტერი ცივად და დაცინვით უყურებდა სტუმარს, მაგრამ ჩანდა, რომ უედინგტონი, ცოტა

არ იყოს, ართობდა კიდეც. მხოლოდ ზრდილობის გამო აჩვენებდა თავს, თითქოს ეს ყველაფერი აინტერესებდა; კიტიმ კარგად იცოდა, რომ მას ამ ამბების არაფერი გაეგებოდა. ტუჩებზე სუსტი ღიმილი შეჰყინვოდა. კიტი კი, თვითონაც არ იცოდა რატომ, შიშს აეტანა: მკვდარი მისიონერის სახლი, ეს დაავადებული ქალაქი და ისინი - ერთმანეთისთვის სრულიად უცხო, სამი მარტოსული სამყაროსგან გარიყული არსება! ისადილეს თუ არა, კიტი სუფრიდან ადგა. - საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, რომ დაგემშვიდობოთ? დასაძინებლად მივდივარ. - მეც წავალ, ექიმსაც, ალბათ, დაწოლა უნდა, - მიუგო უედინგტონმა. - ხვალ ადრე უნდა გავიდეთ. მან კიტის ხელი ჩამოართვა. ფეხზე მყარად იდგა, მაგრამ თვალები კიდევ უფრო უჟუჟუნებდა. - მოგაკითხავთ და წაგიყვანთ, მერსა და პოლკოვნიკს გაგაცნობთ. მერე კი, მონასტერში წავალთ. დიახ, სამუშაო ნამდვილად არ მოგაკლდებათ, - უთხრა უოლტერს. ღამე კიტი უცნაურმა სიზმრებმა დატანჯა: თითქოს ტახტრევნით მიჰყავდათ და რყევასაც გრძნობდა, როცა მებარგულები გრძელი, არეული ნაბიჯით მიდიოდნენ. კიტი დიდ და ნისლით დაბურულ ქალაქში შედიოდა. ხალხი ჩავლისას ცნობისმოყვარე თვალებით უყურებდა. ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ყველა მაღაზია ღია იყო. უცხო საქონელი გამოეტანათ, კიტის ჩავლისას ვაჭრობა წყდებოდა. მყიდველები და გამყიდველები ჩერდებოდნენ... შემდეგ მემორიალურ თაღთან მივიდა. თაღის ფანტასტიკური მოხაზულობა უეცრად თითქოს გაცოცხლდა: ინდუსების ღმერთის მოძრავ ხელებს დაემსგავსა. კიტიმ თაღქვეშ გაიარა. უცებ ირონიული სიცილის ექო შემოესმა. მერე მისკენ ჩარლზ ტაუნსენდი წამოვიდა, მკლავები მოჰხვია, ტახტრევნიდან გადმოიყვანა და უთხრა, შევცდი, ასე არ უნდა მოგგქცეოდი, მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. კიტი გრძნობდა, როგორ ჰკოცნიდა ჩარლზს ტუჩებში და სიხარულით ტიროდა. ეკითხებოდა, მაშ, რატომ მოექცა ასე სასტიკად და თანაც იცოდა, რომ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მერე ხრინწიანი, უხეში ყვირილი მოესმათ და ისინი ერთმანეთს მოაშორეს. მათ შუა სწრაფად და უხმოდ ჩაიარეს ლურჯ

ძონძებში გახვეულმა ყულებმა. მათ კუბო მიჰქონდათ. შეშინებულ კიტის გამოეღვიძა. მათი სახლი ციცაბო მთის ფერდობის შუაში იდგა. კიტი თავისი ფანჯრიდან ხედავდა ვიწრო მდინარეს, მის იქით კი - ქალაქს. თენდებოდა. მდინარეზე თეთრი ნისლი ჩამოწოლილიყო და ერთმანეთთან მიწყობილ ჯონკებს1 ჰბურავდა. მდინარეში ასობით ჯონკა იდგა. ბუნდოვან სინათლეზე იდუმალებით მოცულთ, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს მისი ეკიპაჟი ჯადოქარს მოენუსხა. ეს არ ჰგავდა ძილს, რაღაც ენით უთქმელ საშინელებას გაეხადა ისინი ასეთი უძრავნი და მდუმარენი. გათენდა. მზის სხივები ნისლს მისწვდა და მასში თეთრად აკიაფდა, როგორც თოვლის აჩრდილი ჩამქრალ მნათობზე. მდინარეზე ჩამოწოლილი მსუბუქი ნისლის ფონზე კიტი ბუნდოვნად არჩევდა შეჯგუფებულ ჯონკებსა და მათი ანძების ხშირ ტყეს. მის ზემოთ აღმართულ მანათობელ გალავანში თვალი ვერ ატანდა. უცებ თეთრი ღრუბლიდან მაღალი, ქუში და ვეება კოშკი გამოცურდა. იგი თითქოს ყოვლისშემძლე მზემ კი არ გაანათა, არამედ რაღაც ჯადოსნური ჯოხის შეხებამ წარმოშვა არაფრისგან, და ისე გადმოკიდებულიყო მდინარეზე, როგორც სასტიკ ბოროტმოქმედთა ციხესიმაგრე. ჯადოქარი, ვინც ეს კოშკი აღმართა, გამალებით მუშაობდა. ახლა კოშკს ფერადი კედელი დაადგა თავზე. მეორე წუთს ნისლიდან ბუნდოვნად გამოიკვეთა ალაგ-ალაგ მზის ოქროსფერი სხივებით განათებული ყვითელ-მწვანე სახურავები, რომლებიც იმდენად უზარმაზარი ჩანდა, ვერ გაარკვევდი, რა სტილს მიეკუთვნებოდა, ან რა წესით იყო განლაგებული. თავისებური და უცნაური, მაგრამ საოცრად მდიდრული იყო. ეს არ იყო ციხე, არც ტაძარი, ეს იყო ღმერთების რომელიღაც მბრძანებლის ჯადოსნური სამყოფელი, სადაც ძეხორციელი ფეხს ვერ შედგამდა. იგი ისეთი ჰაეროვანი, ზღაპრული და არარეალური ჩანდა, არ შეიძლებოდა ადამიანის ხელს შეექმნა. იგი ოცნების ქმნილება გახლდათ. კიტის ცრემლები ჩამოსდიოდა. ხელები გულზე დაეკრიფა, სუნთქვაშეკრულს პირი ოდნავ გაეღო და ამ საოცრებას მისჩერებოდა. ასე მსუბუქად

არასოდეს უგრძვნია თავი: თითქოს მისი სხეული მის ფეხთით დაგდებული ნაჭუჭი იყო, თვითონ კი წმინდა სულად გადაიქცა. ეს სილამაზე კიტიმ მორწმუნის მიერ სეფისკვერის - უფლის სხეულის - მიღებას შეადარა. უოლტერი დილით ადრე გავიდა. საუზმეზე მხოლოდ ნახევარი საათით შემოიარა და მერე სადილობამდე აღარ დაბრუნებულა. კიტიმ კიდევ უფრო ეულად იგრძნო თავი. რამდენიმე დღე სახლიდან ფეხი არ გაუდგამს. ძალიან ცხელოდა და უმეტესად ღია ფანჯარასთან მდგარ შეზლონგზე იყო წამოწოლილი. ცდილობდა კითხვისთვის გული დაედო. შუადღის თვალისმომჭრელმა სინათლემ ჯადოსნურ სასახლეს იდუმალება ჩამოაცალა. ახლა ის მხოლოდ ქალაქის გალავანზე აღმართული ტაძარი იყო, მყვირალა და უბადრუკი. მაგრამ, რადგან კიტი ერთხელ ძალზე აღაფრთოვანა მისმა ხილვამ, უკვე უბრალოდ ვეღარ აღიქვა: გამთენიისას, ან როცა ღამის ბინდი ჩამოწვებოდა, ზოგჯერ ისევ იჭერდა იმ სილამაზის ანარეკლს. ის, რაც უძლეველ სიმაგრედ მოეჩვენა, ქალაქის გალავანი აღმოჩნდა. კიტი დიდხანს თვალმოუშორებლად უცქერდა ხოლმე ამ მკვიდრ, ქუშ კედელს, რომლის ქონგურებს მიღმა სიკვდილის საშინელ მარწუხებში მოქცეული ქალაქი გადაშლილიყო. კიტიმ ბუნდოვნად იცოდა, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა იქ, თუმცა, უოლტერი მის შეკითხვებს (რადგან სხვაგვარად იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდა) უდარდელი ხუმრობით პასუხობდა, რაზეც კიტის ჟრუანტელი უვლიდა. მაგრამ უედინგტონისა და მსახურისგან იცოდა, რომ დღეში ასი კაცი კვდებოდა. ვისაც სენი შეეყრებოდა, იშვიათად თუ გადარჩებოდა. მიტოვებული ტაძრებიდან ღმერთების გამოსახულებები გამოიტანეს და ქუჩებში დადგეს. მათ წინ შესაწირავები ეწყო და მსხვერპლსაც სწირავდნენ, მაგრამ ამან ჟამიანობა ვერ შეაჩერა. ადამიანები ისე სწრაფად იხოცებოდნენ, დამარხვას ვერ ასწრებდნენ. სენმა ზოგიერთი ოჯახი ისე ამოწყვიტა, წესის ამგებიც არავინ დარჩა. რომ არა გარნიზონის მეთაურ იუს შეუპოვრობა, აქამდე ქალაქს მაროდიორობა და გადაწვა არ ასცდებოდა. ის აიძულებდა თავის ჯარისკაცებს მკვდრები დაემარხათ, თუ მათი დამმარხავი სხვა არავინ იყო. ერთხელ

თავისი ხელით დახვრიტა ერთი ოფიცერი, რომელსაც დაავადებულ სახლში შესვლა არ უნდოდა. კიტის ზოგჯერ ისეთი შიში აიტანდა, გული უფრთხიალებდა და ხელ-ფეხი უცახცახებდა. ადვილი სათქმელია, თუ სიფრთხილეს გამოიჩენ, საშიში არაფერიაო. ის ისეთმა ძრწოლამ აიტანა, გონებაში გაქცევის გიჟურ გეგმებს აწყობდა. ოღონდ იქაურობას გასცლოდა, უშიშარ ადგილამდე მიეღწია, მზად იყო, რაც ტანთ ეცვა, იმითვე გაქცეულიყო და მარტო ევლო. ფიქრობდა, უედინგტონისთვის თავი შეებრალებინა, ყველაფერი მოეთხრო და შევედრებოდა, ჰონკონგში დაბრუნებაში დახმარებოდა, ან ქმარს მუხლებში ჩავარდნოდა და გამოტყდომოდა, მეშინიაო. მართალია, უოლტერს სძულდა, მაგრამ იმდენი ადამიანურობა მაინც აღმოაჩნდებოდა, რომ შებრალებოდა. მაგრამ გაქცევა შეუძლებელი იყო, რომც წასულიყო, ვის მისდგომოდა? დედასთან არ მიესვლებოდა: ის აგრძნობინებდა, გაგათხოვე და თავიდან მოგიშორეო. მასთან წასვლა არც თავად სურდა. კიტის ჩარლისთან უნდოდა, მაგრამ ჩარლზს არ უნდოდა მასთან. იცოდა, რასაც ეტყოდა, კიტი უცებ მის წინ რომ გაჩენილიყო. როგორ მოიღუშებოდა და გაუმკაცრდებოდა ლამაზი თვალები, როგორ გაუჭირდებოდა მისთვის სასიამოვნო სიტყვების თქმა. კიტიმ ხელები მომუშტა. არაფერს დაიშურებდა, რომ ჩარლზი ისევე დაემცირებინა, როგორც მან დაამცირა. ხანდახან ისეთი სიშმაგე აიტანდა, ნატრობდა, უოლტერს გაჰყროდა და თავისი ცხოვრება დაენგრია, ოღონდ, კი ჩარლზი გაენადგურებინა. მისი სიტყვების გახსენებაზე სირცხვილის გრძნობა სწვავდა. როგორც კი მარტო დარჩა უედინგტონთან, კიტიმ ტაუნსენდზე ჩამოაგდო საუბარი. უედინგტონმა ის მათი ჩამოსვლის საღამოს ახსენა. კიტიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ჩარლზი მხოლოდ მისი ქმრის ნაცნობი იყო. - მაინცდამაინც არ მომწონდა, - უთხრა უედინგტონმა, - ყოველთვის ვფიქრობდი, რომ აბეზარი ვინმე იყო. - თქვენი გულის მოგება ძალზე ძნელი ყოფილა, - მიუგო კიტიმ მისთვის დამახასიათებელი კეკლუცობით, - მგონი, ის ჰონკონგში ყველაზე სახელმოხვეჭილი მამაკაცია. - ვიცი, ამის მეტი არც არაფერი გააჩნია. პოპულარობის

ხელოვნება კარგად აქვს შესწავლილი. შეუძლია ყოველ ახლადგაცნობილს აგრძნობინოს, შენს ნახვას არაფერი მირჩევნიაო. მუდამ მზადაა სამსახური გაგიწიოს, თუ ამით თვითონ არ შეწუხდება, ხოლო თუ არაფერი გაგიკეთა, შეეცდება, ისეთი შთაბეჭდილება შეგიქმნას, ვითომ ამის გაკეთება ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. - ეს ხომ მართლა მიმზიდველი თვისებაა. - მომხიბვლელობა, როგორც ასეთი, საბოლოოდ ცოტა მოსაბეზრებელი ხდება, მე ასე მგონია. მის შემდეგ შვებასაც კი იგრძნობ, როცა არც ისე მომხიბვლელ, მაგრამ ალალ ადამიანთან გექნება საქმე. დიდი ხანია ჩარლზ ტაუნსენდს ვიცნობ და ერთი-ორჯერ ნიღაბჩამოხსნილი დავიჭირე - მე ხომ არაფერს წარმოვადგენდი, საბაჟოს ერთი უბრალო მოხელე გახლდით - და ვიცი, თავისი თავის გარდა ამქვეყანად იოტისოდენადაც კი არავინ უყვარს. სკამზე მოხერხებულად გადაწოლილმა კიტიმ მომღიმარე თვალებით შეხედა. თითზე ქორწინების ბეჭედს აწვალებდა. - აუცილებლად წინ წავა. ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი კარგად იცის. ვიცი, ისე არ მოვკვდები, მისთვის „თქვენო უმაღლესობავ“-ით მიმართვა და ოთახში მისი შემოსვლისთანავე ფეხზე ადგომა არ მომიწიოს. - უმეტესობას მიაჩნია, რომ დაწინაურებას იმსახურებს. საერთოდ, გამორჩეული უნარის მქონე კაცად თვლიან. - უნარიანად? რა სისულელეა! დიდი უტვინო ვინმეა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს საქმეს თავს ადვილად ართმევს და წარმატებით აგვირგვინებს. სინამდვილეში კი მსგავსი არაფერი ხდება. ერთი კირკიტა ევრაზიელი კლერკია. - მაშ, როგორღა მოიხვეჭა ასეთი ჭკვიანი კაცის სახელი? - ქვეყანაზე სულელების მეტი რა დადის! როცა მაღალი თანამდებობის კაცი არ მედიდურობს, მხარზე ხელს გითათუნებს და გეუბნება, შენი გულისთვის რას არ გავაკეთებო, ჭკვიანი გგონია. და კიდევ, ეს მისი ცოლის წყალობაცაა. აი, ვინ არის მართლა უნარიანი და გონიერი, ვისი რჩევაც ყოველთვის უნდა გაითვალისწინო. სანამ ჩარლზ ტაუნსენდს ეს ქალი მხარში უდგას, სისულელის ჩადენისგან დაზღვეულია. ეს კი, ყველაზე აუცილებელია კაცისთვის, რომ სამთავრობო სტრუქტურაში დაწინაურდეს. მათ

ჭკვიანი ხალხი არ სჭირდებათ. ჭკვიან კაცს იდეები აწუხებს, რაც ზედმეტ უსიამოვნებას იწვევს: იმათ ისეთები უნდათ, რომლებიც მომხიბლავები და ტაქტიანები არიან. თან იმედი აქვთ, რომ უხეშ შეცდომას არ დაუშვებენ. დიახ, ჩარლზ ტაუნსენდი თავისას მიაღწევს. - ნეტავ, რატომ გეჯავრებათ? - არ მეჯავრება. - მაგრამ მისი ცოლი ხომ უფრო მეტად მოგწონთ? - გაუღიმა კიტიმ. - მე ძველი ყაიდის კაცი ვარ და კარგად აღზრდილი ქალები მომწონს. - ნეტავ, ისევე კარგად იცვამდეს, როგორი აღზრდილიც არის. - კარგად არ აცვია? არ შემიმჩნევია. - გამიგონია, ძალიან ერთგული ცოლ-ქმარიაო, - უთხრა კიტიმ, თან წამწამებს ქვემოდან გახედა. - ჩარლზი ძალიან კარგად ექცევა, ამას ვერ დაუკარგავ. მე მგონი, ეს მისი საუკეთესო თვისებაა. - ფრიად თავშეკავებულად აქებთ. - აქვს პატარ-პატარა გატაცებებიც, მაგრამ არც ერთი სერიოზული არ არის. საკმაოდ ეშმაკია და ისე არ შეტოპავს, რომ თავს პრობლემები შეუქმნას. ვნებიანი კაცი არ არის: მხოლოდ პატივმოყვარეა. უყვარს, როცა აღმერთებენ. ახლა ცოტა გასუქდა, ორმოცსაც მიაღწია და მაინც მოსწონთ. ძალიან ლამაზი კი იყო, კოლონიაში პირველად რომ ჩამოვიდა. თავად მომისმენია, როგორ ხუმრობდა მისი ცოლი ქმრის სატრფიალო გამარჯვებებზე. - ქმრის გატაცებები ყურადღების ღირსად არ მიაჩნია? - ოჰ, არა. იცის, რომ ეს გატაცებები სიყვარულში არ გადაიზრდება. ამბობს, ნეტავ შემეძლოს იმ საცოდავებთან მეგობრობა, ჩარლზი რომ უყვართ, მაგრამ ყველანი ისეთი უინტერესონი არიან, რომ სულაც არ მომწონს, ჩემს ქმარს ასეთი მდაბიო ქალები რომ ეტანებიანო. უედინგტონის წასვლის შემდეგ კიტი მის დაუფიქრებელ ნათქვამს აანალიზებდა. ეს არცთუ სასიამოვნო მოსასმენი იყო. კიტიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს ამბავი მას სულაც არ ეხებოდა. უედინგტონმა მწარე სიმართლე უთხრა. კიტიმ იცოდა, რომ ჩარლზი უტვინო და პატივმოყვარე იყო. ძალიან უყვარდა, როცა ეპირფერებოდნენ. კიტის ახსოვდა, როგორ თავმომწონედ უყვებოდა თავის ამბებს საკუთარი ჭკუის დასამტკიცებლად... თავი მოჰქონდა სულმდაბალი ეშმაკობით. რა არარაობა ყოფილა კიტი, რომ ასეთი კაცი მხოლოდ ლამაზი

თვალებისა და მოხდენილი ტანადობის გამო შეიყვარა! ნატრობდა, შეჯავრებოდა, თუმცა ისიც იცოდა, რომ სიძულვილიდან სიყვარულამდე ერთი ნაბიჯი იყო. ჩარლზის საქციელს კიტისთვის თვალები უნდა აეხილა. უოლტერს ის ყოველთვის სძაგდა. ოჰ, ნეტავ, შეეძლოს და ჩარლზი დაივიწყოს! ნეტავ, მისი ცოლი თუ დასცინოდა კიტის ბრმა სიყვარულის გამო? დოროთი, ალბათ, დაუმეგობრდებოდა საინტერესოდ რომ ჩაეთვალა. კიტის მწარედ გაეღიმა: როგორ აღშფოთდებოდა დედამისი, რომ გაეგო, მის ქალიშვილზე რას ფიქრობენ! მაგრამ ღამით ისევ ჩარლზი დაესიზმრა. გრძნობდა მის მჭიდროდ შემოხვეულ მკლავებსა და ვნებიან კოცნას. რა მოხდა მერე, რომ ჩარლზი გასუქდა და ორმოცი წლისაა? კიტი ნაზად უღიმოდა, რადგან ჩარლზი ამ ამბავს განიცდიდა. ქალს კიდევ უფრო მეტად უყვარდა მისი ბავშვური პატივმოყვარეობის გამო, გული შესტკიოდა და მზად იყო დაემშვიდებინა. როცა გაეღვიძა, ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა. არ იცოდა, რატომ ეჩვენებოდა ტრაგიკულად ძილში ტირილი. კიტი ყოველდღე ხვდებოდა უედინგტონს, რადგან მუშაობის შემდეგ ფეინების სახლთან გაივლიდა ხოლმე. ასე რომ, ერთ კვირაში ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რასაც სხვა პირობებში ამ ხნის განმავლობაში ვერ შეძლებდნენ. ერთხელ, როცა კიტიმ უთხრა, არ ვიცი, უთქვენოდ რა მეშველებოდაო, უედინგტონმა სიცილით მიუგო: - იცით რა, აქ მხოლოდ მე და თქვენ დავდივართ მიწაზე მყარად, წყნარად და მშვიდად, მონაზვნები ცაში დაფრინავენ, თქვენი ქმარი კი წყვდიადში დააბიჯებს. კიტიმ უდარდელად გაიცინა, თუმცა კარგად ვერ გააცნობიერა, რას გულისხმობდა უედინგტონი. კიტიმ რამდენჯერმე შეამჩნია, რომ ის თავისი მხიარული ცისფერი თვალებით თავაზიანად, თუმცა ყურადღებით მისჩერებოდა. კიტიგრძნობდა, რომ მისი და უოლტერის დამოკიდებულება უედინგტონის ცინიკურ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. ართობდა კიდეც, საგონებელში რომ აგდებდა ამ გამჭრიახ კაცს... იცოდა, რომ მის მიმართ მეგობრულად იყო განწყობილი და თავადაც მოსწონდა. უედინგტონი არც ენამახვილობით გამოირჩეოდა და არც დიდი ჭკუით, მაგრამ

პირდაპირი და გამკილავი ლაპარაკი იცოდა. არ შეიძლებოდა მის სიტყვებზე არ გაგცინებოდა, როცა ამ მელოტს სიცილისგან მთლად ემანჭებოდა ისედაც ღიმილის მომგვრელი ბიჭური სახე. მრავალი წლის განმავლობაში იმპერიის ავანპოსტებზე1 ცხოვრობდა. ხშირად ხმისგამცემი ერთი ევროპელიც არ ჰყავდა გვერდით და ამიტომაც მისი ხასიათის თავისუფალი განვითარებისთვის ხელი არავის შეუშლია. მისი გულწრფელობა ძალას გმატებდა. ცხოვრება სასაცილოდ მიაჩნდა. მწარედ დასცინოდა როგორც ჰონკონგის კოლონიას, ასევე მეი-ტან-ფუს ჩინელ ხელისუფალთ და გამანადგურებელ ქოლერასაც კი. ტრაგიკულ თუ საგმირო ამბებს სასაცილო ელფერს ანიჭებდა. ჩინეთში ცხოვრების ოცი წლის მანძილზე ბევრი რამ გადახდენოდა. მისი მონაყოლიდან შეგეძლო დაგესკვნა, თუ რა სულელურად, უცნაურად და სასაცილოდ იყო მოწყობილი ეს ქვეყანა. მართალია, ამბობდა, ჩინური არ ვიციო (ამტკიცებდა, სინოლოგები გიჟები არიანო), მაგრამ ამ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა. კითხვით ცოტას კითხულობდა და, რაც იცოდა, მხოლოდ ყურმოკვრით ჰქონდა გაგებული, მაგრამ მისთვის ჩვეული მსუბუქი იუმორით ხშირად უყვებოდა კიტის ნაწყვეტებს ჩინური რომანებიდან თუ ისტორიიდან. მის იუმორში თანაგრძნობა და სინაზე იგრძნობოდა. კიტი ხანდახან იმასაც კი ფიქრობდა, იქნებ, უედინგტონი ქვეშეცნეულად ჩინელთა შეხედულებებს იზიარებს, რომ ევროპელები ბარბაროსები არიან და წუთისოფელს უაზროდ ატარებენ, რომ მხოლოდ ჩინელთა ცხოვრების ყაიდით შეიძლება ჭკვიანმა კაცმა მასში რაღაც ჭეშმარიტება დაინახოს. კიტის ეს აფიქრებდა. მან ჩინელებზე არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ ისინი სულმდაბალი ხალხია, ბინძური და ამაზრზენი. თითქოს ფარდის კუთხე წამით აიწია და კიტიმ ისეთი მრავალფეროვანი და ღრმააზროვანი სამყარო დაინახა, სიზმარშიც რომ არ მოლანდებია. უედინგტონი იჯდა. ლაპარაკობდა. იცინოდა. სვამდა. - როგორ ფიქრობთ, ძალიან ბევრს ხომ არ სვამთ? - ჰკითხა კიტიმ თამამად. - ეს ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნებაა ცხოვრებაში, - მიუგო მან, - თანაც ქოლერისგან მიცავს. წასვლისას თითქმის

ყოველთვის მთვრალი იყო, მაგრამ სასმელს კარგად იტანდა. მხიარულ ხასიათზე დგებოდა. თავს არ გაბეზრებდა. ერთ საღამოს უოლტერი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა და უედინგტონს სადილად დარჩენა სთხოვა. სადილზე საგულისხმო ამბავი მოხდა. წვნიანი და თევზი რომ მიირთვეს, მსახურმა ბიჭმა კიტის ახალი მწვანე სალათა დაუდგა. - ღმერთო ჩემო, ამის ჭამას ხომ არ აპირებთ? - იყვირა უედინგტონმა, კიტიმ სალათა რომ გადაიღო. - დიახ, ჩვენ ყოველ საღამოს ამას გეახლებით. - ჩემს ცოლს უყვარს სალათა, - თქვა უოლტერმა. სალათა უედინგტონსაც მიაწოდეს, მაგრამ მან თავი გააქნია. - გმადლობთ, სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ. უოლტერმა კუშტად გაიღიმა და თვითონაც გადაიღო. უედინგტონს აღარაფერი უთქვამს, აღარც ბევრი ულაპარაკია, რაც მისგან უჩვეულო იყო და სადილის შემდეგ მალე წავიდა. ისინი მართლაც ყოველ საღამოს ჭამდნენ სალათას. მათი ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ ფატალისტმა მზარეულმა (როგორიც ყველა ჩინელია) სალათა მოამზადა. კიტიმ დაუფიქრებლად გადაიღო. უოლტერი სწრაფად გადმოიხარა წინ: - არ ჭამო. ეს ბიჭი ხომ არ გაგიჟდა, რამ მოატანინა? - რატომ? - ჰკითხა კიტიმ და ქმარს თვალებში შეხედა. - ძალიან საშიშია. სიგიჟეა ახლა ამის ჭამა, მოგკლავს. - მაგიტომაც გადავიღე, - მიუგო კიტიმ. სალათას გულგრილად ჭამდა და ქმარს დამცინავი თვალებით შეჰყურებდა. მოეჩვენა, რომ უოლტერი გაფითრდა. მაგრამ, როცა მოახლემ სალათა მიაწოდა, მანაც გადაიღო. მზარეულმა დაინახა, რომ სალათაზე უარს არ ამბობდნენ და ყოველდღე ამზადებდა. ისინიც, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, ყოველდღე მიირთმევდნენ. სისულელე იყო თავის ასე გაწირვა. კიტის ეპიდემიის ძალიან ეშინოდა, მაგრამ რატომღაც ეგონა, რომ ამით არამარტო მწარედ იძიებდა შურს უოლტერზე, არამედ თავის საშინელ შიშსაც დათრგუნავდა. ამ შემთხვევიდან მეორე დღეს უედინგტონი ნაშუადღევს ეწვია კიტის. ცოტა ხანს იჯდა და მერე გასეირნება შესთავაზა. კიტის ჩამოსვლის დღიდან სახლიდან ფეხი არ გაუდგამს, ამიტომ სიამოვნებით დათანხმდა. - სასეირნო ადგილი აქ ცოტაა, - უთხრა უედინგტონმა. -

მაგრამ მთაზე ავიდეთ. - ოჰ, სადაც თაღი დგას? ვერანდიდან ხშირად ვუყურებ. ერთ-ერთმა მსახურმა მძიმე ჭიშკარი გაუღო და ისინი მტვრიან გზაზე გავიდნენ. რამდენიმე იარდი რომ გაიარეს, უეცრად კიტიმ უედინგტონს მკლავზე ხელი სტაცა და შეძრწუნებულმა შეჰკივლა. - შეხედეთ! - რა მოხდა? გალავნის ძირას ვიღაც ფეხებგაჩაჩხული და მკლავებგაშლილი კაცი იწვა პირაღმა. დაკემსილი ლურჯი ძონძები ეცვა, ზემოთ ბღუჯად შეკრული თმა გაჩეჩოდა. ეტყობოდა, ჩინელი მათხოვარი იყო. - მკვდარს ჰგავს, - თქვა სუნთქვაშეკრულმა კიტიმ. - მკვდარიცაა. წამოდით. სჯობს იქით გაიხედოთ. რომ დავბრუნდებით, ვეტყვი, აქაურობას მოაშორონ. მაგრამ კიტი ისე ცახცახებდა, ფეხის გადადგმა ვეღარ შეძლო. - მკვდარი არასოდეს მინახავს. - მაშინ სჯობს, აქედანვე შეეჩვიოთ. ამ მხიარულ ადგილას კიდევ ბევრს ნახავთ. უედინგტონმა კიტის ხელკავი გამოსდო. ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. - ქოლერით მოკვდა? - ჰკითხა ბოლოს ქალმა. - ალბათ. ისინი გორაკს აუყვნენ და თაღთან მივიდნენ. მდიდრულად მოჩუქურთმებული, ზღაპრული თაღი, როგორც აქაურობის ორიენტირი, გარემოს ირონიით გადაჰყურებდა. კვარცხლბეკზე ჩამოსხდნენ და ძირს გადაშლილ დაბლობს გახედეს. გორაკი უწესრიგოდ მიჯრილ საფლავის ბორცვებს დაეფარა, თითქოს მიწის ქვეშ მკვდრები ერთმანეთას ეჭიდებიანო. მოკირწყლული ვიწრო გზა ბრინჯის მწვანე მინდვრებში მიიკლაკნებოდა. პატარა ბიჭი კამეჩზე წამოსკუპებულიყო და ტაატით მიდიოდა შინისკენ, ჩალისქუდიანი და ზურგზე მძიმე ტვირთმოკიდებული სამი გლეხი კი, გვერდიგვერდ მძიმედ მიაბიჯებდა. შუადღის პაპანაქების შემდეგ საღამოს ნელი სიო სასიამოვნოდ უბერავდა. თვალუწვდენელი სივრცე მშვიდ სევდას ჰგვრიდა ტანჯულ გულს. მაგრამ კიტის მკვდარი მათხოვარი არ ავიწყდებოდა. - როგორ შეგიძლიათ საუბარი, სიცილი და ვისკის სმა, როცა ირგვლივ ხალხი იხოცება? - ჰკითხა უეცრად. უედინგტონმა არ უპასუხა, მობრუნდა და შეხედა. მერე მკლავზე ხელი დაადო. - იცით, რას გეტყვით, აქ ქალს არაფერი ესაქმება, - უთხრა დინჯად. - რატომ უკანვე არ გაემგზავრებით? კიტიმ გრძელი წამწამებიდან ალმაცერად

გახედა და ოდნავ გაიღიმა. - ვფიქრობ, ასეთ დროს ცოლი ქმრის გვერდით უნდა იყოს. - როდესაც ტელეგრაფით მაცნობეს, რომ ფეინთან ერთად თქვენც მოდიოდით, გამიკვირდა. შემდეგ ვიფიქრე, ალბათ, მედდაა და ასეთი სამუშაო მისი საქმეა-მეთქი. მეგონა, თქვენც იმისთანა ქალი იქნებოდით, წელში რომ წყდებიან ავადმყოფების მოვლით. სახლში რომ შემოვედი და თქვენ დაგინახეთ, გაკვირვებისგან სახტად დავრჩი. ძალიან სუსტი, ფერმკრთალი და დაღლილი ჩანდით. - აბა, რა გეგონათ, ცხრა დღე გზაში ყოფნა დამამშვენებდა? - ახლაც სუსტი, ფერმკრთალი და დაღლილი ჩანხართ და, თუ ამის თქმის უფლებას მომცემთ, საშინლად უბედურადაც გამოიყურებით. კიტი უნებლიეთ წამოწითლდა, მაგრამ მაინც მხიარულად გაიცინა. - ვწუხვარ, თუ ჩემი იერი არ მოგწონთ. ჩემი უბედურების ერთადერთი მიზეზი გრძელი ცხვირია, რომელიც თორმეტი წლის ასაკში აღმოვაჩინე. მაგრამ ფარული სევდის ტარება ძალიან მომგებიანია, ვერ წარმოიდგენთ, რამდენ კეთილ ახალგაზრდა მამაკაცს სურდა ჩემი ნუგეშისცემა. უედინგტონმა თავისი ცისფერი ციმციმა თვალები კიტის მიაპყრო და ქალი მიხვდა, რომ მან მისი არცერთი სიტყვა არ დაიჯერა. მაგრამ ეს მისთვის სულერთი იყო, რადგან უედინგტონი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყველაფერი სჯეროდა. - ვიცოდი, დიდი ხნის დაქორწინებულები არ იყავით. ვიფიქრე, ცოლ-ქმარს გაგიჟებით ეყვარება ერთმანეთი-მეთქი. ვერ დავიჯერებ, რომ მისი სურვილით წამოხვედით, ალბათ, მტკიცე უარი თქვით შინ დარჩენაზე. - მეტად ლოგიკური ახსნაა, - მიუგო კიტიმ უდარდელად. - მაგრამ არასწორი. კიტი შეკრთა და დაელოდა, რას იტყოდა უედინგტონი, რადგან კარგად იცოდა მისი მიხვედრილობა და პირდაპირობა. ნეტავ, ახლა რას იტყვის? - საერთოდ არ მგონია, რომ ქმარი გიყვართ. ვფიქრობ, გეჯავრებათ. არც ის გამიკვირდება, თუ გძულთ კიდეც. მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისი გეშინიათ. კიტი ერთხანს განზე იყურებოდა. არ უნდოდა უედინგტონს ენახა, როგორ იმოქმედა მისმა ნათქვამმა. - ვფიქრობ, არც თქვენ მოგწონთ ჩემი ქმარი, - უთხრა ცივი ირონიით. - მე მას პატივს ვცემ, ჭკუა და მტკიცე ხასიათი აქვს. რაც,

შეიძლება ითქვას, რომ ძალზე იშვიათი შეხამებაა. არა მგონია, იცოდეთ, აქ რას აკეთებს, რადგან ვიცი, თქვენთან არც ისე გულახდილია. თუკი, შესაძლოა, რომ ერთმა ადამიანმა მოახერხოს ამ ეპიდემიის ჩაქრობა, ის საამისოდ თავს არ ზოგავს. ავადმყოფებს მკურნალობს, ასუფთავებინებს ქალაქს, აწმენდინებს სასმელ წყალს. დღეში ოცჯერ მაინც იგდებს სიცოცხლეს საფრთხეში. პოლკოვნიკი იუ აიძულა გარნიზონის რაზმები მისთვის გადაეცა. ცოტაოდენი გაბედულება მერსაც შესძინა და ისიც რაღაცებს ცდილობს. მონაზვნები ხომ მის სულს ფიცულობენ, მაათთვის ის გმირია. - თქვენ ასე არ ფიქრობთ? - ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მისი საქმე არ არის? ის ხომ ბაქტერიოლოგია. სულაც არ ევალებოდა აქ ჩამოსვლა. ისეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებს ჩემზე, თითქოს მომაკვდავი ჩინელებისადმი თანაგრძნობა ამოძრავებდეს. აი, უოტსონზე ამას ვერ იტყოდი, მას ადამიანები უყვარდა. თუმცა მისიონერი იყო - არ არჩევდა ქრისტიანს, ბუდისტსა თუ კონფუციანელს. მისთვის ისინი მხოლოდ ადამიანები იყვნენ. არა მგონია, თქვენს ქმარს ძალიან აღელვებდეს ასი ათასობით ქოლერით მკვდარი ჩინელი. არც მეცნიერული მიზნები ამოძრავებს. მაშ, რატომღაა აქ? - უმჯობესია, თავად ჰკითხოთ. - ძალიან მაინტერესებს თქვენი ერთად ნახვა. ზოგჯერ ერთი სული მაქვს გავიგო, როგორ იქცევით, როცა მარტო ხართ. ჩემთან ორივენი კომედიას თამაშობთ, მაგრამ, წმინდა გიორგის ვფიცავ, რომ ძალიან ცუდად. ასეთ თამაშში ნებისმიერ დასში კვირაში ოცდაათ შილინგსაც არავინ გადაგიხდიდათ. - არ მესმის, რისი თქმა გსურთ, - გაუღიმა კიტიმ, თან ისევ უდარდელად ეჭირა თავი, თუმცა იცოდა, რომ უედინგტონს ვერ მოატყუებდა. - თქვენ ძალიან ლამაზი ქალი ხართ. სასაცილოა, რომ თქვენი ქმარი ზედაც არ გიყურებთ. როცა გელაპარაკებათ, მგონია, რომ სხვისი ხმით ლაპარაკობს. - გგონიათ, რომ არ ვუყვარვარ? - ჰკითხა კიტიმ დაბალი, ჩახლეჩილი ხმით. - ვერ გეტყვით. არ ვიცი, ისე ეზიზღებით, რომ თქვენთან ყოფნისას ტანში ჟრუანტელი უვლის, თუ სიყვარულით იწვის და რაღაც მიზეზის გამო ვერ გაუმჟღავნებია. ზოგჯერ თავს ვეკითხები, ორივენი

თვითმკვლელობის სურვილმა ხომ არ ჩამოიყვანა-მეთქი. კიტის არ გამოჰპარვია იმ დღეს, სალათის ჭამისას უედინგტონის ჯერ შემკრთალი და შემდეგ გამომცდელი გამოხედვა. - ვფიქრობ, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევთ სალათის რამდენიმე ფოთოლს, - თქვა უდარდელად და წამოდგა. - არ დავბრუნდეთ? ვიცი, სოდიანი ვისკი გენდომებათ. - ყოველ შემთხვევაში, გმირი მაინც არ ხართ. შიშისგან ლამის გული გაგისკდეთ. დარწმუნებული ხართ, რომ აქედან წასვლა არ გინდათ? - თქვენ გეხებათ ეს ამბავი? - მე დაგეხმარებით. - ნუთუ, ჩემმა იდუმალმა სევდამ შეგაწუხათ? აბა, გვერდიდან შემხედეთ. ხომ ძალიან გრძელი ცხვირი მაქვს? უედინგტონმა დაფიქრებით შეხედა. ციმციმა თვალებში დაცინვა და თან რაღაც უჩვეულო სიკეთის ჩრდილი გაუკრთა, მდინარეში არეკლილი იმ ხის მსგავსად მის პირას რომ იზრდება. კიტის თვალებზე ცრემლები მოადგა. - მაშ, აქ გინდათ დარჩეთ? - დიახ. მათ მოჩუქურთმებული თაღი გაიარეს და გორაკიდან დაეშვნენ. სახლთან მიახლოვებისას, მათხოვრის გვამი კვლავ დაინახეს, უედინგტონმა კიტის ხელი აიღო, მაგრამ ქალმა ხელი გაითავისუფლა. გაუნძრევლად იდგა. - რა საშინელებაა, არა? - რა, სიკვდილი? - დიახ. მასთან შედარებით სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა. ეს კაცი ადამიანს აღარ ჰგავს. ვერც კი დაიჯერებ, თუ ოდესმე სული ედგა, თუ სულ რამდენიმე წლის წინ პატარა ბიჭი იყო, გორაკზე დაჰქროდა და ფრანს აფრიალებდა. კიტიმ ქვითინი ვეღარ შეიკავა. რამდენიმე დღის შემდეგ უედინგტონი კიტისთან იჯდა და ხელში სოდიანი ვისკის მაღალი ჭიქა ეჭირა. მან მონასტერზე ჩამოუგდო საუბარი. - მონასტრის წინამძღვარი შესანიშნავი ქალია, - თქვა მან, - დები მეუბნებიან, საფრანგეთის ერთ-ერთი დიდებული ოჯახიდან არისო, მაგრამ არ აკონკრეტებენ, რომლიდან. ასე თქვეს, წინამძღვარს ამაზე ლაპარაკი არ სურსო. - რატომ თვითონ არ შეეკითხებით, თუ გაინტერესებთ? - გაეღიმა კიტის. - რომ იცნობდეთ, მიხვდებოდით, უხერხულ შეკითხვას ვერ გაუბედავ. - ალბათ, მართლაც ჩინებული ქალია, თუ თქვენში ასეთ კრძალვას იწვევს. - თქვენთან მისი დავალებით მოვედი. მთხოვა გადმომეცა, რომ

შეიძლება, არც გსურთ ეპიდემიის კერაში მოხვედრა, მაგრამ თუ წინააღმდეგი არ იქნებით, დიდი სიამოვნებით დაგათვალიერებინებდათ მონასტერს. - ძალიან კეთილი ყოფილა. ვერც წარმოვიდგენდი, ჩემი არსებობა თუ იცოდა. - მე ველაპარაკე თქვენზე. კვირაში ორ-სამჯერ მაინც ვაკითხავ, ხომ შეიძლება რამეში დავჭირდე. მგონი, თქვენი ქმარიც ელაპარაკა. არ გაიკვირვოთ, როცა შეიტყობთ, რომ მონაზვნები თქვენს ქმარს აღმერთებენ. - კათოლიკე ხართ? უედინგტონს მზაკვრული თვალები აუციმციმდა და პატარა უშნო სახე სიცილისგან დაემანჭა. - რატომ იცინით? - ჰკითხა კიტიმ. - „განა შეიძლება ნაზარეთიდან კეთილი გამოვიდეს რამე?“1 არა, მე კათოლიკე არ ვარ, ანგლიკანურ ეკლესიას ვეკუთვნი. ეს ყველაზე უწყინარი ფორმულაა, როცა გინდა თქვა, რომ მაინცდამაინც არაფერი გწამს... როცა ათი წლის წინ დედათა მონასტრის წინამძღვარი ჩამოვიდა, თან ჩამოიყვანა შვიდი მონაზონი, რომელთაგან სამის გარდა ყველა მოკვდა. ხომ ხედავთ, მეი-ტან-ფუ არც მაშინ იყო კურორტი. ისინი შუა ქალაქში ცხოვრობენ, უღარიბეს რაიონში, ბევრს შრომობენ და უქმეებზეც არ ისვენებენ. - და ახლა მხოლოდ მონასტრის წინამძღვარი და ის სამი მონაზონი დარჩა? - ოჰ, არა, ისინი სხვებმა შეცვალეს. ახლა ექვსნი არიან. როდესაც ეპიდემიის დასაწყისში ერთი ქოლერით მოკვდა, კანტონიდან კიდევ ორი ჩამოვიდა. კიტის გააჟრჟოლა. - შეგცივდათ? - არა, რაღაც ცახცახმა ამიტანა. - წამოსვლისას, სამუდამოდ ეთხოვებიან საფრანგეთს. პროტესტანტი მისიონერებივით წარამარა კი არ ეძლევათ ერთწლიანი შვებულება. ყოველთვის ვფიქრობ, რომ სამშობლოს სამუდამოდ დატოვება ყველაზე ძნელია. ჩვენ, ინგლისელები, არც ისე მიჯაჭვულნი ვართ ჩვენს მიწას, დედამიწის ყველა კუთხეში თავს შინაურად ვგრძნობთ, ფრანგები კი, ვფიქრობ, ფიზიკურად არიან დაკავშირებული თავიანთ მიწასთან. თავიანთი ქვეყნის გარდა, თავს კარგად ვერსად გრძნობენ. ამიტომაც ეს ქალები სერიოზულ მსხვერპლზე მიდიან. თუმცა კათოლიკე რომ ვიყო, ალბათ, ეს ბუნებრივად მომეჩვენებოდა. კიტიმ გულგრილად შეხედა. ვერ გაეგო,

აღელვებით რატომ ლაპარაკობდა. იფიქრა, ან თამაშობს ან ზედმეტი ვისკი დალიაო. უედინგტონმა კიტის ფიქრების დინება მაშინვე გამოიცნო. - იქნებ, თავად დარწმუნდეთ, - შესთავაზა მან უწყინარი ღიმილით. - ეს პომიდვრის ჭამაზე უფრო საშიში როდია. - თუ თქვენ არ გეშინიათ, მე რატომ უნდა მეშინოდეს? - ვფიქრობ, დაგაინტერესებთ. მონასტერი პატარა საფრანგეთია. მდინარე ჯონკით გადაკვეთეს. ნაპირზე კიტის ტახტრევანი ელოდა, რომლითაც გორაკზე აიყვანეს, „წყლის“ ჭიშკართან, საიდანაც ყულები გამოდიოდნენ მდინარის წყლის ასაღებად. მხარზე ვედროგადაკიდებულები წინ და უკან დარბოდნენ. ნაქცევი წყლისგან გზა ისე დასველებულიყო, იფიქრებდით, თავსხმა წვიმამ ეს ეს არის გადაიღოო. ისინი გამყინავი ხმით გაჰყვიროდნენ, გზიდან ჩამოგვეცალეთო. - ქალაქში ცხოვრება შეჩერდა, - თქვა კიტის გვერდით მიმავალმა უედინგტონმა. - სხვა დროს აქ გვერდს ვერ აუვლიდი ყულებს. ისინი ნავებს ცლიდნენ და ტვირთებით წინ და უკან დადიოდნენ. ქუჩა იმდენად ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო, რომ კიტი უკვე ვეღარ ხვდებოდა, საით მიდიოდნენ. მაღაზიების უმრავლესობა დაკეტილი იყო. მოგზაურობის დროს კიტი შეეჩვია ჩინური ქუჩების სიბინძურეს, მაგრამ აქ მთელი კვირების ნაგავი, ნარჩენები და ხარახურა ეყარა. ისე ყარდა იქაურობა, ცხვირზე ცხვირსახოცი მიიფარა. ჩინეთის ქალაქებში გავლისას ცნობისმოყვარენი ისე აშტერდებოდნენ, რომ თავს მუდამ უხერხულად გრძნობდა. მაგრამ ახლა სხვათაშორის თუ შეხედავდა კანტიკუნტი გამვლელი, თითქოს საკუთარი საქმის მეტი აღარაფერი აინტერესებთო. შეშინებულნი და გულგრილნი ჩანდნენ. ხანდახან, რომელიმე სახლს რომ ჩაუვლიდნენ, გონგის ან რომელიღაც უცნობი საკრავის მწუხარე მელოდია ესმოდათ: იქ, დაკეტილ კარს მიღმა, მკვდარი ესვენა. - მოვედით, - თქვა ბოლოს უედინგტონმა. ტახტრევანი გრძელ თეთრ კედელში ჩატანებულ ჯვრით შემკულ პატარა კართან დადგეს და კიტი გადმოვიდა. უედინგტონმა ზარი დარეკა. - დიდ ფუფუნებას ნუ ელით, ხომ იცით, ძალიან ღარიბები არიან. კარი ჩინელმა გოგომ გააღო. მას უედინგტონმა ორიოდე

სიტყვა უთხრა. გოგომ ისინი დერეფნის გვერდით, პატარა ოთახში შეიყვანა. იქ დიდი მაგიდა იდგა, რომელზეც კუბოკრული მუშამბა ეფარა. კედლების გასწვრივ ხის სკამები ჩამწკრივებულიყო. ერთ ბოლოში ღვთისმშობლის თაბაშირის ქანდაკება იდგა. ერთი წუთის შემდეგ ოთახში დაბალი, ჩასუქებული მონაზონი შემოვიდა, უბრალო სახე, ღაჟღაჟა ლოყები და მხიარული თვალები ჰქონდა. უედინგტონმა კიტი გააცნო. მას და სენ-ჟოზეფს ეძახდნენ. - ჩესტ ლა დამე დუ დოცტეურ?1 - ქალს სახეზე ღიმილი გადაეფინა. მერე დასძინა, წინამძღვარი მალე მოვაო. და სენ-ჟოზეფმა ინგლისური არ იცოდა, კიტიც ენის ბორძიკით ლაპარაკობდა ფრანგულად. სამაგიეროდ, უედინგტონმა სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, იმდენი იხუმრა თავისი უხეირო ფრანგულით, რომ გულკეთილი მონაზონი გულიანად იცინოდა. მისმა მხიარულმა, ლაღმა სიცილმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა კიტი. რელიგიის მსახურნი დინჯი და დარბაისელი ხალხი ეგონა და ამ კეთილმა, ბავშვურმა მხიარულებამ ააღელვა. კიტის მოეჩვენა, რომ კარი ჩვეულებრივად კი არ გაიღო, თითქოს ანჯამებიდან უკან გადაქანდა, და პატარა ოთახში წინამძღვარი შემოვიდა. წამით ზღურბლზე შედგა და მოხითხითე მონაზვნისა და უედინგტონის დამანჭული, ჯამბაზური სახის დანახვაზე ტუჩებზე მშვიდი ღიმილი გადაეფინა. შემდეგ კიტისკენ წამოვიდა და ხელი გაუწოდა. - მისის ფეინი, ასეა? - ჰკითხა აქცენტიანი, მაგრამ გამართული ინგლისურით. მან კიტის ოდნავ დაუკრა თავი, - ჩემთვის დიდად სასიამოვნოა ჩვენი კეთილი და მამაცი ექიმის ცოლის გაცნობა. კიტი გრძნობდა, რომ წინამძღვარი დიდხანს და მოურიდებლად ათვალიერებდა. თანაც ისე გულწრფელად, რომ უზრდელობაში ნამდვილად ვერ ჩამოართმევდა. გრძნობდა, რომ მის წინ მდგარი ქალის საქმეს სხვებზე აზრის შემუშავება წარმოადგენდა და ეშმაკობა ფიქრადაც არ მოსდიოდა. მან მედიდური თავაზიანობით მიუთითა სტუმრებს სკამებზე და თვითონაც დაჯდა. და სენ-ჟოზეფი, კვლავ იღიმებოდა, მაგრამ ჩუმად იყო. ის წინამძღვრის გვერდით, ოდნავ უკან დადგა. - ვიცი, ინგლისელებს ჩაი გიყვართ, - თქვა წინამძღვარმა, -

ამიტომ ჩაი მოვამზადებინე. ბოდიშს ვიხდი, რომ ჩინური წესით არის დამზადებული. ვიცი, მისტერ უედინგტონს ვისკი ურჩევნია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს შევთავაზებ. წინამძღვარმა გაიღიმა. მის მშვიდ თვალებში დაცინვა გამოკრთა. - კარგი რა, დედაო. ისე ლაპარაკობთ, თითქოს გამოუსწორებელი ლოთი ვიყო. - ნეტავ, იმის თქმაც შეგეძლოთ, მისტერ უედინგტონ, რომ სასმელს საერთოდ არ ეკარებით. - სხვათა შორის, მე ზომიერად ვსვამ. წინამძღვარს გაეცინა. მისი ნათქვამი სენ-ჟოზეფს გადაუთარგმნა და თან უედინგტონს დაუფარავი სითბოთი უყურებდა. - მისტერ უედინგტონის მიმართ ძალიან მკაცრები ვერ ვიქნებით, ვინ მოთვლის რამდენჯერ გვიხსნა, როცა საერთოდ უფულოდ ვიყავით და არ ვიცოდით, ობლებისთვის რა გვეჭმია... ახლად გაქრისტიანებულმა ჩინელმა გოგომ ლანგრით ჩინური ფინჯნები, ჩაიდანი და ფრანგული ნამცხვარი - „მადლენი“ შემოიტანა. - მიირთვით „მადლენი“, - უთხრა წინამძღვარმა, - და სენ-ჟოზეფმა გამოაცხო ამ დილას თქვენთვის. ისინი ჩვეულებრივ თემებზე საუბრობდნენ. წინამძღვარმა კიტის ჰკითხა, რამდენი ხანია, რაც ჩინეთშია და ძალიან ხომ არ დაღალა ჰონკონგიდან მგზავრობამ. დაინტერესდა იმითაც, საფრანგეთში იყო თუ არა ნამყოფი, ან ცუდად ხომ არ იმოქმედა მასზე ჰონკონგის ჰავამ. ეს იყო გაცვეთილი, მაგრამ მეგობრული საუბარი, რომელსაც შექმნილი ვითარება კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა. სასტუმრო ოთახში ისეთი სიმშვიდე იგრძნობოდა, ვერ წარმოიდგენდი, რომ ხალხმრავალი ქალაქის ცენტრში იმყოფებოდი; რომ ამ კედლებს მიღმა ეპიდემია მძინვარებდა; რომ დამფრთხალ და მოსვენებადაკარგულ ხალხს ექსცესებისგან თითქმის ნახევრად ყაჩაღის ძლიერი ხელი იცავდა. მონასტრის კედლებში მოწყობილი ლაზარეთი ავადმყოფი და მომაკვდავი ჯარისკაცებით იყო სავსე. მონასტერში შეკედლებული ობლების მეოთხედი დახოცილიყო. კიტიმ თვითონაც არ იცოდა, რად მისჩერებოდა ასე ამ დარბაისელ, გულთბილად მოსაუბრე ქალს, რომელიც მთლიანად თეთრ სამოსში გახვეულიყო, მხოლოდ მკერდზე უკიაფებდა წითელი ჯვარი. ის შუახნის

- ორმოცი-ორმოცდაათი წლის იქნებოდა. გადატკეცილ, ფერმკრთალ სახეზე ნაოჭები თითქმის არ ემჩნეოდა. მხოლოდ მისი ღირსეული თავდაჭერა და ძლიერი ლამაზი ხელები მოწმობდა, რომ ახალგაზრდა აღარ იყო. წინამძღვარს მოგრძო სახე, დიდი პირი, მსხვილი, სწორი კბილები და არც ისე პატარა, მაგრამ ნატიფი, მგრძნობიარე ცხვირი ჰქონდა. ამ სახეს დაძაბულ და ტრაგიკულ გამომეტყველებას ანიჭებდა წვრილ შავ წარბებს ქვემოდან მომზირალი დიდრონი შავი თვალები, რომლებზეც, ვერ იტყოდით ცივიაო, თუმცა მათ მშვიდ და ყურადღებიან გამოხედვას ადამიანის მონუსხვა შეეძლო. მისი შემხედვარე იფიქრებდით, ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იქნებოდაო. თუმცა მაშინვე გააცნობიერებდით, რომ მის სილამაზეს მისივე ხასიათის სიმტკიცე განაპირობებდა და წლები უფრო და უფრო მატებდა მშვენებას. მდიდრული, ღრმა, დაბალი ხმის ტემბრი ჰქონდა და ორივე ენაზე ნელა ლაპარაკობდა. მაგრამ, რაც ყველაზე მეტად გაგაოცებდათ, ეს იყო ქრისტიანული სათნოებით გაწონასწორებული ძალაუფლების შეგრძნება. მბრძანებლობას ჩვეულს, ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ყველა დამორჩილებოდა, მაგრამ ამ მორჩილებას თავმდაბლურად იღებდა. ის მშვენივრად გრძნობდა, რა დიდ ძალას ანიჭებდა ეკლესიის თანადგომა. მისი მკაცრი თავდაჭერის მიუხედავად, კიტი გუმანით ხვდებოდა, რომ ის ყველა ადამიანურ ცოდვას ჰუმანურად მიუტევებდა. მისი მშვიდი ღიმილი, როცა ის უედინგტონის მოურიდებელ ლაყბობას უსმენდა, გარწმუნებდა, რომ ამ ქალს არც იუმორის გრძნობა აკლდა. მაგრამ კიტი ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ამ ქალისთვის ბუნებას რაღაც ისეთიც მიემადლებინა, რისთვისაც სახელი ვერ დაერქმია და, რის გამოც, წინამძღვრის გულთბილი მიღების მიუხედავად, კიტი სკოლის უსუსურ მოსწავლედ გრძნობდა თავს, რაც ამ ქალთან დაახლოებაში ხელს უშლიდა. - Monsieur ne mange rien1 - თქვა და სენ-ჟოზეფმა. - მუსიეს მანჯურიულმა სამზარეულომ გაუფუჭა მადა, - მიუგო წინამძღვარმა. სენ-ჟოზეფს მყისვე ჩამოერეცხა ღიმილი და დინჯი სახე მიიღო. უედინგტონს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და ნამცხვარი აიღო.

კიტი ვერ მიხვდა, რაზე იყო საუბარი. - იმისთვის, რომ დაგიმტკიცოთ რა უსამართლო ბრძანდებით, დედაო, ავანსად გეტყვით, რომ არ წავალ იმ შესანიშნავ სადილზე, რომელიც მელოდება. - თუ მისის ფეინს ნებავს, სიამოვნებით დავათვალიერებინებ მონასტერს. - წინამძღვარი დამნაშავის ღიმილით მიუბრუნდა კიტის. - ვწუხვარ, რომ ჩვენთან ასეთი უწესრიგობა სუფევს. იმდენად ცოტანი ვართ, საქმეს ვეღარ ავუდივართ. პოლკოვნიკმა იუმ დაჟინებით მოგვთხოვა ობლების თავშესაფარი ავადმყოფი ჯარისკაცებისთვის დაგვეთმო. ჩვენი ობლები კი სატრაპეზოში გადავიყვანეთ. ის კართან შეჩერდა. კიტი წინ გაატარა. ოთხივენი გრილ, თეთრ დერეფნებს გაუყვნენ. პირველად ერთ დიდ ცარიელ ოთახში შევიდნენ, სადაც რამდენიმე ჩინელი გოგონა რაღაცას ქარგავდა. სტუმრების შესვლისას მაშინვე ფეხზე წამოდგნენ. წინამძღვარმა მათი რამდენიმე ნაქარგი კიტის აჩვენა. - ეპიდემიის მიუხედავად, საქმეს გულის გადასაყოლებლად მაინც ვაგრძელებთ. მეორე ოთახში უფრო პატარა გოგონები კერვას სწავლობდნენ: ზოგი ჭრიდა, ზოგი კერავდა; მესამეში კი, სულ პატარები, ორიდან ოთხ წლამდე ბავშვები, ქრისტიანი ჩინელი გოგონას მეთვალყურეობით, ჟივილ-ხივილით თამაშობდნენ. წინამძღვარი რომ დაინახეს, შავთვალებიანი და შავთმიანი ბავშვები გარს შემოეხვივნენ, ხელებზე წაეპოტინნენ და მისი განიერი ქვედატანის ნაკეცებში დაიმალნენ. წინამძღვარს მშვიდ სახეზე მომხიბლავი ღიმილი გადაეფინა. ბავშვებს მიუალერსა და რაღაც უთხრა. კიტის ჩინური არ ესმოდა, თუმცა მიხვდა, რომ ის ბავშვებს ეფერებოდა და გააჟრჟოლა, რადგან ამ ერთნაირად ჩაცმულ, ყვითელკანიან, გალეულ, ცხვირებჩაჭყლეტილ ბავშვებში ადამიანურს ვერაფერს ხედავდა. წინამძღვარი მათ შორის სათნოების ხატებასავით იდგა. ოთახიდან გასვლა რომ დააპირა, ბავშვები არ უშვებდნენ, ჩაებღაუჭნენ, წინამძღვარი კი ღიმილით ცდილობდა, ისინი როგორმე დაეყოლიებინა. პატარებს ამ დიდი, კეთილშობილი ქალის სულაც არ ეშინოდათ. - ალბათ, იცით, - თქვა მან, როცა მეორე დერეფანს გაუყვნენ, - ობლები იმიტომ ჰქვიათ, რომ მშობლებმა მიატოვეს.

ყოველ ბავშვზე ცოტაოდენ ფულს ვაძლევთ. სხვაგვარად თავს არ შეიწუხებდნენ და ქუჩაში დაყრიდნენ, - ის მონაზონს მიუბრუნდა. - დღეს თუ მოიყვანეს ბავშვები? - ოთხი. - ახლა, ამ ქოლერის დროს, უფრო მეტად არიან მოწადინებულნი, რომ ზედმეტ ტვირთად არ დააწვეთ გამოუსადეგარი გოგოები. მან საძინებლები დაათვალიერებინა კიტის, შემდეგ ჩაუარეს კარს, რომელზეც „ლაზარეთი“ ეწერა. კიტის იქიდან არაადამიანური კვნესა, ყვირილი და გაურკვეველი ხმები შემოესმა. - ლაზარეთს აღარ გაჩვენებთ, - უთხრა წინამძღვარმა მშვიდად, - არ არის სასიამოვნო სანახავი. - მერე თითქოს უცებ რაღაც გაახსენდაო, - ნეტავ, იქ ხომ არ არის ექიმი ფეინი? - და კითხვით შეხედა სენ-ჟოზეფს, რომელმაც მხიარული ღიმილით შეაღო კარი და შევიდა. კარის გაღებისას ოთახიდან უფრო გარკვევით მოისმა საშინელი გნიასი. კიტიმ უკან დაიხია. მონაზონი დაბრუნდა. - არა, უკვე ყოფილა და გვიანობამდე აღარ დაბრუნდება. - მეექვსე ნომერი როგორ არის? - მოკვდა, pauvre garcon.1 წინამძღვარმა პირჯვარი გადაისახა და ტუჩებით უხმოდ წარმოთქვა ლოცვა. შიდა ეზო რომ გადაჭრეს, კიტიმ მიწაზე გვერდიგვერდ მიწყობილი, ბამბის ლურჯქსოვილგადაფარებული ორი გრძელი საგანი შენიშნა. წინამძღვარი უედინგტონს მიუბრუნდა. - საწოლები არ გვყოფნის, იძულებულნი ვართ ერთ საწოლში ორ-ორი ავადმყოფი ჩავაწვინოთ. როგორც კი ერთი მოკვდება, მაშინვე გაგვყავს, რომ მეორეს ადგილი გავუთავისუფლოთ. მერე კიტის გაუღიმა: - ახლა ჩვენს სამლოცველოს გაჩვენებთ, რომლითაც დიდად ვამაყობთ. ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა ამ ცოტა ხნის წინ საფრანგეთიდან ადამიანის სიმაღლის ღვთისმშობლის ქანდაკება გამოგვიგზავნა. გრძელ, დაბალჭერიან, თეთრად შეღებილ სამლოცველოში ხის სკამები რიგებად ეწყო. სიღრმეში საკურთხეველი მოჩანდა. იქვე პარიზიდან გამოგზავნილი, ტლანქად შეღებილი, მყვირალაფერებიანი ღვთისმშობლის თაბაშირის ქანდაკება იდგა.მის უკან, ეკიდა ზეთში შესრულებული ჯვარცმა, რომლის ფეხებთან უცნაურად მდგარი ორი მწუხარე მარიამი გამოესახა ვიღაც უხეირო მხატვარს. გარშემო კედლებზე იმავე უმეცარ

ხელს გოლგოთისკენ მიმავალი გზა დაეხატა. სამლოცველო ულაზათო და ვულგარული იყო. მონაზვნებმა შესვლისას ლოცვის სათქმელად დაიჩოქეს. მერე წინამძღვარმა ისევ კიტისთან განაგრძო საუბარი. - აქ ჩამოტანისას, ყველაფერი, რაც მტვრევადია, გატეხილი ჩამოდის ხოლმე. ჩვენი მწყალობლის მიერ ნაჩუქარი ქანდაკება კი, ისე ჩამოვიდა პარიზიდან, ნაკაწრიც არსად აჩნდა. ეს ნამდვილი სასწაულია. უედინგტონს თვალები დამცინავად აუციმციმდა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. - ჯვარცმა და გოლგოთის გზა ერთმა ჩვენმა დამ, სენ-ანსელმმა დახატა. - წინამძღვარმა პირჯვარი გადაისახა - ჭეშმარიტი ხელოვანი იყო. საუბედუროდ, ეპიდემიამ იმსხვერპლა. ხომ ლამაზი ნახატებია? კიტიმ თანხმობის ნიშნად რაღაც წაილუღლუღა. საკურთხეველზე ქაღალდის ყვავილების თაიგულები ეწყო, შანდლებიც მეტისმეტად მდიდრული ჩანდა. - ჩვენ აქ წმინდა საიდუმლოს შენახვის უფლება გვაქვს. - რას ამბობთ?! - წამოიძახა კიტიმ, თუმცა ვერაფერი გაიგო. - ამ საშინელი უბედურების დროს ეს დიდი ნუგეშია ჩვენთვის. ისინი სამლოცველოდან გამოვიდნენ და ისევ სასტუმრო ოთახისკენ გაემართნენ, სადაც პირველად ისხდნენ. - გინდათ წასვლამდე დღეს მოყვანილი ბავშვები ნახოთ? - ძალიან, - მიუგო კიტიმ. წინამძღვარი დერეფნის მეორე მხარეს, პატარა ოთახში შეუძღვა სტუმრებს. მაგიდაზე გადასაფარებლის ქვეშ რაღაც არსება უცნაურად იგრიხებოდა. მონაზონმა გადასაფარებელი გადასწია: ოთხი პაწაწინა შიშველი, ძალზე წითელი ჩვილი ხელ-ფეხს სასაცილოდ პარჭყავდა, უშნო ჩინური სახეები უცნაურად დამანჭვოდათ. რაღაც უცნაურ ცხოველებს ჰგავდნენ, თუმცა სულს მაინც უჩვეულოდ გიფორიაქებდათ. წინამძღვარი ღიმილით დაჰყურებდა ჩვილებს. - ძალიან სიცოცხლისუნარიანები ჩანან. ზოგჯერ მოყვანისთანავე იხოცებიან. რა თქმა უნდა, როგორც კი მოიყვანენ, მაშინვე ვნათლავთ. - ქალბატონის ქმარს ძალიან მოეწონება ისინი, - თქვა და სენ-ჟოზეფმა. - მთელი საათი შეუძლია ეთამაშოს ბავშვებს. როცა ტირიან, საკმარისია ხელში აიყვანოს, მაშინვე წყნარდებიან და კმაყოფილები იცინიან. კიტი და უედინგტონი კართან მივიდნენ. კიტიმ შეწუხებისთვის

მადლობა გადაუხადა წინამძღვარს, მანაც მდაბლად დაუკრა თავი, ერთსა და იმავე დროს მედიდურადაც და თავაზიანადაც. - დიდად მასიამოვნეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა სიკეთესა და შემწეობას იჩენს ჩვენდამი თქვენი ქმარი. მისი თავი თვით ღმერთმა გამოგვიგზავნა. მიხარია, რომ ჩამოჰყევით. ბედნიერებაა, შინ დაბრუნებულს თქვენისთანა მოსიყვარულე და ლამაზი ცოლი რომ ხვდება. გაუფრთხილდით და ბევრი მუშაობის უფლება არ მისცეთ. გთხოვთ, ზრუნვას ნუ მოაკლებთ! კიტი წამოწითლდა. არ იცოდა, რა ეპასუხა. წინამძღვარმა ხელი გაუწოდა და ცივი, ფიქრიანი თვალებით შეხედა. ეს იყო გულისხმიერი მზერა, რომელშიც, ამავე დროს, იგრძნობოდა მზადყოფნა, თქვენთვის მოესმინა და გაეგო. მონაზონმა მათ უკან კარი მიხურა. კიტი ტახტრევანზე დაჯდა. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბანდებით დაბრუნდნენ. უედინგტონმა რაღაც თქვა. კიტიმ არ უპასუხა. კაცმა თავი მისკენ მიაბრუნა, მაგრამ ტახტრევნის აქეთ-იქით ფარდები დაშვებული დახვდა და ქალი ვერ დაინახა. ჩუმად განაგრძო გზა. მაგრამ როცა მდინარეს მიაღწიეს და კიტი გადმოვიდა, მისდა გასაოცრად, ქალს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. - რა მოხდა? - ჰკითხა და შიშისგან სახე დაემანჭა. - არაფერი, - კიტიმ გაღიმება სცადა, - რაღაც სისულელეზე ვფიქრობდი. მკვდარი მისიონერის ღარიბულ სასტუმრო ოთახში კიტი კვლავ მარტო იყო. ფანჯარასთან შეზლონგზე წამოწოლილი, უაზროდ მისჩერებოდა მდინარის გაღმა აღმართულ ტაძარს, რომელიც საღამოს მოახლოებისას ჰაეროვანი და ჯადოსნური ეჩვენებოდა. კიტი გრძნობების დაოკებას ცდილობდა. ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ მონასტერი ასე ააფორიაქებდა. იქ ცნობისმოყვარეობამ მიიყვანა. საქმე არაფერი ჰქონდა. მთელი ეს დღეები მხოლოდ გალავანშემოვლებულ ქალაქს უყურებდა და უნდოდა მისი იდუმალი ქუჩებისთვისაც შეევლო თვალი; მაგრამ მონასტერში ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სულ სხვა სამყაროში მოხვდა, სადაც არ არსებობდა არც დრო და არც სივრცე. ეს ასკეტური, მკაცრი, შიშველი ოთახები და თეთრი დერეფნები რაღაც შორეულ, მისტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. პატარა, ვულგარულ, უგემოვნო

სამლოცველოშიც კი იყო რაღაც ისეთი, რაც ზოგჯერ ფერადი მინებითა და დიდი ოსტატების ფრესკებით დამშვენებულ დიდებულ კათედრალურ ტაძრებსაც კი აკლიათ: კრძალვა და რწმენა, რომელმაც იგი შეამკო და ნაზი სიყვარული, მასზე ზრუნვაში რომ ჩაექსოვათ. ის თანმიმდევრული საქმიანობა, რასაც მონასტერი ეწეოდა, იქ, სადაც სიკვდილი თავის ნებაზე დათარაშეობდა, მოწმობდა, რომ აქ საფრთხეს მშვიდად ხვდებოდნენ და იმდენად პრაქტიკულად აღიქვამდნენ ყველაფერს, რომ ცოტა პარადოქსულადაც კი მოგეჩვენებოდათ. თუმცა შთაბეჭდილებას ნამდვილად ახდენდა. კიტის ჯერაც ყურში ჩაესმოდა შემზარავი ხმები, წუთით, ლაზარეთის კარის გაღების დროს რომ მოესმა. არ ელოდა, რომ მონაზონი და წინამძღვარი ასე ილაპარაკებდნენ უოლტერზე. უოლტერის ქებისას წინამძღვრის ხმა ძალზე ნაზად ჟღერდა. უცნაურია, მაგრამ კიტის სიამაყის გრძნობა დაეუფლა, როცა ქმრის ასეთი შეფასება მოისმინა. უედინგტონმა რაღაც-რაღაცები უამბო უოლტერის საქმიანობაზე, მაგრამ მონაზვნები მარტო მის უნარს როდი აქებდნენ (ის კარგი მუშაკი რომ იყო, კიტიმ ჰონკონგშიც იცოდა), არამედ მის მზრუნველობასა და სითბოზე ლაპარაკობდნენ. უოლტერს მართლა შეეძლო ძალზე ალერსიანი ყოფილიყო. ავადმყოფობისას ისე სასიამოვნოდ მოგივლიდა, რომ შვებას გაგრძნობინებდა. არც ზედმეტი ლაპარაკით შეგაწყენდა თავს. მის გვერდით ყოფნა უკვე ტანჯვას გიმსუბუქებდა. კიტიმ იცოდა, რომ ვეღარასოდეს იხილავდა მის სიყვარულით აღსავსე მზერას, ოდესღაც რომ აღიზიანებდა. თავისი უსაზღვრო სიყვარულის მარაგს უოლტერი ახლა უნაწილებდა ბედკრულ ავადმყოფებს, რომელთაც მის გარდა არავინ ჰყავდათ. კიტი არ ეჭვიანობდა, მაგრამ რაღაც სიცარიელეს გრძნობდა, თითქოს საყრდენი, რომელსაც ისე იყო შეჩვეული, რომ მის არსებობას ვერც კი გრძნობდა, უეცრად გამოაცალეს და ახლა ჰაერში ეკიდა. კიტის სძულდა საკუთარი თავი იმის გამო, რომ ადრე ქმარი ეზიზღებოდა. უოლტერმა, ალბათ, იცოდა, კიტი რასაც ფიქრობდა მასზე, მაგრამ ამას დიდად არ განიცდიდა. კარგად იცოდა, რომ კიტი სულელი იყო, და, რადგან უყვარდა, მისთვის

ეს აღარაფერს ნიშნავდა. ახლა კიტის ის არც ეჯავრებოდა, არც ბრაზობდა, უფრო შეშინებული და დაბნეული იყო; უნდა ეღიარებინა, რომ უოლტერი შესანიშნავი თვისებებით იყო დაჯილდოებული. ზოგჯერ მასში რაღაც უცნაურ, მაგრამ მიმზიდველ სულის სიდიადეს ხედავდა. საოცარია, რომ კიტის არ შეეძლო მისი სიყვარული. ისევ ის კაცი უყვარდა, რომლის უღირსობაც ცხადზე უცხადესი იყო. ამდენი ხნის დაუსრულებელი ფიქრის შემდეგ კიტიმ სწორად განსაზღვრა, ვინ იყო ჩარლზ ტაუნსენდი - ერთი ჩვეულებრივი, მდაბიო მამაკაცი. ნეტავ, შეეძლოს კიტის გულიდან ამოიგლიჯოს იქ დაბუდებული სიყვარული! შეეცადა ჩარლზზე აღარ ეფიქრა. უედინგტონიც კარგი აზრის იყო უოლტერზე. მხოლოდ კიტის ჰქონდა აქამდე დაბრმავებული თვალები და მის ღირსებას ვერ ხედავდა. რატომ? იმიტომ, რომ უოლტერს უყვარდა კიტი, კიტის კი - არა. ნეტავ, რატომ გეზიზღება მამაკაცი, რომელსაც ასე უყვარხარ? თუმცა, უედინგტონმა ისიც აღიარა, რომ უოლტერი არ უყვარდა. მამაკაცებს, როგორც წესი, ის საერთოდ თვალში არ მოსდიოდათ. კიტი მაშინვე მიხვდა, რომ ის ორი მონაზონი ლამის შეყვარებული იყო უოლტერზე. ის ქალებთან სხვანაირი იყო. მიუხედავად სიმორცხვისა, მასში საოცარი სიკეთე იგრძნობოდა. ყველაზე მეტად კიტი მაინც მონაზვნებმა ააღელვეს. და სენ-ჟოზეფი, მხიარული და ლოყებღაჟღაჟა ქალი, წინამძღვართან ერთად ამ ათი წლის წინ ჩამოვიდა ჩინეთში. მის თვალწინ მეგობრები ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდნენ, ზოგი ავადმყოფობით, ზოგიც გაჭირვებისა თუ ნოსტალგიისგან; თუმცა, ის მაინც მხიარული და ბედნიერი იყო. რა ანიჭებდა ასეთ გულუბრყვილო და მომხიბლავ მხიარულებას? ახლა კიდევ წინამძღვარი. კიტიმ წარმოიდგინა, რომ კვლავ მის წინაშე იდგა და კიდევ ერთხელ მისდამი მოკრძალება და სირცხვილი იგრძნო. ამ უბრალო და გულწრფელი ადამიანის თანდაყოლილი არისტოკრატიზმი მისდამი პატივისცემითა და კრძალვით განგაწყობდათ. და სენ-ჟოზეფის ყოველი მოძრაობა, სიტყვა-პასუხი წინამძღვრის წინაშე უდიდეს მორჩილებას გამოხატავდა. თავქარიანი და კადნიერი უედინგტონიც კი ვერ გრძნობდა მასთან თავს მთლად

თავისუფლად. კიტისთვის სულაც არ იყო საჭირო იმის თქმა, წინამძღვარი საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი წარჩინებული ოჯახიდან არისო: მისი ქცევა და თავდაჭერა სწორედაც რომ ამაზე მეტყველებდა. მას თითქოს ვერც წარმოედგინა, რომ ვინმე არ დაემორჩილებოდა. დიდებული ბანოვანის შემწყნარებლობა და წმინდანის სათნოება ამშვენებდა. მტკიცე და ლამაზ სახეზე სიმკაცრე ეწერა, მაგრამ, ამავე დროს, მზრუნველი და ალერსიანიც იყო. პატარები გრძნობდნენ მის დიდ სიყვარულს, ამიტომაც არ ეშინოდათ და გარს ჟივილ-ხივილით ეხვეოდნენ. წინამძღვარი თბილი და ბრძნული ღიმილით დაჰყურებდა ოთხ ახალშობილს: მისი ღიმილი უკაცრიელ ტრამალში გამომკრთალ მზის სხივს ჰგავდა. კიტი საოცრად ააღელვა და სენ-ჟოზეფის ნათქვამმა უოლტერზე: იცოდა, როგორ უნდოდა უოლტერს კიტისგან შვილი ჰყოლოდა, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა, თუ მისი თავშეკავებული ქმარი ასე მომხიბლავი და ალერსიანი იქნებოდა პატარებთან. კაცების უმრავლესობა ხომ ბავშვებთან სულელურად და მოუქნელად იქცევა. რა უცნაური კაცია უოლტერი! მაგრამ ამ ამაღელვებელ განცდებს რაღაც ჩრდილავდა (როგორც მოწმენდილ ცას შავი ღრუბელი) და კიტის გუნებას უფუჭებდა. და სენ-ჟოზეფის ზომიერი მხიარულებისა და უფრო მეტად წინამძღვრის დახვეწილი თავაზიანობის მიღმა კიტიმ ისეთი სიუცხოვე იგრძნო, რომ გულზე ლოდივით დააწვა. ხომ ასე თბილები და გულკეთილები იყვნენ, მაგრამ, თითქოს, რაღაცას არ უმხელდნენ, თუმცა რას, ვერ მიმხვდარიყო. გრძნობდა, რომ მათთვის ერთი ჩვეულებრივი უცხო ქალი იყო, რომ მათ შორის კედელი აღმართულიყო. ისინი სულ სხვა ენაზე საუბრობდნენ არა მარტო ენით, არამედ გულითაც. როცა კიტის უკან კარი მიიხურა, იგრძნო, რომ ამ ქალებმა უმალ დაივიწყეს ის და მაშინვე თავიანთ საქმეს მიაშურეს, თითქოს კიტი მათთვის არც არსებობდა. გრძნობდა, რომ მხოლოდ ამ პატარა, ღარიბული მონასტრის კარი კი არ მიუკეტეს, რაღაც იდუმალებით მოცული სულიერი ბაღიდანაც განდევნეს, რომელიც ახლა ენატრებოდა. უცებ საოცრად მარტოსულად იგრძნო თავი და

ატირდა. მერე მოქანცულმა თავი უკან გადააგდო და ამოიოხრა: „ოჰ, როგორი არარაობა ვარ“. იმ საღამოს უოლტერი შედარებით ადრე დაბრუნდა. კიტი ღია ფანჯარასთან შეზლონგზე იყო წამოწოლილი. ოთახში თითქმის ბნელოდა. - ლამპა არ გინდა? - ჰკითხა უოლტერმა. - მოიტანენ, როცა სადილი მზად იქნება. უოლტერი ყოველთვის დაუდევრად ელაპარაკებოდა რაღაც უმნიშვნელო ამბებზე, თითქოს მხოლოდ კარგი ნაცნობები იყვნენ. ქცევაში არასოდეს გამოუვლენია გულში დაგროვილი ბოღმა. კიტის ყოველთვის თვალს არიდებდა. არასდროს გაუღიმებდა. ამავე დროს, თავი ზედმიწევნით ზრდილობიანად ეჭირა. - უოლტერ, როგორ ფიქრობ, რას გავაკეთებთ, თუ ქოლერას გადავურჩით? - ჰკითხა კიტიმ. უოლტერმა მაშინვე არ უპასუხა. კიტი მის სახეს ვერ ხედავდა. - ამაზე არ მიფიქრია. ადრე კიტი, რაც კი ენაზე მოადგებოდა, ყველაფერს დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. მაგრამ ახლა უოლტერის ეშინოდა, გრძნობდა, ტუჩები უცახცახებდა და გული გამალებით უცემდა. - მონასტერში ვიყავი ნაშუადღევს. - მითხრეს. კიტიმ თავი აიძულა ლაპარაკი გაეგრძელებინა: - მართლა ჩემი სიკვდილი გინდოდა, აქ რომ წამომიყვანე? - შენს ადგილას, ძველ ამბებს არ გავიხსენებდი, კიტი. არა მგონია, რაიმე სიკეთე მოგვიტანოს იმაზე საუბარმა, რაც უმჯობესია, დავივიწყოთ. - მაგრამ შენ არ გავიწყდება, არც მე. აქ ჩამოსვლის შემდეგ ბევრი ვიფიქრე ამაზე. არ გინდა, რომ მომისმინო? - რა თქმა უნდა. - ძალიან ცუდად მოგექეცი. გიღალატე. უოლტერი თითქოს გაიყინა. საოცრად შიშისმომგვრელად გამოიყურებოდა. - არ ვიცი, გამიგებ თუ არა. ასეთი რამ არაფერს ნიშნავს ქალისთვის, როცა უკვე ყველაფერი დამთავრებულია. მგონი, ქალებს არასოდეს ესმოდათ კაცების. - ის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, საკუთარ ხმას თვითონაც ვერ სცნობდა. - შენ იცოდი, რასაც წარმოადგენდა ჩარლზი, და ისიც იცოდი, რას გააკეთებდა. მართალი ყოფილხარ, ის უვარგისი კაცია. ალბათ, ვერ მომატყუებდა, მეც რომ მასავით უღირსი არ ვყოფილიყავი. პატიებას არ გთხოვ, არც იმას გევედრები, უწინდებურად გიყვარდე, მაგრამ ხომ შეიძლება მეგობრები ვიყოთ?

როცა ჩვენ ირგვლივ უამრავი ადამიანი იხოცება, მონასტერში კი მონაზვნები... - რა შუაში არიან ისინი? - გააწყვეტინა უოლტერმა. - ამას ვერ ავხსნი.უცნაური გრძნობა დამეუფლა, იქ რომ მივედი. რა დიდ საქმეს აკეთებენ - და თან რა საშიშს. რა საოცრად მომხიბლავია მათი თავგანწირვა. მაშინ ვიგრძენი, თურმე რა დიდი სისულელე და უაზრობაა, - არ ვიცი, გამიგებ თუ არა, რისი თქმა მინდა - იტანჯო იმის გამო, რომ უჭკუო ქალმა გიღალატა. ვფიქრობ, ჩემნაირ არარაობაზე ფიქრიც კი არ ღირს. უოლტერმა არაფერი უპასუხა, თუმცა, არც განძრეულა; ჩანდა, ელოდა, როდის გააგრძელებდა კიტი საუბარს. - მისტერ უედინგტონმა და მონაზვნებმა შენზე იმდენი საოცარი რამ მითხრეს. ძალიან ვამაყობ შენით, უოლტერ. - ადრე არ ამაყობდი, გეზიზღებოდი. ახლა აღარ გეზიზღები? - თუ იცი, რომ შენი მეშინია? უოლტერი ისევ დუმდა. - არ მესმის შენი, - უთხრა ბოლოს, - ვერ გამიგია, რა გინდა. - ჩემთვის არაფერი. მხოლოდ ის მინდა, რომ ნაკლებ უბედურად იგრძნო თავი. უოლტერი გახევდა. მერე ცივი ხმით უპასუხა: - ცდები, თუ გგონია, რომ უბედური ვარ. უამრავი საქმე მაქვს და შენზე ფიქრისთვის დრო არ მრჩება. - ნეტავ, მონაზვნები მონასტერში მუშაობის ნებას არ დამრთავენ? დამხმარე აკლიათ და, თუ რამეში გამოვადგები, მადლიერი ვიქნები. - იქ მუშაობა არც ადვილია და არც სასიამოვნო. ვეჭვობ, დიდხანს გაგართოს. - ძალიან გეზიზღები, უოლტერ? - არა, - შეყოყმანდა, მერე კი უცნაური ხმით წარმოთქვა. - საკუთარი თავი მეზიზღება. ნასადილევს უოლტერი, ჩვეულებრივ, ლამპასთან იჯდა და კითხულობდა. ყოველ საღამოს კითხვაში ატარებდა, სანამ კიტი არ დაწვებოდა. მერე კი ლაბორატორიაში მიდიოდა, რომელიც ერთ-ერთ ცარიელ ოთახში ჰქონდა მოწყობილი. გვიან ღამემდე იქ მუშაობდა. ცოტა ეძინა. კიტიმ არ იცოდა, რა ცდებს ატარებდა. თავის სამუშაოზე არაფერს უყვებოდა, თუმცა ადრეც ასე ხდებოდა, ის ბუნებით თავდაჭერილი იყო. კიტი ბევრს ფიქრობდა უოლტერის ნათქვამზე. საუბარმა შედეგი არ გამოიღო. კიტი იმდენად ცუდად იცნობდა უოლტერს, რომ დარწმუნებული არ იყო, სიმართლე უთხრა თუ არა. ნუთუ ახლა,

როდესაც მას უოლტერის ასე ეშინია, კიტიმ მისთვის არსებობა შეწყვიტა? იქნებ ახლა, როცა აღარ უყვარს, მისი ლაპარაკი, რომელიც ერთ დროს ასე ართობდა, მოსაწყენადაც ეჩვენება? ეს გულს უკლავდა კიტის. მან უოლტერს შეხედა. ლამპის სინათლეზე კამეას1 უგავდა პროფილი, რომელიც ისევე დახვეწილი, სწორი და ლამაზნაკვთებიანი ჰქონდა, ოღონდ უფრო მკაცრი და სასტიკი. მისი უძრაობა, როცა მხოლოდ თვალები მოძრაობდნენ ყურადღებით წიგნის თითოეულ გვერდზე, გაურკვეველ შიშს ჰგვრიდა კიტის. ვინ იფიქრებდა, რომ ამ ქვასავით სახეს ოდესღაც სიყვარული და ვნება ასე ანაზებდა? კიტის ახლაც ზიზღისგან ოდნავ გააჟრჟოლა ამის გასხენებაზე. საოცარია, ხომ ასეთი ლამაზი, ამავე დროს პატიოსანი, ნიჭიერი და სათნო კაცი იყო უოლტერი, კიტიმ კი ვერა და ვერ შეიყვარა. შვებასაც კი გრძნობდა, რომ მისი ალერსის ატანა აღარ მოუწევდა. უოლტერმა არ უპასუხა კიტის შეკითხვას, მართლა ხომ არ გინდოდა ჩემი სიკვდილი, აქ წამოსვლა რომ მაიძულეო. ეს საიდუმლო საგონებელში აგდებდა და აშინებდა ქალს. უოლტერი იმდენად კეთილი იყო, რომ მისგან ასეთი რამ დაუჯერებელი ეჩვენებოდა. უეჭველია, მხოლოდ კიტის შესაშინებლად და ღალატისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით (მისი სარკასტული ბუნებიდან გამომდინარე, ეს გასაკვირი არც იყო), მერე კი სიჯიუტის გამო, თუ იმის შიშით, სულელად არ ჩამთვალონო, იძულებული გახდა, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. დიახ, მან თქვა, საკუთარი თავი მეზიზღებაო. ნეტავ, რას გულისხმობდა? კიტიმ კიდევ ერთხელ შეხედა მის მშვიდ, გულგრილ სახეს. უოლტერს თითქოს მისი არსებობა დავიწყებოდა, თითქოს ის ოთახში არც იყო. - რატომ გეზიზღება საკუთარი თავი? - ჰკითხა კიტიმ ისე, რომ ვერ გააცნობიერა ხმამაღლა თუ ლაპარაკობდა, თითქოს საუბარი არც შეუწყვეტიათო. უოლტერმა წიგნი დადო და დაფიქრებული სახით კიტის ისე შეხედა, თითქოს გონებით სულ სხვაგან, ძალიან შორს იყო და ახლა აბრს იკრებდა. - იმიტომ, რომ მიყვარდი. კიტი გაწითლდა და გვერდზე გაიხედა, ქმრის ცივ, მტკიცე და შემფასებლურ მზერას ვერ გაუძლო. ახლა ყველაფერს მიხვდა. ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია. -

მგონი, უსამართლოდ მექცევი, - თქვა მან, - რა ჩემი ბრალია, თუ სულელი, თავქარიანი და დაუფიქრებელი ვიყავი? ასე გამზარდეს. ყველა გოგო, ვისაც კი ვიცნობ, ასეთი იყო... ეს იგივეა, რომ მუსიკალური სმენის არმქონეს უსაყვედურო, სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე რატომ მოიწყინეო. რა ჩემი ბრალია, თუ ისეთი თვისებები მომაწერე, რაც არ გამაჩნდა? მე არასდროს მიცდია, შენთვის თავი სხვაგვარად მომეჩვენებინა. ერთი ლამაზი და მხიარული გოგო ვიყავი. ბაზრობაზე მარგალიტის ყელსაბამს ან სიასამურის ქურქს არავინ ყიდულობს, იქ მხოლოდ თუნუქის საყვირის ან საჰაერო ბუშტის ყიდვაა შესაძლებელი. - არც გადანაშაულებ. უოლტერს დაღლილი ხმა ჰქონდა. კიტი უკვე მოთმინებას ჰკარგავდა. რატომ ვერ ხვდება უოლტერი იმას, რაც კიტისთვის ასე უცებ გაცხადდა - თავზე აჩრდილივით წამომდგარი სიკვდილის შიშისა და იმ დღეს ხილული შემაძრწუნებელი მშვენიერების წინაშე მათი პრობლემა რომ არარაობაა? მართლაც, რა მოხდა, თუ სულელმა ქალმა ცოლქმრული ერთგულების ფიცი გატეხა, ან რატომ უნდა იფიქროს ამაზე მისმა ქმარმა, როცა ესოდენ ამაღლებულ და დიდებულ საქმეს აკეთებს? უცნაური იყო, რომ ჭკვიან უოლტერს, არ აღმოაჩნდა თანაფარდობის გრძნობა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდებოდა, რომ უოლტერმა თოჯინა დიდებულ სამოსში გამოაწყო და ღმერთივით ეთაყვანებოდა, მერე კი აღმოაჩინა, რომ თოჯინა თურმე ნახერხით იყო გამოტენილი და ვეღარც თავის თავს აპატია, ვეღარც კიტის და სულიერად დაიტანჯა. წარმოსახული სამყარო შექმნა და როცა რეალობამ ის დაუნგრია, ეგონა, რომ თვით ჭეშმარიტება დაიმსხვრა. კიტის იმიტომ ვერ შეუნდო, რომ საკუთარ თავსაც ვერ პატიობდა. კიტის მსუბუქი ოხვრა მოესმა და მაშინვე უოლტერს შეხედა. თავში უეცრად გაელვებულმა აზრმა სუნთქვა შეუკრა და კივილისგან თავი ძლივს შეიკავა. რა იყო ეს?.. ნუთუ უოლტერი - როგორც ამას უწოდებენ - გატეხილი გულისგან იტანჯებოდა? მეორე დღეს კიტი სულ მონასტერზე ფიქრობდა. მომდევნო დილით ადრე კი, უოლტერი რომ წავიდა, მოსამსახურე გაიყოლა და მდინარის გაღმა გავიდა. დილაადრიან ბორანი

ჩინელებით იყო სავსე. ზოგს ლურჯი ბამბის გლეხური ტანსაცმელი ეცვა, ზოგს წარჩინებულთა შავი სამოსი. ყველას ისეთი უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მკვდრები არიან და მდინარის გაღმა აჩრდილთა სამყაროსკენ მიემართებიანო. ნაპირზე გადასვლისას ცოტა ხანს შეჩერდნენ, თითქოს არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ, მერე კი მიმოიფანტნენ და ორ-ორად თუ სამ-სამად აუყვნენ გორაკს. ასეთ დროს ქუჩებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა და კიდევ უფრო მეტად ემსგავსებოდა მკვდართა ქალაქს. იშვიათ გამვლელებს აჩრდილებივით უაზრო სახეები ჰქონდათ. მოწმენდილი ციდან დილის მზე მოალერსე სხივებს უგზავნიდა ქვეყანას. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ ბედნიერ, სიცოცხლით სავსე და ნათელ დილას ქალაქი ქოლერის მარწუხებში იხრჩობოდა იმ ადამიანივით, რომლისთვისაც ვიღაც მანიაკს ყელში ხელი წაუჭერია და გუდავს. წარმოუდგენელი იყო, რომ ეს ბუნება (ბავშვის გულივით სუფთა ცისფერი ზეცა) შეიძლება ასე გულგრილი ყოფილიყო მაშინ, როცა სულთმობრძავი, დაკრუნჩხული ადამიანები შიშით ეგებებოდნენ სიკვდილს. როცა ტახტრევნები მონასტრის კარის წინ დადგეს, მიწაზე მჯდარი მათხოვარი წამოდგა და კიტის სამოწყალოდ ხელი გაუშვირა. მისი გაცვეთილი, გახუნებული ძონძები სანაგვიდან ამოღებულს ჰგავდა. დახეული ადგილებიდან თხის ტყავივით გაუხეშებული ნაგვემი კანი მოუჩანდა. გაძვალტყავებული შიშველი ფეხები, ბინძური ჭაღარა თმა, ჩაცვენილი ლოყები და მიბნედილი თვალები ნამდვილ შეშლილს ამსგავსებდა. შეშინებული კიტი მიტრიალდა, მებარგულებმა კი, მათხოვარს უხეშად დაუყვირეს, მაგრამ ვერ მოიშორეს. აცახცახებულმა კიტიმ მოისაზრა და მას ცოტაოდენი ფული მიაწოდა. კარი გაუღეს. მოსამსახურემ უთხრა, რომ ქალბატონს წინამძღვრის ნახვა სურდა. კიტი ისევ იმ სადა სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, სადაც ფანჯარა თითქოს არასდროს გაღებულა. აქ იმდენ ხანს იჯდა, ბოლოს გაიფიქრა, ალბათ, არც მოუხსენებიათ ჩემი მოსვლის შესახებო. ბოლოს წინამძღვარიც გამოჩნდა: - მაპატიეთ, რომ გალოდინეთ, არ გელოდით და საქმეს ვეღარ მოვწყდი. - მომიტევეთ, რომ გაწუხებთ,

მგონი, შეუფერებელ დროს მოვედი. წინამძღვარმა მკაცრად, მაგრამ თბილად გაუღიმა და სთხოვა, დაბრძანდითო. კიტიმ შეამჩნია, თვალები ტირილისგან დასიებოდა. ამან გააოცა, რადგან ფიქრობდა, რომ წინამძღვარს მიწიერი განცდები დიდად არ აწუხებდა. - ალბათ, რაღაც მოხდა, - წაილუღლუღა მან, - თუ გნებავთ, წავალ, შემიძლია, სხვა დროს მოვიდე. - არა, არა. მიბრძანეთ, რით შემიძლია, გემსახუროთ. უბრალოდ, ჩვენი ერთ-ერთი და გარდაიცვალა წუხელ, - წინამძღვარს ხმა აუკანკალდა და თვალები ცრემლებით აევსო, - ვიცი, ის წმინდანი იყო და მისი კეთილი და სპეტაკი სული პირდაპირ ზეცაში გაფრინდა; ამიტომ დარდი და წუხილი დიდი ცოდვაა, მაგრამ ძნელია, გულს უბრძანო. ვშიშობ, ყოველთვის გონივრულად ვერ ვიქცევი. - ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, - თქვა კიტიმ. მისმა გულწრფელმა თანაგრძნობამ წინამძღვარს გული აუჩუყა. - ის ერთ-ერთი იმ დათაგანი იყო, ამ ათი წლის წინ ჩემთან ერთად რომ ჩამოვიდნენ საფრანგეთიდან. ახლა სამნიღა დავრჩით. მახსოვს, შეჯგუფებული ვიდექით გემის წვერზე (რას ეძახით თქვენ მას? ჰო, კიჩოს.). როცა მარსელის ნავსადგურიდან გავდიოდით და ღვთისმშობლის ტაძარზე ოქროს ქანდაკება დავინახეთ, ერთად ვილოცეთ. მას შემდეგ, რაც რელიგიის მსახურად მაკურთხეს, ოცნებად მქონდა ჩინეთში წამოსვლის ნება დაერთოთ, მაგრამ რომ დავინახე, მიწა თანდათან გვშორდებოდა, ცრემლებისგან თავი ვერ შევიკავე. მე წინამძღვარი ვიყავი და ამით ცუდ მაგალითს ვაძლევდი ჩემს დებს. და, აი, მაშინ სენ-ფრენსის-ქსავიემ - ასე ერქვა იმ დას, წუხელ რომ გარდაიცვალა, - ხელი მომკიდა და დამამშვიდა: სადაც უნდა ვიყოთ, იქ იქნება ჩვენი საფრანგეთიც და ღმერთიც. წინამძღვარს მკაცრი, ლამაზი სახე ადამიანურმა ტკივილმა შეუჭმუხნა. თავს ძალას ატანდა, რომ არ ეტირა. ტირილს გონება და რწმენა უკრძალავდა. კიტიმ თვალი აარიდა, რადგან იგრძნო, ამ შინაგანი ჭიდილისთვის თვალის დევნება უხერხული იყო. - მამამისს ვწერდი წერილს. ისიც ჩემსავით დედისერთა იყო. მისი მშობლები მეთევზეები არიან ბრეტანში. ძნელი გადასატანი იქნება მათთვის ეს ამბავი. ოჰ, როდის მოეღება ბოლო ამ

საშინელ ეპიდემიას? ორი გოგონა ამ დილას გაგვიხდა ავად. სასწაული თუ იხსნით. ეს ჩინელები საერთოდ ვერ ებრძვიან ავადმყოფობას. ფრენსისის სიკვდილი დიდი დანაკლისია. საქმე ბევრია, ჩვენ კი ცოტანიღა დავრჩით. ჩინეთის სხვა მონასტრებშიც გვყავს დები, რომლებიც მზად არიან ჩამოვიდნენ. მთელი ჩვენი ორდენი, ვფიქრობ, არაფერს დაიშურებს (თუმცა არაფერი გააჩნიათ) აქ ჩამოსასვლელად, მაგრამ ეს ხომ თითქმის გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავს. ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ თავს ვართმევთ საქმეს დარჩენილი დების წყალობით, არ მინდა სხვებიც შეეწირონ. - ეს მხნეობას მმატებს, დედაო, - უთხრა კიტიმ. - მეგონა, ძალიან ცუდ დროს მოვედი. იმ დღეს მითხარით, დები საქმეს ვერ აუდიანო და მინდოდა გამეგო, მოსვლის და დახმარების ნებას თუ დამრთავდით. ჩემთვის სულ ერთია, რას გავაკეთებ, ოღონდ კი რამეში გამოგადგეთ. მადლობელი ვიქნები, თუნდაც იატაკების მოხეხვას თუ დამავალებთ. წინამძღვარმა მხიარულად გაიღიმა. კიტი მისი გუნება-განწყობის ასე უეცარმა ცვლილებამ განაცვიფრა. - იატაკების მოხეხვა არ დაგჭირდებათ. ამას ობლებიც მოახერხებენ. - წინამძღვარი შეჩერდა და კეთილი თვალებით შეხედა კიტის. - ჩემო ძვირფასო შვილო, როგორ ფიქრობთ, განა, ისიც არ კმარა, ქმარს რომ ჩამოჰყევით? ამას ბევრი ქალი ვერ გაბედავდა. გარდა ამისა, რას გააკეთებთ იმაზე უკეთესს, თუკი სამუშაოდან შინ დაბრუნებულს მოასვენებთ და ანუგეშებთ? დამიჯერეთ, სწორედ მაშინ სჭირდება მას თქვენი სიყვარული და ყურადღება. კიტიმ თვალი ვერ გაუსწორა წინამძღვრის გამომცდელ და, ამავე დროს, დამცინავ-ალერსიან მზერას. - მთელი დღე უსაქმოდ ვარ, - მიუგო კიტიმ. - აქ კი, იმდენი სამუშაოა... არ მინდა თქვენი სიკეთით ვისარგებლო და ძვირფასი დრო დაგაკარგინოთ, მაგრამ სრულიად სერიოზულად გეუბნებით. დიახ, თქვენი მხრიდან დიდი მოწყალება იქნება, თუ დახმარების ნებას მომცემთ. - თქვენ არც ისე ღონიერი ჩანხართ. გუშინწინ, პატივი რომ დაგვდეთ და გვესტუმრეთ, ძალიან ფერმკრთალი მეჩვენეთ. და სენ-ჟოზეფმა იფიქრა, ალბათ, ბავშვს ელოდებაო. - არა, არა, - წამოიძახა კიტიმ და საშინლად გაწითლდა. წინამძღვარმა ხმადაბლა გაიცინა. -

სამარცხვინო აქ არაფერია, შვილო ჩემო, არც შეუძლებელი. რამდენი ხანია დაქორწინებული ხართ? - ბავშვობიდანვე უფერული ვარ, მაგრამ ღონე არ მაკლია, მერწმუნეთ, მუშაობის არ მეშინია. წინამძღვარმა უკვე სძლია თავს. უცებ ჩვეული გამომეტყველება მიიღო და კიტის გამომცდელი თვალი შეავლო. კიტი უცნაურმა მღელვარებამ მოიცვა. - ჩინურად ლაპარაკობთ? - სამწუხაროდ, არა. - მიუგო მან. - ცუდია. მოზრდილი გოგოების ზედამხედველად დაგნიშნავდით. ახლა ამ საქმის გაძღოლა ძალზე ძნელია. მეშინია, გოგოები ხელიდან არ წავიდნენ, - დაასკვნა წინამძღვარმა. - იქნებ, ავადმყოფების მოვლაში დავხმარებოდი დებს? სულ არ მეშინია ქოლერის. გოგოებს ან ჯარისკაცებს მოვუვლიდი. წინამძღვარი უკვე აღარ იღიმებოდა, დაფიქრებით შეხედა კიტის და თავი გადააქნია. - თქვენ არ იცით, რა არის ქოლერა. საშინელი სანახავია. ლაზარეთში ამ სამუშაოს ჯარისკაცები ასრულებენ. დები მხოლოდ მეთვალყურეობენ. რაც შეეხება გოგოებს... არა, არა, დარწმუნებული ვარ, თქვენი ქმარი ამას არ მოინდომებს. ეს ამაზრზენი და საშინელი სანახავია. - შევეჩვევი. - არა, არ შეიძლება. ასეთი საქმეები მხოლოდ ჩვენ გვევალება, თქვენთვის კი აუცილებელი არაა. - გამოდის, რომ არაფრისთვის ვვარგივარ. ვერ დავიჯერებ, რომ საჩემო საქმე არაფერი გაქვთ. - ქმარს თუ მოელაპარაკეთ ამაზე? - დიახ. წინამძღვარმა ისე შეხედა, თითქოს მის გულში ჩახედვას ლამობსო, მაგრამ კიტის აღელვებული და მუდარით აღსავსე გამოხედვა რომ დაინახა, გაუღიმა. - თქვენ, რა თქმა უნდა, პროტესტანტი ხართ. - უთხრა მან. - დიახ. - ამას მნიშვნელობა არ აქვს. ექიმი უოტსონიც, აი, ის ქოლერით გარდაცვლილი მისიონერიც, პროტესტანტი იყო, მაგრამ მერე რა. ჩვენთვის ძალიან კარგი ადამიანი იყო. მისი დიდად მადლიერები ვართ. კიტის სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. წინამძღვარი ჩაფიქრდა. - ძალიან კარგია, რომ ასეთი სურვილი გაქვთ. ალბათ, რამეს მოგინახავთ. ახლა, როცა და სენ-ფრენსისი აღარ გვყავს, საქმეს თავს ვეღარ ვართმევთ. როდის ინებებთ მუშაობის დაწყებას? - ახლავე. - ა ძალიან კარგი, მიხარია ამის გაგება. -

გპირდებით, რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ. დიდი მადლობა შანსს რომ მაძლევთ. წინამძღვარმა სასტუმრო ოთახის კარი გამოაღო, მაგრამ შეჩერდა, სანამ გავიდოდა. კიდევ ერთხელ შეავლო კიტის გამომცდელი, სულის სიღრმემდე ჩამწვდომი მზერა, მერე კი ნაზად დაადო მკლავზე ხელი. - არ დაგავიწყდეთ, შვილო ჩემო, რომ სულიერ სიმშვიდეს ვერც შრომა, ვერც სიამოვნება და ვერც მონასტერი მოგანიჭებთ. ის თქვენს სულში უნდა იპოვოთ. კიტი შეკრთა. წინამძღვარი ოთახიდან სწრაფად გავიდა. კიტის მუშაობა აწყნარებდა. ყოველ დილას მზის ამოსვლისთანავე მიდიოდა მონასტერში და შინ მხოლოდ მაშინ ბრუნდებოდა, როცა ჩამავალი მზე ვიწრო მდინარესა და იქ შეჯგუფებულ ჯონკებს ოქროსფერ სხივებს აღარ სტყორცნიდა. წინამძღვარმა ბავშვები ჩააბარა მოსავლელად. კიტის დედას მშობლიური ლივერპულიდან დიასახლისობის კარგი უნარი ჩამოჰყვა ლონდონში და მასაც, მიუხედავად თავქარიანობისა, მეტ-ნაკლებად ჰქონდა ეს უნარი, რაზეც ადრე მხოლოდ ხუმრობით საუბრობდა. ასე რომ, საკმაოდ კარგი მზარეული იყო და შესანიშნავად კერავდა. კიტიმ ეს ნიჭი რომ გამოამჟღავნა, მოზრდილი გოგონები ჩააბარეს კერვის სასწავლებლად. მათ ცოტაოდენი ფრანგული იცოდნენ, კიტი კი ყოველდღე თითო-ოროლა ჩინურ სიტყვას სწავლობდა, ასე რომ, ამ საქმის გაძღოლა არ გაძნელებია. ხანდახან პატარებისთვის უნდა მიეხედა, რომ ისინი რამე ხიფათს არ გადაჰყროდნენ. მათთვის ჩაეცმია, გაეხადა და თამაშისას თვალი ედევნებინა. როგორც წესი, ბავშვების ზედამხედველებად ჩინელი მსახურები იყვნენ გამწესებულნი, მაგრამ ზოგ მათგანს კიტი ცვლიდა. კიტის ყველა საქმე ეადვილებოდა, უფრო რთული რამის გაკეთება უნდოდა, მაგრამ წინამძღვარი ყურადღებას არ აქცევდა მის თხოვნას. ისიც ჩუმდებოდა, იმის შიშით, თავი არ შევაწყინოო. პირველ დღეებში კიტი თავს ძალას ატანდა, რომ ამ უშნოდ ჩაცმული პატარა გოგონებისადმი ზიზღი დაეძლია, ასეთი უხეში შავი თმა და მრგვალი ყვითელი სახეები რომ ჰქონდათ და ასე დაჟინებით რომ მიშტერებოდნენ ნახშირივით შავი თვალებით. ამ დროს თვალწინ ედგა

ამ უშნო ბავშვებით გარშემორტყმული წინამძღვრის სინაზით გასხივოსნებული სახე. ზიზღის დასაძლევად თავს არ ზოგავდა. ახლა კი, როცა ხელში აიყვანდა ხოლმე პატარას, რომელიც დაცემულიყო ან კბილი ამოსდიოდა და ტიროდა, როცა ხედავდა თუნდაც ბავშვისთვის გაუგებარ ენაზე წარმოთქმული რამდენიმე ტკბილი სიტყვა, მისი ხელები, ცრემლებით დანამულ ყვითელ სახეზე მიდებული ლოყა მყისვე ამშვიდებდა პატარას, კიტის ნელ-ნელა უქრებოდა უცხოობის გრძნობა. თუ რამე უჭირდათ, პატარები დასახმარებლად მაშინვე მას მიმართავდნენ. ისიც ბედნიერი იყო მათი ნდობის მოპოვებით. ასევე იყო მოზრდილ გოგონებთანაც, რომელთაც ჭრა-კერვას ასწავლიდა: მათი ნათელი, ჭკვიანური ღიმილი, ის სიამოვნება, შექების დროს სახეზე რომ ეფინებოდათ, გულს უჩვილებდა კიტის. გოგონების სიყვარულს გრძნობდა; კმაყოფილსა და სიამაყით აღვსილს, თვითონაც მოსწონდა ისინი. მაგრამ ერთ ბავშვს კი ვერაფრით შეეთვისა. ამ ექვსი წლის ჰიდროცეფალიით დაავადებულ გოგონას პატარა, კოტიტა ტანზე უზარმაზარი თავი სიმძიმისგან უქანავებდა; დიდი უაზრო თვალები და დორბლიანი პირი ჰქონდა. თითო-ოროლა გაურკვეველ სიტყვას თუ ამოილუღლუღებდა. ამაზრზენი და საშინელი სანახავი იყო. არადა, რაღაც სულელურად ამოიჩემა კიტი და სულ კუდში დასდევდა, კაბაზე ებღაუჭებოდა, მუხლებზე სახით ეხუტებოდა, მოსაფერებლად ხელებზე ეპოტინებოდა. კიტის ზიზღისგან აჟრჟოლებდა, იცოდა, ბავშვი ალერსს იყო მონატრებული, მაგრამ ვერა და ვერ აიძულა თავი, მოფერებოდა. ერთხელ, როცა ამ ამბავს უყვებოდა სენ-ჟოზეფს, ისიც კი თქვა, საცოდაობაა მისი სიცოცხლეო. სენ-ჟოზეფს გაეღიმა და მახინჯი არსებისკენ ხელი გაიშვირა. ბავშვი მივიდა და ამობურცული შუბლი ხელზე გაუხახუნა. - საწყალი პატარა, - თქვა მონაზონმა. - მომაკვდავი მოიყვანეს. მადლობა ღმერთს, კარში მე შევხვდი. წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. მაშინვე მოვნათლეთ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ვიწვალეთ, რომ სიკვდილისთვის ხელიდან გამოგვეგლიჯა. სამ-ოთხჯერ გვეგონა, რომ მოკვდა და მისი სული ზეცაში გაფრინდა. კიტის აღარაფერი უთქვამს და სენ-ჟოზეფმაც

საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა. მეორე დღეს კი, როცა გონნაკლული ბავშვი კიტისთან მივიდა და ხელზე შეეხო, მან თავს ძალა დაატანა. ალერსით დაადო ხელი დიდ მოტიტვლებულ თავზე და ნაძალადევად გაუღიმა. მაგრამ, უეცრად, გოგონა შეშლილივით გაიქცა, თითქოს მისადმი ინტერესი დაკარგა. არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეებში მას ზედაც აღარ უყურებდა. კიტიმ არ იცოდა, რა ექნა: ხელს უქნევდა, უღიმოდა, ის კი შებრუნდებოდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ვერც ხედავდა. მონაზვნები დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. კიტი მათ იშვიათად ხვდებოდა, ისიც წირვის დროს, იმ ცარიელ, ღარიბულ სამლოცველოში. პირველ დღეს, როცა წინამძღვარმა გრძელ სკამებზე ასაკის მიხედვით მსხდომი გოგოების უკან კიტი დაინახა, შეჩერდა და უთხრა: - არ იფიქროთ, რომ ჩვენთან ერთად სამლოცველოში სიარული სავალდებულოა. თქვენ პროტესტანტი ხართ და თქვენი მრწამსი გაქვთ. - მე კი მინდა, მოვიდე ხოლმე, დედაო, აქ სულიერად ვისვენებ. წინამძღვარმა წამით თვალი შეავლო და მედიდური თავი ოდნავ დახარა. - რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც გსურთ. მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ ვალდებული არ ხართ. და სენ-ჟოზეფს კიტი თუ არ დამეგობრებია, მალევე დაუახლოვდა მაინც. ის მონასტრის სამეურნეო საქმეებს უძღვებოდა და წუთით არ ისვენებდა, ეს დიდი ოჯახი მშიერ-მწყურვალი რომ არ დარჩენილიყო. ამბობდა, დასასვენებლად მაშინ ვიცლი, როცა ვლოცულობო, მაგრამ საღამოს, როცა კიტი და მისი გოგონები მუშაობდნენ, სიამოვნებით შედიოდა, წაივიშვიშებდა, დავიღალეო, საკუთარი თავისთვის ვერასდროს ვიცლიო და რამდენიმე წუთით საჭორაოდ ჩამოჯდებოდა. როცა წინამძღვრის გვერდით არ იყო, ბევრს ლაპარაკობდა. მხიარული ადამიანი იყო, ცოტა ენაკვიმატიც და ხუმრობა უყვარდა. კიტის მისი არ ეშინოდა. ღვთის მსახურება ხელს არ უშლიდა სენ-ჟოზეფს კეთილი და გულღია ქალი ყოფილიყო. კიტიც მხიარულად ჭორაობდა მასთან, ფრანგულის ცუდად ცოდნა არ აბრკოლებდა, ისინი კიტის შეცდომებზე ერთად იცინოდნენ. ყოველდღე სენ-ჟოზეფი რამდენიმე საჭირო ჩინურ

სიტყვას ასწავლიდა. ის ფერმერის ქალიშვილი იყო და სულის სიღრმეში მაინც გლეხის ქალად რჩებოდა. - პატარაობისას ძროხებს ვმწყემსავდი, - უთხრა მან, როგორც წმინდა ჟანა დ'არკი - ოღონდ, როგორც ცოდვილს, ხილვები არ მქონდა. კიდევ კარგი, რომ არ მქონდა, თორემ მამაჩემის წკეპლას ვერ გადავურჩებოდი. ხშირად მომხვედრია იმ საცოდავისგან, ისე, ძალიან ცელქი ვიყავი. ახლაც, როცა ჩემს ოინებს ვიხსენებ, სირცხვილი მაწუხებს-ხოლმე. კიტის ეცინებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ეს შუახანს მიტანებული ჩასუქებული მონაზონი ოდესღაც ჭირვეული ბავშვი იყო. თუმცა რაღაც ბავშვური ახლაც ჰქონდა და გულიც ამიტომ მიუწევდა მისკენ. მას თითქოს შემოდგომის სოფლის სურნელი ასდიოდა, როცა ვაშლის ხეები ხილითაა დახუნძლული, პურეული კი აღებული და საიმედოდ დაბინავებული. წინამძღვრისგან განსხვავებით, ის არ იყო მკაცრი და ასკეტური, უბრალო და მხიარული ხასიათი ჰქონდა. - არასოდეს გინატრიათ შინ დაბრუნება, დაო? - ჰკითხა კიტიმ. - არა, გამიჭირდებოდა უკან დაბრუნება. მომწონს აქაური ცხოვრება. ობლებთან ყოფნას არაფერი მირჩევნია. ისეთი კარგები და მადლიერები არიან. კარგია მონაზვნობა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს დედის არსებობა, ის, რომ მისი ძუძუ გვიწოვია. დედაჩემი მოხუცია, ძალიან ვწუხვარ, რომ ვეღარ ვნახავ; მაგრამ რძალი და ჩემი ძმა კარგად ეპყრობიან. მათ ერთი ვაჟი ჰყავთ; ალბათ, ძალიან უხარიათ, რომ ფერმაში მუშახელი მოემატებათ. საფრანგეთიდან რომ წამოვედი, პატარა ბიჭი იყო, მაგრამ ისეთი იზრდებოდა, ალბათ, ახლა ხარს წააქცევს. თითქმის დაუჯერებელი იყო, რომ ამ წყნარი ოთახის კედლებს მიღმა, სადაც კიტი მონაზვნის ამბავს უსმენდა, ქოლერა მძინვარებდა. სენ-ჟოზეფის მხიარულება და უდარდელობა კიტისაც გადაედო. მონაზონი ამ ქვეყანას და მის ბინადართ გულუბრყვილო, ცნობისმოყვარე თვალით უმზერდა და ათასნაირ კითხვას უსვამდა კიტის ლონდონსა და ინგლისზე, სადაც, მისი აზრით, ისეთი სქელი ნისლი იცის, რომ შუადღისას თვალთან თითს ვერ მიიტან. აინტერესებდა, დადიოდა თუ არა კიტი მეჯლისებზე,

დიდ სახლში ცხოვრობდა თუ არა და რამდენი და-ძმა ჰყავდა. ხშირად ახსენებდა უოლტერს. წინამძღვარი ამბობს, უოლტერი შესანიშნავი კაციაო და ყოველდღე მისთვის ლოცულობს. რა ბედნიერია კიტი, რომ ასეთი კარგი, მამაცი და ჭკვიანი ქმარი ჰყავს. ადრე თუ გვიან, სენ-ჟოზეფი ისევ წინამძღვარზე საუბარს უბრუნდებოდა. კიტი იმთავითვე გრძნობდა, რა გავლენა ჰქონდა ამ ქალს მთელ მონასტერზე. მონასტრის ყველა მკვიდრს უყვარდა და პატივს სცემდა, თუმცა მისი ეშინოდათ კიდეც. წინამძღვარი ძალზე გულთბილად ექცეოდა კიტის, მაგრამ ის მის წინაშე თავს სკოლის მოწაფედ გრძნობდა; მთლად თავისუფლად ვერ იყო, რადგან რაღაც უცნაური გრძნობა ეუფლებოდა და ეს გრძნობა მოწიწებით ავსებდა. სენ-ჟოზეფმა შთაბეჭდილების მოსახდენად გულუბრყვილოდ უთხრა კიტის, რომ წინამძღვარი დიდგვაროვანი ოჯახიდან იყო; რომ მის წინაპართაგან ზოგი ისტორიული პიროვნებაც კი გახლდათ; რომ ევროპის მეფეთა ნახევარი მისი შორეული ნათესავები იყვნენ; რომ მამამისი ესპანეთის მეფე ალფონსოს მამულებში ნადირობდა; რომ საფრანგეთის ყველა კუთხეში აქვთ სასახლეები და, ალბათ, გაუძნელდებოდა ამ ფუფუნების დათმობაო. კიტი მომღიმარი სახით უსმენდა, მაგრამ არაფერი ანცვიფრებდა. - დიახ, შეხედავთ თუ არა, მაშინვე მიხვდებით, - თქვა დამ, - რომ არისტოკრატიული ოჯახიდანაა. - მისნაირი ლამაზი ხელები არასდროს მინახავს, - თქვა კიტიმ. - არადა, რომ იცოდეთ, რამდენი ჯაფა აქვს გამოვლილი ამ ხელებს. არანაირ სამუშაოს არ თაკილობს. ამ ქალაქში რომ მოვიდნენ, ეს ადგილი ცარიელი იყო. მონასტერი მათ ააშენეს. წინამძღვარმა თვითონ შეადგინა გეგმა და მშენებლობასაც თავად ზედამხედველობდა. ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ ბავშვთა სახლიდან და ბებიაქალთა ულმობელი ხელიდან არასასურველი პატარა გოგონების დახსნას. პირველად საწოლებიც კი არ ჰქონდათ, შეუმინავი ფანჯრებიდან ღამის სიცივე ატანდა (ღამის სიცივეზე მავნე ჯანმრთელობისთვის არაფერიაო, ამბობდა და სენ-ჟოზეფი); ხშირად არამარტო მშენებლობის, არამედ ღარიბული საჭმლის ფულიც არ ჰქონდათ, უბრალო გლეხებივით ცხოვრობდნენ. არადა, მამამისის

ფერმაში მომუშავე ფრანგი გლეხები ასეთ საჭმელს, ალბათ, ღორებს უყრიდნენ. წინამძღვარი შემოიკრებდა ხოლმე თავის სულიერ დებს და დაჩოქილნი ლოცულობდნენ. წმინდა ქალწულიც სწყალობდა. მეორე დღეს ფოსტით ათას ფრანკს ღებულობდნენ, ან უცხო, ვინმე ინგლისელი (თუნდაც, პროტესტანტი), ან ჩინელი კარზე დაუკაკუნებდა, როცა ისინი ჯერაც დაჩოქილნი ლოცულობდნენ, და შესაწირავს მოართმევდა. ერთხელ ისე გაუჭირდათ, რომ ერთად შეჰღაღადეს წმინდა ქალწულს, ათი დღე ვილოცებთ შენზე, ოღონდ დაგვეხმარეო. და, ჰოი, საოცრებავ! მეორე დღეს ისინი იმ სასაცილო მისტერ უედინგტონმა მოინახულა და უთხრა, ვხედავ, ლუკმა-პური მოგნატრებიათო და ასი დოლარი დაუტოვა. - ეს მელოტი უედინგტონი თავისი პატარა, გამჭრიახი თვალებითა და ოხუნჯობით სასაცილო შთაბეჭდილებას ტოვებს. მონ დიეუ1 , როგორ სასაცილოდ ამახინჯებს ფრანგულს. უედინგტონი ყოველთვის კარგ გუნებაზეა. ამ საშინელი ჟამიანობის დროს ისე უჭირავს თავი, თითქოს ლხინში იყოს. სულითა და გულით თითქმის ფრანგია, ვერც დაიჯერებ, რომ ინგლისელია. მხოლოდ ეგაა, რომ აქცენტით ლაპარაკობს. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, რომ ჩვენს გასაცინებლად განგებ ამახინჯებს ფრანგულს. თუმცა ზნეობით კი, ისეთი ვერაა, როგორიც უნდა იყოს, მაგრამ რას იზამ, მისი საქმეა (აქ და სენ-ჟოზეფმა ამოიოხრა, მხრები აიჩეჩა და თავი გადააქნია), ახალგაზრდა, უცოლო კაცია. - რა არის ცუდი მის ზნეობაში? - ჰკითხა კიტიმ ღიმილით. - ნუთუ, არ იცით? ამის თქმა ცოდვაა, მაგრამ არა უშავს. ჩინელ ქალთან ცხოვრობს, უფრო სწორად, ქალი ჩინელი კი არა, მანჯურიელია, პრინცესა უნდა იყოს, გაგიჟებით უყვარს უედინგტონი. - დაუჯერებელია, - წამოიძახა კიტიმ. - არა, არა, მერწმუნეთ, სიმართლეა. ეს დიდი უზნეობაა მისი მხრიდან. ასეთი რამ არ შეიძლება. არ გახსოვთ, პირველად რომ მოხვედით მონასტერში, ჩემი გაკეთებული „მადლენი“ რომ არ ჭამა; მაშინ დედა წინამძღვარმა თქვა, მაგას მანჯურიულმა კერძებმა გაუფუჭა მადაო? წინამძღვარი სწორედ ამას გულისხმობდა. უნდა გენახათ, როგორ იმართლებდა თავს უედინგტონი. ისე, საინტერესო ამბავია. როგორც ჩანს,

რევოლუციის დროს, როცა მანჯურიელებს უმოწყალოდ ჟლეტდნენ, უედინგტონი ჰანკოუში ყოფილა. კეთილმა პატარა უედინგტონმა სიკვდილს გადაარჩინა ერთი იმპერატორის მონათესავე დიდგვაროვანი ოჯახი. მათ ასულს თავდავიწყებით შეუყვარდა ჩვენი მებაჟე. დანარჩენს კი, ალბათ, თვითონაც მიხვდებით. მერე ჰანკოუდან წამოვიდა, ქალმა ოჯახი მიატოვა და მას გამოჰყვა. ახლა კი ყველგან დასდევს. საწყალი უედინგტონიც იძულებულია არჩინოს, თანაც ძალიან უყვარს. ზოგიერთი მანჯურიელი ქალი მართლაც მომხიბლავია. თუმცა, რა დროს ესაა! უამრავი საქმე მაქვს და მე კი აქ მოცლილივით ვზივარ! რა ცუდი მონაზონი ვარ! საკუთარი თავის მრცხვენია. კიტის უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს უფრო დაქალდა, ასაკი მოემატა. საქმეს გული გადააყოლა, სხვაგვარმა ცხოვრებამ და შეხედულებებმა წარმოსახვა გაუმდიდრა: ნელ-ნელა გახალისდა, თავს უფრო უკეთ და მხნედ გრძნობდა. ადრე ეგონა, ტირილის გარდა აღარაფერი დამრჩენიაო, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ხშირად დაუჭერია თავი, რაღაცაზე რომ იცინოდა და ამის გამო რცხვენოდა. ახლა სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა შუა ეპიდემიის კერაში ცხოვრება. იცოდა, მის გარშემო ხალხი იხოცებოდა, მაგრამ ამასაც მიეჩვია. წინამძღვარმა ლაზარეთებში სიარული აუკრძალა. დაკეტილი კარი კიტის ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, ძალიან უნდოდა შიგ შეეხედა, მაგრამ, რომ წაესწრო, არ იცოდა, ამის გამო წინამძღვარი რა სასჯელს დაადებდა. თუ დაითხოვდა, ვერ აიტანდა. ახლა ბავშვებისთვის თავს არ ზოგავდა. ისინიც მოისაკლისებდნენ. ამ პატარების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ერთ მშვენიერ დღეს გააცნობიერა, რომ მთელი კვირა ერთხელაც არ გახსენებია ჩარლზ ტაუნსენდი. სიზმარშიც კი არ უნახავს. გული შეუფართხალდა: განიკურნა, განიკურნა! ახლა უკვე შეუძლია გულგრილად იფიქროს მასზე. უკვე აღარ უყვარს. ოჰ, რა შვება და თავისუფლება იგრძნო! კიდევაც უკვირდა, როცა იხსენებდა, როგორ ილტვოდა მისკენ. ეგონა, ჩარლზის ღალატის შემდეგ ვეღარც იცოცხლებდა და იმ საშინელი დღის მერე ცხოვრებაში მხოლოდ უბედურებები ელოდა. ახლა კი

სიცილიც შეუძლია. რა არარაობა ყოფილა! როგორ გაიბრიყვა თავი! ახლა, როცა მშვიდად შეეძლო ტაუნსენდის შეფასება, უკვირდა, რა ნახა ამ კაცში. კიდევ კარგი, უედინგტონმა არაფერი იცოდა, თორემ რა გაუძლებდა მის დამცინავ გამოხედვასა და ირონიულ შენიშვნებს. როგორც იქნა, გათავისუფლდა! თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გადაეხარხარა... ბავშვები ხმაურობდნენ და კიტიც, ჩვეულებრივ, მშვიდი ღიმილით უყურებდა. ტუქსავდა ხოლმე, როცა თავს გავიდოდნენ და თვალს ადევნებდა, ამ ჟივილ-ხივილში არაფერი მოეწიათ. მაგრამ ახლა, როცა ასეთ კარგ გუნებაზე იყო, როცა მათსავით პატარა გოგოდ გრძნობდა თავს, ისიც ჩაება თამაშში. პატარები აღფრთოვანდნენ, წივილ-კივილით აქეთ-იქით დარბოდნენ, ერთ ამბავში იყვნენ, სიხარულისგან ჰაერში ხტოდნენ. იყო ერთი ყიჟინა. უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე წინამძღვარი გამოჩნდა. კიტიმ დარცხვენით გაითავისუფლა თავი პატარების ხელებისგან, კალთაზე რომ ეპოტინებოდნენ. - ესაა ბავშვების მშვიდი მოვლა? - ჰკითხა წინამძღვარმა ღიმილით. - ვთამაშობდით, დედაო, ბავშვები მეტისმეტად გამხიარულდნენ. ჩემი ბრალია, მე გავათამამე. წინამძღვარი შემოვიდა და ბავშვებიც, როგორც ყოველთვის, გარს შემოეხვივნენ. მან პატარებს ვიწრო მხრებზე ხელი მოჰხვია და ხუმრობით ყვითელი ყურები აუწია. მერე ნაზად შეხედა კიტის, რომელსაც ლოყები აღაჟღაჟებოდა და სუნთქვა გახშირებოდა. წყლიანი თვალები უკიაფებდა, ხტუნვისგან გაწეწილი მშვენიერი თმა კიდევ უფრო მომხიბლავ იერს აძლევდა. - როგორი ლამაზი ხარ, შვილო ჩემო, - უთხრა წინამძღვარმა. - რა სასიამოვნოა თქვენი ყურება, არცაა გასაკვირი, ბავშვები რომ გაღმერთებენ. კიტი გაწითლდა. თვალები ცრემლით აევსო და სახეზე ხელები აიფარა. - ოჰ, დედაო, ნუ მარცხვენთ. - ნუ სულელობთ. მშვენიერებაც ღმერთის მომადლებულია, მისი ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი და ფასდაუდებელი საჩუქარია. მადლიერებით უნდა აღვივსოთ, თუ ამ ბედნიერებას გვარგუნებს, და ასევე მადლიერნი უნდა დავრჩეთ, თუკი ჩვენდა საამებლად სხვებს მიანიჭებს მას. მან ისევ გაიღიმა და ისე ნაზად

მოუთათუნა კიტის ლოყაზე ხელი, თითქოს ისიც ბავშვი იყო. მონასტერში მუშაობის დაწყების შემდეგ კიტი უკვე ისე ხშირად ვეღარ ხედავდა უედინგტონს. ის ორ-სამჯერ მდინარის ნაპირზე ჩამოვიდა კიტისთან შესახვედრად და ერთად ავიდნენ გორაკზე. ზოგჯერ სოდიანი ვისკის დასალევად შეუვლიდა ხოლმე. სადილზე კი, იშვიათად რჩებოდა. მაგრამ ერთ კვირა დღეს უედინგტონმა შესთავაზა, საუზმე წაეღოთ და ტახტრევნებით წასულიყვნენ ქალაქიდან ათ მილზე მდებარე ბუდისტურ მონასტერში, რომელიც ყოველთვის უამრავი მომლოცველით იყო ცნობილი. წინამძღვარმა კიტის მოსთხოვა, რომ ერთი დღე დაესვენა. კვირაობით მუშაობის უფლებას არ აძლევდა. უოლტერი კი, როგორც ყოველთვის, დაკავებული იყო. ადრე გავიდნენ, რომ შუადღის პაპანაქება სიცხისთვის თავი აერიდებინათ. ტახტრევნებით ბრინჯის ყანებში მიმავალ ვიწრო მოკირწყლულ გზას დაადგნენ. გზად, ბამბუკის ჭალაში, აქა-იქ, კეთილმოწყობილი ფერმები ხვდებოდათ. კიტის ასეთი დასვენება მოეწონა. ქალაქში გამოკეტილი ახლა შემოგარენის ხილვით ტკბებოდა. მონასტერი მდინარის პირას მიმოფანტული ხეების ჩრდილქვეშ ლამაზად შეყუჟულ დაბალ ნაგებობებს აერთიანებდა. მომღიმარი ბერები მათ ეზოში შეუძღვნენ, სადაც კუშტი სიცარიელე გამეფებულიყო. მერე ტაძრები დაათვალიერებინეს. სამლოცველოში შორეული, სევდიანი, განმარტოებული და ოდნავ მომღიმარი ბუდა იჯდა, ირგვლივ ყველაფერს მწუხარე იერი დასდებოდა. მთელი ეს დიდებულება ნანგრევებად ქცეულიყო. ღმერთების გამოსახულებები მტვერს დაეფარა, მათი შემქმნელი რწმენა კი ნელ-ნელა იფერფლებოდა. ბერები თითქოს სამსახურიდან დათხოვნის ნიშანს ელოდნენ და უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ. მეტისმეტად ზრდილი წინამძღვრის ღიმილში ბედისადმი ირონიული მორჩილება იკითხებოდა. ერთხელაც იქნებოდა, ბერები ამ ჩრდილოვანი სასიამოვნო ტყიდან გაიკრიფებოდნენ, დანგრეულ, მიტოვებულ შენობებს ძლიერი ქარიშხლები მიწასთან გაასწორებდა, მცენარეები დაფარავდა. ეზოებში ხეები ამოვიდოდა. მაშინ მომაკვდავი ღმერთებიც

მიატოვებდნენ აქაურობას და მეუფება ბნელეთის მოციქულ ბოროტ სულებს დარჩებოდათ. ისინი პატარა პაგოდის1 საფეხურებზე ისხდნენ (შენობას ჰქონდა ოთხი ლაქწასმული სვეტი და კრამიტის მაღალი სახურავი, რომლის ქვეშაც ბრინჯაოს დიდი ზარი იდგა) და მდინარეს გაჰყურებდნენ, რომელიც მდორედ მიიკლაკნებოდა დასნეულებული ქალაქისკენ. აქედან კარგად ჩანდა ქალაქის დაკბილული გალავანი, რომლის თავზე სიცხის ბუღი იდგა. ამ მდორე მდინარეს მაინც ეტყობოდა რაღაც მოძრაობა, რომლის დანახვაზეც კაცს ამ წუთისოფლის წარმავლობის სევდა ეუფლებოდა. ყველაფერი მიდის, მაგრამ ტოვებს კი თავისი არსებობის რაიმე კვალს? კიტის მოეჩვენა, რომ ისინი, მთელი კაცობრიობა, ამ მდინარის წყლის წვეთებივით ერთად მჭიდროდ შეკრულნი და მაინც დაშორებულნი, უსახელო ნაკადად მიედინებოდნენ ზღვისკენ. მაშინ, როცა ყველაფერი ასე წარმავალი და უმნიშვნელოა, რა სამწუხაროა, რომ ადამიანები რაღაც წვრილმანებს ანიჭებენ მნიშვნელობას და ამით საკუთარ თავსაც აუბედურებენ და სხვებსაც. - ჰარინგტონ გარდენსის ქუჩა თუ იცით? - ჰკითხა უედინგტონს კიტიმ და მშვენიერი თვალებით გაუღიმა. - არა. რატომ მეკითხებით? - ისე. უბრალოდ, აქედან ძალიან შორსაა. ჩემები იქ ცხოვრობენ. - შინ წასვლა გენატრებათ? - არა. - ვფიქრობ, ორ თვეში წახვალთ კიდეც. ეპიდემიამ იკლო, სიცივე კი, საერთოდ ბოლოს მოუღებს. - მგონია, რომ გულიც კი დამწყდება აქედან წასვლაზე. კიტი წამით მომავალზე ჩაფიქრდა. არ იცოდა, უოლტერს რა გეგმები ჰქონდა. მას ამ თემაზე საერთოდ არ ელაპარაკებოდა. წყნარი, ზრდილი, ჩუმი და გამოუცნობი კაცი იყო უოლტერი. ისინი ორი პატარა წვეთი იყვნენ იმ მდინარეში, რომელიც უხმოდ და უმისამართოდ მიედინებოდა. მდინარის ორი პატარა წვეთი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულნი, მაგრამ გარეშეთათვის მაინც, მდინარის განუყოფელი ნაწილნი. - უფრთხილდით, მონაზვნებმა თავიანთ რჯულზე არ მოგაქციონ, - უთხრა უედინგტონმა დამცინავი ღიმილით. - სად სცალიათ ამისთვის. არც აინტერესებთ. შესანიშნავი და გულკეთილი ქალები არიან. და მაინც - არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ,

- მათსა და ჩემ შორის კედელია აღმართული. ვერ გამირკვევია, ეს რა არის. თითქოს იციან რაღაც საიდუმლო, რამაც ასე გარდაქმნა მათი ცხოვრება და რისი გაზიარების ღირსადაც მე არ მთვლიან. ეს არ არის რწმენა: ეს რაღაც უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია. ისინი სულ სხვა სამყაროში ცხოვრობენ. ჩვენ მათთვის ყოველთვის უცხონი ვიქნებით. ყოველდღე, როცა ჩემ უკან მონასტრის კარი იხურება, ასე მგონია, მათთვის აღარ ვარსებობ. - გატყობთ, ეს ამბავი პატივმოყვარეობას გიღიზიანებთ, - დამცინავად უთხრა უედინგტონმა. - პატივმოყვარეობას? - კიტიმ მხრები აიჩეჩა. შემდეგ კვლავ ღიმილით მიუბრუნდა უედინგტონს. - ერთხელ მაინც გეთქვათ, მანჯურიელ პრინცესასთან რომ ცხოვრობთ. - რა გითხრეს იმ ჭორიკანა ბებრუხანებმა? ვფიქრობ, მონაზვნებისთვის მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება საბაჟოს მოხელეთა პირად ცხოვრებაზე ჭორაობა. - რატომ ბრაზობთ? უედინგტონმა თვალები დახარა და ცბიერი გამომეტყველებით განზე გაიხედა. მხრები ოდნავ აიჩეჩა. - ეს სალაპარაკო არ არის. არა მგონია, ამან ხელი შეუწყოს ჩემს სამსახურში დაწინაურებას. - ძალიან გიყვართ? უედინგტონმა ახლა კი ჯიქურ შეხედა. მის უშნო, პატარა სახეზე ცელქი მოსწავლის გამომეტყველება იკითხებოდა. - მან ჩემი გულისთვის ყველაფერი დათმო, სახლი, ოჯახი, მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა... მრავალი წელია მას შემდეგ, რაც ყველაფერი ქარს გაატანა, ოღონდ კი ჩემთან ყოფილიყო. ორ-სამჯერ გავუშვი, მაგრამ უკანვე დაბრუნდა. მერე თვითონ გავექეცი, მაგრამ მომაგნო. ახლა ხელი ჩავიქნიე, რადგან ამას აღარაფერი ეშველება: ალბათ, უნდა შევეგუო იმას, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება მის გვერდით უნდა გავატარო. - ალბათ, გაგიჟებით უყვარხართ. - იცით, ეს რაღაც უცნაური გრძნობაა, - შუბლი შეჭმუხნა მან, - ეჭვიც არ მეპარება, საბოლოოდ რომ მიმეტოვებინა, თავს მოიკლავდა. არა იმიტომ, რომ ჩემზე გაბრაზდებოდა, უბრალოდ, უჩემოდ სიცოცხლე არ მოუნდებოდა. როცა ამას აცნობიერებ, უცნაური გრძნობა გეუფლება. ეს, შენდაუნებურად, ბევრს ნიშნავს. - მაგრამ მთავარია, როცა გიყვარს და არა, როცა უყვარხარ. ზოგჯერ

მადლიერიც კი არა ხარ იმისი, ვისაც უყვარხარ - თუ არ გიყვარს, მოწყენილობის გარდა, არაფერს გრძნობ. - ვერ გეტყვით, გამოცდილება არ მაქვს, - მიუგო უედინგტონმა. - მართლა სამეფო საგვარეულოს შთამომავალია? - არა, ეს მონაზვნების რომანტიკული ფანტაზიაა. ის მანჯურიის ერთ-ერთი დიდგვაროვანი ოჯახიდანაა. ისინი, რევოლუციის დროს გაანადგურეს. მიუხედავად ამისა, მაინც დიდგვაროვანი ქალია, - წარმოთქვა ამაყად. კიტის თვალებში ღიმილი გაუკრთა. - მაშ, მთელი ცხოვრება აქ დარჩებით? - ჩინეთში? დიახ. სხვაგან რა უნდა აკეთოს? პენსიაზე რომ გავალ, პეკინში პატარა ჩინურ სახლს ვიყიდი და დარჩენილ დღეებს იქ გავატარებ. - შვილები გყავთ? - არა. კიტიმ ცნობისმოყვარეობით შეხედა. საოცარია, რომ ამ მელოტმა, პატარა, მაიმუნისსახიანმა ადამიანმა უცხოელ ქალს ასე ძლიერ შეაყვარა თავი. კიტიმ თვითონაც არ იცოდა, რატომ მოახდინა მასზე ასეთი ღრმა შთაბეჭდილება უედინგტონის ნათქვამმა, რატომ ირწმუნა იმ უცხოელი ქალის წამლეკავი სიყვარული და თავდადებული ერთგულება, მაშინ, როცა უედინგტონი მასზე არც ისე მოკრძალებით, პირიქით, დაუდევრად ლაპარაკობდა. - ნამდვილად შორს არის ჰარინგტონ გარდენსი, - გაეღიმა კიტის. - რატომ ამბობთ მაგას? - ვერაფერი გამიგია. რა უცნაურია ცხოვრება. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი სიცოცხლე იხვების გუბესთან გავატარე და უეცრად ზღვა დავინახე. ცოტა სული მეხუთება და მაინც გუნება გამიხალისდა. სიკვდილი არ მინდა. მინდა ვიცოცხლო. გამბედაობას ვგრძნობ, ასე მგონია, ძველი მეზღვაური ვარ, ჯერ აღმოუჩენელი ზღვებისკენ რომ ეწევა გული. ვფიქრობ, ჩემი სული რაღაც იდუმალებისკენ ისწრაფვის. უედინგტონმა ჩაფიქრებით შეხედა. ქალი მდინარის სარკისებურ ზედაპირს დაჰყურებდა. ორი პატარა წვეთი ჩუმად, უხმოდ მიცურავდა ბნელით მოცულ მარადიული ზღვისკენ. - შეიძლება მოვიდე და მანჯურიელი ქალი ვნახო? - ჰკითხა კიტიმ და მოულოდნელად თავი ასწია. - ერთი სიტყვა ინგლისურიც კი არ იცის. - თქვენ ისეთი სიკეთე გამოიჩინეთ ჩემდამი, რომ უსიტყვოდაც მივახვედრებ მისდამი ჩემს მეგობრულ განწყობას. უედინგტონს დამცინავად ჩაეღიმა, მაგრამ

თბილად უპასუხა: - ერთ დღეს გამოგივლით და წაგიყვანთ. ჟასმინის ჩაით გაგიმასპინძლდებით. კიტიმ არ გაუმხილა უედინგტონს, რომ ამ უცხოელი ქალის მისდამი სიყვარულმა თავიდანვე გაუღვიძა ცნობისმოყვარეობა და, რომ მისთვის იმ რაღაცის სიმბოლოდ იქცა, რაც ბუნდოვნად, მაგრამ დაჟინებით უხმობდა და ფარულად სულის მისტიკური სამყაროსკენ უთითებდა. ორი-სამი დღის შემდეგ კიტიმ მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთა. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც მონასტერში წავიდა და მუშაობას შეუდგა - პირველ რიგში, უნდა ეზრუნა, ბავშვებს ხელ-პირი დაებანათ და ჩაეცვათ. რადგან მონაზვნებს მტკიცედ სწამდათ, რომ ღამის ჰაერი მავნე იყო, ამიტომ საერთო საძინებელში დახუთულობა და მყრალი სუნი იდგა. ეს განსაკუთრებით დილის სუფთა ჰაერის შემდეგ იგრძნობოდა, ამიტომ კიტი სწრაფად აღებდა იმ ფანჯრებს, რომელთა გაღებაც საერთოდ შეიძლებოდა. მაგრამ დღეს უეცრად ძალიან ცუდად იგრძნო თავი, თავბრუ დაეხვა და ფანჯარასთან დადგა, იქნებ გამიაროსო. ასე ცუდად არასოდეს ყოფილა. მერე გულიც აერია და ისე შეჰკივლა, რომ ბავშვები შეშინდნენ. კიტის დამხმარე უფროსმა გოგონამ, კი მიირბინა, მაგრამ გაფითრებული და აკანკალებული რომ დაინახა, იმანაც შეჰკივლა და შეჩერდა. ქოლერა! - გაუელვა კიტის გონებაში და სიკვდილის შიშმა აიტანა. ერთხანს თავს ებრძოდა. ძარღვებში სისხლი გაეყინა, ისე ცუდად გახდა, თვალთ დაუბნელდა. თვალები რომ გაახილა, პირველად ვერ მიხვდა, სად იყო. თითქოს იატაკზე იწვა. თავი ოდნავ რომ გაანძრია, მიხვდა, თავქვეშ ბალიში ედო. არაფერი ახსოვდა. გვერდით წინამძღვარი დაჩოქილიყო და მის ცხვირთან საყნოსი მარილი ეჭირა. და სენ-ჟოზეფი თავზე დასდგომოდა. შემდეგ ყველაფერი გაახსენდა. ქოლერა! მონაზვნების სახეებზეც შეშფოთება ამოიკითხა. სენ-ჟოზეფი უზარმაზარი ეჩვენა. კიტი ისევ შიშმა აიტანა. - O, ma mere1 , - აქვითინდა, - ნუთუ უნდა მოვკვდე? არ მინდა სიკვდილი. - არც მოკვდებით, - მიუგო მშვიდად და მხიარულად წინამძღვარმა. - კი, მაგრამ, ეს ხომ ქოლერაა. სად არის უოლტერი? გაგზავნეთ ვინმე მის მოსაყვანად! ოჰ, დედაო, დედაო! კიტი ატირდა. წინამძღვარმა

ხელი გაუწოდა და ისიც ისე ჩაეჭიდა მის ხელს, თითქოს სიცოცხლეს ებღაუჭებოდა, რომლის დაკარგვაც ასე არ უნდოდა. - დაწყნარდით, დაწყნარდით, შვილო ჩემო, სისულელეს ნუ ამბობთ. ეს არც ქოლერაა და არც რამე მსგავსი. - სად არის უოლტერი? მასთან გაგზავნეთ ვინმე? - თქვენი ქმარი ძალიან დაკავებულია. არ ღირს მისი შეწუხება. ხუთ წუთში კარგად გახდებით. კიტიმ გაკვირვებული, შიშჩამდგარი თვალებით შეხედა. რატომ ხვდება წინამძღვარი ამ ამბავს ასე მშვიდად? ეს ხომ სისასტიკეა. - ცოტა ხანს მშვიდად იწექით, - უთხრა წინამძღვარმა. - ასაღელვებელი არაფერი გჭირთ. კიტის გული გამალებით უცემდა. ისე შეეჩვია ქოლერაზე ფიქრს, რომ აღარც ეგონა, თუ მასაც შეეყრებოდა. ჰო, რა სულელი ყოფილა! ახლა იცოდა, რომ უნდა მომკვდარიყო და შეეშინდა. გოგონებმა დაბალი, დაწნული შეზლონგი შემოიტანეს და ფანჯარასთან დადგეს. - უნდა აგწიოთ, - უთხრა წინამძღვარმა. - ამაზე მოხერხებულად იქნებით. შეძლებთ ფეხზე ადგომას? მან კიტის მკლავებქვეშ ხელები გამოსდო. სენ-ჟოზეფი კი ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა. ღონემიხდილი კიტი შეზლონგზე დაეშვა. - სჯობდა, ფანჯარა დამეკეტა, - თქვა სენ-ჟოზეფმა. - დილის ჰაერმა არ ავნოს. - არა, არა, - უთხრა კიტიმ. - ღია დატოვეთ. ლურჯი ცის დანახვა რწმენას უნერგავდა. შეძრწუნებული იყო, მაგრამ თავს ნამდვილად უკეთ გრძნობდა. მონაზვნები ერთხანს ჩუმად უყურებდნენ, მერე და სენ-ჟოზეფმა რაღაც უთხრა წინამძღვარს, კიტიმ ვერაფერი გაიგო. წინამძღვარი სკამზე ჩამოუჯდა და კიტის ხელი აიღო. - მისმინეთ, შვილო ჩემო, - და ორიოდე კითხვა დაუსვა. კიტიმ უპასუხა, თუმცა ვერ მიხვდა, რატომ ეკითხებოდა. ტუჩები უცახცახებდა, სიტყვებს ძლივს წარმოთქვამდა. - საეჭვოც აღარაფერია, ასეთ რამეში არასდროს შევმცდარვარ, - თქვა სენ-ჟოზეფმა და აღელვებითა და სიყვარულით გაიცინა. წინამძღვარმაც, რომელსაც ჯერ ისევ ეჭირა კიტის ხელი, ალერსით გაუღიმა. - და სენ-ჟოზეფს ასეთ რამეებში ჩემზე მეტი გამოცდილება აქვს, შვილო ჩემო. მან მაშინვე თქვა, რაც გჭირდათ და მართალიც აღმოჩნდა. - რას გულისხმობთ? - ჰკითხა კიტიმ აღელვებით. - ეს აშკარაა. ნუთუ ამაზე არასოდეს გიფიქრიათ?

თქვენ ბავშვს ელოდებით, ჩემო ძვირფასო. კიტი შეკრთა და წამოხტომა დააპირა. - იწექით, იწექით, - უთხრა წინამძღვარმა. კიტიმ იგრძნო, როგორ მოედო ალმური და ხელები მკერდზე მიიკრა. - ეს შეუძლებელია. ეს არ არის სიმართლე. - Qu'est ce qu'elle dit?1 - იკითხა სენ-ჟოზეფმა. წინამძღვარმა გადაუთარგმნა. სენ-ჟოზეფს ღაჟღაჟა სახე უბრწყინავდა. - აქ შეცდომა შეუძლებელია. პატიოსან სიტყვას გაძლევთ... - რამდენი ხანია გათხოვილი ხართ, შვილო ჩემო? - ჰკითხა წინამძღვარმა. - ამდენი ხნის გათხოვილი იყო ჩემი რძალი, რომ უკვე ორი შვილი ჰყავდა. კიტი ისევ სკამზე დაეშვა. გულში სიკვდილის შიში ჩაბუდებოდა. - როგორ მრცხვენია, - წაიჩურჩულა. - იმისი, რომ ბავშვი უნდა გააჩინოთ? ეს ხომ ბუნებრივია? - Quelle joie pour le docteur2 - თქვა და სენ-ჟოზეფმა. - დიახ. იფიქრეთ, რა ბედნიერება და სიხარულია ეს თქვენი ქმრისთვის. ნეტავ, განახათ, როგორ ექცევა ბავშვებს, როგორი სახე აქვს, მათ რომ ეთამაშება. წარმომიდგენია, როგორ გაიხარებს ამ ამბით. კიტი ერთხანს ჩუმად იყო. მონაზვნები ალერსით უყურებდნენ, წინამძღვარმა კი ხელზე მოუთათუნა. - რა სულელი ვარ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, - წაილაპარაკა კიტიმ, - ყოველ შემთხვევაში, მიხარია, რომ ქოლერა არაა. გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს. ჩემს საქმეს დავუბრუნდები. - დღეს არა, ძვირფასო შვილო. წეღან გონება დაკარგეთ. სჯობს, შინ წახვიდეთ და დაისვენოთ. - არა, არა, მირჩევნია დავრჩე და ვიმუშაო. - მე მოვითხოვ. რას იტყვის ჩვენი კეთილი ექიმი, ასეთი არაგონივრული ქცევის უფლება რომ მოგცეთ? ხვალ მოდით, თუ გნებავთ, ზეგ, დღეს კი სიმშვიდე გჭირდებათ. ტახტრევანს მოვატანინებ. გინდათ რომელიმე გოგო გამოგაყოლოთ? - ოჰ, არა. მარტოც არაფერი მიშავს. კიტი დარაბებმიხურულ თავის ოთახში იწვა. დღის სამი საათი იყო და მსახურებს ეძინათ. ამდილანდელმა ამბავმა (რაშიც უკვე დარწმუნებული იყო) თავზარი დასცა კიტის. სახლში დაბრუნების შემდეგ ამაზე ფიქრს ცდილობდა, მაგრამ გონება ისე ჰქონდა დაბინდული, ვერ აზროვნებდა. უეცრად ნაბიჯების ხმა შემოესმა. ეს არ იყო მსახური ბიჭის ფეხის ხმა. კიტი შეკრთა, მიხვდა,

რომ მისი ქმარი იყო. გაიგონა კიდეც სასტუმრო ოთახიდან რომ დაუძახა, მაგრამ არ უპასუხა, ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კარზე კაკუნი გაისმა. - დიახ? - შეიძლება შემოვიდე? კიტი საწოლიდან წამოდგა და ხალათი მოიხურა. - დიახ. უოლტერი შემოვიდა. კიდევ კარგი, დარაბებდახურულ ოთახში ისე ბნელოდა, რომ კიტის სახეს კარგად ვერ დაინახავდა. - ხომ არ გაგაღვიძე? ძალიან ნელა დავაკაკუნე. - არ მეძინა. უოლტერი ფანჯარასთან მივიდა და დარაბა გამოაღო. ოთახი თბილმა სინათლემ აავსო. - რა მოხდა? - ჰკითხა კიტიმ. - რატომ დაბრუნდი ასე ადრე? - დებმა მითხრეს, რომ ცუდად იყავი. მინდოდა გამეგო, რა დაგემართა. კიტი სიბრაზისგან წამოენთო. - რას იტყოდი, ქოლერა რომ ყოფილიყო? - ეს რომ ყოფილიყო, შინ ვეღარ დაბრუნდებოდი. დრო რომ გაეწელა, კიტი ტუალეტის მაგიდასთან მივიდა და აწეწილ თმაზე სავარცხელი გადაისვა. მერე დაჯდა და სიგარეტს მოუკიდა. - ამ დილას შეუძლოდ ვიგრძენი თავი და წინამძღვარმა იფიქრა, რომ სჯობდა, შინ დავბრუნებულიყავი. მაგრამ ახლა უკვე კარგად ვარ. ხვალ ჩვეულებრივ წავალ მონასტერში. - რა დაგემართა? - არ გითხრეს? - არა. წინამძღვარმა მითხრა, თვითონ გეტყვისო. უოლტერმა ჯიქურ შეხედა კიტის, რასაც იშვიათად აკეთებდა. ახლა პროფესიული ინსტინქტი უფრო ამოძრავებდა, ვიდრე პირადი. კიტი შეყოყმანდა, შემდეგ თავს ძალა დაატანა და თვალი გაუსწორა. - ბავშვს ველოდები, - მიუგო. მიჩვეული იყო, ქმარი მის ნათქვამს ყოველთვის დუმილით რომ ხვდებოდა, მაშინაც კი, როცა, წესით, თანაგრძნობა უნდა გამოეხატა. მაგრამ დუმილი ასე გამანადგურებელი არასოდეს მოსჩვენებია. უოლტერს კრინტი არ დაუძრავს, არც შერხეულა. მის გაქვავებულ სახეს არ ემჩნეოდა, რომ ცოლის სიტყვები საერთოდ გაიგო. კიტის უეცრად ტირილი მოუნდა; თუ ქმარს ცოლი უყვარს, ცოლს კი - ქმარი, ასეთ დროს გრძნობამორეულნი ერთმანეთისკენ მიილტვიან. აუტანელი დუმილი კიტიმ დაარღვია. - არ ვიცი, ამაზე ადრე რატომ არ ვიფიქრე. სისულელე იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ... - რამდენი ხანია, რაც... როდის ელოდები? უოლტერს ენა ებმოდა. კიტი მიხვდა, რომ მასაც

გაშრობოდა პირი. რა ცუდი იყო, რომ ასე უცახცახებდა საუბრისას ტუჩები. მაგრამ, თუ უოლტერს ქვის გული არ ჰქონდა, უნდა შებრალებოდა. - მგონი, ორი-სამი თვე იქნება, რაც ასე ვარ. - ბავშვის მამა მე ვარ? კიტის ენა ჩაუვარდა. უოლტერის ხმაში მღელვარება იგრძნობოდა. რა საშინელი იყო ეს ცივი თავშეკავება, რომელიც გრძნობას ოდნავი გამოვლენის საშუალებასაც კი არ აძლევდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ გაახსენდა უეცრად ის მოწყობილობა, ჰონკონგში რომ აჩვენეს, რომლის თავზეც ოდნავ ირხეოდა ნემსი და რომელიც თურმე აფიქსირებდა ათას კილომეტრზე მომხდარ მიწისძვრასაც, რომელმაც ალბათ ათასობით ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. მან გაფითრებულ უოლტერს შეხედა. კიტის ადრეც რამდენჯერმე ენახა უოლტერი ამ მდგომარეობაში: თვალებდახრილი განზე იყურებოდა. - მე ვარ? კიტი ხელებს იმტვრევდა. იცოდა, თუ „კის“ იტყოდა, ეს უოლტერისთვის ამქვეყნად ყველაფერი იქნებოდა. ის დაუჯერებდა, რა თქმა უნდა, დაუჯერებდა, რადგან უნდოდა, რომ დაეჯერებინა. მერე კი აპატიებდა. კიტიმ იცოდა, რა ღრმა და ნაზი სიყვარული შეეძლო უოლტერს და რომ... მიუხედავად მთელი თავისი სიმორცხვისა, მზად იყო ეს გამოემჟღავნებინა. იცოდა, რომ უოლტერი გულღრძო არ იყო. აპატიებდა, თუ კიტი ამის საბაბს მისცემდა. საბაბს, რომელიც გულს მოულბობდა და მერე ყველაფერს შეუნდობდა. კიტის ჰქონდა მისი იმედი. იცოდა, წარსულს არასოდეს წამოაყვედრიდა. შეიძლება შეუბრალებელი, ცივი და აუტანელი იყო, მაგრამ სულმდაბალი და მეწვრილმანე არასოდეს ყოფილა. ყველაფერი შეიცვლება, მან რომ „კი“ უთხრას. კიტის საშინლად მოსწყურდა თანაგრძნობა. ორსულობის მოულოდნელმა ამბავმა უცნაური იმედებითა და სურვილებით აღავსო. უმწეო, მარტო და ტოლ-მეგობრებს მოწყვეტილი ცოტა შეშინებულიც იყო. თუმცა დედა მაინცდამაინც არ უყვარდა, იმ დილას უეცრად მასთან ყოფნა მოუნდა. კიტის თანადგომა და ნუგეში სჭირდებოდა. უოლტერი არ უყვარდა. იცოდა, ვერც ვერასოდეს შეიყვარებდა, მაგრამ ახლა მთელი არსებით სწყუროდა ქმარს გულში ჩაეკრა, მის მკერდზე მიედო თავი. მასთან

ჩახუტებულს ბედნიერებისგან ეტირა; უნდოდა უოლტერს მისთვის ეკოცნა და თვითონაც შემოჰხვეოდა ქმარს კისერზე. ატირდა. უკანასკნელ დროს ბევრი ტყუილი თქვა და თანაც რა ადვილად. რა არის ცუდი ტყუილში, თუ სიკეთის მეტს არაფერს მოგიტანს? ტყუილი, ტყუილი, განა რა არის ტყუილი? რა ადვილია თქვას: „დიახ“. დაინახა, როგორ ჩაეღვარა უოლტერს თვალებში სითბო და ხელები გაუწოდა. არადა, კიტის არ შეეძლო ტყუილის თქმა. არ იცოდა, რატომ, უბრალოდ არ შეეძლო. ყველაფერმა, რაც ამ საშინელი კვირების მანძილზე გადაიტანა, - ჩარლზის გულბოროტობამ, ქოლერამ, ხალხმა, ირგვლივ რომ კვდებოდნენ, მონაზვნებმა, საოცარია და, იმ სასაცილო ლოთმა, პატარა უედინგტონმაც კი - ისე შეცვალა კიტი, საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა. მიუხედავად საშინელი აღელვებისა, მაინც გრძნობდა, სულში თითქოს ვიღაც ჩასახლებოდა და შიშითა და გაკვირვებით უთვალთვალებდა. მას სიმართლე უნდა ეთქვა. ტყუილს თითქოს ფასი დაჰკარგვოდა. ფიქრები ერეოდა. მოულოდნელად თვალწინ მკვდარი მათხოვარი დაუდგა, გალავანთან რომ ეგდო. ნეტავ, რამ გაახსენა? არ ქვითინებდა. ფართოდ გახელილი თვალებიდან კი ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, უოლტერის კითხვას უპასუხა. - არ ვიცი. - მიუგო. უოლტერმა ჩაიცინა. კიტი ამ სიცილმა შეაძრწუნა. - ცოტა არ იყოს, უცნაურია, არა? ეს შენიშვნა ძალიან ჰგავდა მას. კიტიც მხოლოდ ამდაგვარ რეაქციას ელოდა. მაგრამ მაინც გული დასწყდა. ნეტავ, მიხვდა თუ არა უოლტერი, რა ძნელი იყო მისთვის სიმართლის თქმა (ამავე დროს, კიტი თვითონვე მიხვდა, რომ ძნელი კი არა, უბრალოდ, გარდაუვალი იყო) და პატივს სცემდა თუ არა ამის გამო. „არ ვიცი, არ ვიცი“ - ეს სიტყვები ჩაქუჩივით ურტყამდა თავში. არადა, სიტყვას უკან ვეღარ წაიღებდა. ხელჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები შეიმშრალა. ორივე დუმდა. საწოლთან მაგიდაზე სიფონი იდგა. უოლტერმა წყალი დაუსხა და ჭიქით თავად დაალევინა. კიტიმ შენიშნა, რომ უოლტერს ოდესღაც ნატიფი და ლამაზი, ახლა კი გაძვალტყავებული ხელები ოდნავ უკანკალებდა. მას შეეძლო სახის

გამომეტყველება ეკონტროლებინა, მაგრამ ხელებმა უმტყუნა. - ყურადღებას ნუ მიაქცევ ჩემს ტირილს, - უთხრა კიტიმ, - ეს არაფერია, უბრალოდ, ცრემლები თავისთავად მომდის. როცა კიტიმ წყალი დალია, უოლტერმა ჭიქა დადო. მერე სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ჩუმად ამოიოხრა. კიტის ადრეც რამდენჯერმე მოესმინა მისი ჩუმი ოხვრა და ყოველთვის გულზე ლახვარივით ესობოდა. გაშტერებულ და ფანჯრიდან მზირალ ჩაფიქრებულ ქმარს გახედა. გაოცდა. რატომ ადრე ვერ შეამჩნია, როგორ საშინლად გამხდარა! საფეთქლები ჩასცვენოდა. კანიდან ძვლები მოუჩანდა. ტანსაცმელი ნათხოვარივით ეკიდა. ნამზეურის ქვეშ მომწვანო ფერი დაჰკრავდა. დაღლილი ჩანდა. ძალიან ბევრს მუშაობდა. ცოტა ეძინა და ცოტას ჭამდა. საკუთარი მწუხარების მიუხედავად, კიტიმ მისადმი სიბრალული იგრძნო. რა მტკივნეულია იმაზე ფიქრი, რომ ვერაფრით დაეხმარებოდა. უოლტერმა შუბლზე მიიდო ხელი, თითქოს თავი სტკიოდა, და კიტიმ იგრძნო, რომ მასაც ჩაქუჩივით ურტყამდა თავში მისი „არ ვიცი, არ ვიცი“. უცნაური იყო, რომ ამ პირქუშ, ცივ და მორცხვ კაცს ასე უყვარდა ბავშვები, როცა ბევრი მამაკაცისთვის საკუთარი შვილებიც არაფერს წარმოადგენენ. გულჩვილ მონაზვნებს კიტისთვის ეს არაერთხელ უთქვამთ. თუ ასეთი მზრუნველი იყო იმ სასაცილო, პატარა ჩინელი ბავშვების მიმართ, საკუთარ შვილთან როგორიღა იქნებოდა? კიტი ტუჩებს იკვნეტდა, რომ ისევ არ ატირებულიყო. უოლტერმა საათს დახედა. - ქალაქში უნდა დავბრუნდე. დღეს ბევრი საქმე მაქვს. კარგად იქნები? - კი, ჩემზე არ იდარდო. - საღამოს ნუ დამელოდები, შეიძლება ძალიან გვიან დავბრუნდე, პოლკოვნიკ იუსთან შევჭამ რამეს. - ძალიან კარგი. უოლტერი წამოდგა. - შენს ადგილას დღეს აღარაფერს გავაკეთებდი. მშვიდად იყავი. რამე ხომ არ გინდა? - არა, გმადლობ. კარგად ვიქნები. უოლტერი წამით შეყოვნდა, თითქოს რაღაც ვერ გადაეწყვიტა. მერე კი სწრაფად დასწვდა ქუდს და ოთახიდან ისე გავიდა, კიტისთვის არც შეუხედავს. კიტიმ ჭიშკრის ხმა გაიგო. საშინელი სიმარტოვე იგრძნო, უკვე საჭირო აღარ იყო თავშეკავება და ცრემლებს გზა მისცა. დახუთული ღამე იყო. კიტი

ფანჯარასთან იჯდა და ვარსკვლავების შუქზე ჩინური ტაძრის უცნაურ სახურავს ბუნდოვნად ხედავდა. უოლტერი რომ მოვიდა, კიტი ტირილისგან თვალებდასიებული, მაგრამ დამშვიდებული დახვდა. გადატანილი ნერვიულობის მიუხედავად უცნაური სიმშვიდე დაუფლებოდა - ალბათ დაღლილობისგან. - მეგონა, დაწოლილი დამხვდებოდი, - უთხრა შემოსვლისას უოლტერმა. - არ მეძინება. ვიფიქრე, ნაკლებად დამცხებოდა, თუ არ დავწვებოდი. ჭამე რამე სადილზე? - ყველაფერი, რაც მინდოდა. უოლტერი გრძელ ოთახში ბოლთას სცემდა. კიტიმ შეამჩნია, რომ რაღაცის თქმას აპირებდა. იცოდა, ქმარი დაბნეული იყო და მშვიდად ელოდებოდა, სანამ აზრს მოიკრებდა. უოლტერმა მოულოდნელად დაიწყო. - დღეს სულ შენს ნათქვამზე ვფიქრობდი. ჩემი აზრით, სჯობს, აქედან წახვიდე. პოლკოვნიკ იუს ველაპარაკე. გამყოლებს მოგიძებნის. შეგიძლია ჩვენი მოსამსახურეც თან წაიყვანო. უფრო უსაფრთხოდ იქნები. - სად უნდა წავიდე? - შეგიძლია დედაშენთან გაემგზავრო. - როგორ ფიქრობ, ესიამოვნება ჩემი დანახვა? უოლტერი ერთი წუთით გაჩუმდა და ჩაფიქრდა. - მაშინ ჰონკონგში წადი. - რა უნდა გავაკეთო იქ? - მოვლა და ყურადღება დაგჭირდება. უფლება არ მაქვს, აქ დარჩენა მოგთხოვო. კიტიმ თავი ვერ შეიკავა, რომ არ გაეღიმა, მაგრამ არა მწარედ, არამედ მხიარულად, ქმარს შეხედა და კინაღამ გაეცინა. - არ ვიცი, ასე რატომ გადარდებს ჩემი ჯანმრთელობა. უოლტერი ფანჯარასთან მივიდა და შეჩერდა, ღამეს გახედა. მოწმენდილ ცაზე ამდენი ვარსკვლავი არასდროს ყოფილა. - ეს არაა შესაფერისი ადგილი შენს მდგომარეობაში მყოფი ქალისთვის. კიტიმ უოლტერს შეხედა. თეთრი სამოსი ეცვა და სიბნელეში თვითონაც თეთრად მოჩანდა. მის დახვეწილ პროფილში რაღაც ავისმომასწავებელი იყო, თუმცა, თავისდა გასაოცრად, ახლა მისი აღარ ეშინოდა. - აქ წამოსვლა რომ მაიძულე, ჩემი სიკვდილი გინდოდა? - ჰკითხა უცებ. უოლტერმა ისე შეაგვიანა პასუხი, კიტიმ იფიქრა, წაუყრუაო. - პირველად კი. ქალს გააჟრჟოლა. უოლტერმა დღეს პირველად აღიარა თავისი განზრახვა, მაგრამ კიტი მასზე არ ბრაზობდა. უკვირდა კიდეც, თითქოს

ერთგვარად აღტაცებულიც კი იყო მისით. ცოტა გამხიარულდა. უცებ, რატომღაც ჩარლზ ტაუნსენდი გაახსენდა და ორი სიტყვით შეაფასა: სულმდაბალი სულელი! - საშინელ რისკზე წახვედი, - უპასუხა მან. - შენი სინდისის ამბავი რომ ვიცი, ჩემს სიკვდილს, საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებდი. - ხომ არ მომკვდარხარ. კიდევ უფრო გაიფურჩქნე. - ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძვნია. კიტის უეცრად მოუნდა, რომ უოლტერს იუმორნარევი ტონით დალაპარაკებოდა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ საშინელი უბედურებისა და განადგურების ჟამს გადაიტანეს, ღირდა კი, სიმრუშის რამდენიმე გამოვლინებისთვის რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებინა? როცა ირგვლივ სიკვდილი მეფობდა და ისე ცელავდა ადამიანებს, როგორც მთიბავი ბალახს; განა სისულელე არ იყო ყურადღება მიგექცია იმისთვის, რა ბინძურად მოექცა ადამიანი თავის სხეულს. ნეტავ, შეეძლოს გააგებინოს უოლტერს, რომ ჩარლზი მისთვის უკვე აღარ არსებობს; რომ მისი სახის ნაკვთების გახსენებაც კი უჭირს; რომ საერთოდ ამოიგდო გულიდან მისი სიყვარული! და ამ ყველაფერთან ერთად, მასთან გატარებულმა ინტიმურმა წუთებმაც დაკარგა მნიშვნელობა; რომ მისი გული ისევ თავისუფალი იყო და რაც გასცა, არაფრად უღირდა. უნდოდა უოლტერისთვის ეთქვა: „ნუთუ ვერ გრძნობ, რომ უკვე დიდი ხანია სულელებივით ვიქცევით? ბავშვებივით ვიბუტებით. რატომ არ შეიძლება შევრიგდეთ? ჩვენ შორის სიყვარული აღარ არის, მაგრამ, ხომ შეიძლება მეგობრები ვიყოთ?!“ უოლტერი გაუნძრევლად იდგა. ლამპის შუქზე მის მკრთალ სახეს ახლა მკვდრისფერი დასდებოდა. კიტის მისი იმედი არ ჰქონდა: რაიმე რომ წამოსცდეს, სარკაზმის კორიანტელი არ ასცდება. თუმცა, ახლა უკვე იცოდა, ამ ცივი ირონიის ქვეშ რაოდენ მგრძნობიარე გული იმალებოდა. ოდნავი შეურაცხყოფაც კი გულს ტკენდა და სწორედ ამ ირონიით ცდილობდა თავდაცვას. გულჩახვეული ხდებოდა. „რა სისულელეა! უოლტერს ყველაზე მეტად შელახული პატივმოყვარეობა აწუხებს.“ კიტი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ასეთი ჭრილობა ყველაზე ძნელად შუშდება. უცნაურია, მამაკაცები ასეთ დიდ მნიშვნელობას რატომ

ანიჭებენ ცოლების ერთგულებას. პირველად რომ დანებდა ჩარლზს, ეგონა, სულ სხვა ქალად იგრძნობდა თავს. მაგრამ მასში არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ბედნიერება და ენერგიის მოზღვავება იგრძნო. ახლა ნანობდა, უოლტერისთვის უნდა ეთქვა, ბავშვი შენიაო. კიტისთვის ტყუილს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, უოლტერს კი დაამშვიდებდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება ეს არც იყო ტყუილი! უკვირდა, რატომ არ ისარგებლა ამ გამოსავლით, ეს ხომ მის ინტერესებში შედიოდა! რა სულელები არიან კაცები! და რა უმნიშვნელოა მათი როლი ამ საქმეში! ქალმა ტანჯვით უნდა ატაროს ბავშვი ცხრა თვე და მერე ტკივილებით გააჩინოს, მამაკაცი კი წუთიერი სიახლოვის გამო პრეტენზიებს აცხადებს. რატომ ახდენს ეს გავლენას ბავშვთან მიმართებაში? შემდეგ კიტის ფიქრი გადასწვდა ბავშვს, რომელსაც მალე გააჩენდა. მასზე არც აღელვებით და არც დედობრივი სიხარულით ფიქრობდა, მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობას გრძნობდა. - გიჯობს ამაზე კიდევ იფიქრო, - უოლტერმა ხანგრძლივი დუმილი დაარღვია. - რაზე? უოლტერი ოდნავ მობრუნდა, თითქოს კითხვამ გააკვირვაო. - იმაზე, თუ როდის წახვალ. - კი მაგრამ, მე არ მინდა წასვლა. - რატომ არ გინდა? - მონასტერში მუშაობა მომწონს. ვფიქრობ, რომ ამით ვიღაცას ვეხმარები. მირჩევნია შენ დაგელოდო. - ვალდებული ვარ გაგაფრთხილო, რომ შენს ახლანდელ მდგომარეობაში სენის შეყრის საფრთხე უფრო დიდია. - მომწონს, რომ ასეთი ყურადღებიანი ხარ, - დაცინვით გაიღიმა კიტიმ. - ჩემი გულისთვის ხომ არ რჩები? კიტი შეყოყმანდა. უოლტერი ვერ მიხვდა, რომ ყველაზე ძლიერი და მოულოდნელი გრძნობა, რაც მან ქალს აღუძრა, სიბრალული იყო. - არა, შენ არ გიყვარვარ. ხშირად ვფიქრობ კიდეც, რომ თავი მოგაბეზრე. - არ მეგონა, თუ რამდენიმე ნაღვლიანი მონაზვნისა და ჭუჭყიანი ჩინელი ბავშვისთვის თავს გაწირავდი. კიტის ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა. - მე მგონი, უსამართლოდ გეზიზღები იმის გამო, რომ ჩემში შეცდი. შენ სიბრიყვე გამოიჩინე და ეს ჩემი ბრალი არ არის. - თუ დარჩენა გადაწყვიტე, ხელს არ შეგიშლი. შეგიძლია ისე მოიქცე, როგორც გინდა. - ვწუხვარ, რომ

დიდსულოვნების გამოჩენის საშუალებას არ გაძლევ, - კიტის რატომღაც ძალიან უჭირდა უოლტერთან სერიოზული საუბარი. - სხვათა შორის, მართალი ხარ, მხოლოდ ობლების გულისთვის არ ვრჩები: თვითონაც იცი, რომ ამქვეყნად არავინ მეგულება, ვინც სიხარულით მიმიღებს. არავის ოდნავადაც არ ადარდებს, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი. უოლტერმა შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ არა სიბრაზით. - ყველაფერი ავურ-დავურიეთ, არა? - თქვა მან. - კიდევ გინდა გამშორდე? ჩემთვის ახლა უკვე ყველაფერი სულერთია. - ხომ იცი, რომ შენი აქ ჩამოყვანით უარი ვთქვი სასამართლოზე. - არ ვიცოდი. ღალატის საკითხში ექსპერტად ვერ გამოვდგები. რას აპირებ, აქედან რომ წავალთ? ისევ ერთად ვიცხოვრებთ? - როგორ გგონია, არ სჯობს, რომ მომავალი თავის ნებაზე მივუშვათ? უოლტერის ხმაში მომაკვდინებელი დაქანცულობა იგრძნობოდა. ორი თუ სამი დღის შემდეგ უედინგტონმა კიტის მონასტერში შეუარა (კიტი ადგილს ვერ პოულობდა და მაშინვე სამუშაოს დაუბრუნდა) და დაპირებული ჩაის დასალევად თავის საყვარელთან წაიყვანა. კიტის არაერთხელ ესადილა უედინგტონთან. ეს იყო ოთხკუთხა, პრეტენზიული თეთრი შენობა, საბაჟო თავისი მოხელეებისთვის რომ აშენებს ჩინეთში. სასადილო ოთახი, სადაც ჭამდნენ და სასტუმრო ოთახი, სადაც საუბრობდნენ და ყავას ან ჩაის სვამდნენ, მკაცრად და მდიდრულად იყო გაწყობილი. მთლიანობაში სახლი ნახევრად დაწესებულებას, ნახევრად სასტუმროს ჰგავდა, საცხოვრებელ სახლთან საერთო არაფერი ჰქონდა. ერთი დანახვისთანავე იგრძნობოდა, რომ ეს სახლი მორიგი ბინადრის დროებითი ადგილსამყოფელი იყო. აზრად არავის მოუვიდოდა, რომ მეორე სართულზე გარეშეთათვის მალულად იდუმალება და რომანტიკა სუფევდა. ისინი კიბეს აუყვნენ და უედინგტონმა კარი გააღო. კიტი დიდ, ცარიელ ოთახში შევიდა. თეთრ კედლებზე იეროგლიფებიანი ლამაზი გრაგნილები ეკიდა. შავი ხის მდიდრულად მოჩუქურთმებულ ოთხკუთხა მაგიდასთან ასეთსავე, სწორზურგიან სავარძელში მანჯურიელი იჯდა. ქალი მათი შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა, მაგრამ ნაბიჯი წინ არ გადმოუდგამს.

- აი, ისიც, - თქვა უედინგტონმა და ჩინურად რაღაც დაუმატა. კიტიმ მას ხელი ჩამოართვა. მოქარგულ კაბაში ქალი თხელი და უფრო მაღალი ჩანდა, ვიდრე, ზოგადად, სამხრეთ ჩინეთის ქალები არიან. მას გამოყვანილი, გრძელსახელოებიანი ღია მწვანე აბრეშუმის მოსასხამი ეცვა, გულმოდგინედ დავარცხნილ შავ თმაზე კი მანჯურიელი ქალების თავსაბურავი ეხურა. სახე თეთრად ჰქონდა გაპუდრული. ლოყებზე - თვალებიდან წითლად შეღებილ ტუჩებამდე - ფერუმარილი ნამდვილად არ დაეშურებინა. წვრილი გამოქნილი წარბები შავად გადაჰკალმოდა. ამ ნიღაბზე ნაკვერცხლებივით ელავდა ოდნავ ელამი, დიდრონი შავი თვალები. ის კერპს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალს. ნელა და მტკიცედ მოძრაობდა. კიტიზე ცოტა მორცხვი, მაგრამ ძალზე ცნობისმოყვარე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სანამ უედინგტონი ლაპარაკობდა, კიტის ორ-სამჯერ დაუკრა თავი. კიტი გააოცა მისმა ხელებმა - საოცრად გრძელ, ძალზე თხელ სპილოსძვლისფერ თითებს ლამაზი, შეღებილი ფრჩხილები ამშვენებდა. კიტიმ გაიფიქრა, ასეთი ნაზი და ნატიფი ხელები ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. მათში არისტოკრატიული წარმომავლობა იგრძნობოდა. ქალმა ისეთი ხმით დაილაპარაკა, რომ იფიქრებდით, ხეხილის ბაღში ჩიტები ჟღურტულებენო. უედინგტონმა კიტის უთარგმნა, რომ მოხარულია მისი ნახვით და აინტერესებს, რამდენი წლისაა და რამდენი შვილი ჰყავს. ისინი ოთხკუთხა მაგიდასთან სწორზურგიან სკამებზე დასხდნენ და მსახურმა ბიჭმა ფინჯნებით ჟასმინის სურნელოვანი ჩაი შემოიტანა. მანჯურიელმა კიტის მწვანე თუნუქის კოლოფით სიგარეტები შესთავაზა. მაგიდისა და სკამების გარდა ოთახში ცოტა ავეჯი იყო: ორი სანდალოზის ხის სკივრი და მოქარგულბალიშიანი განიერი, ხმელი საწოლი იდგა. - რას აკეთებს მთელი დღე? - იკითხა კიტიმ. - ხან ხატავს და ხანაც ლექსებს წერს. უმეტესად კი ზის. ოპიუმს ეწევა, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ზომიერად, რადგან, ჩემს მოვალეობებში სწორედ ოპიუმით ვაჭრობის აკრძალვა შედის. - თქვენც ეწევით? - ჰკითხა კიტიმ. - იშვიათად, სიმართლე გითხრათ, ვისკი მირჩევნია. ოთახში ოდნავ ცხარე სუნი

იდგა, მაგრამ არა უსიამოვნო, რომელსაც აქაურობისთვის დამახასიათებელი, ეგზოტიკური სურნელი დაჰკრავდა. - უთხარით, ძალიან ვწუხვარ, რომ ჩინური არ ვიცი. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ გვექნებოდა ერთმანეთისთვის სათქმელი. როცა ეს უთარგმნეს, მანჯურიელმა კიტის სწრაფად შეხედა. მის თვალებში ღიმილი გამოკრთოდა. გაუნძრევლად, თავდაჯერებით მჯდომარეს მშვენიერი სამოსი შთამბეჭდავს ხდიდა. ფერუმარილით შეღებილი სახიდან ფრთხილი, ამოუცნობი თვალები იმზირებოდნენ. ქალი თოჯინასავით არაბუნებრივი და, ამასთან, ისეთი გრაციოზული იყო, რომ კიტი მასთან შედარებით მოუქნელი ჩანდა. კიტი ადრე ჩინეთს, სადაც ის ბედისწერამ გადმოისროლა, ზერელედ და აგდებით, ზემოდან უყურებდა. ასე იყო მიღებული მის წრეში. ახლა კი, უეცრად რაღაც შორეულ და იდუმალ სამყაროში შეიხედა. ეს იყო უცნობი და მიუწვდომელი უძველესი აღმოსავლეთი. დასავლეთის რწმენა და იდეალები უსუსური ჩანდა იმ იდეალებსა და რწმენასთან შედარებით, რაც ამ დახვეწილ არსებაში წამიერად დაინახა. აქ სულ სხვა სამყარო იყო, ცხოვრება სულ სხვა განზომილებაში. ამ შეღებილი, ელამი თვალებით ფრთხილად მომზირალი კერპის დანახვაზე, კიტის თვალში ყოველდღიური ცხოვრების ვნებები და ტკივილები გაუფერულდა. ეს შეფერადებული ნიღაბი თითქოს რაღაც მდიდარი, ღრმა და მნიშვნელოვანი გამოცდილების საიდუმლოს ფარავდა: ამ ნაზი ხელების თლილ, ნატიფ თითებს ამოუსხნელ გამოცანათა გასაღები ეპყრა. - რაზე ფიქრობს მთელი დღე? - იკითხა კიტიმ. - არაფერზე, - გაეღიმა უედინგტონს. - მშვენიერი ქალია. უთხარით, რომ ასეთი ლამაზი ხელები ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მიკვირს, რით მოაწონეთ თავი. უედინგტონმა მანჯურიელს ღიმილით გადაუთარგმნა. - ამბობს, რომ მე კარგი ვარ. - თითქოს ქალს ოდესმე ჰყვარებოდეს კაცი ღირსებების გამო, - იხუმრა კიტიმ. მანჯურიელმა მხოლოდ ერთხელ გაიცინა. ეს იყო მაშინ, როცა კიტი დუმილის დასარღვევად, მისი ნეფრიტის სამაჯურით დაინტერესდა. ქალმა სამაჯური მოიხსნა და კიტის გაუწოდა. ის ცდილობდა მაჯაზე წამოეცვა,

მაგრამ საკმაოდ პატარა ხელების მიუხედავად, არაფერი გამოუვიდა; მაშინ მანჯურიელმა ბავშვურად გადაიკისკისა. მან რაღაც უთხრა უედინგტონს და მოსამსახურეს დაუძახა. ერთი წუთის შემდეგ მსახურმა მშვენიერი მანჯურიული ფეხსაცმელი შემოიტანა. - უნდა, რომ ეს ფეხსაცმელი გაჩუქოთ, თუკი ჩაიცვამთ, - უთხრა უედინგტონმა. - ოთახში სასიარულოდ ძალიან მოსახერხებელია. - ძალიან კარგად მაქვს, - კიტი კმაყოფილებას ვერ ფარავდა. უედინგტონის სახეზე ონავრული ღიმილი შენიშნა. - თვითონ დიდი აქვს? - ჰკითხა მაშინვე. - უზარმაზარი. კიტის გაეცინა და როცა უედინგტონმა გადაუთარგმნა მანჯურიელსა და მსახურსაც გაეღიმათ. ცოტა ხნის შემდეგ კიტი და უედინგტონი ერთად ადიოდნენ გორაკზე. კიტი მეგობრული ღიმილით მიუბრუნდა. - ჩემთვის არ გითქვამთ, ასე თუ გიყვარდათ. - რატომ გგონიათ, რომ მიყვარს? - თქვენს თვალებში ამოვიკითხე. უცნაურია, ეს უფრო ზმანების ან ოცნების სიყვარულს ჰგავს. კაცებისას ვერაფერს გაიგებ. მეგონა, სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდით, ახლა კი ვგრძნობ, თურმე საერთოდ არ გიცნობთ. სახლს რომ მიაღწიეს, უედინგტონმა მოულოდნელად ჰკითხა: - რატომ მოისურვეთ მისი ნახვა? კიტი წამით შეყოყმანდა, სანამ უპასუხებდა. - რაღაცას ვეძებ, მაგრამ თვითონაც არ ვიცი, რას. ის კი ვიცი, რომ ამის გაგება ჩემთვის ბევრს ნიშნავს და რომ ეს ყველაფერს შეცვლის. იქნებ, მონაზვნებმა იციან. მათთან რომ ვარ, ვგრძნობ, რაღაც საიდუმლოს მალავენ, რომელსაც არასოდეს გამანდობენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვიფიქრე, რომ მანჯურიელი ქალის ნახვით მივხვდებოდი იმას, რასაც ვეძებ. იქნებ, ეთქვა კიდეც, რომ შეძლებოდა. - რატომ გგონიათ, რომ იცის? კიტიმ ცერად გახედა, მაგრამ არაფერი უპასუხა. - თქვენ იცით? - ჰკითხა მერე. უედინგტონმა გაიღიმა და მხრები აიჩეჩა. - ტაო1. ზოგიერთისთვის ეს გზა თრიაქია, ზოგისთვის - ღმერთი, ზოგისთვის - ვისკი, ზოგისთვის კი - სიყვარული. ეს ერთი და იგივე გზაა, რომელიც არსაითკენ მიდის. კიტი ისევ მონასტრის მყუდრო სამყაროს დაუბრუნდა, თუმცა დილაობით თავს მთლად კარგად ვერ გრძნობდა, მაგრამ არ ნებდებოდა. უკვირდა, მონაზვნები იმდენად დიდ

გულისხმიერებას იჩენდნენ მისდამი: დები, რომლებიც აქამდე დერეფანში შეხვედრისას მხოლოდ ესალმებოდნენ, ახლა საბაბს ეძებდნენ მის ოთახში რომ შესულიყვნენ: ესაუბრებოდნენ და კეთილ, ბავშვურ ღიმილსაც არ იშურებდნენ. სენ-ჟოზეფი წარამარა იხსენებდა, ბოლო დღეებში როგორ ეუბნებოდა თავის თავს: „საინტერესოა“, ან „არ გამიკვირდებოდა“, დაბოლოს, როცა კიტის გული წაუვიდა: „საეჭვო უკვე არაფერია, ეს აშკარაა“. არც თავისი რძლის მშობიარობის წვრილმანები ავიწყდებოდა, რასაც კიტი, იუმორის გრძნობა რომ არ ჰქონოდა, ალბათ, უნდა შეეშინებინა. და სენ-ჟოზეფი აღზრდით შეძენილ რეალისტურ შეხედულებებს საამოდ და მომხიბლავად უხამებდა ბიბლიას (მისი ოჯახის ფერმას მდინარე კვეთდა, მის ნაპირებზე კი ალვის ხეები სიოს ოდნავ დაქროლვაზე ირხეოდა). ერთხელ, მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ ერეტიკოსს არ შეიძლება რაიმე სცოდნოდა ასეთ საკითხებზე, კიტის ხარებაზე უამბო. - როცა ამაზე წმინდა წერილში ვკითხულობ, უნებურად ცრემლები მომდის. - თქვა მან. - არ ვიცი, რატომ, მაგრამ გული ძალიან უცნაურად მიცემს. მერე კი, ფრანგულად (რაც კიტის უცხოდ და საკმაოდ ცივად ეჩვენა), წაიკითხა: - „შევიდა ანგელოზი მასთან და უთხრა: გიხაროდეს მადლით მოსილო! უფალი შენთანაა; კურთხეულ ხარ დედათა შორის“1 . დაბადების საიდუმლომ ისე მოირბინა მონასტრის ყველა კუთხე-კუნჭული, როგორც სიო გაინავარდებს ხოლმე ხეხილის თეთრ ყვავილებში. კიტის ფეხმძიმობამ ძალიან ააღელვა ეს უშვილო ქალები. ამ ამბის ფიზიკურ მხარეს ისინი საღი თვალით უყურებდნენ, რადგან გლეხებისა და მეთევზეების ოჯახებიდან იყვნენ, მაგრამ მათ ბავშვურ გულში შიში დაბუდებულიყო: აშფოთებდათ იმ ტვირთზე ფიქრი, რაც კიტის ეკისრა, ამავე დროს, ბედნიერად და საოცრად ამაღლებულად გრძნობდნენ თავს. სენ-ჟოზეფმა უთხრა, რომ ყველანი მისთვის ლოცულობდნენ და სენ-მარტინს გული წყდებოდა, რომ კიტი კათოლიკე არ იყო. მაგრამ წინამძღვარმა დაარწმუნა, რომ პროტესტანტიც შეიძლება იყოს კარგი ქალი, და რომ le bon Dieu2 თვითონ მოაგვარებს ყველაფერს. კიტის აღელვებდა და თან

ართობდა, რომ ამხელა ინტერესი გამოიწვია. მაგრამ უზომოდ უკვირდა, რომ თვით წინამძღვარიც კი, ეს მკაცრი და ასკეტი ქალიც, მის მიმართ უჩვეულო თავაზიანობას იჩენდა. ის ყოველთვის კარგად ექცეოდა, მაგრამ თავი შორს ეჭირა; ახლა კი თითქმის დედობრივ სინაზეს იჩენდა. მისი ხმაც უფრო ალერსიანად ჟღერდა; მისი თვალებიც მოულოდნელი სიხარულით უმზერდნენ, თითქოს კიტი ბავშვი იყო, რომელმაც თავისი გონიერი საქციელით მისი პატივისცემა მოიპოვა. ეს საოცრად ამაღელვებელი იყო. წინამძღვრის სული ჰგავდა წყნარ, ნაცრისფრად მოლივლივე ზღვას, განსაცვიფრებელს თავისი პირქუში სიდიადით, რომელიც უეცრად გამონათებულმა მზის სხივმა გაათბო და გაამხიარულა. ახლა, საღამოობით, ის ხშირად აკითხავდა კიტის. - ყურადღებით უნდა ვიყო, რომ არ გადაიღალოთ, შვილო ჩემო, - უთხრა ერთხელ, თან მოსვლის საბაბს იგონებდა. - თორემ ექიმი ფეინი არ მაპატიებს. ოჰ, ეს ბრიტანული თავშეკავება! უზომოდ გახარებულია, მაგრამ, როცა ამაზე ველაპარაკები, ფითრდება. მან კიტის ხელი აიღო და სიყვარულით მოუთათუნა. - ექიმმა ფეინმა მითხრა, რომ თქვენი აქედან წასვლა უნდოდა; რომ უარი გითქვამთ, რადგან ჩვენი დატოვება არ გინდოდათ. ძალიან კეთილი ხართ, შვილო ჩემო. მინდა იცოდეთ, დიდად მადლიერნი ვართ თქვენი. მგონი, არც ექიმის დატოვება გინდოდათ. მით უკეთესი, რადგან თქვენი ადგილი მის გვერდითაა. თქვენ მას სჭირდებით. ვერ წარმომიდგენია, ამ არაჩვეულებრივი კაცის გარეშე რა გვეშველებოდა. - მიხარია, რომ რაღაცით მაინც დაგეხმარათ, - უთხრა კიტიმ. - მთელი არსებით უნდა გიყვარდეთ, შვილო ჩემო. ის წმინდანია. კიტიმ გაუღიმა და ოხვრა ჩაიხშო. ახლა მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეეძლო უოლტერისთვის, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა როგორ და რა გზით. უნდოდა უოლტერს ეპატიებინა მისთვის, უკვე არა კიტის, არამედ თავისივე გულისთვის. კიტი გრძნობდა, რომ მხოლოდ ეს დაუბრუნებდა უოლტერს სულიერ სიმშვიდეს. მისთვის პატიების თხოვნას აზრი არ ჰქონდა, რადგან თუ უოლტერი იეჭვებდა, რომ კიტი ამას მხოლოდ მის გამო აკეთებდა, ჯიუტი პატივმოყვარეობა

აიძულებდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, უარი ეთქვა (უცნაური იყო, რომ უოლტერის პატივმოყვარეობა უკვე აღარ აღიზიანებდა კიტის, ბუნებრივი ეჩვენებოდა და კიდევ უფრო ებრალებოდა). ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა, რომ რამე მოულოდნელი შემთხვევა სიფხიზლეს მოუდუნებდა. შესაძლოა, უოლტერი სიხარულით ელოდა კიდეც ემოციის მოზღვავებას, რომელიც სიბრაზით გამოწვეულ ტკივილებს დაუამებდა, მაგრამ, როცა ეს მოხდებოდა, თავისი პათეტიკური უგუნურების წყალობით, მთელი არსებით წინ აღუდგებოდა. რა საშინელებაა, ადამიანი ასე ცოტა ხანს ცხოვრობდეს ამ ათასგვარი უბედურებით სავსე წუთისოფელში და ასე გაიწამოს თავი. თუმცა წინამძღვარი სულ სამ-ოთხჯერ თუ ესაუბრა კიტის, ისიც რამდენიმე წუთით, მაგრამ მაინც ღრმა შთაბეჭდილება დატოვა მასზე. მისი სული მოგაგონებდათ ისეთ ქვეყანას, რომელიც ერთი შეხედვით დიადი, მაგრამ არასტუმართმოყვარე ჩანს, თუმცა იქ მალე აღმოაჩენთ დიდებული მთების კალთებზე შეფენილი ხეხილის ბაღებით გარშემორტყმულ მხიარულ პატარა სოფლებსა და ლამაზ მდინარეებს, მდორედ რომ მოედინებიან მწვანედ აქოჩრილ ველ-მინდვრებში. მართალია, ეს მყუდრო პეიზაჟი გაკვირვებს და გამშვიდებს, მაგრამ საკმარისი არაა იმისთვის, რომ თავი შინაურულად იგრძნო ამ ჟანგისფერი მთებისა და ქარების სანავარდო ქვეყანაში. შეუძლებელი იყო წინამძღვართან დამეგობრება. ის ამქვეყნიურ განცდებს მოკლებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამას კიტი სხვა მონაზვნებსაც ამჩნევდა, თვით კეთილ, ლაქლაქა და სენ-ჟოზეფსაც კი; ოღონდ წინამძღვართან ეს თითქმის ხელშესახებ ზღუდედ აღმართულიყო. ამიტომაც რაღაც უცნაური გრძნობა გეუფლებოდა, გამყინავი მაგრამ შთამბეჭდავი, რომ ის იმავე მიწაზე დადის, რაზეც შენ, იზიარებს მიწიერ ამბებს და მაინც ისეთ მწვერვალზე ცხოვრობს, რომელსაც შენ ვერასოდეს მიაღწევ. ერთხელ მან კიტის უთხრა: - საკმარისი არ არის, რელიგიის მსახური გამუდმებით ლოცულობდეს, ის შინაგანად უნდა იყოს ჭეშმარიტი მორწმუნე. თუმცა მისი საუბრები მუდამ რელიგიას შეეხებოდა, კიტი გრძნობდა, რომ ეს ბუნებრივად

გამოსდიოდა და არა მასზე, როგორც ერეტიკოსზე ზემოქმედების მიზნით. უკვირდა კიდეც, ადამიანების მიმართ კეთილად გამსჭვალული წინამძღვარი როგორ ეგუებოდა იმას, რომ კიტი ისევ უმეცარ ცოდვილად რჩებოდა. ერთ საღამოს ისინი ერთად ისხდნენ. ნაზი, სასიამოვნო, სევდიანი საღამო იყო. წინამძღვარი ძალზე დაღლილი ჩანდა. ფერმკრთალი, ტრაგიკული სახე არეოდა. მშვენიერ მუქ თვალებში ცეცხლი ჩაჰქრობოდა. დაღლილობამ, ალბათ, გულახდილობის განწყობაზე დააყენა, რაც იშვიათად ხდებოდა. - დღევანდელი დღე დაუვიწყარია ჩემთვის, შვილო ჩემო, - კარგა ხნის შემდეგ დაარღვია სიჩუმე, - რადგან სწორედ ამ დღეს გადავწყვიტე რელიგიის მსახური გავმხდარიყავი. ორი წელი ვფიქრობდი ამაზე. ვიტანჯებოდი, ეს მოწოდება მაშინებდა, ვშიშობდი, ამქვეყნიური საზრუნავი ჩემს მისწრაფებაზე ძლიერი არ აღმოჩენილიყო. მაგრამ იმ დილას, როცა ვეზიარე, ფიცი დავდე, რომ დაღამებამდე განვუცხადებდი ჩემს სურვილს დედაჩემს. წმინდა ზიარება რომ მივიღე, მაცხოვარს შევევედრე, სულის სიმშვიდე მოენიჭებინა. „მხოლოდ მაშინ მოიპოვებ მას, როცა უკვე აღარ გენდომება“, თითქოს ასეთი პასუხი მივიღე. წინამძღვარი წარსულის მოგონებებმა გაიტაცა. - იმ დღეს ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი, ქვრივი მადამ დე ვერნო, კარმელიტების მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა, ისე, რომ ნათესავებისთვის არაფერი უთქვამს. იცოდა, რომ ისინი ამ ნაბიჯის წინააღმდეგნი იქნებოდნენ; ფიქრობდა, უფლება მაქვს, როგორც მინდა, ისე მოვიქცეო. ერთ-ერთი ჩემი ბიძაშვილი მასთან გამოსამშვიდობებლად წავიდა და საღამოს დაბრუნდა. ძალიან აღელვებული იყო. მე დედაჩემისთვის ჯერ არაფერი მეთქვა; ამაზე ფიქრი, ძალიან მაღელვებდა. და მაინც მინდოდა წმინდა ზიარების დროს დადებული აღთქმა აღმესრულებინა. ათასნაირ კითხვას ვუსვამდი ჩემს ბიძაშვილს. მეგონა დედაჩემი გობელენის ქსოვით იყო გართული, არადა, ყურადღებით გვისმენდა. რადგან გადავწყვიტე, დედისთვის იმ დღეს გამემხილა ჩემი განზრახვა, მაშინ ერთი წუთიც არ უნდა დამეკარგა. - საოცარია, გუშინდელი დღესავით მახსოვს ეს

სცენა. წითელ სუფრაგადაფარებულ მაგიდას შემოვსხდომოდით და მწვანე აბაჟურიანი ლამპის შუქზე ვხელსაქმობდით. ჩემი ორი ბიძაშვილი ჩვენთან იყო სტუმრად. ყველანი სასტუმრო ოთახის სკამებზე გადასაკრავ გობელენებს ვქსოვდით. ისინი ლუი XVI-ის დროიდან არავის შეუკეთებია, ძველი გობელენები კი, ისე გაცვეთილ-გახუნებულიყო, რომ დედაჩემს რცხვენოდა კიდეც. - შევეცადე, ლაპარაკი წამომეწყო, მაგრამ ტუჩები არ მემორჩილებოდა. მერე კი, რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, დედაჩემმა უეცრად მითხრა: „ნამდვილად არ მესმის შენი მეგობრის საქციელი. ისე როგორ წავიდა, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმათთვის, ვისაც ის უყვარდა. ასეთი საქციელი ჩემთვის მიუღებელია. კარგად აღზრდილმა ქალმა ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინოს, რომ ხალხი აალაპარაკოს. იმედია, თუ ოდესმე გვაწყენინებ და დაგვტოვებ, დამნაშავესავით არ გაიქცევი“. - სათქმელად კარგი მომენტი იყო, მაგრამ ვერ გამოვიყენე. ესღა მოვახერხე: „ოჰ, დამშვიდდით, maman, საამისოდ ძალა არ მეყოფოდა“. - დედამ არაფერი მიპასუხა. ვინანე, სიმართლის თქმა რომ ვერ გავბედე. თითქოს ჩამესმოდა მაცხოვრის სიტყვები წმ. პეტრესადმი: „ამათზე მეტად გიყვარვარ მე?“1 ოჰ, რა სისუსტე, რა უმადურობა იყო ჩემი მხრიდან! მიყვარდა მყუდროება, ტკბილი ცხოვრება, ოჯახი და გართობა. ამ მწარე ფიქრებში ვიყავი, როცა ცოტა ხნის შემდეგ დედამ მითხრა: „და მაინც, ჩემო ოდეტ, დარწმუნებული ვარ შენს ცხოვრებაში ისეთ რამეს გააკეთებ, რაზეც ადამიანები დიდხანს ილაპარაკებენ.“ მე ისევ ფიქრებში ვიყავი წასული, შეშინებული, ჩემი ბიძაშვილები კი, რომელთაც ჩემი გულისცემა არ ესმოდათ, მშვიდად მუშაობდნენ, როცა დედამ მოულოდნელად ხელსაქმე გადადო, ყურადღებით შემომხედა და მითხრა: „აჰ, შვილო, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბოლოს მაინც მონაზვნად აღიკვეცები“. - მართლა ასე ფიქრობთ, დედიკო? - მივუგე მე, - მიხარია, რომ ჩემს სანუკვარ ოცნებას ჩასწვდით. - რა თქმა უნდა, - წამოიძახეს ჩემმა ბიძაშვილებმა, ისე, რომ სიტყვის დამთავრებაც არ მაცალეს, - ორი წელია ოდეტი მხოლოდ ამაზე ფიქრობს. მაგრამ თქვენ ამის

უფლება არ უნდა მისცეთ, მამიდა. - რა უფლება მაქვს, ჩემო ძვირფასებო, უარი ვუთხრა, - თქვა დედაჩემმა, - თუკი ასეთია ღვთის ნება? მაშინ ჩემმა ბიძაშვილებმა, საუბარი ხუმრობაში რომ გადაეტანათ, მკითხეს, თუ რას ვუპირებდი ჩემს მცირე ქონებას და მხიარული კამათი წამოიწყეს, ვინ რას წაიღებდა. მაგრამ ეს მხიარულება ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. მალე ყველა ავტირდით. შემდეგ კიბეზე მამაჩემის ნაბიჯების ხმა მოისმა. წინამძღვარი გაჩუმდა და ამოიოხრა. - ეს ძალიან მძიმე იყო მამაჩემისთვის. მე მისი ერთადერთი ქალიშვილი ვიყავი, კაცებს კი ხშირად ქალიშვილებთან უფრო ღრმა გრძნობა აკავშირებთ ვიდრე ვაჟებთან. - რა უბედურებაა, ადამიანს რომ გული აქვს, - თქვა კიტიმ ღიმილით. - და რამხელა ბედნიერებაა, როცა შენს გულს ქრისტეს სიყვარულს მიუძღვნი. ამ დროს წინამძღვართან პატარა გოგონა მოვიდა და რაღაც უცნაური სათამაშო აჩვენა. წინამძღვარმა მხრებზე თავისი მშვენიერი ხელი მოჰხვია. ბავშვიც გულზე მიეკრა. კიტიმ შენიშნა, რომ წინამძღვარს თბილი და რაღაც არაამქვეყნიური ღიმილი ჰქონდა. - რა სასიამოვნოა, რომ ობლებს ასე უყვარხართ, დედაო, - უთხრა მან. - ასეთი სიყვარულით მე ნამდვილად ვიამაყებდი. წინამძღვარს კვლავ გაეღიმა თავისი არაამქვეყნიური მშვენიერი ღიმილით. - გულის მოგების მხოლოდ ერთი გზა არსებობს - დაემსგავსო იმას, ვისი სიყვარულის მოპოვებაც გინდა. იმ საღამოს უოლტერი სადილად შინ არ მისულა. კიტი ცოტა ხანს კიდევ დაელოდა (ჩვეულებისამებრ, როცა ის ქალაქში დაყოვნდებოდა, ყოველთვის ატყობინებდა), მაგრამ ბოლოს სუფრას მარტო მიუჯდა. მხოლოდ მცირედი გასინჯა იმ კერძებიდან, რომელსაც ჩინელი მზარეული ეპიდემიის გამო სანოვაგის შემცირების მიუხედავად, მაინც ამზადებდა. მერე კი, ღია ფანჯარასთან როტანგის შეზლონგზე წამოწვა და ვარსკვლავებიანი ღამის ცქერით ტკბებოდა. გარშემო გამეფებულმა მდუმარებამ სიმშვიდე მოჰგვარა. კითხვის თავი არ ჰქონდა. ფიქრები ისე ზერელედ ერეოდა თავში, როგორც პატარ-პატარა თეთრი ღრუბლები ირევა ხოლმე წყნარი ტბის თავზე. დაღლილობისგან ვერც ერთ მათგანს

ბოლომდე ვერ ჩასჭიდებოდა. გულის სიღრმეში ცდილობდა, მონაზვნებთან საუბრის შთაბეჭდილებები გაეანალიზებინა და მათგან მისთვის უმთავრესი გამოეყო. საოცარია, რომ მათი ცხოვრების წესმა ააღელვა, მაგრამ იმ რწმენამ, რომლის გამოც ისინი ამ გზას დაადგნენ, მასზე ვერავითარი ზემოქმედება ვერ მოახდინა. ვერ დაეჯერებინა, რომ რწმენას შეეძლო ადამიანი თავდავიწყებამდე მიეყვანა. ჩუმად ამოიოხრა: იქნებ ყველაფერი უფრო გაადვილებოდა, ეს დიადი ნათელი მის სულსაც რომ მოჰფენოდა. ერთი-ორჯერ სცადა წინამძღვრისთვის თავისი უბედურების მიზეზი გაეზიარებინა, მაგრამ ვერ გაბედა: არ უნდოდა ამ მკაცრი ზნეობის ქალს მასზე ცუდი წარმოდგენა შეჰქმნოდა. კიტის ამ საქციელს, ბუნებრივია, უმძიმეს ცოდვად ჩაუთვლიდა. საოცარი ის იყო, რომ თვითონ ამას არა ცოდვად, არამედ უფრო უგუნურებად და საძაგლობად თვლიდა. იქნებ, მისი უგუნურების გამო იყო, რომ ტაუნსენდის საყვარლობას საშინელ უხამსობად კი მიიჩნევდა, მაგრამ ამის არა მონანიება, არამედ დავიწყება სურდა. ეს წვეულებაზე დაშვებულ შეცდომას ჰგავდა, რომელსაც სამწუხაროდ არაფერი ეშველება. და თუ ამ ფაქტს სერიოზულად განიხილავ, ეს, უბრალოდ, არაგონივრულია. უცებ გააჟრჟოლა - გაახსენდა: ელეგანტურად ჩაცმული ახოვანი ჩარლზი, მისი უთავბოლო ყბედობა და დგომის მანერა - ღიპის დასამალად წინ წამოწეული მკერდი. მისი ცოცხალი ბუნება ვლინდებოდა პატარა წითელ ძარღვებში, რომელიც ალბათ მალე დაქსელავდა მის ღაჟღაჟა ლოყებს. მისი ხშირი წარბები, რომლებიც ადრე ძალიან მოსწონდა, ახლა რაღაც ცხოველურად და საზიზღრად ეჩვენებოდა. მაგრამ მომავალი? საოცარი ის იყო, რომ კიტი მომავლის მიმართაც გულგრილი იყო, ამაზე არც ფიქრობდა. ალბათ, მშობიარობას გადაჰყვებოდა. მისი და, დორისი, ყოველთვის მასზე ამტანი იყო, და ისიც კინაღამ მოკვდა მშობიარობისას (მან შეასრულა თავისი ვალი და ბარონეტთა ახალი მემკვიდრე გააჩინა. კიტიმ დედის კმაყოფილი სახე წარმოიდგინა და გაეღიმა). რადგან მომავალი ასე ბუნდოვნად ესახებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი ხილვა არ ეწერა. უოლტერი,

ალბათ, ბავშვის აღზრდას კიტის დედას მიანდობს, თუ რასაკვირველია, ბავშვიც მასთან ერთად არ მოკვდა. კიტი კარგად იცნობდა უოლტერს და იცოდა, როგორი დაეჭვებულიც უნდა ყოფილიყო ბავშვის მამობაში, მას მაინც კარგად მოექცეოდა. ამ საკითხში უოლტერის იმედი ყოველთვის უნდა ჰქონოდა. რა საწყენია, რომ არაჩვეულებრივი თვისებების: პატიოსნების, ჭკუისა და ადამიანებისადმი თანაგრძნობის, დახმარებისთვის მუდამ მზადყოფნის მიუხედავად, უოლტერის შეყვარება ძალიან ეძნელებოდა! ახლა კიტის აღარ ეშინოდა მისი, მაგრამ ეცოდებოდა და, ამავე დროს, ცოტა უგუნურადაც თვლიდა. ღრმა გრძნობების უოლტერი მეტად გულჩვილი გახდა. კიტი გრძნობდა, რომ ის ოდესმე მაინც აპატიებდა. ფიქრობდა, თუ ქმარს სულის სიმშვიდეს დაუბრუნებდა, მისთვის მიყენებული ტანჯვის გამოსყიდვას შეძლებდა. სწყინდა, რომ უოლტერს იუმორის გრძნობა თითქმის არ გააჩნდა, კარგი კი იყო, ჰქონოდა: ერთ მშვენიერ დღეს ბევრს იცინებდნენ იმაზე, თუ როგორ გააწამეს ოდესღაც ერთმანეთი. ამასობაში კიტი დაიღალა. ლამპა თავის ოთახში შეიტანა. გაიხადა. დაწვა და მალევე ჩაეძინა. ხმამაღალმა კაკუნმა გააღვიძა. თავიდან ვერ გააცნობიერა სიზმარში იყო, თუ ცხადში. კაკუნი გაგრძელდა და მიხვდა, გალავნის კარზე აკაკუნებდნენ. ძალიან ბნელოდა. კიტიმ ფოსფორის ისრებიან საათს შეხედა. სამის ნახევარი იყო. „ალბათ, უოლტერი დაბრუნდა და ბიჭი ვერ გააღვიძა“, გაიფიქრა. კაკუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ღამის სიჩუმეში რაღაც შიშისმომგვრელად ისმოდა. ბოლოს შეწყდა. კიტიმ გაიგონა, როგორ ასწიეს მძიმე ურდული. უოლტერი ასე გვიან არასოდეს დაბრუნებულა. საწყალი, რა დაღლილი იქნება! იქნებ, ჭკუა ეყოს და დაწვეს... იმ თავის ლაბორატორიაში აღარ გამოიკეტოს!.. ხმები გაისმა. ჭიშკარში ხალხი შემოვიდა. ეს კი უჩვეულო იყო. უოლტერი ხომ შინ გვიან დაბრუნებისას მუდამ ცდილობდა არ ეხმაურა და კიტი არ შეეწუხებინა. ორმა თუ სამმა კაცმა სწრაფად ამოირბინა ხის კიბე და მეზობელ ოთახში შევიდა. კიტის ცოტა არ იყოს შეეშინდა. გულის სიღრმეში ყოველთვის ეგონა, რომ ჩინელები უცხოელების წინააღმდეგ აჯანყდებოდნენ. რამე ხომ არ

მოხდა? გულმა ბაგაბუგი დაუწყო. სანამ აზრს მოიკრებდა, ვიღაცამ ოთახი გადმოჭრა და მის კარზე დააკაკუნა. - მისის ფეინ! კიტიმ უედინგტონის ხმა იცნო. - დიახ, რა მოხდა? - თუ შეიძლება, ახლავე ადექით. საქმე გვაქვს. კიტი ადგა. ხალათი ჩაიცვა და კარი გააღო. მის წინ ჩინურ შარვალსა და აბრეშუმის მოსაცმელში გამოწყობილი უედინგტონი იდგა. მსახურ ბიჭს ლამპა ეჭირა. ცოტა მოშორებით კი ხაკისმუნდირიანი სამი ჩინელი ჯარისკაცი დაინახა. კიტიმ უედინგტონის სახეზე შიში ამოიკითხა და შეკრთა. უედინგტონს თმა გაბურძგვნოდა, თითქოს ეს-ესაა ლოგინიდან წამოაგდესო. - რა მოხდა? - ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა. - სიმშვიდე გმართებთ. წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. ახლავე ჩაიცვით და წამოგვყევით. - კი მაგრამ, რაშია საქმე? ქალაქში მოხდა რამე? იფიქრა, ალბათ, აჯანყება დაიწყო და ესენი ჩემს დასაცავად მოვიდნენო. - თქვენი ქმარი ავად არის. ახლავე უნდა წამოგვყვეთ. - უოლტერი? - წამოიძახა კიტიმ. - თავი ხელში აიყვანეთ. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. პოლკოვნიკმა იუმ ეს ოფიცერი გამომიგზავნა და მთხოვა, სასწრაფოდ წამეყვანეთ მის რეზიდენციაში. კიტი ერთიანად გაიყინა. ერთხანს სულელურად მიაშტერდა უედინგტონს. მერე, როგორც იქნა, კარს მოშორდა: - ორ წუთში მზად ვიქნები. - როგორც ვიყავი, ისევე წამოვედი, - უთხრა უედინგტონმა. - მეძინა, მხოლოდ მოსასხამი და ფეხსაცმელი ჩავიცვი. კიტის ეს არ გაუგონია. რაც ხელში მოხვდა, ის ჩაიცვა. თითებს ვერ იმორჩილებდა და მთელ საუკუნედ ეჩვენა ის დრო, სანამ კაბის პატარა შესაკრავებს მიაგნებდა. მხრებზე კანტონური შალი მოისხა და ჰკითხა: - ქუდი არ დავიხურო? - არა. ბიჭს წინ ლამპა მიჰქონდა. მათ სწრაფად ჩაათავეს კიბის საფეხურები და გალავნის ჭიშკარში გავიდნენ. - ფრთხილად, არ წაიქცეთ, - უთხრა უედინგტონმა. - მკლავზე დამეყრდენით. ჯარისკაცები უკან მიჰყვნენ. - პოლკოვნიკმა იუმ ტახტრევნები გამოგზავნა. მდინარის გაღმა გველოდებიან. გორაკიდან სწრაფად დაეშვნენ. კიტის იმდენად ეშინოდა პასუხის, რომ გამბედაობა არ ეყო ის შემზარავი კითხვა დაესვა, ენაზე რომ ადგა. მდინარის ნაპირთან მივიდნენ, იქ კი ნავი ელოდათ. მის კიჩოზე

სინათლის ზოლი ჩანდა. - ქოლერაა? - მაშინღა ჰკითხა. - ვშიშობ, კი. კიტიმ შეჰკივლა და გაჩერდა. - რაც შეიძლება, სწრაფად უნდა წამოხვიდეთ. მან კიტის ხელი გაუწოდა და ნავში ჩაჯდომაში დაეხმარა. გადასასვლელი მოკლე იყო. ისინი კიჩოსთან შეჯგუფდნენ. შორიახლოს, თეძოზე ბავშვმიკრულ ქალს ცალი ნიჩბით მიჰყავდა ნავი უძრავ მდინარეზე. - ნაშუადღევს გახდა ავად, უფრო სწორად გუშინ საღამოს, - თქვა უედინგტონმა. - რატომ მაშინვე ვინმე არ გამოგზავნეს ჩემთან? დასამალი არავისგან არაფერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ჩურჩულით საუბრობდნენ. სიბნელეში კიტი უედინგტონის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ძალიან ღელავდა. - პოლკოვნიკ იუს უნდოდა, მაგრამ მან ნება არ მისცა. პოლკოვნიკი გვერდიდან არც ერთი წუთით არ მოშორებია. - მაინც უნდა გამოეგზავნა ვინმე. ასე როგორ შეიძლება? - თქვენმა ქმარმა იცოდა, ქოლერიანი ავადმყოფი რომ არ გინახავთ. ეს ამაზრზენი სანახაობაა. მას უნდოდა, რომ თქვენთვის ეს საშინელება აერიდებინა. - სხვა თუ არაფერი, ჩემი ქმარია, - თქვა აღელვებულმა კიტიმ. უედინგტონმა არაფერი უპასუხა. - ახლა რატომღა გამომიძახეს? - უნდა გამაგრდეთ, ჩემო ძვირფასო. ყველაზე ცუდისთვისაც მზად უნდა იყოთ. - უთხრა უედინგტონმა და მკალვზე ხელი დაადო. კიტის სიმწრის გმინვა აღმოხდა. ოდნავ შებრუნდა, რადგან დაინახა, სამი ჩინელი ჯარისკაცი მისჩერებოდა - თვალები რაღაც იდუმალად უბრწყინავდათ. - კვდება? - მხოლოდ ის ვიცი, რაც პოლკოვნიკმა იუმ დააბარა ამ ოფიცერს, ჩემს წასაყვანად რომ მოვიდა. რამდენადაც ვიცი, უგონოდაა. - სულ არ არის იმედი? - საშინლად ვწუხვარ, მაგრამ შეიძლება ცოცხალსაც ვერ მივუსწროთ. კიტის გააჟრჟოლა. ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. - ხომ იცით, ძალიან ბევრს მუშაობდა, წინააღმდეგობის უნარიც კი არ აქვს. გაღიზიანებულმა კიტიმ მისი ხელი მოიშორა. მის ხმადაბალ, დამწუხრებულ ტონს მოთმინებიდან გამოჰყავდა. ნაპირს მიაღწიეს. ნაპირზე მდგომი ორი ჩინელი ყული კიტის ნაპირზე გადასვლაში მიეშველა. ტახტრევნები იქვე ელოდათ. როცა კიტი თავის ტახტრევანზე დაჯდა, უედინგტონმა უთხრა: - ეცადეთ, თავს მოერიოთ.

ნერვები კვლავ დაგჭირდებათ. - მებარგულებს უთხარით, იჩქარონ. - მათ ნაბრძანები აქვთ, რაც შეიძლება სწრაფად იარონ. ოფიცერმა, რომელიც უკვე ტახტრევანზე იჯდა, კიტის მებარგულებს რაღაც დაუძახა. მათ მკვირცხლად ასწიეს ტახტრევანი, ჯოხები მხრებზე გაიდეს და ადგილიდან სწრაფად დაიძრნენ. გორაკს თითქმის სირბილით აუყვნენ. ყველა ტახტრევანს წინ ფარნიანი კაცი მიუძღოდა. ქალაქის გალავანთან კი კარისკაცი იდგა და ხელში მაშხალა ეჭირა. რომ მიუახლოვდნენ, ოფიცერმა რაღაც დაუძახა. მან კარიბჭე გააღო და ისინი გაატარა. გვერდით რომ ჩაუარეს, მებარგულებს რაღაც დაუყვირა, ისინიც გამოეპასუხნენ. მდუმარე ღამეში გაუგებარ ენაზე წარმოთქმული ეს ხორხისმიერი ბგერები შიშისმომგვრელად ჟღერდა. სველ და რიყის ქვით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩაში ფეხი უსხლტებოდათ. ოფიცრის ერთ-ერთი მებარგული წაბორძიკდა. ამას ოფიცრის გაბრაზება და მებარგულის გამყინავი პასუხი მოჰყვა. მერე წინ მიმავალი ტახტრევანი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩებისკენ ისევ სწრაფად დაიძრა. მკვდართა ქალაქში უკუნი ღამე მეფობდა. ერთ-ერთი ვიწრო გზის კუთხეში მოუხვიეს და კიბეზე სირბილით ავიდნენ. დადუმებული მებარგულები დიდი, სწრაფი ნაბიჯით, ქოშინ-ქოშინით მიდიოდნენ; ერთმა დაძონძილი ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა; ხან მარჯვნივ უხვევდნენ, ხან მარცხნივ, თითქოს ლაბირინთში მიიჩქარიანო; დარაბებმიხურული დუქნების ჩრდილქვეშ თითქოს ვიღაც იწვა, ვერავინ იტყოდა, ეს კაცი დილით გაიღვიძებდა თუ სამარადისოდ ეძინა; ვიწრო და უკაცრიელ ქუჩებში შემზარავი სიჩუმე გამეფებულიყო. კიტის ძაღლის უეცარი, ხმამაღალი დაყეფებაც კი ნერვებს უშლიდა. არ იცოდა, საით მიდიოდნენ. გზა უსასრულოდ გრძელი ეჩვენა. ნუთუ არ შეეძლოთ უფრო სწრაფად სიარული? სწრაფად, სწრაფად... დრო არ იცდის. იქნებ, დააგვიანდა კიდეც?.. უეცრად, გრძელი, ყრუ კედლის გაყოლებაზე საგუშაგოს მიადგნენ. მებარგულებმა ტახტრევნები დადგეს. უედინგტონი კიტისკენ გაემართა, მაგრამ ის უკვე გადმომხტარიყო, ოფიცერმა კარზე დააბრახუნა და რაღაც დაიძახა. გვერდითი კარი გააღეს და ისინი

ფართო, ოთხკუთხა ეზოში შევიდნენ. კედლებთან, სახურავებქვეშ, საბნებში გახვეული ჯარისკაცები მიყრილიყვნენ. ისინი ცოტა ხანს შეჩერდნენ, სანამ ოფიცერი ვიღაც კაცს, სავარაუდოდ, სერჟანტს ესაუბრებოდა. შემდეგ უედინგტონისკენ მიბრუნდა და რაღაც უთხრა. - ჯერ კიდევ ცოცხალია, - თქვა უედინგტონმა ხმადაბლა, - ფრთხილად იარეთ. ისევ წინ მიმავალ ფარნიან მამაკაცებს მიჰყვებოდნენ; ეზო გადაჭრეს და კიბე აიარეს. დიდი შესასვლელის გავლით, კიდევ ერთ ეზოში მოხვდნენ. მის ერთ მხარეს გრძელი შენობის ერთი ოთახის ფანჯრებზე აკრული ბრინჯის ქაღალდებიდან1 გარეთ მკრთალი სინათლე აღწევდა. ფარნიანებმა ეზო გადაჭრეს და ოთახისკენ გაემართნენ. ოფიცერმა კარზე დააკაკუნა. კარი მაშინვე გააღეს. ოფიცერმა კიტის შეხედა და უკან დაიხია. - მიბრძანდით, - უთხრა უედინგტონმა. გრძელ და დაბალჭერიან ოთახს გამურული ლამპები რაღაც ავბედით იერს ანიჭებდა. ოთახში სამი-ოთხი სანიტარი იყო. კარის მოპირდაპირე კედელთან მდგარ საწოლზე ვიღაც იწვა. მის ფეხებთან გაუნძრევლად იდგა ოფიცერი. კიტი სწრაფად გაეშურა იქითკენ და საწოლზე დაიხარა. თვალებდახუჭულ უოლტერს შემზარავ შუქზე მკვდრისფერი დასდებოდა. ისე უძრავად იწვა, რომ კიტის თავზარი დაეცა. - უოლტერ, უოლტერ, - წარმოთქვა სუნთქვაშეკრულმა შეშინებული ხმით. სხეული ოდნავ შეტოკდა, ისე, როგორც ნელი სიო შეარხევს ხოლმე წყლის უძრავ ზედაპირს. - უოლტერ, უოლტერ, ხმა გამეცი. უოლტერმა თვალები ნელა გაახილა, თითქოს უჭირს დამძიმებული ქუთუთოების აწევაო, მაგრამ არ შეუხედავს, მისგან რამდენიმე დუიმით დაშორებულ კედელს მიაჩერდა. - არეულ-დარეული ამბავია, - წაილაპარაკა მან ჩუმად. მის სუსტ ხმაში ღიმილი იგრძნობოდა. კიტის სუნთქვა შეეკრა. უოლტერს ხმა აღარ ამოუღია, არც განძრეულა. მხოლოდ თვალები, ცივი შავი თვალები (რომლებიც ვინ იცის, ცხოვრების რა გამოცანას ხსნიდა ახლა) შეთეთრებულ კედელს მიშტერებოდნენ. კიტი წამოდგა. სასოწარკვეთილმა და დაბნეულმა იქვე მდგომ კაცს მიმართა: - ნუთუ არაფრის გაკეთება არ შეიძლება?ასე გულხელდაკრეფილი რატომ

დგახართ? ქალმა ხელები მომუშტა. უედინგტონი საწოლის ბოლოში მდგარ ოფიცერს დაელაპარაკა. - რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავუკეთეთ. პოლკის ქირურგი უვლიდა. თქვენს ქმარს თვითონ უსწავლებია მისთვის. მან ყველაფერი სცადა, რაც მისგან იცოდა. - ეს არის ქირურგი? - არა, ეს პოლკოვნიკი იუ გახლავთ. გვერდიდან არ მოშორებია თქვენს ქმარს. დაბნეულმა კიტიმ შეხედა. ეს მაღალი, ჩასხმული მამაკაცი ხაკის სამოსში თითქოს თავს უხერხულად გრძნობდა. ის უოლტერს მისჩერებოდა. კიტიმ დაინახა, თვალები ცრემლებით ავსებოდა, და გული შეეკუმშა. რატომ უნდა ჰქონდეს ამ ყვითელ, ბრტყელსახიან კაცს თვალებში ცრემლი? კიტი გაბრაზდა. - რა საშინელებაა, რომ ვერაფერს ვაკეთებთ. - ახლა ტკივილები მაინც აღარ დატანჯავს, - თქვა უედინგტონმა. კიტი ისევ ქმრისკენ დაიხარა. უოლტერი შემზარავი თვალებით ისევ უაზროდ იყურებოდა. კიტი ვერ მიხვდა, ხედავდნენ თუ არა ეს თვალები, არ იცოდა, გაიგონა თუ არა, რაც ითქვა. ტუჩები ყურთან მიუტანა. - უოლტერ, კიდევ თუ შეიძლება რამის გაკეთება? მას ეგონა, არსებობდა წამალი, რომელიც ქმარს სწრაფმავალ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. ახლა, როცა თვალები უფრო შეაჩვია სიბნელეს, შეძრწუნებულმა დაინახა, რომ უოლტერს ისე ჩაცვენოდა ლოყები, კაცი ძლივს იცნობდა. ვერც იფიქრებდი, რომ სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ სხვანაირი იყო, ეს აღარ იყო ადამიანი, ეს სიკვდილი იყო. კიტის მოეჩვენა, რომ მას რაღაცის თქმა უნდოდა და ყური ახლოს მიუტანა. - ნუ ღელავ. საშინელება იყო, მაგრამ ახლა კარგად ვარ. კიტი ცოტა ხანს კიდევ დაელოდა, მაგრამ უოლტერი გაჩუმდა. მისი უძრაობა გულს დანასავით უსერავდა. თითქოს უკვე სამარისთვის გამზადებულიყო. ვიღაც ქირურგი თუ თანაშემწე წინ წამოდგა და კიტის ანიშნა, გვერდზე გამდგარიყო. სასოწარკვეთილი კიტი უედინგტონს მიუბრუნდა. - სულ აღარაა იმედი? - ჰკითხა ჩურჩულით. მან თავი გააქნია. - რამდენ ხანს იცოცხლებს? - არავინ იცის. ალბათ, ერთი საათი. კიტიმ ცარიელ ოთახში მიმოიხედა. წამით თვალი წარმოსადეგ პოლკოვნიკ იუზე შეაჩერა. - შეიძლება, ერთი წუთით მასთან მარტო დამტოვოთ? -

იკითხა. - მხოლოდ ერთი წუთით. - რა თქმა უნდა. უედინგტონი პოლკოვნიკთან მივიდა და რაღაც უთხრა. პოლკოვნიკმა თავი ოდნავ დაუკრა და იქმყოფებს ხმადაბლა უბრძანა ოთახიდან გასულიყვნენ. - კიბეზე დაგელოდებით, - უთხრა უედინგტონმა, როცა ისინი გავიდნენ, - თუ რაიმე დაგჭირდათ, დაგვიძახეთ. ახლა, როცა ამ დაუჯერებელმა ამბავმა კიტის მთელი არსება მოიცვა, როცა დარწმუნდა, რომ უოლტერი კვდებოდა, მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა - მისთვის სიკვდილი შეემსუბუქებინა. გაეთავისუფლებინა იმ დაგუბებული ბოღმისგან, სულს რომ უწამლავდა. ეგონა, თუ კიტისთან შერიგებული მოკვდებოდა, თავის თავსაც შეურიგდებოდა. კიტის ახლა საკუთარი თავი სულ არ ანაღვლებდა, მხოლოდ უოლტერზე ფიქრობდა. - უოლტერ, გემუდარები, მაპატიე, - უთხრა და მისკენ დაიხარა. იმის შიშით, ვაითუ, ჩემი შეხება ვერ აიტანოსო, ცდილობდა არ მიჰკარებოდა - რომ იცოდე, რა მწარედ ვნანობ, ასე ცუდად რომ მოგექეცი. უოლტერს არაფერი უთქვამს. თითქოს არც გაუგონია. კიტი არ ეშვებოდა. უცნაურად ეჩვენებოდა, რომ უოლტერის სული იმ მოფარფატე პეპელას ჰგავდა, ფანჯარას რომ ეხეთქება და სიძულვილისგან ფრთები დამძიმებია. - ძვირფასო. უოლტერს მიწისფერ, ლოყებჩაცვენილ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. სახე არ გაუნძრევია, მაგრამ ამან კრუნჩხვასავით თავზარდამცემად იმოქმედა კიტიზე. ქმრისთვის ეს სიტყვა ადრე არასოდეს უთქვამს. ალბათ, მომაკვდავის გონებაში ბუნდოვნად გაირბინა იმ აზრმა, რომ კიტი ამ სიტყვას მხოლოდ ძაღლების, ბავშვებისა და ავტომობილების მისამართით იყენებდა. მერე საშინელი წუთები დაიწყო. ქალმა ხელები მოკუმშა, რაც შეეძლო ცდილობდა თავი შეეკავებინა, როცა უოლტერს ჩაცვენილ ლოყებზე ორი ცრემლი ჩამოუგორდა. - ოჰ, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო, თუ ოდესმე გიყვარდი, და ვიცი, რომ გიყვარდი, მე კი, საძაგელი ვიყავი, გთხოვ, მაპატიო. ახლა არ შემიძლია დაგიმტკიცო, რომ მწარედ ვნანობ. შემიბრალე, გემუდარები, მაპატიე... კიტი გაჩერდა. სუნთქვაშეკრული უყურებდა და ძრწოლვით ელოდა პასუხს. უოლტერი რაღაცის თქმას ცდილობდა.

გული აუძგერდა. დიახ, ის გამოისყიდის ყველა დანაშაულს, თუ ახლა, უკანასკნელ წუთს, ქმრის ბოღმის ტვირთისგან გათავისუფლებას შეძლებს. უოლტერმა ტუჩები შეარხია. კიტისთვის არ შეუხედავს. ჩინწართმეული თვალებით ისევ თეთრ კედელს მისჩერებოდა. კიტი მისკენ დაიხარა, რომ უკეთ გაეგონა, მაგრამ უოლტერმა გარკვევით თქვა: - ძაღლი კი მოკვდა. კიტი ადგილზე გაქვავდა. ნათქვამი ვერ გაიგო. მომაკვდავს შეშინებული და დაბნეული მისჩერებოდა. ეს უაზრობა, ბოდვა იყო. უოლტერს თვალები ღია ჰქონდა. ვერ მიხვდა, სუნთქავდა თუ არა, თანდათან შიშმა აიტანა. - უოლტერ, - წაიჩურჩულა, - უოლტერ. ბოლოს შეშინებული კარს მივარდა. - თუ შეიძლება, შემოდით, მგონი, უკვე აღარ... ისინი ოთახში შემოვიდნენ. ჩინელი ექიმი საწოლთან მივიდა. ხელში ელექტროფარანი ეჭირა. აანთო და უოლტერს თვალებში ჩახედა. მერე თვალები დაუხუჭა. ჩინურად რაღაც თქვა. უედინგტონმა კიტის ხელი მოჰკიდა. - გარდაიცვალა. კიტიმ ღრმად ამოიოხრა. თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა. გაოგნებული უფრო იყო, ვიდრე თავზარდაცემული. ჩინელები საწოლის გარშემო უმწეოდ იდგნენ. თითქოს არ იცოდნენ, რა ექნათ. უედინგტონი ხმას არ იღებდა. წუთის შემდეგ ჩინელები ხმადაბლა ალაპარაკდნენ. - სჯობს, სახლში დავბრუნდეთ. - უთხრა უედინგტონმა. - მასაც იქ მოასვენებენ. დაღლილმა კიტიმ შუბლზე ხელი გადაისვა. საწოლთან მივიდა, დაიხარა და უოლტერს ტუჩებზე ნაზად აკოცა. უკვე აღარ ტიროდა. - მაპატიეთ, ასე რომ შეგაწუხეთ. ჯარისკაცებმა კიტის სამხედრო სალამი მისცეს. მანაც მძიმედ დაუკრა თავი. მათ ისევ გადაჭრეს ეზო და ტახტრევნებზე დასხდნენ. კიტიმ დაინახა, რომ უედინგტონმა სიგარეტს მოუკიდა. ჰაერში გაბნეული სუსტი კვამლი - აი, ეს იყო ადამიანის სიცოცხლე! თენდებოდა. აქა-იქ ჩინელებმა თავიანთი დუქნის დარაბები გააღეს. ბნელ სიღრმეში, სანთლის შუქზე ჩინელი ქალი ხელ-პირს იბანდა. ჩაიხანაში რამდენიმე კაცი საუზმობდა. სისხამი დილის ქუში, ცივი სინათლე ვიწრო ქუჩებს ქურდივით ეპარებოდა. მდინარეზე თეთრი ნისლი ჩამოწოლილიყო, შეჯგუფებული ნავების ანძები ნისლში ზღაპრული ლაშქრის შუბებივით

მოჩანდა. ციოდა. კიტი თავის ჭრელ შალში გაეხვია. ისინი გორაკზე ავიდნენ და ნისლის ზემოთ აღმოჩნდნენ. უღრუბლო ცაზე მზე ამოვიდა და ისევე ანათებდა, როგორც ყოველთვის, თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა და არც დღევანდელი დღე განსხვავდებოდა წინამორბედებისგან. - არ დაწვებით? - ჰკითხა უედინგტონმა, სახლში რომ შევიდნენ. - არა, ფანჯარასთან დავჯდები. ბოლო დროს კიტი ისე ხშირად და იმდენ ხანს იჯდა ფანჯარასთან და ისე შეაჩვია თვალი გალავანზე აღმართულ ზღაპრულ, თვალისმომჭრელ, მშვენიერ და იდუმალ ტაძარს, რომ მისი ცქერისას სულიერად მშვიდდებოდა. შუადღის კაშკაშა სინათლეზეც კი იგი იმდენად არარეალური იყო, რომ კიტის რეალობას ავიწყებდა. - ბიჭს ვეტყვი ჩაი მოგიმზადოს. სამწუხაროდ, დღესვე უნდა დავკრძალოთ. ყველაფერს მე მოვაგვარებ. - გმადლობთ. უოლტერი სამი საათის შემდეგ დამარხეს. კიტი შეაშფოთა იმ ამბავმა, რომ ის ჩინურ კუბოში უნდა ჩაესვენებინათ. ფიქრობდა, რომ მასში მშვიდად ვერ განისვენებდა, მაგრამ სხვა არჩევანი არც ჰქონდა. მონაზვნებმა, უოლტერის სიკვდილი რომ გაიგეს, შიკრიკის ხელით გეორგინების ისეთი დიდებული ჯვარი გამოგზავნეს, დახელოვნებული მეყვავილის ოსტატური ნამუშევარი გეგონებოდათ. სამწუხაროდ, ეს ჯვარი ჩინურ კუბოზე სასაცილოდ და უხერხულად გამოიყურებოდა. ყველაფერი მზად იყო. ახლა პოლკოვნიკ იუს ელოდებოდნენ, რომელსაც უედინგტონისთვის ჯარისკაცის პირით შემოეთვალა, დაკრძალვაზე აუცილებლად მოვალო. ის თავის ადიუტანტთან ერთად მოვიდა. ისინი გორაკზე ავიდნენ, ათამდე ყულის კუბო მიჰქონდა. პატარა მიწის ნაკვეთთან მივიდნენ, სადაც ის მისიონერი იყო დაკრძალული, რომლის ადგილიც უოლტერმა დაიკავა. უედინგტონმა მისიონერის ნივთებში ინგლისური ლოცვანი იპოვა და უჩვეულოდ დაბნეულმა ხმადაბლა წაიკითხა სულის მოსახსენიებელი ლოცვა. ამ დიდებულ, შიშისმომგვრელ სიტყვებს რომ კითხულობდა, ვინ იცის, იქნებ, ფიქრობდა კიდეც: მეც თუ ეპიდემიის მსხვერპლი გავხდი, ჩემთვის ლოცვის წამკითხველი არავინ იქნებაო. კუბო საფლავში ჩაუშვეს. მესაფლავეებმა მიწა დააყარეს.

საფლავის პირას უქუდოდ მდგარმა პოლკოვნიკმა იუმ ქუდი დაიხურა, კიტის მხედრულად მიესალმა, უედინგტონს ერთი-ორი სიტყვა უთხრა და ადიუტანტის თანხლებით წავიდა. ადგილზე დარჩნენ ყულები. ისინი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ ქრისტიანულ დაკრძალვას. მერე თავიანთი თოკები აიღეს და ჯგუფ-ჯგუფად წავიდ-წამოვიდნენ. კიტი და უედინგტონი საფლავის ამოვსებას დაელოდნენ. ბოლოს, ნედლი მიწის სურნელით გაჟღენთილ საფლავის ბორცვზე მონაზვნების გეორგინები დადეს. კიტი არ ტიროდა, მაგრამ, როგორც კი კუბოს თავზე მიწამ გაიბრახუნა, გულში საშინელი ტკივილი იგრძნო. შენიშნა, რომ უედინგტონი ელოდებოდა. - გეჩქარებათ? - ჰკითხა კიტიმ. - სახლში დაბრუნება ჯერ არ მინდა. - საქმე არაფერი მაქვს. მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ. ისინი მოკირწყლული გზით გორაკზე ავიდნენ. იქ რომელიღაც ქველმოქმედი ქვრივის მემორიალური თაღი აღემართათ, რომელმაც კიტიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს რაღაცის სიმბოლო იყო, მაგრამ რისი, კიტიმ არ იცოდა. ვერც იმას ხვდებოდა, რატომ იგრძნობოდა მასში ასეთი გესლიანი, ირონია. - ჩამოვსხდეთ? რამდენი ხანია, აქ არ ვყოფილვართ. კიტის წინ გადაშლილი დიდი ველი უღრუბლო ცის ფონზე წყნარი და მყუდრო მოეჩვენა. - მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც აქ ჩამოვედი, მაგრამ ასე მგონია, თითქოს მთელი ცხოვრება აქ გავატარე. უედინგტონმა არაფერი უპასუხა. კიტიც ფიქრებს გაჰყვა. ბოლოს ამოიოხრა. - როგორ ფიქრობთ, სული უკვდავია? - ჰკითხა უცებ. უედინგტონს კითხვა არ გაჰკვირვებია. - საიდან უნდა ვიცოდე? - კუბოში ჩასვენებამდე უოლტერი რომ განბანეს, შევხედე. ახალგაზრდა ჩანდა. სიკვდილისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა. გახსოვთ ის მათხოვარი, ჩვენ რომ ვნახეთ, როცა პირველად წამიყვანეთ სასეირნოდ? იმიტომ კი არ შემეშინდა, რომ მკვდარი იყო, ისე გამოიყურებოდა, თითქოს არასოდეს ყოფილიყო ადამიანი. უბრალოდ, მკვდარი ცხოველი იყო და მეტი არაფერი. უოლტერის სიკვდილით კი, თითქოს, რაღაც მექანიზმი გამოვიდა მწყობრიდან. აი, რა არის საშინელება. თუ ეს მართლაც მხოლოდ მექანიზმია, რა ამაოა, რა უაზრობაა ჩვენი ტანჯვა,

სულიერი ტკივილი და წამება! უედინგტონმა არაფერი უპასუხა. წინ გადაშლილ ლანდშაფტს გასცქეროდა. ამ მზიან დილას ეს უკიდეგანო სივრცე გულს სიხარულით ავსებდა. თვალსაწიერზე ყველგან კვადრატებად დაყოფილი ბრინჯის ყანები გადაჭიმულიყო, სადაც ლურჯსამოსიანი გლეხები თავიანთ კამეჩებთან ერთად გულმოდგინედ მუშაობდნენ. წყნარი და მშვიდი სანახაობა იყო. სიჩუმე კიტიმ დაარღვია: - ვერ გადმოგცემთ, როგორ იმოქმედა ჩემზე ყველაფერმა, რაც მონასტერში ვნახე. ეს მონაზვნები არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, მათ გვერდით თავს არარაობად ვგრძნობ. მათ უარი თქვეს ყველაფერზე: სამშობლოზე, ახლობლებზე, სიყვარულზე, შვილებზე, თავისუფლებაზე... ისეთ ცხოვრებისეულ წვრილმანებზე, როგორიცაა ყვავილები და ხასხასა ველ-მინდორი, შემოდგომის მყუდრო საღამოს სეირნობა, წიგნები და მუსიკა, კომფორტი - ყველაფერს წერტილი დაუსვეს. და რისთვის? რას მიიღებენ სანაცვლოდ? მთელი მათი სიცოცხლე მსხვერპლის გაღება, სიღატაკე და მორჩილება, ქანცგაწყვეტამდე შრომა და ლოცვაა. ყველა მათგანისთვის ეს სამყარო ჭეშმარიტად განდევნის ადგილია. ცხოვრება მათთვის მძიმე ჯვარია, რომელსაც საკუთარი ნებით ატარებენ. მათ გულში მუდამ ცოცხლობს ერთი სურვილი (და ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სურვილი) - თავდავიწყებული, ზეშთაგონებული სწრაფვა მარადიულ სიცოცხლესთან ნაზიარები სიკვდილისკენ. კიტიმ ხელები მომუჭა და საგონებელში ჩავარდნილმა უედინგტონს შეხედა: - რას იტყვით? - მაგრამ თუ მარადიული სიცოცხლე არ არსებობს? თუ სიკვდილი მართლაც ყველაფრის დასასრულია, მაშასადამე, არაფრის გამო დათმეს ყველაფერი. მოტყუვდნენ, გაბრიყვდნენ... უედინგტონი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. - არ ვიცი. ნეტავ, საერთოდ თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა იმას, რომ ის მიზანი, რაც მათ ამოძრავებთ, ილუზიაა. მათი ცხოვრება თავისთავად მშვენიერია. ჩემი აზრით, ერთადერთი, რის გამოც შეიძლება ზიზღის გარეშე უყურო იმ სამყაროს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მშვენიერებაა, რომელსაც ადამიანები დროდადრო ქაოსიდან ქმნიან - სურათები, რომლებსაც ხატავენ; მუსიკა, რომელსაც

თხზავენ; წიგნები, რომლებსაც წერენ; ცხოვრება, რომელსაც ეწევიან. თუმცა, ამათგან ყველაზე მშვენიერი მაინც ლამაზად გატარებული ცხოვრებაა. რაც, თავისთავად, ხელოვნების ყველაზე სრულყოფილი შედევრია. კიტიმ ამოიოხრა. მისმა ნათქვამმა არ დააკმაყოფილა. მშრალი ეჩვენა. კიდევ უფრო მეტის გაგება უნდოდა. - ოდესმე ყოფილხართ სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე? - განაგრძნო უედინგტონმა. - დიახ, - გაეღიმა კიტის. - მუსიკისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ სიამოვნებით ვუსმენ. - ორკესტრის ყოველი წევრი თავის საკრავზე უკრავს. როგორ ფიქრობთ, ესმის კი რამე იმ რთული ჰარმონიის, გულგრილ სამყაროში რომ იღვრება? ის მხოლოდ თავის მოკრძალებულ პარტიას ასრულებს. მაგრამ იცის, რომ მთლიანობაში სიმფონია მშვენიერია. მაშინაც კი, თუ მას არავინ უსმენს. ჰოდა, ისიც კმაყოფილია, რომ ამ მშვენიერების შექმნაში მონაწილეობს. - იმ დღეს ტაო ახსენეთ, - უთხრა კიტიმ დუმილის შემდეგ. - იქნებ ამიხსნათ? უედინგტონმა შეხედა, წამით შეყოყმანდა, მერე სახეზე სუსტმა ღიმილმა გადაურბინა და თქვა: - ეს არის გზა და მგზავრი. მარადიული გზა, რომელზეც მიდის ყველა ცოცხალი არსება, მაგრამ იგი არავის შეუქმნია, რადგან თვით არის არსება. ის ყველაფერია და არაფერი. ყველაფერი მისგან წარმოიშვება, ყველაფერი მას ექვემდებარება, დაბოლოს, ყველაფერი მასვე უბრუნდება. ეს არის კვადრატი კუთხეების გარეშე; ეს არის ბგერა, რომელიც ყურს არ ესმის; ეს არის გამოსახულება, ფორმის გარეშე. ეს უსაზღვრო ბადეა, და, თუმცა ზღვასავით უზარმაზარი უჯრედები აქვს, შიგ არავის და არაფერს ატარებს. ეს არის სავანე, სადაც ყველა პოულობს თავშესაფარს. ის არსად არის, მაგრამ მისი დანახვა ფანჯრიდან გაუხედავადაც შეიძლება. ისურვე, რომ არ გქონდეს სურვილი, გვასწავლის იგი, და ყველაფერი თავის ნებაზე მიუშვით. მორჩილებით მცხოვრები დაცული იქნება. ქედმოდრეკილი გასწორდება. წარუმატებლობა წარმატების საწინდარია, წარმატებაში კი წარუმატებლობის ჩანასახი დევს. მაგრამ, ვინ იცის, როდის შეიცვლება ერთი მეორით? ის, ვინც სინაზისკენ ისწრაფის, შეიძლება ბავშვს დაემსგავსოს. სიკეთე

გამარჯვებას მოუტანს იმას, ვინც უტევს და საშიშროებას ააცილებს იმას, ვინც თავს იცავს. ძლევამოსილია ის, ვინც ყოველთვის იმარჯვებს საკუთარ თავზე. - და ეს რამეს ნიშნავს? - ზოგჯერ, როცა ათ ჭიქა ვისკის დავლევ და ვარსკვლავებს გავხედავ, ვფიქრობ, რომ ნიშნავს. სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ კიტიმ დაარღვია. - მითხარით, „ძაღლი კი მოკვდა“ ციტატაა? უედინგტონს ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა და პასუხი დააპირა, მაგრამ ალბათ ამ წუთებში გრძნობები ჩვეულებრივზე მეტად გამძაფრებოდა. კიტი არ უყურებდა, მაგრამ ისეთი იერი ჰქონდა, რომ უედინგტონი იძულებული გახდა პასუხი შეეცვალა. - შეიძლება. თუმცა, მე არ ვიცი, - დაიწყო ფრთხილად. - რატომ? - ისე. უცებ გამახსენდა. რაღაც ნაცნობია. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. - როცა თქვენს ქმართან მარტო დარჩით, - უთხრა უედინგტონმა, - სამხედრო ქირურგს ვესაუბრე, წვრილმანების გაგება მინდოდა. - მერე? - მეტისმეტად აღელვებული იყო. კარგად ვერც გავიგე, რას გულისხმობდა, მან თქვა, რომ თქვენს ქმარს ინფექცია საკუთარი ცდების დროს შეეყარა. - ის ცდებს ყოველთვის ატარებდა, რადგან ბაქტერიოლოგი იყო და არა ექიმი. ამიტომ უნდოდა ასე აქ ჩამოსვლა. - მაგრამ ქირურგის ნათქვამიდან მთლად კარგად ვერ გავიგე, შემთხვევით შეხვდა ინფექცია თუ შეგნებულად ატარებდა ექსპერიმენტებს თავის თავზე. კიტი გაფითრდა. ამ აზრმა შეაძრწუნა. უედინგტონმა მისი ხელი აიღო. - მაპატიეთ, რომ ისევ ამაზე ვსაუბრობ, - უთხრა ალერსით. - მაგრამ ვიფიქრე, იქნებ ამან დაამშვიდოს-მეთქი. ვიცი, რა ძნელია ასეთ დროს სანუგეშო სიტყვების მოძებნა... ვიფიქრე, თქვენთვის ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა... თქვენ უნდა გცოდნოდათ, რომ უოლტერი მეცნიერებასა და მოვალეობას შეეწირა. კიტიმ მოუთმენლად აიჩეჩა მხრები. - უოლტერი გულგატეხილობის მსხვერპლი გახდა. - თქვა მან. უედინგტონმა არაფერი უპასუხა. სახეგაყინული კიტი მობრუნდა და პირდაპირ შეხედა. - რას გულისხმობდა სიტყვებში: „ძაღლი კი მოკვდა“? საიდანაა ეს სიტყვები? - გოლდსმითის „ელეგიის“1 ბოლო სტრიქონია. მეორე დილას კიტი მონასტერში წავიდა. გოგონამ, რომელმაც კარი გაუღო, მის დანახვაზე გაკვირვება ვერ დამალა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მის სამუშაო ოთახში წინამძღვარი შევიდა და ხელი მოჰკიდა. - მოხარული ვარ, რომ გხედავთ, შვილო ჩემო. დიდი მწუხარების შემდეგ ასეთი საქციელი თქვენს გასაოცარ სიმამაცეზე მეტყველებს. დარწმუნებული ვარ, საქმე მძიმე ფიქრებისგან გაგათავისუფლებთ. კიტი ოდნავ წამოწითლდა და თვალები დახარა; არ უნდოდა წინამძღვარს მის გულში ჩაეხედა. - ყველანი მთელი გულით თანაგიგრძნობთ. - ძალიან კეთილი ხართ, - წაიჩურჩულა კიტიმ. - ყველანი განუწყვეტლივ თქვენთვის და მისი სულისთვის ვლოცულობთ, ვინც თქვენ დაკარგეთ. კიტიმ არაფერი უპასუხა. წინამძღვარმა ხელი გაუშვა და როგორც ყოველთვის, მშვიდი, მტკიცე ტონით რაღაც დავალება მისცა. ორ-სამ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა. თბილი, მაგრამ არაამქვეყნიური ღიმილით გაუღიმა და სწრაფად გავიდა. მას უფრო მეტად საჩქარო საქმეები უხმობდა. ასე გავიდა ერთი კვირა. კიტი რაღაცას კერავდა. ოთახში წინამძღვარი შემოვიდა და მის გვერდით ჩამოჯდა. დაკვირვებით შეხედა მის ხელსაქმეს. - ძალიან კარგად კერავთ, ჩემო ძვირფასო. დღეს ეს თქვენი წრის ახალგაზრდა ქალისთვის იშვიათი ღირსებაა. - ამას დედას უნდა ვუმადლოდე. - დარწმუნებული ვარ, დედათქვენს ძალიან გაუხარდება თქვენი ნახვა. კიტიმ ახედა. წინამძღვრის ქცევაში იყო რაღაც, რაც გაფიქრებინებდა, რომ მისი ნათქვამი უბრალო ზრდილობად არ უნდა მიგეღო. მან განაგრძო: - თქვენი ძვირფასი მეუღლის სიკვდილის შემდეგ აქ მოსვლის ნება იმიტომ დაგრთეთ, რომ ვიფიქრე, სამუშაოს გულს გადააყოლებდით. ვერც ჰონკონგისკენ ხანგრძლივ მგზავრობას შეძლებდით. არც ის მინდოდა, შინ მარტო მჯდარიყავით, უსაქმოდ და მხოლოდ თქვენს დაკარგულ ქმარზე გეფიქრათ. მაგრამ უკვე რვა დღე გავიდა. დროა, აქედან გაემგზავროთ. - არ მინდა წასვლა, დედაო, აქ მინდა დარჩენა. - აქ რატომ უნდა დარჩეთ? აქ ხომ იმიტომ ჩამოხვედით, რომ თქვენს მეუღლესთან ერთად ყოფილიყავით. თქვენი მეუღლე გარდაიცვალა. თქვენ კი, სულ მალე მოვლა და ყურადღება დაგჭირდებათ, რასაც აქ ვერავინ შეძლებს. თქვენი ვალია, შვილო ჩემო, ყველაფერი გააკეთოთ იმ არსების საკეთილდღეოდ, რომლის

მოვლა-პატრონობაც ღმერთმა მოგანდოთ. კიტი ერთხანს ჩუმად იყო. თვალები დაეხარა. - მე კი, მეგონა, რომ აქ ვიღაცას ვჭირდებოდი. ძალიან მსიამოვნებდა ამაზე ფიქრი; ვიმედოვნებდი, რომ ეპიდემიის ჩაცხრობამდე მუშაობის ნებას დამრთავდით. - ყველანი მადლიერნი ვართ იმისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ, - მიუგო წინამძღვარმა ნაზი ღიმილით, - მაგრამ ახლა, როცა ეპიდემიამ იკლო, აქ ჩამოსვლა ისეთი სახიფათო აღარ არის. ორ დას ველოდები კანტონიდან. ძალიან მალე აქ იქნებიან. რომ ჩამოვლენ, არა მგონია, თქვენი სამსახური კიდევ დაგვჭირდეს. კიტის გული ჩასწყდა. წინამძღვარს ისეთი კილო ჰქონდა, შეპასუხება უაზრობა იყო. კიტი მას კარგად იცნობდა და იცოდა, რომ მუდარა მასთან არ გაჭრიდა. წინამძღვარმა შეამჩნია, რომ კიტის წასვლა არ უნდოდა და გაღიზიანებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მბრძანებლური ტონით დაიწყო: - მისტერ უედინგტონი კარგად მოიქცა, რჩევა რომ მკითხა. - სჯობდა, თავისი საქმისთვის მიეხედა, - გააწყვეტინა კიტიმ. - რომც არ ეკითხა, თავს მოვალედ ჩავთვლიდი თვითონ მერჩია, - უთხრა წინამძღვარმა მშვიდად. - ახლა თქვენი ადგილი აქ არ არის, დედასთან უნდა იყოთ. მისტერ უედინგტონი მოელაპარაკა პოლკოვნიკ იუს, რომ კარგი დაცვა გაგაყოლონ. ასე რომ, გზაში უსაფრთხოდ იქნებით. მან უკვე დაიქირავა მებარგულები და ყულები. მოსამსახურეც თან გამოგყვებათ. ის მოაგვარებს სასტუმროს საქმეს. ერთი სიტყვით, კომფორტი გარანტირებული გაქვთ. კიტიმ ენას კბილი დააჭირა. გულში კი გაიფიქრა, მომლაპარაკებოდნენ მაინც, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მე მეხებოდაო. თავს ძალა დაატანა, რომ უხეშად არ ეპასუხა: - როდის უნდა წავიდე? წინამძღვარს წარბიც არ შეუხრია, კვლავ მშვიდად ლაპარაკობდა. - რაც უფრო მალე ჩახვალთ ჰონკონგში, მით უკეთესი. იქიდან გემით ინგლისისკენ გაემგზავრებით, შვილო ჩემო. ვიფიქრეთ, სჯობს, რომ ზეგ გამთენიისას გაემგზავროთ. - ასე მალე? კიტი ლამის ატირდა. მაგრამ ისინი მართლები იყვნენ. აქ მართლაც არ იყო მისი ადგილი. - როგორც ჩანს, ყველა ჩქარობთ, რომ რაც შეიძლება მალე მომიშოროთ თავიდან. - თქვა ნაღვლიანად. კიტიმ

იგრძნო, რომ წინამძღვარი, რომელმაც რაკიღა დაინახა, რომ ის უკვე თანახმა იყო, მოლბა და გაუცნობიერებლად გადავიდა შემწყნარებლურ ტონზე. კიტის კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა და თვალები აუციმციმდა იმის გაფიქრებაზე, რომ წმინდანებსაც უყვართ თავისი აზრის გატანა. - არ იფიქროთ, შვილო ჩემო, თქვენს გულკეთილობასა და იმ ქველმოქმედებას არ ვაფასებდე, რის გამოც არ გსურთ უარი თქვათ იმ მოვალეობებზე, თავად რომ იკისრეთ. კიტი თვალგაშტერებული იყურებოდა. მხრები ოდნავ აიჩეჩა. იცოდა, რომ ასეთ დიდ ღირსებებს ვერ მიიწერდა. აქ დარჩენა მხოლოდ იმიტომ უნდოდა, რომ წასასვლელი არსად ჰქონდა. ეს რაღაც უცნაური გრძნობაა, როცა მთელ ქვეყანაზე არავის ადარდებს შენი არსებობა. - არ მესმის, რატომ არ გინდათ შინ დაბრუნება, - ალერსით განაგრძო წინამძღვარმა. - აქ ბევრი უცხოელი ყველაფერს დათმობდა, ოღონდაც ეს შესაძლებლობა მისცემოდა. - მათ რიცხვში თქვენ არ ხართ, დედაო? - ოჰ, ჩვენი საქმე სხვაგვარადაა, შვილო ჩემო. აქ ჩამოსვლამდე ვიცოდით, რომ სამშობლოს სამუდამოდ ვეთხოვებოდით. იმის გამო, რომ საშინლად გულნატკენი და სევდიანი იყო, კიტის სურვილი გაუჩნდა, მოენახა სუსტი წერტილი იმ რწმენაში, რომელიც მონაზვნებს საიმედოდ იცავდა ყველა ბუნებრივი, ადამიანური გრძნობისგან. უნდოდა გაეგო, დედა წინამძღვარს შემორჩა თუ არა რაიმე ადამიანური სისუსტე? - ხანდახან, ალბათ, გიმძიმთ იმის გაფიქრება, რომ ვეღარასოდეს ნახავთ თქვენთვის ძვირფას ადამიანებს და იმ ადგილებს, სადაც ბავშვობა გაატარეთ. წინამძღვარმა მაშინვე არ უპასუხა. კიტი აკვირდებოდა, მაგრამ მის მშვენიერ, მკაცრ სახეზე ვერავითარი ცვლილება ვერ შეამჩნია. - ძალიან მძიმეა დედაჩემისთვის. ის უკვე მოხუცია, ჩემს მეტი ქალიშვილი არ ჰყავს. ალბათ, ძალიან უნდა, რომ სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ მნახოს. ნეტავ შემეძლოს მისთვის ამ სიხარულის მინიჭება. მაგრამ ეს შეუძლებელია. უნდა ველოდოთ, სანამ სამოთხეში შევხვდებით ერთმანეთს. - და მაინც, როცა ძვირფას ადამიანებზე ფიქრობ, ალბათ, ძნელია არ ჰკითხო საკუთარ თავს, სწორად მოიქეცი თუ არა,

ყოველგვარი კავშირი რომ გაწყვიტე მათთან. - გინდათ იცოდეთ, ოდესმე მინანია თუ არა ჩემი საქციელი? - წინამძღვარს უეცრად სახე გაუნათდა. - არასოდეს! არც ერთი წუთით! უღიმღამო და უსარგებლო ცხოვრება მსხვერპლად გავიღე და ლოცვაზე გავცვალე. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. წინამძღვარმა გაიღიმა და ალერსით უთხრა: - მინდა, გთხოვოთ, პატარა ამანათი წაიღოთ და მარსელში რომ ჩახვალთ, გააგზავნოთ. არ მინდა ჩინეთის ფოსტას ვანდო. ახლავე მოვიტან. - ხვალაც შეგიძლიათ მომცეთ, - უთხრა კიტიმ. - ხვალ ბევრი საქმე გექნებათ, შვილო ჩემო, აქ მოსასვლელად არ გეცლებათ. თქვენთვის უმჯობესი იქნება, თუ ამაღამვე დაგვემშვიდობებით. წინამძღვარი წამოდგა და ბუნებრივი ელეგანტურობით, რომელსაც მისი სამოსის მძიმე ნაკეცებიც ვერ ფარავდა, ოთახიდან გავიდა. იმავე წუთს სენ-ჟოზეფი კიტისთან დასამშვიდობებლად მოვიდა. იმედოვნებდა, რომ მას სასიამოვნო მოგზაურობა ელოდა, უსაფრთხო, რადგან პოლკოვნიკი იუ გამოცდილ დაცვას ატანდა; დებიც მუდამ მარტო მოგზაურობდნენ ამ გზით და ჯერ არაფერი დაშავებიათ. მაგრამ უყვარს კიტის ზღვა? გაიხსენა, როგორ ცუდად გახდა, როცა ინდოეთის ოკეანეში ქარიშხალი ამოვარდა; როგორ გაუხარდება დედამისს ქალიშვილის ნახვა; კიტი თავს უნდა გაუფრთხილდეს; ახლა ხომ პატარასაც უნდა მოუაროს, ისინი კი ყველანი მისთვის ილოცებენ; თვითონ გამუდმებით ილოცებს კიტის, საყვარელი პატარა ბავშვისა და საწყალი მამაცი ექიმისთვის. და სენ-ჟოზეფი ენას არ აჩერებდა. კეთილი და თბილი იყო, მაგრამ კიტი ნათლად გრძნობდა, რომ და სენ-ჟოზეფისთვის (მარადისობისკენ რომ ჰქონდა მიპყრობილი დაჟინებული მზერა) ის მხოლოდ სული იყო სხეულის ან მატერიის გარეშე. საოცრად მოუნდა ამ სქელი გულკეთილი მონაზვნისთვის მხრებში ეტაცა ხელი, შეენჯღრია და ეყვირა: „ნუთუ, არ გესმით, რომ მე ადამიანი ვარ, უბედური, მიუსაფარი ადამიანი და დამშვიდება, თანაგრძნობა, გამხნევება მჭირდება? ნუთუ, არ შეგიძლიათ ერთი წუთით დაივიწყოთ ღმერთი და ნუგეში მცეთ; მე არ მჭირდება ქრისტიანული თანაგრძნობა, ყველა ტანჯულისთვის რომ გაქვთ

გამზადებული; მე ადამიანური ნუგეში მჭირდება“. ამის გაფიქრებაზე კიტის გაეღიმა. როგორ გაუკვირდება და სენ-ჟოზეფს, მისი აზრების წაკითხვა რომ შეეძლოს?! უკვე მტკიცედ ირწმუნებს იმას, რაშიც აქამდე მხოლოდ ეჭვი ეპარებოდა - ყველა ინგლისელი შერეკილია! - საბედნიეროდ, ზღვას კარგად ვიტან, - მიუგო კიტიმ. - ზღვის ავადმყოფობა არასდროს მქონია. წინამძღვარი დაბრუნდა. ხელში პატარა ამანათი ეჭირა. - აქ ცხვირსახოცებია, დედაჩემს თავის სახელობის დღისთვის მინდა ვაჩუქო. - თქვა მან, - მონოგრამები ჩვენმა გოგოებმა ამოქარგეს. სენ-ჟოზეფმა მოინდომა კიტისთვის ეჩვენებინა მათი მშვენიერი ნახელავი. წინამძღვარმა მოწყალე, თუმცა გამკიცხავი ღიმილით გახსნა ამანათი, ცხვირსახოცები მართლაც ძალიან ლამაზი ბატისტისგან იყო შეკერილი, მონოგრამების თავზე კი მარწყვის ფოთლები ამოექარგათ. მას შემდეგ, რაც კიტიმ აღტაცება გამოხატა ნახელავით, ცხვირსახოცები ისევ შეახვიეს და ამანათი გადასცეს. სენ-ჟოზეფმა რამდენჯერმე გაიმეორა გამომშვიდობების ზოგადი, ზრდილობიანი სიტყვები. „Eh, bien, Madame, je vous quitte!“1 - თქვა ბოლოს და წავიდა. კიტი მიხვდა, რომ დრო იყო, წინამძღვარსაც დამშვიდობებოდა. მადლობა გადაუხადა სიკეთისთვის. ისინი ერთად გაუყვნენ ცარიელ, შეთეთრებულ დერეფნებს. - შეძლებთ, მარსელიდან დაზღვეული ამანათი რომ გამიგზავნოთ? - ჰკითხა წინამძღვარმა. - რა თქმა უნდა, - მიუგო კიტიმ. მან მისამართს დახედა. მასზე დიდებული გვარი ეწერა, მაგრამ მისი ყურადღება ადგილმა მიიპყრო. - ეს ხომ ერთ-ერთი ის ციხესიმაგრეა, მე რომ ვნახე, როცა მეგობრებთან ერთად საფრანგეთში მანქანით ვმოგზაურობდი. - ადვილი შესაძლებელია, - მიუგო წინამძღვარმა. - კვირაში ორ დღეს უცხოელებს მისი დათვალიერების უფლება აქვთ. - ოდესმე ასეთ მშვენიერ ადგილას რომ მეცხოვრა, მის დატოვებას, ალბათ, ვერაფრით შევძლებდი. - ის, რასაკვირველია არქიტექტურის ისტორიული ძეგლია. მაგრამ იქ ცხოვრება მოუხერხებელია. საერთოდ, თუ რაიმეზე გული მწყდება, მაგ სასახლეზე არა, ის პატარა სახლი მენატრება პირეენებში, სადაც ბავშვობა გავატარე. ზღვის

ხმაურში დავიბადე. ვერ დავმალავ, რომ ზოგჯერ კლდეებზე მოხეთქებული ტალღების ხმა ძალიან მენატრება. კიტიმ გაიფიქრა, წინამძღვარი ჩემი შეკითხვების მიზანს მიხვდა და ეშმაკურად დამცინოსო. ისინი მონასტრის პატარა, უბრალო კართან მივიდნენ. მისდა გასაოცრად, წინამძღვარმა კიტის ხელები მოჰხვია და გადაკოცნა. ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, მერე - მეორეზე. მისი უფერული ტუჩების შეხება ისეთი მოულოდნელი იყო, რომ კიტი გაწითლდა და კინაღამ ატირდა. - მშვიდობით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, შვილო ჩემო, - და წუთით კიტი გულზე მიიხუტა. - გახსოვდეთ, დაკისრებული მოვალეობის შესრულება იგივეა, რაც ჭუჭყიანი ხელების დაბანა. ერთადერთი, რასაც რაიმე მნიშვნელობა აქვს, დაკისრებული მოვალეობის სიყვარულია; ხოლო, როცა სიყვარული და მოვალეობა გაერთიანდება, მაშინ გადმოვა სიკეთე თქვენზე და ენითაუწერელ სიხარულს იგრძნობთ. კიტის უკან უკანასკნელად მიიხურა მონასტრის კარი. უედინგტონი კიტისთან ერთად ავიდა გორაკზე და უოლტერის საფლავთან წუთით შეჩერდნენ. მემორიალურ თაღთან უედინგტონი კიტის დაემშვიდობა. კიტიმ უკანასკნელად შეხედა თაღს, იგრძნო, რომ შეეძლო მისი იდუმალი ირონიისთვის ირონიითვე ეპასუხა. ის ტახტრევანში ჩაჯდა. დღეები ერთმანეთს მისდევდა. მის ფიქრებს ფონად გასდევდა გზისპირა ლანდშაფტი, რომელსაც თითქოს სტერეოსკოპში გაორებულს ხედავდა. ყველაფერი დამატებით მნიშველობას იძენდა, რადგან ირგვლივ ნანახს სულ რამდენიმე კვირის წინ აქეთობისას განცდილი მოგონებები ავსებდა. ბარგით დატვირთული ყულები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ, ორი თუ სამი ერთად მიაბიჯებდა, ასი იარდის მოშორებით ერთი მარტო მილასლასებდა, მას კიდევ რამდენიმე მოჰყვებოდა; დაცვის ჯარისკაცები არეული ნაბიჯით მიჩანჩალებდნენ და დღეში რაღაც ხუთ თუ ექვს მილს გადიოდნენ; ორ მებარგულს კიტის მოსამსახურე ქალი მიჰყავდა. კიტის კი ოთხი შესდგომოდა, არა იმიტომ, რომ უფრო მძიმე იყო, არამედ პატივისცემის ნიშნად. ზოგჯერ გზაზე მძიმე ტვირთაკიდებული ყულები მწკრივებად მიჩანჩალებდნენ,

ხანდახან პორტშეზზე1 წამომჯდარ ჩინელ მოხელეს გადაეყრებოდნენ, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა თეთრ ქალს. ხან ბაზარში მიმავალი გახუნებულ ლურჯტანსაცმლიანი და უზარმაზარქუდიანი გლეხები ხვდებოდათ. ზოგჯერ მოხუცი ან ახალგაზრდა ქალიც შემოეყრებოდათ, ფეხებდაბორკილივით რომ მიბარბაცებდა გზაზე; გადადიოდნენ ბრინჯის კვადრატულ ყანებით დაფარულ პატარა გორაკებზე; ბამბუკის ჭალებში მყუდროდ შეყუჟულიყო ფერმერთა მყარი სახლები; შედიოდნენ გაპარტახებულ სოფლებსა და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში, რომელთაც კედელი ისე ჰქონდათ შემოვლებული, როგორც ეს ძველი კურთხევანის ფრესკებზეა. სასიამოვნო იყო ადრეული შემოდგომის მზეც. თუკი გარიჟრაჟზე, როცა მშვენიერ მინდვრებს ზღაპრული ელფერი დაჰკრავდა, ცივი იყო, მოგვიანებით ძალზე სასიამოვნოდ აცხუნებდა. კიტი ხარბად ისრუტავდა ამ ნეტარებისმომგვრელ სითბოს. ნათელი სურათები თავისი ფაქიზი ფერებით, მოულოდნელი თავისთავადობითა და უჩვეულობით გობელენს ჰგავდა, რომლის ფონზეც, კიტის წარმოსახვითი, იდუმალებით მოცული, ბუნდოვანი აჩრდილები დაფარფატებდნენ. ისინი სრულიად არარეალურნი ჩანდნენ. მეი-ტან-ფუ თავისი ქონგურებიანი კედლებით სცენაზე ძველი პიესის ქალაქის წარმოსადგენად გაჭიმულ ნახატს ჰგავდა. მონაზვნები, უედინგტონი და მანჯურიელი ქალი ნიღბიანი ზღაპრული გმირები იყვნენ, სხვები კი, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მოსიარულე ხალხი და ისინი, რომლებიც დაიხოცნენ - უსახელო გმირები. რა თქმა უნდა, მათ ყველას ჰქონდა რაღაც მნიშვნელობა, მაგრამ რა? ისინი თითქოს საგულდაგულოდ დამუშავებულსა და ძველებურ რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ. იცოდით, რომ ამ რთულ როკვას რაღაც აზრი ჰქონდა, რომლის გაგებაც მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის, მაგრამ გასაღებს ვერა და ვერ უძებნიდით. კიტის დაუჯერებლად ეჩვენებოდა (მოკირწყლულ გზაზე ლურჯებში ჩაცმული მოხუცი ქალი მზის სინათლეზე ლაჟვარდს ჰგავდა, წვრილ-წვრილი ნაოჭებით დაღარული სახე ძველთაძველი სპილოს ძვლის ნიღაბს მიუგავდა და გრძელ შავ ჯოხზე დაყრდნობილი

პატარა ფეხებს მიაბაკუნებდა), რომ ის და უოლტერი ამ უჩვეულო, გაუგებარ ცეკვაში მონაწილეობდნენ და მნიშვნელოვანი როლიც შეასრულეს. უფრო მოსალოდნელი იყო, კიტი მომკვდარიყო, მაგრამ უოლტერი მოკვდა. განა, ეს დაცინვა არ იყო? ან იქნებ, ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო, რომლისგანაც შვებით გამოიღვიძებ და თითქოს ყველაფერი დიდი ხნის წინ მოხდა სადღაც, შორეულ მხარეში. თითქოს ამ პიესის გმირები რეალური ცხოვრების მზიან ფონზე აჩრდილებივით ირეოდნენ. დრო და დრო კიტის ეჩვენებოდა, რომ ამ ყველაფერს წიგნში კითხულობდა და უკვირდა, რომ გმირების ბედი ნაკლებად აინტერესებდა. ასე ნაცნობი უედინგტონის სახესაც კი მკაფიოდ ვეღარ იხსენებდა... იმ საღამოს დასავლეთის მდინარეზე მდებარე ქალაქში ჩავიდოდნენ, სადაც თბომავალში ჩაჯდება. იქიდან ჰონკონგამდე ერთი ღამის სავალიღა რჩებოდა. თავიდან ძალიან რცხვენოდა კიტის, უოლტერის სიკვდილის დროს რომ არ იტირა. პოლკოვნიკ იუსაც კი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. კიტი ქმრის სიკვდილმა გააოგნა. ვერ დაეჯერებინა, რომ ის აღარასოდეს შემოვიდოდა სახლში, ვეღარასოდეს გაიგონებდა, როგორ ბანაობდა დილაობით ჩინური ხის აბაზანაში. ცოცხალი იყო - ახლა კი მკვდარია. დებს აოცებდათ კიტის ქრისტიანული მორჩილება, მოსწონდათ, რომ მამაცურად გადაიტანა დანაკარგი. მაგრამ უედინგტონი გამჭრიახი კაცი იყო. მისი თანაგრძნობის მიუხედავად, კიტი გრძნობდა, რომ ის მთლად გულწრფელი არ იყო. რა თქმა უნდა, უოლტერის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა კიტიზე, სულაც არ უნდოდა მისი სიკვდილი, მაგრამ მას ხომ არ უყვარდა უოლტერი, არც არასოდეს ჰყვარებია. წესი მოითხოვდა, თავი მგლოვიარედ მოეჩვენებინა, ამასთან ულამაზო, ვულგარულიც კი იქნებოდა, ვინმესთვის მის გულში ჩახედვის ნება მიეცა. მაგრამ კიტიმ იმდენი რამ გადაიტანა, საკუთარ თავს ვერ მოატყუებდა. ამ რამდენიმე კვირაში შესანიშნავად გააცნობიარა, რომ შეიძლება, ზოგჯერ სხვისი მოტყუება გიწევს, მაგრამ საკუთარი თავის მოტყუება საძაგლობაა. წუხდა უოლტერის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, მაგრამ ეს იყო წმინდა ადამიანური გრძნობა, რასაც

ჩვეულებრივი ნაცნობის მიმართაც განიცდიდა. აღიარებდა, რომ უოლტერს შესანიშნავი თვისებები ჰქონდა, უბრალოდ, კიტის არ მოსწონდა. თავს აბეზრებდა. ვერ დასწამებდი, რომ უოლტერის სიკვდილმა შვება აგრძნობინა. სრულიად გულწრფელად, მისი გაცოცხლება რომ შეძლებოდა, აუცილებლად გააცოცხლებდა; თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ მისმა სიკვდილმა ცხოვრება გაუადვილა. ისინი ერთად ვერასოდეს იგრძნობდნენ თავს ბედნიერად, განქორწინებაც საოცრად გაუძნელდებოდათ. ასეთი აზრები აშინებდა - ეს რომ გაიგონ, ხალხი გულქვად და ბოროტად ჩამთვლისო. მაგრამ ისინი ამას ვერ გაიგებდნენ. შესაძლოა, ყველა ადამიანს აქვს სამარცხვინო საიდუმლო, რასაც სხვების ცნობისმოყვარე მზერას უმალავს! მომავალზე ძალიან ცოტას ფიქრობდა. არანაირი გეგმა არ ჰქონდა. ერთადერთი, რაც იცოდა, ის იყო, რომ ჰონკონგში რაც შეიძლება, ცოტა ხანს უნდა დარჩენილიყო. იქ ჩასვლა აშინებდა. ნატრობდა, როტანგის ტახტრევნით დაუსრულებლად ევლო ამ მხიარულ და კეთილგანწყობილ მხარეში, გულგრილად ემზირა ცხოვრების ფანტასმაგორიისთვის და ყოველი ღამე სხვადასხვა ჭერქვეშ გაეტარებინა; მაგრამ ვალდებული იყო ახლო მომავალზე მაინც ეფიქრა. ჰონკონგში ჩასვლისას სასტუმროში დაბინავდებოდა, სახლის საქმეს მოაგვარებდა. ავეჯს გაყიდდა. ტაუნსენდს, ცხადია, არ ნახავდა, არც იყო საჭირო. ჩარლზი იმდენ კეთილშობილებას კი გამოიჩენდა, რომ თვალში არ გაეჩხირებოდა. თუმცა, უნდოდა ერთხელ მაინც ენახა და ეთქვა, რამდენად მდაბალი შეხედულების იყო მასზე. მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა ჰქონდა? როგორც არფის დიდებული ჰანგები, მხიარულ არპეჯიოებად რომ ფარავს ორკესტრის რთულ მელოდიას, ისე ძალუმად ჟღერდა კიტის გულში ერთი აზრი, რომელიც ეგზოტიკურ სილამაზეს ანიჭებდა ფერმერთა მიწებს და რომელმაც მის ფერმკრთალ ტუჩებსაც კი სუსტი ღიმილი მოჰგვარა, როცა ბაზრისკენ მიმავალმა თავხედურად მომზირალმა პირტიტველმა ბიჭმა ჩაუარა. ამ აზრმა მიანიჭა ხმაურიანი ცხოვრების მაგიურობა იმ ქალაქებს, კიტიმ რომ გაიარა. დაავადებული ქალაქი მისთვის ციხე იყო, რომელსაც

თავი დააღწია. ადრე ვერ ამჩნევდა ცის სილაჟვარდეს, ვერც მოკირწყლულ გზაზე მომხიბლავად გადმოხრილ ბამბუკებს. თავისუფლება! აი, რა ჟღერდა კიტის გულში. თუმცა მომავალი ბუნდოვნად ესახებოდა, იგი მაინც მდინარეზე ჩამოწოლილ ნისლს ჰგავდა, რომელსაც დილის მზის სხივები ცისარტყელას ფერებად ააელვარებს. თავისუფლება! ეს არ იყო მხოლოდ სულისშემხუთველი ბორკილებისა და დამთრგუნველი ურთიერთობისგან გათავისუფლება; არც მხოლოდ სიკვდილისგან გაქცევა, აშკარად რომ ემუქრებოდა... ეს იყო დამამცირებელი სიყვარულისგან გათავისუფლება! ეს იყო ყველა სულიერი ბორკილისგან გათავისუფლება! ეს იყო სხეულისგან გათავისუფლებული სულის თავისუფლება! თავისუფლებასთან ერთად, სიმხნევეც დაუბრუნდა - მზადყოფნა, რომ მედგრად შეხვდებოდა ყველაფერს, რასაც ცხოვრება უმზადებდა. როდესაც გემმა ღუზა ჰონკონგის ნავსადგურში ჩაუშვა, კიტი, რომელიც აქამდე გემბანზე იდგა და მდინარის მხიარულ და ცოცხალ დინებას გასცქეროდა, თავის კაიუტაში დაბრუნდა, რათა ენახა, მოსამსახურეს რამე ხომ არ დარჩენოდა. სარკეში ჩაიხედა. შავი კაბა ეცვა (მონაზვნებმა შეუღებეს), მაგრამ არა სამგლოვიარო. თავში გაუელვა, რომ, პირველ ყოვლისა, უნდა ეზრუნა ძაძებზე, რომელიც უფრო ლამაზად შენიღბავდა მის მოულოდნელ განცდებს. კაიუტის კარზე კაკუნი გაისმა. მსახურმა კარი გააღო. - მისის ფეინ! კიტი მიბრუნდა. პირველად ვერ იცნო სტუმარი. შემდეგ კი კინაღამ გული შეუქანდა. წამოწითლდა. ეს დოროთი ტაუნსენდი იყო. კიტისთვის იმდენად მოულოდნელი იყო მისი ვიზიტი, რომ არ იცოდა, რა ეთქვა ან რა გაეკეთებინა. მისის ტაუნსენდი უკვე კაიუტაში შევიდა და კიტის ხელები მოჰხვია. - ოჰ, ძვირფასო, ძვირფასო, ძალიან ვწუხვარ... კიტიმ კოცნის ნება დართო. მისგან ასეთი თავშეუკავებლობა გაუკვირდა. ეს ქალი ხომ ყოველთვის ცივი და თავდაჭერილი ეგონა. - გმადლობთ თანაგრძნობისთვის, - წაილუღლუღა. - გემბანზე გავიდეთ. თქვენს ნივთებს მსახური მიხედავს, ჩემი მსახურებიც აქ არიან. და კიტის ხელი მოჰკიდა. დოროთი ტაუნსენდს კეთილ, ქარდაკრულ

სახეზე გულწრფელი თანაგრძნობა აღბეჭდოდა. - გემი ადრე ჩამოვიდა. კინაღამ დავაგვიანე, - თქვა მისის ტაუნსენდმა. - რომ არ მენახეთ, გული დამწყდებოდა. - ჩემს დასახვედრად მოხვედით? - წამოიძახა კიტიმ. - რა თქმა უნდა. - საიდან იცოდით, რომ ჩამოვდიოდი? - მისტერ უედინგტონმა დეპეშა გამომიგზავნა. კიტი მიბრუნდა. თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირა. სასაცილო იყო, რომ ამ მოულოდნელმა სიკეთემ ასე ააღელვა. ცრემლს ძლივს იკავებდა. ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა დოროთი ტაუნსენდი, რომელმაც ნაზად მოუჭირა ხელი კიტის უღონოდ ჩამოშვებულ მკლავს. ამ თავშეკავებულ ქალს გრძნობების გამომჟღავნების არ რცხვენოდა, რამაც კიტი დააბნია. - ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. მე და ჩარლზს გვსურს, რომ ჰონკონგში ყოფნის პერიოდში ჩვენთან დარჩეთ. კიტიმ ხელი გამოსტაცა. - მეტისმეტი სიკეთეა თქვენი მხრიდან, მაგრამ არ შემიძლია. - უნდა შეძლოთ. მარტო ხომ ვერ იცხოვრებთ თქვენს სახლში. ეს საშინელება იქნება თქვენთვის. უკვე ყველაფერი მოვამზადე. საკუთარი ოთახი გექნებათ. შეგიძლიათ, იქ მიირთვათ საჭმელი, თუ ჩვენთან ერთად არ გინდათ. ორივეს ძალიან გვინდა ჩვენთან წამოხვიდეთ. - სახლში წასვლას არც ვაპირებდი, სასტუმრო „ჰონკონგში“ გავჩერდებოდი. ასე ნამდვილად ვერ შეგაწუხებთ. შემოთავაზებულმა წინადადებამ განაცვიფრა, დააბნია და გააღიზიანა კიტი. თუ ჩარლზს ოდნავი გაგება მაინც შერჩა, ცოლისთვის კიტის მიპატიჟების უფლება არ უნდა მიეცა. არანაირი სურვილი არ ჰქონდა, რომ რომელიმე მათგანისგან დავალებული ყოფილიყო. - ოჰ, დაივიწყეთ სასტუმროზე ფიქრი. ძალიან მეწყინება, სასტუმროში რომ იცხოვროთ. იქ ვერ გაძლებთ. უამრავი ხალხია. ორკესტრიც გამუდმებით უკრავს ჯაზს. გპირდებით, რომ მე და ჩარლზი არ შეგაწუხებთ. - არ ვიცი, თქვენი ასეთი კეთილგანწყობა რით დავიმსახურე, - კიტის არგუმენტები აღარ ჰქონდა. ვერც გადაჭრით ეუბნებოდა „არას“. - ვშიშობ, რომ ახლა უცხოებისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო სტუმარი ვერ ვიქნები. - ნუთუ, ჩვენ უცხოები ვართ თქვენთვის? ოჰ, მე კი მინდა, რომ ასე არ იყოს. მინდა, ვიმეგობროთ, -

დოროთიმ ხელები მომუჭა და მის არისტოკრატიულ, ცივ, ჟღერად ხმას ცრემლი გაერია. - ძალიან გთხოვთ, წამოხვიდეთ. მინდა, რომ შეცდომა გამოვასწორო. კიტი ვერ მიხვდა, შეცდომის გამოსწორებაში დოროთი რას გულისხმობდა. - სამწუხაროდ, თავიდან მაინცდამაინც არ მომწონდით. ქარაფშუტა მეგონეთ. როგორც ხედავთ, ძველი ყაიდის ქალი ვარ და, ვფიქრობ, აუტანელიც. კიტიმ ალმაცერად შეხედა. დოროთი, ალბათ, იმას გულისხმობდა, რომ კიტის ვულგარულ ქალად თვლიდა. გულში გაეცინა, თუმცა არ შეიმჩნია. რაში ენაღვლება ახლა, ვინ რას ფიქრობს მასზე! - როცა გავიგე, რომ ქმარს უყოყმანოდ გაჰყევით სიკვდილის ხახაში, თავი თავხედად და დამცირებულად ვიგრძენი. თქვენ ისე შესანიშნავად და მამაცურად მოიქეცით, რომ ყველანი არაფრისმაქნისებად და უბადრუკებად გამოვჩნდით, - მისის ტაუნსენდს კეთილ, სანდომიან სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა. - თქვენდამი აღფრთოვანებასა და პატივისცემას სათანადოდ ვერ გამოვხატავ. ვიცი, ვერაფრით აგინაზღაურებთ საშინელ დანაკარგს, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ გულწრფელად თანაგიგრძნობთ. თუ ნებას დამრთავთ, რამით მაინც დაგეხმაროთ, ეს დიდი პატივი იქნება ჩემთვის. ნუ განმიკითხავთ, თუ თქვენზე მცდარი აზრის ვიყავი. თქვენ გმირი ხართ, მე კი, მხოლოდ ერთი სულელი ქალი. გაფითრებული კიტი გემბანს გაჰყურებდა. ნეტავ, დოროთის ასე თავშეუკავებლად არ გამოევლინა გრძნობები. მართალია, მისმა სიტყვებმა ააღელვა, მაგრამ ოდნავ გააღიზიანა კიდეც, რომ ეს ქალი ასეთი გულუბრყვილო აღმოჩნდა და ამ ტყუილების სჯეროდა. - თუ ჩემი შეკედლება ასე გსურთ, რასაკვირველია, სიამოვნებით წამოვალ, - ამოიოხრა მან. ტაუნსენდები გორაკზე ცხოვრობდნენ. მათი სახლიდან ფართოდ გადაშლილი ზღვა მოჩანდა. ჩარლზი, ჩვეულებრივ, საუზმეზე შინ არ მოდიოდა. მაგრამ პირველ დღეს დოროთიმ კიტის (ახლა ისინი უკვე სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს) უთხრა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ჩარლზი გინახულებთო. კიტიმ იცოდა, რომ მისი ნახვა მაინც მოუწევდა და სულ ერთი იყო, დღეს ნახავდა თუ ხვალ. ავისმომასწავებელი მხიარულებით ელოდა, რა ცუდ დღეში

ჩააგდებდა.ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი მიწვევა დოროთიმ მოიფიქრა და ჩარლზმაც მაშინვე მოუწონა განზრახვა; კიტიმ ისიც იცოდა, რომ ჩარლზი ყოველთვის ითვალისწინებდა ელიტის აზრს და კიტის მიმართ სტუმართმოყვარეობის გამოჩენა დიახაც, რომ აამაღლებდა მათ თვალში. მაგრამ ჩარლზი მათ უკანასკნელ საუბარს სასიამოვნოდ ნამდვილად ვერ გაიხსენებდა: ისეთ პატივმოყვარე ადამიანს, როგორიც ტაუნსენდი იყო, ეს მოუშუშებელ ჭრილობად დარჩებოდა. კიტი იმედოვნებდა, რომ მან ჩარლზი ისევე დაამცირა, როგორც მან ის. ჩარლის ახლა უნდა სძულდეს კიტი. უხაროდა, თვითონ რომ არ სძულდა, უბრალოდ, ვერ იტანდა. ღვარძლიან კმაყოფილებას ჰგვრიდა იმაზე ფიქრი, რომ ჩარლზი ვალდებული იყო საკადრისი პატივი მიეგო მისთვის, მიუხედავად თავისი გრძნობებისა. როცა კიტი იმ დღეს მისი სამსახურიდან წამოვიდა, ჩარლზი, ალბათ, ოცნებობდა, რომ ის აღარასოდეს ენახა. ასე იყო თუ ისე, დოროთისთან ერთად კიტი ახლა მის მობრძანებას ელოდა. მდიდრულად მოწყობილი სასტუმრო ოთახის სავარძელში მჯდარი კიტი კმაყოფილებას განიცდიდა. ოთახს ლამაზი ყვავილები ამშვენებდა; კედლებზეც სასიამოვნო სურათები ეკიდა; ფარდებჩამოშვებულ ოთახში სიგრილე და სიმყუდროვე სუფევდა. უცებ, მისიონერის შიშველი, ცარიელი სასტუმრო ოთახი გაახსენდა და გააჟრჟოლა. წარმოიდგინა როტანგის სკამები; ბამბისგადასაფარებლიანი სამზარეულოს მაგიდა; დალაქავებული თაროები, რომლებზეც იაფფასიანი რომანები ეწყო; პატარა, ვიწრო და მტვრიანი წითელი ფარდა. ოჰ, რა სიღატაკე იყო იქ! დოროთი ამას ვერასოდეს წარმოიდგენდა. სახლთან მანქანა გაჩერდა. მალე ოთახში ჩარლზი შემოვიდა. - დამაგვიანდა? იმედი მაქვს, დიდხანს არ გალოდინეთ. გუბერნატორი უნდა მენახა და ვერ წამოვედი. მერე კიტისთან მივიდა და ორივე ხელი დაუჭირა. - ძალიან, ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან მოსვლა ინებეთ. დოროთი, ალბათ, გეტყოდათ, რომ ჩვენთან იმდენ ხანს შეგიძლიათ დარჩეთ, რამდენსაც მოისურვებთ. თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში. მინდა

გითხრათ, რომ თუ რაიმეთი შემიძლია გემსახუროთ, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება. - ჩარლზის თვალებიდან მომხიბლავი გულწრფელობა გამოსჭვიოდა. „ნეტავ, თუ ამჩნევს დაცინვას ჩემს თვალებში“, გაიფიქრა კიტიმ. - არ მიყვარს მაღალფარდოვანი სიტყვები, მაგრამ, არც ის მინდა, უტაქტოდ ჩამთვალოთ, მინდა იცოდეთ, რომ გულწრფელად თანაგიგრძნობთ ქმრის სიკვდილის გამო. ის იმდენად კარგი ადამიანი იყო, რომ ყველას დააკლდება. - არ გინდა, ჩარლზ, - უთხრა ცოლმა, - დარწმუნებული ვარ, კიტის ესმის... აი, კოქტეილიც. ტაუნსენდები, ისევე როგორც ყველა უცხოელი, ჩინეთში ფუფუნებით ცხოვრობდნენ. ორმა მსახურმა ბიჭმა ოთახში საუზმე და კოქტეილი შემოიტანა. კიტიმ უარი თქვა დალევაზე. - უნდა დალიოთ, - ჩააცივდა ტაუნსენდი მხიარულად და თბილად. - მოგიხდებათ, თან დარწმუნებული ვარ, რაც ჰონკონგიდან წახვედით, კოქტეილი არ დაგილევიათ. თუ არ ვცდები, მეი-ტან-ფუში ყინულს ვერც იშოვიდით. - არ ცდებით, - მიუგო კიტიმ. წამით თვალწინ წარმოუდგა გალავანთან დაგდებული მკვდარი მათხოვრის გაბურძგნული თმა, ლურჯი ძონძები და გაძვალტყავებული ხელ-ფეხი... ისინი სასაუზმოდ გავიდნენ. ჩარლზი სუფრის თავში იჯდა და მარჯვედ წარმართავდა საუბარს. თანაგრძნობის გამომხატველი რამდენიმე სიტყვის შემდეგ ისე ექცეოდა კიტის, თითქოს მან გამანადგურებელი ტრაგედია კი არ გადაიტანა, არამედ, შანხაიში აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და ის-ის იყო დაბრუნებულიყო. კიტის ახლა გამხნევება სჭირდებოდა და ისიც მზად იყო გაემხნევებინა. უნდოდა ქალს თავი ისე ეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში, ამისთვის კი ოჯახის წევრივით უნდა მოპყრობოდნენ. ჩარლზმა საშემოდგომო რბოლასა და ცხენბურთზე ჩამოაგდო საუბარი, - ნამდვილად თავს დავანებებ ცხენბურთს, თუ წონაში ვერ დავიკლებო, უმტკიცებდა. მერე ამ დილით გუბერნატორთან შეხვედრის თემაც გაანდო. ადმირალის საფლაგმანო გემზე გამართული წვეულებაც ახსენა. შემდეგ კანტონში სახელმწიფო საქმეებს და ლუშანის ამბებს გადასწვდა. რამდენიმე წუთში კიტის მოეჩვენა, თითქოს აქედან რამდენიმე დღით იყო წასული. უკვე არ

სჯეროდა, რომ აქედან სულ რაღაც ექვსასიოდე მილის დაშორებით (რა მანძილიც ლონდონიდან ედინბურგამდეა!), ქალები, მამაკაცები და ბავშვები ბუზებივით იხოცებოდნენ. თავისი თავი დაიჭირა იმაში, რომ აქაური ნაცნობებით დაინტერესდა: ვინ ლავიწის ძვალი მოიტეხა ცხენბურთის თამაშისას, ვინ მოგზაურობიდან დაბრუნდა, ვინ ჩოგბურთის ტურნირში მონაწილეობდა და მისთანანი. ჩარლზი ყველაფერ ამას იუმორით ჰყვებოდა. კიტის ეღიმებოდა. დოროთის, როგორც ყოველთვის, ქედმაღლურად ეჭირა თავი (ოღონდ ახლა კიტის გვერდით იჯდა და თავს მის ტოლად თვლიდა. ეს აღარ იყო შეურაცხმყოფელი, პირიქით, ერთმანეთთან აახლოვებდა.) და ინგლისური კოლონიის ზოგიერთ წევრზე ირონიით ლაპარაკობდა. კიტი ცოტა გამოცოცხლდა. - უკვე უკეთესად გამოიყურება, - უთხრა ჩარლზმა ცოლს. - საუზმემდე ისეთი ფერმკრთალი ჩანდა, შემეშინდა კიდეც, ახლა კი ლოყებიც გაუვარდისფერდა. მართალია, კიტი მხიარულად არა (გრძნობდა, ეტიკეტის თავგამოდებით დამცველი დოროთი და ჩარლზი ამას არ მოუწონებდნენ), მაგრამ ცოცხლად ერთვებოდა საუბარში და თან თავის მასპინძელს აკვირდებოდა. მთელი ამ კვირების მანძილზე შურისძიების გეგმებს რომ აწყობდა, გონებაში ჩარლზის ნათელი სურათი დახატა: ზომაზე გრძლად და გულმოდგინედ დავარცხნილი სქელი, ხუჭუჭი თმა (მასზე ჭაღარის დასაფარავად ძალიან ბევრი საცხი ესვა); ზედმეტად წითელი სახე, საკმაოდ დიდი ყბა; ლოყებზე მოდებული მოწითალო ძარღვების ქსელი; ყელზე ღაბაბი; მაიმუნის მსგავსი ხშირი, ჭაღარაშერეული წარბები; ზანტი, მოუქნელი მოძრაობები; ამაო იყო დიეტა და ვარჯიში, მაინც სუქდებოდა; სახსრებშიც ხანშიშესული მამაკაცის მოუქნელობა ეტყობოდა; მოდური კოსტიუმი, ცოტა არ იყოს, ვიწრო ჰქონდა და მეტისმეტად ვულგარულად გამოიყურებოდა. მაგრამ, როცა ჩარლზი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, კიტი შეკრთა (იქნებ, ამიტომაც გახდა მისი სიფერმკრთალე შესამჩნევი), მიხვდა, რომ წარმოსახვამ უმტყუნა. კინაღამ გაეცინა საკუთარ თავზე. ჩარლზს არც თმა ჰქონდა გაჭაღარავებული; მხოლოდ თითო-ოროლა ჭაღარა გამორეოდა

საფეთქლებთან, რაც უხდებოდა კიდეც; არც სახე ჰქონდა წითელი, უბრალოდ, მზე მოჰკიდებოდა; არც მსუქანი იყო და არც ბებერი; პირიქით, უფრო გამხდარი და მოხდენილი ეჩვენა - განა, შეიძლებოდა მისი დადანაშაულება იმაში, რომ ასე მოსწონდა საკუთარი თავი? - დიახ, ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ტანსაცმელსაც იხდენდა; უსამართლობა იქნებოდა ამის უარყოფა. ძალიან ფაქიზად და მოხდენილად გამოიყურებოდა. ნეტავ, რა შეუჩნდა კიტის მაშინ, როცა ასე წარმოიდგინა ჩარლზი? ის მართლაც ძალიან ლამაზი მამაკაცი იყო. კიდევ კარგი, იცოდა, რა ბედოვლათიც ბრძანდებოდა. რა თქმა უნდა, იმას ვერ უარყოფდა, რომ მომხიბლავი ხმა ჰქონდა. გაახსენდა, უკანასკნელი შეხვედრის დროს ეს ხმა როგორ ააშკარავებდა მისი ყოველი სიტყვის სიყალბეს და როგორ აღიზიანებდა. ახლა ეს სასიამოვნო, თბილი ხმა კიტისთვის ფარისევლურად ჟღერდა და უკვირდა, ამ ხმამ როგორ მომატყუაო. ჩარლზს მშვენიერი თვალები ჰქონდა - ეს იყო მისი მთავარი ხიბლი. ეს ლაჟვარდოვანი თვალები სითბოს ასხივებდნენ მაშინაც კი, როცა სისულელეებს როშავდა. შეუძლებელი იყო ამ თვალებს არ მოენუსხეთ. ბოლოს ყავა მოიტანეს. ჩარლზმა სიგარას მოუკიდა, საათს დახედა და ადგა. - ახლა დაგტოვებთ, ქალბატონებო. სამსახურში წასვლის დროა. - მერე კიტის მეგობრულად შეხედა და უთხრა: - ერთი-ორი დღე დაისვენეთ. მერე კი, საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ. - მე? - თქვენი სახლისა და ავეჯის საქმე უნდა მოვაგვაროთ. - ჰო, მაგრამ შემიძლია, ადვოკატი დავიქირაო. არ მესმის, ამის გამო რატომ უნდა შეგაწუხოთ. - ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ იურიდიულ საქმეებზე ფულს დაგახარჯინებთ. ყველაფერს მე მოვაგვარებ. ხომ იცით, პენსია დაგენიშნებათ. მინდა, გუბერნატორს მოველაპარაკო ამის თაობაზე და ვნახო, საჭირო დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, შევძლებთ თუ არა დამატებითი თანხის გამოყოფას. ეს საქმე მე მომანდეთ. მაგრამ ჯერ ამაზე ნუ იფიქრებთ. ახლა უნდა დაისვენოთ და მოღონიერდეთ. ხომ ასეა, დოროთი? - რა თქმა უნდა. ჩარლზმა კიტის ოდნავ დაუკრა თავი, შემდეგ ცოლს ხელზე ეამბორა. ინგლისელთა უმრავლესობა,

ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოიყურება ქალის ხელზე ამბორისას, მაგრამ ჩარლზს ეს მოხდენილად გამოუვიდა. ტაუნსენდებთან საკმაოდ კარგად მოწყობის შემდეგ კიტი მიხვდა, რომ ძალიან იყო დაღლილი. კომფორტმა და უჩვეულო ყურადღებამ ის დაძაბულობა მოუხსნა, რომელშიც ცოტა ხნის წინ ცხოვრობდა. გადაავიწყდა, რა სასიამოვნოა განცხრომა, რა დამამშვიდებლად მოქმედებს ლამაზი ნივთები... შვების ოხვრით ტკბებოდა აღმოსავლეთის მდიდრული ცხოვრებით და სულაც არ აწუხებდა იმის შეგრძნება, რომ ჭკვიანურად გათვლილი თანაგრძნობის საგანი იყო. ვინაიდან სულ ახლახან დაქვრივდა, კიტის პატივსაცემად წვეულებას ვერ მოაწყობდნენ, მაგრამ კოლონიის წარჩინებული ქალბატონები (გუბერნატორის, ადმირალისა და მთავარი მოსამართლის ცოლები) ხშირად სტუმრობდნენ ჩაიზე. ერთ დღეს გუბერნატორის ცოლმა შესთავაზა, მის აღმატებულებას ძალიან უნდა თქვენი ნახვა და, თუ მთავრობის სახლში საუზმეზე მობრძანდებით („რა თქმა უნდა, ეს არ იქნება წვეულება, მხოლოდ ჩვენ ვიქნებით და პირადი ადიუტანტები!“), ძალიან კარგი იქნებაო. ეს ქალბატონები კიტის ძვირფასი, ნაზი ფაიფურის ნივთივით ეპყრობოდნენ. ნორჩ გმირად თვლიდნენ. მასაც საკმაო ჭკუა ჰქონდა საიმისოდ, რომ ეს როლი ბუნებრივად და თავშეკავებულად ეთამაშა. ხანდახან ნატრობდა, უედინგტონიც იქ ყოფილიყო. გამჭრიახი გონების წყალობით ის ადვილად შეამჩნევდა ამ ამბის მთელ კომიზმს, მარტოდ დარჩენილები კი გულიანად იცინებდნენ ამაზე. დოროთის მისგან წერილი მიეღო, სადაც ის მონასტერში კიტის თავდადებულ მუშაობაზე, სიმამაცესა და ამტანობაზე წერდა. რა თქმა უნდა, ცბიერი უედინგტონი მათ მარჯვედ ასულელებდა. კიტიმ არ იცოდა, შემთხვევით ხდებოდა თუ განზრახ, მაგრამ ჩარლზთან წუთითაც არ რჩებოდა მარტო. ჩარლზი საოცრად თავდაჭერილად იქცეოდა. კიტის კვლავ კეთილად, თანაგრძნობით, თავაზიანად და გულთბილად ეპყრობოდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ისინი ოდესმე ერთმანეთისთვის მხოლოდ ჩვეულებრივი ნაცნობები არ იყვნენ. ერთხელ, ნაშუადღევს, კიტი დივანზე იწვა, ჩარლზმა ვერანდაზე

გაიარა და შეჩერდა. - რას კითხულობ? - ჰკითხა კიტის. - წიგნს. კიტიმ დამცინავად შეხედა. ჩარლზს გაეღიმა. - დოროთი მთავრობის სახლის ბაღში წვეულებაზე წავიდა. - ვიცი. რატომ შენც არ წახვედი? - ვიცოდი, იქ ვერ გავძლებდი. ვიფიქრე, შინ დავბრუნდები და კიტისთან ვიქნები- მეთქი. მანქანა გარეთ დგას. ხომ არ გაგვესეირნა კუნძულის გარშემო? - არა, გმადლობ. ჩარლზი დივანზე ფეხთით ჩამოუჯდა. - რაც აქ ხარ, ლაპარაკის საშუალება არ მოგვცემია. კიტიმ ცივი ქედმაღლობით შეხედა თვალებში. - გგონია, რამე გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი? - უამრავი. ჩარლზს რომ არ შეხებოდა, კიტიმ ფეხები მოკეცა. - კიდევ მიბრაზდები? - ჩარლზს ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა და თვალები აუციმციმდა. - სულაც არა, - გაიცინა კიტიმ. - არა მგონია გაგეცინა, რომ არ მიბრაზდებოდე. - ცდები. იმდენად ვერ გიტან, რომ აღარ გიბრაზდები. ჩარლზი მშვიდად უსმენდა. - მგონი, ცოტა მკაცრად მეპყრობი. წარსულს მშვიდად გადახედე და გულწრფელად მითხარი: ხომ მართალი ვიყავი? - შენი გადმოსახედიდან, კი. - ახლა, როცა დოროთი ახლოს გაიცანი, ხომ მიხვდი, რომ კარგი ქალია. - მართალია, ჩემდამი ისეთი სიკეთე გამოიჩინა, ვერასდროს დავივიწყებ. - ასეთ ადამიანს იშვიათად შეხვდები. მოსვენებას დავკარგავდი, რომ გავქცეულიყავით. ეს ბოროტება იქნებოდა, სხვაზე თუ არა, შვილებზე ხომ უნდა მეფიქრა. ეს ამბავი მათ მთელ ცხოვრებას დაუნგრევდა. კიტი ჩაფიქრებული უყურებდა. გააცნობიერა, რომ შეეძლო ეს სიტუაცია მთლიანად თავად გაეკონტროლებინა. - მთელი კვირაა აქ ვარ და ყურადღებით გადევნებდი თვალს. დავრწმუნდი, დოროთი მართლა გყვარებია. ვერასოდეს ვიფიქრებდი, ამის უნარი თუ გქონდა. - ხომ გითხარი, მიყვარს-მეთქი. მცირეოდენ უსიამოვნებასაც ვერ მივაყენებ. უკეთეს ცოლს კაცი ვერც ინატრებს. - იმაზე არასოდეს გიფიქრია, რომ მისი ერთგულება გმართებს? - გული იმაზე არ სწუხს, რასაც თვალი ვერ ხედავს, - გაეღიმა ჩარლზს. კიტიმ მხრები აიჩეჩა. - პირუტყვი ხარ. - მე ადამიანი ვარ. არ მესმის, რატომ უნდა ჩამთვალო პირუტყვად, თუ ასე ძალიან შემიყვარდი. ხომ იცი, რომ განზრახ არ მინდოდა. ამის გაგონებაზე კიტის გული შეეკუმშა. - მე ადვილად

დასამორჩილებელი ვიყავი, - მიუგო მწარედ. - რას ვიფიქრებდი, თუ ასეთ საშინელ ხათაბალაში გავებმებოდით. - ყოველ შემთხვევაში, ჭკვიანურად გათვალე, რომ თუ ვინმე დაზარალდებოდა, ეს შენ არ უნდა ყოფილიყავი. - ვფიქრობ, ამაზე საუბარი არ ღირს, მით უმეტეს, ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა. მე ისე მოვიქეცი, როგორც ორივესთვის აჯობებდა. შენ თავგზა აგებნა, უნდა გიხაროდეს, რომ მე მაინც შევინარჩუნე გონიერება. როგორ გგონია, კარგი იქნებოდა, შენ მოთხოვნას რომ დავმორჩილებოდი? ცხელ ტაფაზე კი ვიხრაკებოდით, მაგრამ უარესი იქნებოდა, ცეცხლში რომ გადავმხტარიყავით. თან შენ არაფერი დაგშავებია. რა მოხდება, ერთმანეთს ვაკოცოთ და მეგობრებად დავრჩეთ? კიტის კინაღამ გაეცინა. - არ გეგონოს დამავიწყდა, სინდისის ქენჯნის გარეშე რომ გამისტუმრე სიკვდილის ხახაში. - ოჰ, რა სისულელეა. რჩევა მოგეცი, თუ ფრთხილად მოიქცეოდი, საშიშიც არაფერი იქნებოდა. როგორ გგონია, გაგიშვებდი, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი ამ ამბავში? - იმიტომ იყავი დარწმუნებული, რომ ასე გინდოდა. შენ მხდალი ხარ და ყოველთვის იმაში ხარ დარწმუნებული, რაც გაწყობს. - განსაჯე შედეგის მიხედვით. როგორც ხედავ, დაბრუნდი. და, თუ არ გამიჯავრდები, გეტყვი, რომ უფრო გალამაზებულხარ კიდეც. - მაგრამ, უოლტერი? ჩარლზს გაეღიმა. ალბათ, რაღაც მხიარულმა ფიქრმა გაუელვა თავში. - არც ერთი ფერი ისე არ გიხდება, როგორც შავი. კიტიმ შეხედა. თვალები ცრემლით აევსო. მშვენიერი სახე მწუხარებამ დაუმანჭა. დამალვა არც უცდია, ზურგზე იწვა და ტიროდა. - ღვთის გულისთვის, ნუ ტირი. ცუდად არაფერი მიგულისხმია. გეხუმრე. ხომ იცი, როგორ გულწრფელად თანაგიგრძნობ... - გთხოვ, გააჩერე ეგ სულელი ენა. - არაფერს დავიშურებდი, რომ შემეძლოს უოლტერის უკან დაბრუნება. - ის ჩვენ მოვკალით. ჩარლზმა მისი ხელი აიღო, მაგრამ კიტიმ გამოსტაცა. - ძალიან გთხოვ, წადი, - ამოისლუკუნა, - ახლა მხოლოდ ეს სიკეთე შეგიძლია გამიკეთო. მეზიზღები და ვერ გიტან. უოლტერი ათ შენისთანა კაცად ღირდა. მე კი, დიდი სულელი ვიყავი, ეს რომ ვერ დავინახე. წადი, გამშორდი. კიტიმ შეამჩნია, რომ

ჩარლზი რაღაცის თქმას აპირებდა, ამიტომ უცებ წამოხტა და თავის ოთახში შევარდა. ჩარლზი უკან მიჰყვა და ოთახში შესვლისას ინსტინქტურად მიხურა დარაბა. ასე რომ, სრულ სიბნელეში აღმოჩნდნენ. - ასე ვერ დაგტოვებ, - უთხრა და მკლავები მოჰხვია. - ხომ იცი, შენი წყენინება არ მინდოდა. - არ მომეკარო. ღვთის გულისთვის, წადი, მომშორდი. კიტიმ მისი მკლავებიდან გათავისუფლება სცადა, მაგრამ ჩარლზმა არ გაუშვა. ქალი ახლა ისტერიულად ატირდა. - ძვირფასო, ხომ იცი, მუდამ მიყვარდი, - უთხრა ჩარლზმა დაბალი, მომხიბლავი ხმით, - ასე არასოდეს მყვარებიხარ. - ამ ტყუილების როგორ არ გრცხვენია! გამიშვი, ეშმაკსაც წაუღიხარ, გამიშვი. - ბოროტად ნუ მექცევი, კიტი ვიცი, უხეშად მოგექეცი, მაგრამ უნდა მაპატიო. კიტის ქვითინისგან მთელი ტანი უცახცახებდა, თავდაღწევას ცდილობდა, მაგრამ ჩარლზის შემოჭდობილი მკლავები საოცრად ამშვიდებდა. როგორ ნატრობდა, ერთხელ კიდევ ეგრძნო თავის გარშემო მისი მკლავები, მხოლოდ ერთხელ. მთელი სხეულით კანკალებდა, თითქოს ძვლები დაურბილდა, მოეშვა და მოდუნდა. ახლა უკვე უოლტერი კი არა, საკუთარი თავი ეცოდებოდა. - ოჰ, რატომ მექცევი ასე სასტიკად? - ქვითინებდა, - ხომ იცი, რომ მთელი არსებით მიყვარდი? ჩემსავით არავის ჰყვარებიხარ. - საყვარელო. ჩარლზი ხელზე კოცნიდა. - არა, არა, - შეჰყვირა კიტიმ. ჩარლზს უნდოდა სახეზე ეკოცნა, მაგრამ კიტიმ თავი მიაბრუნა. მერე ჩარლზმა მის ტუჩებს დაუწყო ძებნა. კიტის არ ესმოდა ჩარლზის მიერ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქმული ვნებიანი სიტყვები. ისე მაგრად ეჭირა მკლავებში, რომ კიტიმ თავი იმ გზააბნეულ ბავშვად იგრძნო, რომელიც ის-ის იყო შინ დაბრუნდა. სუსტი კვნესა აღმოხდა. თვალებდახუჭულს სახე ცრემლებით დასველებოდა. ჩარლზმა მისი ტუჩები იპოვა და მთელი ვნებით დაეკონა. კიტის სხეულში თითქოს ღვთაებრივმა ცეცხლმა დაუარა. ეს ვნება იყო, რომელმაც კიტი დაფერფლა, ამ ცეცხლმა თითქოს გარდაქმნა, მხოლოდ ოცნებაში თუ უგრძვნია ასეთი აღტაცება. ეს რა უქნა ჩარლზმა? არ იცოდა. ის აღარ იყო ქალი, პიროვნება, ის იყო მხოლოდ სურვილი. ჩარლზმა ხელში აიტაცა,

ბუმბულივით მსუბუქი კიტი ჩარლზს მიეკრა, გონებაარეული თავი ბალიშზე დაუვარდა. ჩარლზს ისღა დარჩენოდა, მის ტუჩებს დაცხრომოდა. კიტი საწოლის კიდეზე იჯდა და სახე ხელებში დაემალა. - წყალი ხომ არ გინდა? კიტიმ თავი გააქნია. ჩარლზი პირსაბანთან მივიდა, ჭიქა წყლით აავსო და მიუტანა. - ცოტა მოსვი და უკეთ გახდები. ჭიქა პირთან მიუტანა და კიტიმ წყალი მოსვა. მერე შიშჩამდგარი თვალებით მიაჩერდა. ჩარლზი ზემოდან დაჰყურებდა და კმაყოფილი იღიმებოდა. - ახლაც ფიქრობ, რომ არამზადა ვარ? - ჰკითხა. კიტიმ თვალები დახარა. - დიახ. თუმცა, არც მე ვარ შენზე უკეთესი. ოჰ, როგორ მრცხვენია. - მგონი, ძალიან უმადური ხარ. - ახლა მაინც არ წახვალ? - სიმართლე გითხრა, უკვე დროა. წავალ და მოვწესრიგდები, თორემ, სადაცაა, დოროთი დაბრუნდება. ჩარლზი ენერგიული ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. კიტი ერთხანს სულელივით, მოკუნტული იჯდა საწოლის კიდეზე. გონებაგაფანტულს გააჟრჟოლა. ფეხზე ძლივს წამოდგა, ტუალეტის მაგიდასთან მივიდა და სკამზე დაეშვა. სარკეში თავის თავს მიაჩერდა. ტირილისგან თვალები დასიებოდა. სახე აჭრელებოდა, ის ლოყა, რომელზეც ჩარლზის ლოყა ეხუტებოდა, აჭარხლებოდა. შიშით უყურებდა საკუთარ თავს. იგივე სახე იყო, არადა, ეგონა დამცირებისგან შეეცვლებოდა. - ღორო, - მიაძახა თავის თავს, - ღორო. მერე კი სახე ხელებში ჩარგო და მწარედ ატირდა. ვაი, სირცხვილო, სირცხვილო! არ იცოდა, რა დაემართა. ეს საშინელება იყო. ჩარლზიც ეზიზღებოდა და საკუთარი თავიც. ეს ვნება იყო! ოჰ, რა საძაგლობაა! აწი თვალებში ვეღარასოდეს ჩახედავს. როგორ გამართლდა ჩარლზი. სწორად მოიქცა, ცოლად რომ არ შეირთო კიტისთანა არარაობა. რითი სჯობს მეძავებს? მათზე უარესიც კია, რადგან ის საცოდავები ლუკმა-პურისთვის ჰყიდიან სხეულს. თანაც იმ სახლში დამცირდა, სადაც დოროთიმ შეიფარა დამწუხრებული და მიუსაფარი! ტირილისგან მხრები უცახცახებდა. ახლა ყველაფერი წყალში ჩაეყარა. ეგონა, შეიცვალა, პრინციპული გახდა. ეგონა, ჰონკონგში გარდაქმნილი დაბრუნდა. თავში ფიქრები მზეზე მოფარფატე პატარა ყვითელი პეპლებივით ერეოდა და

იმედოვნებდა, რომ მომავალში უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. თავისუფლება უწმინდესი ნათელივით უხმობდა, სამყარო კი დიდ, გაშლილ ველად ესახებოდა, რომელზეც თავაწეული მსუბუქად ივლიდა. ეგონა, გათავისუფლდა მრუშ, ბიწიერ ვნებათაგან, ფიქრობდა, სპეტაკი და ჯანსაღი სულიერი ცხოვრებისთვის უკვე მზად იყო. თავს თეთრ ყანჩებს ამსგავსებდა, მოსაღამოებულზე ნელა რომ გადაუფრენენ ხოლმე ბრინჯის ყანებს, დამშვიდებული გონების ზეაღვლენილი ფიქრებივით. ის კი, თურმე მონა ყოფილა. უძლური, სუსტი! წინ უიმედობაა... ტყუილად ცდილობდა... ის ზნედაცემული ქალია... სადილზე არ წავიდა. მოსამსახურის პირით დოროთის შეუთვალა, თავი მტკივა და სჯობს, ვიწვეო. დოროთიმ მიაკითხა, მისი ნამტირალევი და დასიებული თვალების დანახვაზე, სინაზითა და თანაგრძნობით განიმსჭვალა. ერთხანს რაღაც წვრილმანებზე ელაპარაკებოდა. კიტიმ იცოდა: დოროთი ფიქრობდა, რომ ის უოლტერს დასტიროდა და, როგორც კარგი და მოსიყვარულე ცოლი, თანაუგრძნობდა და პატივს სცემდა ამ ბუნებრივ მწუხარებას. - მესმის, რა მძიმეა, ძვირფასო, - უთხრა წასვლისას. - მაგრამ უნდა გამხნევდეთ. დარწმუნებული ვარ, თქვენს ქმარს არ მოეწონებოდა, ასე რომ განიცდით. მეორე დილას კიტი ადრე ადგა, დოროთის წერილი დაუტოვა, საქმეზე მივდივარო და ტრამვაიში ჩაჯდა. გაჭედილ ქუჩებში ავტომობილების, რიქშებისა და ტახტრევნების ტევა არ იყო. კიტი ევროპელებისა და ჩინელების ჭრელ ნაკადში შეეცადა საზღვაო კომპანიის ოფისებისკენ გაეკვალა გზა. პირველი გემი ნავსადგურიდან ორ დღეში გადიოდა. კიტიმ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ამ გემით წასულიყო; როცა კლერკმა უთხრა, ყველა ბილეთი გაყიდულიაო, კიტიმ დირექტორთან შეხვედრა გადაწყვიტა, მდივან ქალს თავისი სახელი უთხრა და მისაღებში დაელოდა. დირექტორმა (ის კიტის ადრეც იცნობდა და მისი ამბავიც კარგად იცოდა), როგორც კი კიტის მოსვლა აუწყეს, მაშინვე თავის კაბინეტში შეიპატიჟა. მისი მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, დაბნეულმა მგზავრების სია მოატანინა. - გთხოვთ, რითაც შეგიძლიათ, დამეხმაროთ, - დაჟინებით სთხოვდა

კიტი. - კაცი არ მეგულება კოლონიაში, ვინც თქვენთვის ყველაფერს არ გააკეთებდა, მისის ფეინ, - მიუგო მან. მერე კლერკი იხმო, რაღაც ჰკითხა და თავი დააქნია. - ერთ-ორ კაცს სხვაგან გადავიყვან. ვიცი, შინ დაბრუნება გინდათ და თქვენთვის ყველაფერი უნდა ვიღონო. პატარა კაიუტას მოგცემთ, სადაც მარტო იქნებით, ალბათ, ასე გირჩევნიათ. კიტიმ მადლობა გადაუხადა და გახარებული წამოვიდა. უნდა გაიქცეს! უნდა გაიქცეს! მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. მამას დეპეშა გაუგზავნა და შეუთვალა, რომ დაუყოვნებლივ მიემგზავრებოდა. ერთი დეპეშა უკვე გაგზავნილი ჰქონდა, სადაც უოლტერის სიკვდილს ატყობინებდა. ამის შემდეგ ტაუნსენდებთან დაბრუნდა და ეს ყველაფერი დოროთის აცნობა. - ჩვენთვის ძალიან მძიმე იქნება თქვენთან განშორება, - უთხრა კეთილმა ქალმა, - რა თქმა უნდა, მესმის, რომ დედ-მამასთან ყოფნა გირჩევნიათ. რაც ჰონკონგში დაბრუნდა, კიტის თავის სახლში მისვლა ვერ გაებედა. ეშინოდა იმ მოგონებების, რაც იქ შესვლისას დაეუფლებოდა, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა. ტაუნსენდმა ავეჯის გაყიდვის საქმე მოუგვარა, ბინის დამქირავებლებიც იპოვა, მაგრამ იქ რჩებოდა კიტისა და უოლტერის ის ტანსაცმელი, მეი-ტან-ფუში რომ ვერ წაიღეს, ამას გარდა, წიგნები, ფოტოსურათები და უამრავი წვრილმანი. კიტი ამ ყველაფერს გულგრილად უყურებდა. გადაწყვიტა, წარსულთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა და, ამიტომაც ამ საგნების მოშორება უნდოდა. ისიც იცოდა, რომ მათ სხვა ნივთებთან ერთად აუქციონზე ვერ გაიტანდა, რადგან ამით ინგლისურ კოლონიას გაანაწყენებდა. სჯობდა შეეფუთათ და ინგლისში გაეგზავნათ. ამგვარად, საუზმის შემდეგ კიტი თავის სახლში წასასვლელად მოემზადა. დოროთიმ გაყოლა შესთავაზა, მაგრამ კიტიმ მარტო წასვლა ისურვა, მხოლოდ ორი მსახური ბიჭის წაყვანაზე დათანხმდა, ისიც იმიტომ, რომ ბარგის ჩალაგებაში მიხმარებოდნენ. სახლს მთავარი მსახური მეთვალყურეობდა. მან კიტის კარი გაუღო. რა უცნაურია, საკუთარ სახლში უცხოსავით შესვლა. ირგვლივ სისუფთავე სუფევს, ყველა ნივთი თავის ადგილას დევს, თითქოს მას ელოდა. და თუმცა თბილი და მზიანი დღე იყო, დადუმებულ ოთახებში ციოდა. ავეჯი

ძველებურად გამოიყურებოდა. საყვავილეებისთვისაც თავისი ადგილი მიეჩინათ. წიგნი, რომელსაც კიტი ოდესღაც კითხულობდა, იმავე გვერდზე იყო ჩანიშნული. სახლი თითქოს მხოლოდ ერთი წუთის წინ დაეტოვებინათ, მაგრამ ეს წუთი მარადისობად ქცეულიყო; ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ აქ ოდესმე ადამიანის სიცილსა და ხმას ისევ გაიგონებდა. პიანინოზე ფოქსტროტის გადაშლილი ნოტები თითქოს პატრონს ელოდა, მაგრამ მოგეჩვენებოდათ, რომ კლავიშები თითის დაკარებისას ხმას არ გამოსცემდა. უოლტერის ოთახი ისევე აკურატულად გამოიყურებოდა, როგორც მის სიცოცხლეში. კამოდზე კიტის ორი დიდი ფოტოსურათი იდო, ერთში სამეჯლისო კაბა ეცვა, მეორეში - საქორწინო. მსახურებმა საკუჭნაოდან სკივრები მოიტანეს და ჩალაგება დაიწყეს. კიტი კარნახობდა, სად რა ჩაედოთ. გამგზავრებამდე ორი დღე ჰქონდა ყველაფრის მოსაგვარებლად. ოღონდ ფიქრის ნება არ უნდა მისცეს თავს, ამისთვის არც სცალია. უცებ ზურგს უკან ნაბიჯების ხმა შემოესმა. მობრუნდა და ჩარლზ ტაუნსენდი დაინახა. თითქოს გული გაეყინა. - რა გნებავთ? - ჰკითხა. - სასტუმრო ოთახში გავიდეთ. რაღაც მაქვს სათქმელი. - არ მცალია. - მხოლოდ ორიოდე წუთს წაგართმევ. კიტის აღარაფერი უთქვამს, მსახურებს უბრძანა, საქმე განაგრძეთო და ჩარლის მეზობელ ოთახში შეუძღვა. არ დამჯდარა, რათა მისთვის ეგრძნობინებინა, რომ მალე წასულიყო. იცოდა, სახეზე ფერი რომ არ ედო, გულიც გამალებით უცემდა, მაგრამ ცივი, მტრული თვალებით უყურებდა. - რა გინდა? - ახლახან მითხრა დოროთიმ, რომ ზეგ მიდიხარ და მთხოვა, შენთვის დამერეკა და მეკითხა, დახმარება ხომ არ გჭირდება. - მადლობელი ვარ, მაგრამ თავად მივხედავ ყველაფერს. - ასეც ვიცოდი. მაგის საკითხავად არც მოვსულვარ. მინდა გკითხო, შენი უეცარი წასვლა ჩვენ შორის გუშინ მომხდარმა ამბავმა ხომ არ გამოიწვია. - შენ და დოროთი ძალიან მზრუნველნი იყავით ჩემ მიმართ. არ მინდა იფიქროთ, რომ თქვენს სიკეთეს ბოროტად ვიყენებ. - ეს არაა პირდაპირი პასუხი. - რა მნიშვნელობა აქვს ამას შენთვის? - დიდი მნიშვნელობა აქვს. არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემ გამო მიდიხარ.

თვალებდახრილი კიტი მაგიდასთან იდგა. უცებ „სკეტჩის“ ძველი ნომერი დაინახა. ამ გაზეთს დასჩერებოდა უოლტერი იმ საშინელ საღამოს, როცა... ახლა კი უოლტერი... მან თავი ასწია. - ყოვლად ზნედაცემულ ქალად ვგრძნობ თავს და, ალბათ, შენც არ გეზიზღები ისე, როგორც მე მძულს საკუთარი თავი. - მაგრამ მე არ მეზიზღები. გუშინ რაც გითხარი, ყველაფერი სიმართლე იყო. რა საჭიროა ასე გაქცევა? არ მესმის, რატომ არ შეიძლება კარგ მეგობრებად დავრჩეთ. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, თუ ფიქრობ, რომ ცუდად მოგექეცი. - შეგიძლია წახვიდე? - მორჩი, ჯოხი ან ქვა ხომ არ გგონივარ, ძალიან უჭკუოდ უყურებ ამ ამბავს. ეს დამამცირებელია. გუშინდელი დღის შემდეგ მეგონა, გული მოგიბრუნდებოდა ჩემზე. ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ვართ. - თავს ადამიანად არ ვგრძნობ. ვფიქრობ ცხოველი ვარ, ღორი, კურდღელი, ძაღლი... არა, შენ არ გადანაშაულებ, მეც ისეთივე ბინძური ვარ, როგორც შენ. იმიტომ დაგნებდი, რომ მინდოდა. მაგრამ ეს მე არ ვიყავი. იმ საძაგელ, იმ ავხორც ქალს მე არ ვიცნობ. მე არ ვწოლილვარ იმ საწოლზე და არც ვნებით ვიწვოდი, მაშინ, როცა ჩემი ქმარი ჯერაც არ გაცივებულა სამარეში და შენი ცოლიც ენითაუწერელ სიკეთეს იჩენდა ჩემ მიმართ. ეს იყო ჩემში ჩასახლებული ცხოველი, ბნელი, უწმინდური, შიშისმომგვრელი... მე მას არ ვიცნობ, მე ის მძულს, მეზიზღება. როცა ამაზე ვფიქრობ, გული მერევა. ჩარლზმა წარბები შეჭმუხნა და შეცბუნებულმა ჩაიცინა: - საკმაოდ გონებაგახსნილი ვარ, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რაღაცებს ამბობ, რაც აშკარად მაცბუნებს. - რას იზამ. სამწუხაროა. ახლა სჯობს, წახვიდე. შენ ერთი უმაქნისი, პატარა კაცი ხარ, ვფიქრობ, შენთან სერიოზული საუბარი სისულელეა. ჩარლზს ერთხანს ხმა არ გაუცია. ცისფერ თვალებში რაღაც ჩრდილი ჩაუდგა. კიტი მიხვდა, რომ ეწყინა. რა შვებით ამოისუნთქებს ტაუნსენდი, როცა მისთვის ჩვეული თავაზიანობით, ბოლოს და ბოლოს, გააცილებს კიტის. ქალი გაამხიარულა იმის გაფიქრებამ, რა ზრდილობიანად გადაუხდის თვითონაც მადლობას სტუმართმოყვარეობისთვის, როცა ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ და ჩარლზი ბედნიერ მგზავრობას უსურვებს,

მაგრამ დაინახა, რომ ჩარლზს გამომეტყველება შეეცვალა. - დოროთიმ მითხრა, რომ ბავშვს ელოდები, - უთხრა მან. კიტიმ იგრძნო, რომ წამოწითლდა, მაგრამ არ განძრეულა, თავი არ გაუცია. - მართალია. - შემთხვევით, მამა მე ხომ არ ვარ? - არა, არა. ეს უოლტერის შვილია, - თავი ვერ შეიკავა და ხაზგასმით თქვა კიტიმ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ მისი კილო არადამაჯერებლად ჟღერდა. - დარწმუნებული ხარ? - ჩარლზი ახლა ეშმაკურად იღიმებოდა. - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორი წელი იყავი უოლტერის ცოლი და არ დაფეხმძიმებულხარ. თანაც, დროც ზუსტად ემთხვევა. მგონი, უფრო ჩემი უნდა იყოს... - მირჩევნია თავი მოვიკლა, ვიდრე შენგან შვილი მყავდეს. - ოჰ, მორჩი სისულელეებს. ძალიან მესიამოვნებოდა და სიამაყით აღვივსებოდი: შენ იცი, რომ გოგო ძალიან მინდა. დოროთისთან მხოლოდ ბიჭები მყავს. ეჭვებში დიდხანს არ იქნები, ხომ იცი, სამივე ბიჭი გაჭრილი ვაშლივით მგავს. ჩარლზი ისევ კარგ გუნებაზე დადგა. კიტიმ იცოდა, რატომაც. თუ ბავშვი მისია, თუნდაც კიტიმ ვეღარასოდეს ნახოს, მისი ცხოვრების ყოველ დღეზე გარკვეულ გავლენას მაინც იქონიებს. - შენნაირ გახრწნილ ადამიანს არასოდეს შევხვედრივარ, - უთხრა კიტიმ. გემი მარსელში რომ შევიდა, კიტიმ, რომელიც, მზით გაბრწყინებულ უსწორმასწორო, ლამაზ ნაპირს გაჰყურებდა, უეცრად თვალი მოჰკრა წმინდა მარიამის მოოქრულ ქანდაკებას, რომელიც ღვთისმშობლის ტაძარს მეზღვაურების მფარველი სიმბოლოსავით დაჰყურებდა. გაახსენდა, როგორ დაიჩოქეს მეი-ტან-ფუს მონასტრის დებმა, სამუდამოდ რომ ეთხოვებოდნენ სამშობლოს, როცა ქანდაკება თანდათან გაქრა სივრცეში და მხოლოდ წვრილ ოქროსფერ სხივად კიაფობდა ლურჯი ცის ფონზე. როგორ ეძებდნენ ისინი ლოცვაში განშორების ტკივილის სალბუნს. კიტიმ ხელისგულები შეატყუპა, თუმცა არ იცოდა, რა ძალას ევედრებოდა. ამ ხანგრძლივი, მშვიდი მოგზაურობის დროს ახლახან თავს გადამხდარ საშინელებაზე ფიქრობდა. საკუთარი თავის არ ესმოდა. მისთვის ეს სწორედაც რომ მოულოდნელი იყო. რა შეუჩნდა, ასეთი ვნებით რომ დანებდა ჩარლზის ბილწ ხვევნა-კოცნას, არადა, ეს

კაცი მთელი არსებით ეზიზღებოდა. გაცეცხლებულს საკუთარი თავიც ეჯავრებოდა, გრძნობდა, რომ ამ დამცირებას ვერასოდეს დაივიწყებდა. ტიროდა, მაგრამ რაც უფრო შორდებოდა ჰონკონგს, მისი აღშფოთება თანდათან ცხრებოდა. თითქოს ეს ამბავი სხვა სამყაროში მოხდა. იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც უეცრად გაგიჟდა, განკურნების შემდეგ კი შემცბარსა და დარცხვენილს ბუნდოვნად ახსენდებოდა, თუ რა სისულელეებს სჩადიოდა, როცა თავის თავს არ ეკუთვნოდა. და თუ მაშინ თავის თავს არ ეკუთვნოდა, მაშასადამე, საკუთარ თვალში მაინც შეუძლია თავი გაიმართლოს. იქნებ ვინმე კეთილშობილმა შეიბრალოს და არ დაგმოს. ამოიოხრა, როცა გაიფიქრა, რა საშინლად შეერყა საკუთარი თავის რწმენა. ადრე მის წინ ლარივით სწორსა და ადვილად დასაძლევ გზას ხედავდა; ახლა კი აცნობიერებდა, რომ ამ გზაზე უამრავი მოსახვევი იყო და ყველგან მახეები ელოდა. მას უკიდეგანო სივრცე და ინდოეთის ოკეანის სულისშემძვრელი მშვენიერი დაისი ამშვიდებდა. თითქოს ისეთ ქვეყანაში მიდიოდა, სადაც საკუთარი თავის ბატონ-პატრონი თავადვე იქნებოდა. იცოდა, საკუთარი ღირსების გრძნობას მხოლოდ საკუთარ თავთან შეურიგებელი ბრძოლის ფასად დაიბრუნებდა. ამის ძალა კი ისევ საკუთარ თავში უნდა ეძებნა. მომავალი, რომელიც მხოლოდ სიმარტოვეს უქადდა, ადვილი არ იქნებოდა. პორტ საიდში დედისგან მისი დეპეშის საპასუხოდ გრძელი წერილი მიიღო. დედას უცნაური ხელწერა ჰქონდა. ალბათ, ახალგაზრდობაში ასეთ წერას ასწავლიდნენ. ხელნაწერი იმდენად აკურატულად გამოიყურებოდა, რომ არაგულწრფელობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისის გარსტინი სინანულს გამოთქვამდა უოლტერის სიკვდილის გამო და ქალიშვილის მწუხარებას იზიარებდა - შიშობდა, ვაითუ, კიტი არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი, თუმცა კოლონიის ხელისუფლება, ცხადია, პენსიას დაუნიშნავდა. მოხარული იყო, რომ კიტი ინგლისში ბრუნდებოდა, რა თქმა უნდა, ბავშვის გაჩენამდე დედ-მამასთან იცხოვრებდა. ამას მოსდევდა გარკვეული რჩევა-დარიგებები, რომლებიც კიტის აუცილებლად უნდა შეესრულებინა და მისი დის,

დორისის, მშობიარობის სხვადასხვა წვრილმანი. პატარა ბიჭი ამდენსა და ამდენს იწონიდა და მამის მხრიდან ბაბუა ამბობდა, რომ ასეთი ლამაზი ბავშვი არ მინახავსო. დორისი ისევ ორსულად იყო და იმედოვნებდნენ, კიდევ ბიჭი გაჩნდებოდა; ამით კი ბარონეტის ტიტულის მემკვიდრეობით გადაცემას საფრთხე აღარ დაემუქრებოდა. კიტი მიხვდა, რომ წერილი მიპატიჟების გარკვეულ ვადას გულისხმობდა. იხსენებდა, როგორ აღმერთებდა დედამისი და მისი საქციელი უცნაურად ეჩვენებოდა: ეტყობა, იმედი გაუცრუა და ახლა არანაირი სურვილი არ ჰქონდა ქვრივი ქალიშვილი ტვირთად დასწოლოდა. რა უცნაურია მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულება! როცა ისინი პატარები არიან, მშობლები მათზე ლოცულობენ. ავად რომ ხდებიან, ღამეებს უთენებენ, შვილებიც სიყვარულით ეტმასნებიან და ეთაყვანებიან მშობლებს. გადის რამდენიმე წელი, ბავშვები წამოიზრდებიან და დედ-მამა ავიწყდებათ. სულ უცხო, სულ სხვა გვარის ადამიანები ხდებიან მათი ბედნიერებისთვის საჭირონი. წარსულის ბრმა, ინსტინქტურ სიყვარულს გულგრილობა ცვლის. შეხვედრები თავს აბეზრებთ და აღიზიანებთ. ოდესღაც ერთი თვითაც რომ ვერ შორდებოდნენ ერთმანეთს, ახლა შეუძლიათ რამდენიმე წლის განშორებაც გულგრილად აიტანონ. „დედაჩემს დიდად ასაღელვებელი არაფერი აქვს, როგორც კი შევძლებ, საკუთარ სახლს ვიყიდი, მაგრამ ცოტა უნდა მადროვონ, ამჟამად ყველაფერი გაურკვეველია. მომავლის წარმოდგენაც კი მიჭირს: იქნებ მშობიარობასაც გადავყვე, ეს ბევრ პრობლემას გადაჭრის“, ფიქრობდა კიტი. როცა გემმა ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა, კიტის ორი წერილი გადასცეს. გაუკვირდა, მამამისის ხელი რომ იცნო - მას ხომ შვილისთვის არასდროს მიუწერია. „ძვირფასო კიტი, დედაშენის მაგივრად გიგზავნი წერილს, რადგან დედა თავს კარგად ვერ გრძნობს და იძულებულია საოპერაციოდ საავადმყოფოში დაწვეს, მაგრამ არ შეგეშინდეს, ზღვით წამოდი, როგორც აპირებდი. ხმელეთით წამოსვლა უფრო ძვირი დაგიჯდება და თანაც დედის გარეშე ჰარინგტონ გარდენსის სახლში ყოფნა

გაგიჭირდება“. მეორე, დორისის წერილი ასე იწყებოდა: „საყვარელო კიტი“, არა იმიტომ, რომ დორისს ძალიან უყვარდა კიტი, უბრალოდ, ყველას ასე მიმართავდა. „საყვარელო კიტი, მამა, ალბათ, მოგწერდა, რომ დედა ოპერაციის გაკეთებას აპირებს. როგორც ჩანს, ერთ წელიწადში მთლიანად მოედო სენი, მაგრამ, ხომ იცი, ექიმებთან სიარული არ უყვარს და ათასნაირ წამალს სვამდა. ზუსტად არ ვიცი, რა სჭირს, რადგან დაჟინებით მოითხოვს, საიდუმლოდ შეინახონ ეს ამბავი და ბრაზდება, როცა ვეკითხებით. ძალიან ცუდად გამოიყურება. შენს ადგილას მარსელში გადმოვიდოდი და რაც შეიძლება, სწრაფად წამოვიდოდი. მაგრამ არ გამამხილო, რადგან თავი ისე უჭირავს, თითქოს საამისო არაფერი სჭირს და შენი ჩამოსვლა მანამ არ უნდა, სანამ შინ არ დაბრუნდება. ექიმებს პირობა მიაცემინა, რომ ერთ კვირაში გამოწერენ. დიდი სიყვარულით, დორისი. პ.შ. ძალიან ვწუხვარ უოლტერის გამო. საშინელ დღეს გამოივლიდი, ჩემო საწყალო. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. რა კარგია, რომ ორივე ბავშვს ველოდებით. ერთმანეთს მივეხმარებით“. ფიქრებში წასული კიტი ერთხანს გემბანზე იდგა. დედის ავადმყოფობა ნამდვილად ვერ წარმოედგინა. ყოველთვის ენერგიული და მტკიცე ახსოვდა, სხვების შეუძლოდ ყოფნასაც კი ვერ იტანდა. ცოტა ხანში მასთან ოფიციანტი მივიდა და დეპეშა გადასცა. „ღრმა მწუხარებით გაუწყებ, რომ დედაშენი ამ დილას გარდაიცვალა. მამა“. კიტიმ ჰარინგტონ გარდენსზე ნაცნობ სახლში ზარი დარეკა. მოახლემ უთხრა, მამა კაბინეტში არისო. ის კართან მივიდა და ნელა გამოაღო: მამა ბუხართან იჯდა და საღამოს გაზეთს კითხულობდა. ოთახში შესული კიტი რომ დაინახა, თავი ასწია და აღელვებული ფეხზე წამოხტა. - ოჰ, კიტი, მეგონა, შემდეგ მატარებელს ჩამოჰყვებოდი. - არ მინდოდა შემეწუხებინეთ, ამიტომაც ზუსტი დრო არ შეგატყობინეთ. მამამ კიტის საკოცნელად ლოყა მიუშვირა, სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში. - გაზეთს ვათვალიერებდი, - უთხრა, - ორი დღეა, არ წამიკითხავს. კიტი მიხვდა, რომ მამამ საჭიროდ ჩათვალა თავი გაემართლებინა. - რა თქმა უნდა, - მიუგო კიტიმ. - გადაღლილი იქნებოდით, დედას

სიკვდილმა, ალბათ, თავზარი დაგცათ. მამა მოტეხილი და გამხდარი ეჩვენა, სახე უფრო მეტად დანაოჭებოდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, აკურატულად გამოიყურებოდა. - ქირურგმა გვითხრა თავიდანვე, არანარი იმედი არ იყოო. ერთ წელზე მეტია, თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ ექიმთან არ მიდიოდა. ქირურგმა თქვა, გამუდმებული ტკივილები ექნებოდა, საოცარია, როგორ უძლებდაო. - არასოდეს დაუჩივლია? - ამბობდა, კარგად არ ვარო, მაგრამ ტკივილებს არ უჩიოდა. - მამა გაჩუმდა და კიტის შეხედა, - გზამ ძალიან დაგღალა? - არც ისე. - გინდა ზევით ახვიდე და ნახო? - აქ არის? - საავადმყოფოდან ახლახან მოასვენეს. - დიახ, ახლავე ავალ. - წამოგყვე? მამის ტონმა კიტი აიძულა, მისთვის სწრაფად შეეხედა. მამას თავი ოდნავ მიებრუნებინა, არ უნდოდა, შვილს მის თვალებში ჩაეხედა. ბოლო დროს კიტის სხვისი აზრების ამოცნობის უნარი გამოუმუშავდა - სხვა რომ არა, მთელი ფიქრი და გრძნობა იქითკენ ჰქონდა მიმართული, ქმრის შემთხვევით ნათქვამი სიტყვით ან უნებური მოძრაობით მისი ფარული აზრები გამოეცნო. მაშინვე მიხვდა, მამამისი რის დამალვასაც ცდილობდა. ის შვებას გრძნობდა, უსაზღვრო შვებას და საკუთარი თავის რცხვენოდა. მთელი ეს ოცდაათი წელი კარგი და ერთგული ქმარი იყო, ცოლის აუგი ერთხელაც არ დასცდენია, ამიტომაც ახლა თითქოს მწუხარებას უნდა მისცემოდა. ის ხომ ყოველთვის იმას აკეთებდა, რასაც მისგან ოჯახი მოითხოვდა. მისთვის საშინელება იქნებოდა, სიტყვით ან ქმედებით გაემჟღავნებინა, თუ რაოდენ უცხო იყო მისთვის დაქვრივებული ქმრის განცდები. - არა, მარტო ავალ, - უთხრა კიტიმ. ის ზევით ავიდა და დიდ, ცივ, ვითომდა მდიდრულად მორთულ ოთახში შევიდა, სადაც მთელი ეს წლები დედამისს ეძინა. კიტის კარგად ახსოვდა წითელი ხის მძიმე ავეჯი და კედლებზე მარკუს სტოუნის გრავიურები. ტუალეტის მაგიდაზე ყველაფერი ზუსტად ისეთი წესრიგით ეწყო, როგორც მისის გარსტინის სიცოცხლეში. მას წესრიგისთვის არასოდეს უღალატია. ყვავილები კი უადგილო ჩანდა: მისის გარსტინი ყვავილებს თავის საწოლ ოთახში სისულელედ, მეტიჩრობად და ჯანმრთელობის საზიანოდ მიიჩნევდა.

მათი სურნელი ვერ ფარავდა დედის ოთახისთვის დამახასიათებელ ახალგარეცხილი თეთრეულის სუნის მსგავს მძაფრ და მძიმე სუნს. მისის გარსტინი საწოლზე იწვა, ხელები გულზე მორჩილად დაეკრიფა, რასაც სიცოცხლეში ვერ იტანდა. ძლიერი, მკვეთრი ნაკვთები, ტანჯვისგან ჩაცვენილი ლოყები და საფეთქლები ლამაზ, შთამბეჭდავ იერსაც კი ანიჭებდა. სიკვდილს მის სახეზე ბოროტების კვალი წაეშალა. მხოლოდ მტკიცე ხასიათის დაღი დაეტოვებინა. რომის იმპერატრისას ჰგავდა. კიტის გასაკვირად, რაც კი მიცვალებულები ენახა, მხოლოდ მას შეენარჩუნებინა ისეთი გამომეტყველება, რაც მოწმობდა, რომ ოდესღაც ეს გვამი სულის სადგომი იყო. კიტი მწუხარებას არ გრძნობდა, დედისგან ბევრი სიმწარე ახსოვდა და არ უყვარდა; როცა თავის ყმაწვილქალობას იხსენებდა, დედას ადანაშაულებდა თავის ცუდად აღზრდაში. მაგრამ ახლა, როცა უყურებდა ამ გულქვა, გაუნძრევლად და უხმოდ მწოლიარე, მედიდურ და პატივმოყვარე ქალს, რომლის უდიდესი მისწრაფებანი სიკვდილს გაეცამტვერებინა, გაურკვეველი სევდა შემოაწვა. ეს ქალი მთელი ცხოვრება გეგმებს აწყობდა, ხრიკებს მიმართავდა, მაგრამ ყველა მისი სურვილი უკადრისი და მდაბალი იყო. „ნეტავ, თუ შეაძრწუნებს თავისი ცხოვრების გზა, სხვა სამყაროდან რომ გადმოხედავს," ფიქრობდა კიტი. ამ დროს დორისი შემოვიდა. - ვიცოდი, ამ რეისით ჩამოხვიდოდი. გულმა არ მომითმინა და ერთი წუთით შემოვირბინე. რა საშინელებაა, არა? საწყალი, საყვარელი დედა. დორისს ცრემლები წასკდა და კიტის ჩაეხუტა. კიტიმ აკოცა. გაახსენდა, როგორ არაფრად აგდებდა დედა დორისს, მაშინ, როცა კიტის აღმერთებდა; რა უხეშად ექცეოდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ლამაზი არ იყო. აინტერესებდა, დორისი მართლა დამწუხრებული იყო, თუ თამაშობდა. თუმცა, ის ყოველთვის ძალიან მგრძნობიარე იყო. კიტი ნატრობდა, ნეტავ, ტირილი შემეძლოს, თორემ დორისი იფიქრებს, გულქვა ვარო. მაგრამ იმდენი ტანჯვა გამოიარა, ახლა თამაშის თავი არ ჰქონდა. - მამას ნახავ? - ჰკითხა დორისს, როცა ის დაწყნარდა. დორისმა თვალები შეიმშრალა. კიტიმ შეამჩნია, რომ ფეხმძიმობას მისი ნაკვთები

გაეუხეშებინა და შავ კაბაში უშნოდ გამოიყურებოდა. - არა, არ მინდა. თავს ვერ შევიკავებ და ავტირდები. საწყალი მოხუცი, რა ვაჟკაცურად იტანს. კიტიმ და გააცილა. მერე მამასთან დაბრუნდა. ის ბუხრის წინ იდგა, გაზეთი კოხტად დაეკეცა. უნდოდა კიტისთვის ეჩვენებინა, რომ აღარ კითხულობდა. - სადილისთვის ტანსაცმელი არ გამომიცვლია. - უთხრა კიტის. - ვფიქრობ, საჭირო არ არის. ისადილეს. მისტერ გარსტინმა დაწვრილებით უამბო კიტის დედის ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბები. იმ ნაცნობების სიკეთეზეც ესაუბრა, რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს (მაგიდაზე სამძიმრის წერილების დასტა ეწყო და როცა გაიფიქრა, ყველა მათგანზე პასუხი უნდა გაეცა, ამოიოხრა); ისიც უთხრა, დაკრძალვის საქმეები მოვაგვარეო. შემდეგ მამის კაბინეტში დაბრუნდნენ. მამამ ბუხრის თავიდან უნებლიეთ ჩიბუხი აიღო და გატენა დაიწყო, მაგრამ შვილს ეჭვის თვალით შეხედა და ჩიბუხი დადო. - არ მოწევთ? - ჰკითხა კიტიმ. - დედაშენს ჩიბუხის სუნი მაინცდამაინც არ სიამოვნებდა, ომის შემდეგ კი სიგარეტს თავი დავანებე. მისმა პასუხმა კიტის გული ატკინა. რა საშინელებაა, რომ სამოც წელს მიტანებულ კაცს საკუთარ კაბინეტში მოწევა ვერ გაებედა. - მე მომწონს ჩიბუხის სუნი, - გაუღიმა. მისტერ გარსტინს სახეზე შვება გამოეხატა. მან ისევ აიღო ჩიბუხი და მოუკიდა. ისინი ბუხართან ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ. მისტერ გარსტინი გრძნობდა, რომ კიტის მწუხარებაზე უნდა ელაპარაკა. - ალბათ, მიიღებდი წერილს, დედაშენმა რომ მოგწერა პორტ საიდში. საწყალი უოლტერის ამბავმა თავზარი დაგვცა. ძალიან კარგი კაცი იყო... კიტიმ არ იცოდა რა ეპასუხა. - დედაშენმა მითხრა, რომ ბავშვს ელოდები. - დიახ. - როდის? - დაახლოებით, ოთხ თვეში. - ეს დიდი ნუგეში იქნება შენთვის. აუცილებლად ნახე დორისის ბიჭი. საყვარელი ბავშვია. ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს უცხოები არიან და ერთმანეთი ეს-ესაა გაიცნესო. თუმცა უცხოები რომ ყოფილიყვნენ, მისტერ გარსტინს უფრო მეტადაც დააინტერესებდა კიტი, მაგრამ საერთო წარსული მათ შორის გულგრილობის კედელივით აღმართულიყო. კიტიმ კარგად იცოდა, რომ მამის სიყვარული არაფრით დაუმსახურებია; მას სახლში

არაფრად აგდებდნენ, მეწველ ძროხად თვლიდნენ; ცოტა ეზიზღებოდათ კიდეც, რადგან ოჯახს ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფდა. მაგრამ კიტის ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მამას ის უნდა ჰყვარებოდა; არადა, როცა გააცნობიერა, რომ მას კიტისადმი გრძნობის ნატამალიც არ გააჩნდა, ძალიან შეწუხდა; კიტიმ იცოდა, რომ მამა ყველას თავს აბეზრებდა, მაგრამ აზრად არასოდეს მოსვლია, რომ მასაც მოაბეზრეს თავი. მამა, როგორც ყოველთვის, ახლაც გულკეთილი და თვინიერი ჩანდა; მაგრამ გამჭრიახობამ, რაც ამდენმა ტანჯვამ შესძინა კიტის, აფიქრებინა, რომ მამამისს გულის სიღრმეში ის სძულდა, რაშიც, ალბათ, საკუთარ თავსაც კი არასოდეს გამოუტყდებოდა. ჩიბუხი არ ინთებოდა და მისტერ გარსტინი წამოდგა, რომ რაღაც ეპოვა ჩიბუხის მოსაჩხრეკად. შესაძლოა, ამით მღელვარების დაფარვას ცდილობდა. - დედაშენს უნდოდა აქ დარჩენილიყავი, სანამ ბავშვი გაჩნდებოდა, შენი ოთახის მოწყობას აპირებდა. - ვიცი. პირობას გაძლევთ, არ შეგაწუხებთ. - ოჰ, მაგიტომ არ გეუბნები. ასეთ მდგომარეობაში, რასაკვირველია, ყველაზე უკეთ მამაშენის სახლში იქნები, მაგრამ საქმე ისაა, რომ ახლახან ბაჰამის კუნძულებზე მთავარი მოსამართლის ადგილი შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. - ოჰ, მამა, როგორ მიხარია. სულითა და გულით გილოცავთ. - გვიან მივიღე მოწვევა. საწყალი დედაშენისთვის თქმაც კი ვერ მოვასწარი. ძალიან გაუხარდებოდა. აი, ბედის ირონია! მთელი თავისი მეცადინეობისა და ხრიკების შემდეგ მისის გარსტინი ისე წავიდა ამქვეყნიდან, ვერ გაიგო, რომ წარსულში იმედგაცრუებით შელახული პატივმოყვარეობა, ბოლოს და ბოლოს, დაუკმაყოფილდა. - მომავალი თვის დამდეგს მივემგზავრები. ამ სახლს აგენტს ჩავაბარებ, ავეჯის გაყიდვასაც ვაპირებდი. ვწუხვარ, რომ შენს აქ დატოვებას ვერ შევძლებ, მაგრამ თუ ავეჯიდან რამე მოგეწონება შენი ბინისთვის, სიამოვნებით დაგითმობ. - არ შეიძლება, თქვენთან ერთად რომ წამოვიდე, მამა? - შენ? ოჰ, ძვირფასო კიტი, - მისტერ გარსტინს სახე გაუმკაცრდა. კიტის ხშირად გაეგონა ეს სიტყვები, მაგრამ ყოველთვის უბრალო გამოთქმად მიაჩნდა, ახლა კი, თავის სიცოცხლეში პირველად, გააცნობიერა, რას

გულისხმობდა ამაში მამამისი. - კი მაგრამ, შენი ამხანაგები აქ არიან, დორისიც აქ არის. ჩემი აზრით, თავს უფრო ბედნიერად იგრძნობდი, ლონდონში რომ გეშოვა ბინა. ზუსტად არ ვიცი, რა ფინანსური მდგომარეობა გაქვს, მაგრამ დიდი სიამოვნებით გადაგიხდიდი ქირას. - საარსებოდ საკმარისი ფული მაქვს. - მე უცხო ადგილას მივდივარ. არც კი ვიცი, იქ როგორი პირობები იქნება. - უცხო ადგილებს შევეჩვიე. ლონდონი არაფრად მიღირს, აქ სული მეხუთება. მისტერ გარსტინმა წამით თვალები დახუჭა. კიტიმ იფიქრა, ტირილს ხომ არ აპირებსო. საოცრად გაუბედურებული იერი ჰქონდა. კიტის გული ეტკინა. ის მართალი იყო - ცოლის სიკვდილმა შვება მოჰგვარა, წარსულთან კავშირის სამუდამოდ გაწყვეტა კი თავისუფლებას ჰპირდებოდა. თვალწინ ედგა ახალი ცხოვრება, სიმყუდროვე და ბედნიერება, ამდენი წლის მერე ძლივს რომ ეღირსა. კიტი ბუნდოვნად გრძნობდა ყველა იმ ტანჯვას, ამ ოცდაათი წლის მანძილზე რომ გამოიარა მამამისმა. ბოლოს, მისტერ გარსტინმა თვალები გაახილა, თავი ვერ შეიკავა და ამოიოხრა. - რა თქმა უნდა, თუ წამოსვლა გინდა, ჩემთვის ეს დიდად სასიამოვნო იქნება. რა საცოდავი კაცი ყოფილა მამამისი. წინააღმდეგობა დიდხანს ვერ შეძლო. მოვალეობის გრძნობამ ფარ-ხმალი მალევე დააყრევინა. ამ რამდენიმე სიტყვით მან ყველაფერი დათმო. კიტი სკამიდან წამოდგა, მამასთან მივიდა, დაიჩოქა და ხელი მოჰკიდა. - არა, მამა, თუ არ გინდათ, არ წამოვალ. ისიც კმარა, რომ თავი შემოგვწირეთ. თუ მარტო გინდათ წასვლა, ჩემზე ერთი წუთითაც არ იფიქროთ. მისტერ გარსტინმა კიტის ლამაზ თმაზე ხელი გადაუსვა. - რა თქმა უნდა, მინდა, რომ წამოხვიდე, ძვირფასო. სხვა რომ არა, მამა ვარ, შენ კი, დაქვრივდი და მარტო ხარ. თუ ჩემთან ყოფნა გინდა, ჩემი მხრიდან დიდი სისასტიკე იქნება, ხელი გკრა. - სწორედ მაგას ვგულისხმობ. მე არავითარი უფლება არ მაქვს მხოლოდ იმიტომ მოგთხოვოთ რამე, რომ თქვენი შვილი ვარ, თქვენ ჩემი არაფერი გმართებთ. - ოჰ, ჩემო ძვირფასო შვილო! - არაფერი, - გაიმეორა კიტიმ მტკიცედ, - გული მეკუმშება, როცა მახსენდება, როგორ გასხედით კისერზე მთელი ცხოვრება, სამაგიეროს კი სულ მცირედი

სიყვარულითაც არ გიხდიდით. მგონი, დიდად ბედნიერი ცხოვრება არ გქონდათ. არ მომცემთ ნებას, რომ წარსულის შეცდომები ცოტა მაინც გამოვასწორო? მისტერ გარსტინმა ოდნავ შეჭმუხნა წარბები. კიტის აღელვებამ დააბნია. - არ მესმის, რას გულისხმობ. მე ვერაფერში გადანაშაულებ. - ოჰ, მამა, იმდენი რამ გადამხდა თავს, იმდენი უბედურება გამოვიარე, ის კიტი აღარ ვარ, აქედან რომ წავედი. ახლაც ძალიან უძლური ვარ, მაგრამ არა მგონია, ისევ ის ბილწი არსება ვიყო. მთელ ქვეყანაზე თქვენს მეტი არავინ მყავს. ნება მომეცით, თქვენი სიყვარული დავიმსახურო. ოჰ, მამა, რომ იცოდეთ, როგორი მარტოსული და უბედური ვარ. საოცრად მჭირდება თქვენი სიყვარული. კიტიმ მამის კალთაში ჩარგო თავი და გულამოსკვნით ატირდა. - ოჰ, ჩემო კიტი, ჩემო პატარა კიტი, - ჩურჩულებდა მისტერ გარსტინი. კიტიმ თავი ასწია და მამას კისერზე შემოჰხვია ხელები. - მამა, გთხოვთ, დამეხმარეთ მოდი, ერთმანეთს დავეხმაროთ. მისტერ გარსტინმა ტუჩებში აკოცა შეყვარებულივით და ლოყები კიტის ცრემლებით დაუსველდა. - აუცილებლად წამოხვალ ჩემთან ერთად! - მართლა გინდათ წამოვიდე? მართლა? - კი. - ისეთი მადლობელი ვარ თქვენი. - ოჰ, ძვირფასო, ასეთ რაღაცებს ნუ მეუბნები. უხერხულად ვგრძნობ თავს. მან ცხვირსახოცი ამოიღო და კიტის თვალები შეუმშრალა. გაუღიმა და კიტიმ პირველად იხილა მის სახეზე ასეთი ღიმილი. ისევ მოჰხვია კისერზე ხელები. - ისე მხიარულად ვიქნებით, საყვარელო მამა. ვერ წარმოიდგენთ, რა კარგად გავატარებთ ერთად დროს. - არ დაგავიწყდეს, რომ ბავშვს ელოდები. - მიხარია, ჩემი გოგონა ზღვის ხმაურში, დიდი ცისფერი ცის ქვეშ რომ დაიბადება! - უკვე გადაწყვიტე ბავშვის სქესი? - ჰკითხა მან სუსტი, მშვიდი ღიმილით. - გოგო მინდა, რათა ისე აღვზარდო, რომ ჩემი შეცდომები არ გაიმეოროს. როცა მახსენდება, როგორი ვიყავი, საკუთარი თავი მძულს. მაგრამ მე სხვა არჩევანი არც მქონდა. ჩემს შვილს კი ისე აღვზრდი, რომ თავისუფალი იყოს და საკუთარ თავს თვითონ განაგებდეს. არ მინდა მხოლოდ იმიტომ გავაჩინო, იმიტომ მიყვარდეს და გავზარდო, რომ მერე ვინმე, მხოლოდ მასთან დაწოლის სურვილით დათანხმდეს მთელი ცხოვრება

ბინითა და საზრდოთი უზრუნველყოს. იგრძნო, რომ მამა შეცბა. მისტერ გარსტინს ასეთი რამ არასოდეს უთქვამს და თავისი ასულის პირიდან ამ სიტყვების გაგონებამ თავზარი დასცა. - ნება მომეცით, ამ ერთხელ მაინც ვიყო გულახდილი. მამა, სულელი, უზნეო და საძაგელი ვიყავი, საშინლად დავისაჯე. გადავწყვიტე, ჩემს ქალიშვილს მაინც ავაშორო ეს ყველაფერი. მინდა უშიშარი და პატიოსანი იყოს. მინდა პიროვნება იყოს. სხვებისგან დამოუკიდებელი, თავისი თავის ბატონ-პატრონი, ცხოვრებას თავისუფალი ადამიანივით მიუდგეს და ჩემზე უკეთ იცხოვროს. - ისე ლაპარაკობ, ჩემო საყვარელო, თითქოს მართლა ბილწი ვინმე იყო. მთელი ცხოვრება წინ გაქვს. გულს ნუ გაიტეხ. კიტიმ თავი გადააქნია და გაიღიმა. - არც გავიტეხ. იმედიანად და მხნედ ვარ. წარსული დამთავრდა. დაე, „აცადენ მკუდარნი დაფლვად თგისთა მკუდართა“1 ნუთუ ეს საშინელი გულქვაობა იყო? კიტი მთელი გულით იმედოვნებდა, რომ თანაგრძნობა და გულმოწყალება ისწავლა. არ იცოდა, რას უმზადებდა მომავალი, მაგრამ იმდენ ძალას კი გრძნობდა, რომ ყველაფერს მხნედ და გაბედულად შეხვედროდა. მერე კი უეცრად, უმიზეზოდ, ქვეცნობიერების სიღრმიდან წამოუტივტივდა უახლოესი წარსული: ის და საწყალი უოლტერი მიემგზავრებოდნენ მძიმე სენით დაავადებული ქალაქისკენ, სადაც მას სიკვდილი ელოდა. ჯერ კიდევ ბნელოდა. გამთენიისას ისინი გზას გაუდგნენ. კიტის უფრო ეზმანა, ვიდრე ცხადში ნახა, ისეთი ენითაუწერელი სილამაზის სურათი, რომ ერთხანს გულში დაბუდებული ტკივილიც კი დაუამდა. ეს სურათი აუბრალოებდა კაცთა მოდგმის ტანჯვა-ვაებას. მზე ამოვიდა, ნისლი გაფანტა და კიტიმ დაინახა ბილიკი, რომელსაც ისინი უნდა გაჰყოლოდნენ. ბილიკი ბრინჯის ყანებს შორის მიიკლაკნებოდა, პატარა მდინარეს ჭრიდა და გორაკებში იკარგებოდა. იქნებ, კიტის ცოდვები და სისულელეები, ის უბედურება და მწუხარება, რაც მან გადაიტანა, მთლად ამაო არ იყო, თუკი ის შეძლებდა გაჰყოლოდა იმ გზას, ასე ბუნდოვნად რომ ეხატებოდა წინ. ეს არ იყო გზა არსაითკენ, რომელზედაც სასაცილო უედინგტონი უყვებოდა. ეს იყო გზა, რომელსაც ასე მორჩილად

მიუყვებოდნენ მონასტრის მონაზვნები და რომელიც სულიერ სიმშვიდეს მოუტანდა. ერთი ღამე ვილაშიერთი ღამე ვილაშიმთის წვერზე მდგარი ვილის აივნიდან ფლორენციის თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა. ვილის უკან, ძველ ბაღში რამდენიმე ყვავილი და ულამაზესი ხე ხარობდა. ბაღს დაბალ ღობედ შეკრეჭილი ბზა გასდევდა; აქვე იდგა ხელოვნური მღვიმე, რომლის დეკორატიული ყანწიდან ცივი, ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა. ეს სახლი მეთექვსმეტე საუკუნეში აეშენებინა ერთ ფლორენციელ დიდებულს, რომლის გაღარიბებულ შთამომავლებს ვიღაც ინგლისელისთვის მიეყიდათ. ამათ კი მერი პენტონს მიაქირავეს. ამ პატარა სახლს მაღალჭერიანი ოთახები ჰქონდა. მერის სავსებით აკმაყოფილებდა სახლის მეპატრონეების მიერ დატოვებული სამი მსახური. ოთახებში, სადაც მუდამ ორპირი ქარი დანავარდობდა, მოძველებული, მაგრამ კარგად მოვლილი ავეჯი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ვილაში ცენტრალური გათბობა არ იყო, მეპატრონეებმა რამდენიმე აბაზანა მოაწყვეს. მერი პენტონი აქ მარტის ბოლოს დაბინავდა, როცა ჯერ კიდევ ციოდა. ახლა კი ივნისი იყო. ამიტომ, სახლში ყოფნისას, მერი უმეტეს დროს აივანზე ატარებდა. აქედან გადასცქეროდა ფლორენციის ტაძრებსა და კოშკებს ან სახლის უკან მდებარე ბაღს. პირველ დღეებში მან ღირსშესანიშნაობები დაათვალიერა. ტკბებოდა უფიცისა და ბარჯელოს გალერეებით, დდღისით ეკლესიებში შედიოდა და საღამოს ძველთაძველ ქუჩებში დაეხეტებოდა. ბოლო დროს მხოლოდ მეგობრებთან ერთად ჩაის დასალევად ან სადილად თუ ჩავიდოდა ქალაქში. სიამოვნებით წვებოდა შეზლონგზე ბაღში და კითხულობდა წიგნებს; თუ გარემოს შეცვლა მოუნდებოდა, ფიატში ჯდებოდა და ფლორენციის გარეუბნებს ათვალიერებდა. მას ხომ ტოსკანის ნატიფ უბრალოებაზე უფრო თვალწარმტაცი არაფერი უნახავს! მერიმ სიმშვიდე ჰპოვა, როცა მარადმწვანე ზეთისხილის ჭალაში ხეხილი აყვავდა და ალვის ხეები შეიფოთლა. არადა, ეგონა, ამას ვეღარასოდეს ეღირსებოდა. ერთი წლის წინ ქმრის ტრაგიკულად დაღუპვისა და მღელვარებაში გატარებული თვეების შემდეგ, როცა

არსად წასვლა არ შეეძლო, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლებოდა იურისტებს გამოეძახებინათ (ისინი მისი ქმრის განიავებული ქონების ნარჩენებს აკოწიწებდნენ), მერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლეონარდებმა დასამშვიდებლად და მომავალზე დასაფიქრებლად ეს ძველი სახლი შესთავაზეს. რვა წლის ხელგაშლილი ცხოვრებისა და უიღბლო ქორწინების შემდეგ ოცდაათმა წელმაც მოუკაკუნა კარზე. ახლა მას რამდენიმე ძვირფასი თვალ-მარგალიტი და არცთუ ისე დიდი წლიური შემოსავალი ჰქონდა. ეს საკმარისი იყო საიმისოდ, რომ სამსახურზე არ ეფიქრა, თუმცა, ეკონომია მაინც უნდა გაეწია. ყველაფერი იმაზე უკეთ მოეწყო, ვიდრე დასაწყისში იურისტები იმედოვნებდნენ, მათი თქმით, ვალების გასტუმრების შემდეგ აღარაფერი დარჩებოდა. უკვე ორთვე-ნახევარია, რაც ფლორენციაში იყო და გრძნობდა, თუ ხელცარიელი დარჩებოდა, მაინც მშვიდად გაუსწორებდა თვალს სინამდვილეს. ინგლისიდან რომ მოდიოდა, მისმა მეგობარმა მოხუცმა ადვოკატმა ხელზე ხელი მოუთათუნა და უთხრა: - ახლა აღარაფერზე იდარდოთ, ჩემო კარგო, მხოლოდ თავს მიხედეთ. თქვენს სილამაზეზე არაფერს ვიტყვი, მას ვერაფერი ავნებს. თქვენ ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ხართ და დარწმუნებული ვარ, კვლავ გათხოვდებით. მაგრამ არ გათხოვდეთ სიყვარულით. ეს შეცდომაა. გათხოვდით მდგომარეობისა და მეგობრობისთვის. მერის გაეცინა. მწარე გამოცდილების შემდეგ აღარ აპირებდა ქორწინებით თავი კვლავ საფრთხეში ჩაეგდო. საკვირველი იყო, რომ ახლა ის იმ გამჭრიახი მოხუცი ადვოკატის რჩევაზე ფიქრობდა. ისე ჩანდა, თითქოს, ამ საღამოს უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი. მერი ახლა ედგარ სვიფტს ელოდებოდა. მან თხუთმეტი წუთის წინ დაურეკა და უთხრა, რომ მოულოდნელად მიემგზავრებოდა კანში, ლორდ სიფეართან. უნდოდა წასვლამდე აუცილებლად ენახა მერი. ლორდი სიფეარი ინდოეთის სახელმწიფო მდივანი იყო. ეს მოულოდნელი გამოძახება, რაზეც ედგარი დიდი ხანია ოცნებობდა, დიდი თანამდებობის შეთავაზების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო. სერ ედგარ სვიფტი, „ინდოეთის ვარსკვლავის“ მეორე ხარისხის ორდენის

კავალერი, ისევე, როგორც მანამდე მერის მამა, ინდოეთის სამოქალაქო სამსახურში მუშაობდა და დიდი კარიერაც მოიწყო. ხუთი წელი ჩრდილო-დასავლეთი პროვინციების გუბერნატორი იყო და დიდი არეულობის ჟამს საოცარი უნარი გამოიჩინა. თავისი რწმუნების ვადის გასვლის მომენტში ის ითვლებოდა ინდოეთის ყველაზე ნიჭიერ პიროვნებად, რომელსაც მმართველის ყველა თვისება ჰქონდა - სიმტკიცე ხელს არ უშლიდა ტაქტიანი ყოფილიყო, ხოლო თანამდებობა - კეთილშობილი და მომთმენი; ურჩობას ვერ იტანდა. ინდოელებსაც და მუსლიმებსაც უყვარდათ და ენდობოდნენ. ედგარს მერი ბავშვობიდან იცნობდა. როცა მერის ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამა გარდაეცვალა, დედამისთან ერთად ინგლისში დაბრუნდა. ედგარ სვიფტი თავისი შვებულების უმეტეს დროს მათთან ატარებდა. პატარა მერი მას ცირკში და საბავშვო წარმოდგენებზე დაჰყავდა, ქალიშვილობისას კი, კინოსა და თეატრში. დაბადების დღესა და შობაზე საჩუქრებს უგზავნიდა. ცხრამეტი წელი რომ შეუსრულდა, დედამ უთხრა: - მერი, ჩემო კარგო, შენს ადგილას, ედგარს ასე ხშირად არ შევხვდებოდი. არ ვიცი, ამჩნევ თუ არა, მაგრამ უყვარხარ. მერიმ გაიცინა: - ედგარი ხნიერია. - ის მხოლოდ ორმოცდასამისაა, - მკვახედ მიახალა დედამ. ორი წლის შემდეგ, როცა მერი მეთიუ პენტონზე დაქორწინდა, ედგარმა რამდენიმე საუცხოო ინდური ზურმუხტი აჩუქა. ხოლო, როცა მიხვდა, რომ მერის ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა, საოცარი გულკეთილობით ეპყრობოდა. გუბერნატორობის ვადა გაუვიდა თუ არა, ედგარი ლონდონში გაემგზავრა. მერის ფლორენციაში ყოფნის ამბავი რომ შეიტყო, ცოტა ხნით აქ ჩამოაკითხა. კვირა კვირას მისდევდა, ედგარი კი წასვლას არ ჩქარობდა. მერი ძალზე გულუბრყვილო უნდა ყოფილიყო, რომ არ შეემჩნია, როგორ ელოდა ის ხელსაყრელ მომენტს ხელის სათხოვნელად. ნეტავ, როდის შეუყვარდა მერი? ქალმა წარსულს გადაავლო თვალი - ალბათ, მაშინ, ინგლისში რომ ჩამოვიდა და მერი ბავშვი კი არა, უკვე თხუთმეტი წლის მოწიფული ქალიშვილი დახვდა. ეს ხანგრძლივი ერთგულება მართლაც გულის ამაჩუყებელი იყო. მათ შორის ახლა ასაკობრივი

სხვაობა წინანდებურად აღარ იგრძნობოდა. ესეც არ იყოს, ედგარი ახლა ვიღაც უცნობი მოხელე კი არ იყო ინდოეთში, არამედ წარჩინებული და გავლენიანი პიროვნება გახლდათ. სისულელე იყო იმაზე ფიქრი, რომ მთავრობა იოლად შეელეოდა ედგარის დამსახურებას. უეჭველი იყო, რომ მას თანამდებობრივი წინსვლა ელოდა. მერის არც დედა ჰყავდა და აღარც ვინმე გულშემატკივარი ნათესავი. ახლა ედგარზე ახლობელი არავინ ეგულებოდა. - დროა, გადავწყვიტო, - თქვა მერიმ. სადაცაა ედგარიც მოვიდოდა. მერიმ არ იცოდა, სასტუმრო ოთახში მიეღო თუ არა. ეს ოთახი ყველა ტურისტულ კატალოგში იყო შეტანილი, რადგან კედლები უმცროსი გირლანდაიოს1 მოხატული იყო, დიდებული ავეჯი და ჭაღი კი რენესანსის დროინდელი და მეტისმეტად მდიდრული. მერიმ იგრძნო, რომ ეს ოთახი მათ შეხვედრას უხერხულ პომპეზურობას შემატებდა. სჯობდა, ვერანდაზე შეგებებოდა, სადაც მთელ საღამოს ატარებდა ხოლმე, აქედან ტკბებოდა ფლორენციის ხედით. ასე უფრო ბუნებრივი იქნებოდა: თუ ედგარი მართლაც აპირებდა ხელის თხოვნას, ეს ორივეს ღია ცის ქვეშ უფრო გაუადვილდებოდა ჭიქა ჩაისა და ნამცხვართან ერთად. გარემო შესაფერისი და სათანადოდ რომანტიკული იყო. ვერანდის ირგვლივ, ხისა და მარმარილოს კასრებში, თვალწარმტაცყვავილებიანი ფორთოხლის ხეები ხარობდა. ვერანდას შემოვლებული ჰქონდა ძველი ქვის მოაჯირი, რომელზეც ალაგ-ალაგ ქვისავე ლარნაკები ეწყო, ხოლო კუთხეებში თავს იწონებდნენ ბაროკოს სტილის წმინდანთა ნახევრად დამტვრეული ქანდაკებები. მერი ლერწმის ღრმა სავარძელზე წამოწვა და მოახლე ნინას ჩაი მოატანინა. ედგარისთვის მომზადებული მეორე სავარძელი ჯერჯერობით ცარიელი იყო. უღრუბლო ცაზე შორს, ქვემოთ, ქალაქი ივნისის ნაშუადღევის ნაზ, კაშკაშა სხივებში ბანაობდა. როგორც იქნა, მანქანის ძრავის ხმა შემოესმა. რამდენიმე წუთში ნინას ქმარი ჩირო, ლეონარდების მოურავი, შემოუძღვა ედგარს ვერანდაზე. მაღალ და გამხდარ ტანზე კოხტად შეკერილი ლურჯი სარჟის კოსტიუმი ეცვა, ხოლო თავზე შდავი შლაპა ეხურა. ისეთი სპორტული და ელეგანტური

შესახედაობა ჰქონდა, აუცილებლად მიხვდებოდით, რომ ჩინებული ჩოგბურთელი, მოჯირითე და მსროლელი იყო. ედგარმა შლაპა მოიხადა. გამხდარ, ინდოეთის მზეზე გარუჯულ სახეს ოდნავ შევერცხლილი ხუჭუჭი შავი თმა უმშვენებდა. ხშირ წარბებქვეშ ღრმად ჩამჯდარი წაბლისფერი, გამჭრიახი თვალები და არწივისებური ცხვირი მოუჩანდა, ნიკაპი კი მის სიმტკიცეზე მეტყველებდა. ორმოცდათოთხმეტი წლისას ორმოცდახუთზე მეტს არ მისცემდით. მოხდენილ ედგარს ახლა გაფურჩქვნის ხანა ედგა. თავი ღირსეულად ეჭირა, მაგრამ არა მედიდურად. ეს ადამიანი უნებურად ნდობას ჩაგინერგავდათ, იფიქრებდით, რომ მას ვერანაირი პრობლემა, თუ შემთხვევა ვერ შეაშინებდა. - ამ დილით სიფეარმა დამირეკა და ბენგალის გუბერნატორობა შემომთავაზა. გადაუწყვეტიათ, რომ შექმნილი ვითარების გამო იქაურობის მცოდნე პიროვნება დანიშნონ, რადგან უცხომ, სანამ რაიმე სიკეთეს გააკეთებს, ჯერ ადგილობრივი სიტუაცია უნდა შეისწავლოს. - თქვენ, რა თქმა უნდა, დათანხმდებით. - რასაკვირველია. ეს ის სამსახურია, რომელიც ყველაზე მეტად მინდოდა. - ძალიან მიხარია. - თუმცა ბევრი რამის ხელახლა შესწავლა მომიწევს. ამ საღამოს მილანში მივდივარ, იქიდან კანში გავფრინდები. ორი-სამი დღე დამჭირდება, რაც ნამდვილად მოსაწყენია, მაგრამ სიფეარი ჩემთან დაუყოვნებლივ შეხვედრას ითხოვს. - ბუნებრივია. ედგარს მკვრივ, ოდნავ თხელტუჩიან სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა და თვალები ნაზად აუელვარდა. - თქვენ იცით, ჩემო კარგო, ეს დიდი თანამდებობაა და თუ წარმატებას მივაღწევ, მაშინ მართლაც შემიძლია ვიამაყო.. - მე მჯერა, რომ წარმატებას მიაღწევთ. - წინ ბევრი შრომა და დიდი პასუხისმგებლობა მელოდება, მაგრამ მეც სწორედ ეს მიზიდავს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ანაზღაურებადია. ბენგალი დიდი შტატია, მომხიბლავი. იქაური გუბერნატორი სასახლეში ცხოვრობს, ასე რომ, უამრავი სტუმრის მიღება მომიწევს. მერი ნართაულს მიუხვდა. ნათელი, თანაგრძნობის გამომხატველი ღიმილი შეაგება, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერაფერს მიხვდა. ტანში საამო ჟრუანტელმა დაუარა. - რა თქმა უნდა,

ამ თანამდებობის პირი ცოლიანი უნდა იყოს, მარტოხელას ძალიან გაუჭირდება. მერის თვალებიდან საოცარი გულწრფელობა გამოუკრთა, როცა მიუგო: - დარწმუნებული ვარ, ბევრი მშვენიერი ქალი სიხარულით გაიზიარებდა თქვენს დიდებულ მდგომარეობას. - ოცდაათი წელი ვიცხოვრე ინდოეთში და გამოგიტყდებით, რომ თქვენს ნათქვამში არის სიმართლე, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მე მხოლოდ ერთადერთ ქალზე ვოცნებობ. გადამწყვეტი წამი ახლოვდებოდა. „ჰო“ ეთქვა თუ „არა“? ოჰ, როგორ უჭირს არჩევანი! ედგარის მზერაში ოდნავი სიეშმაკე შეიმჩნეოდა. - ნუთუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მთელი არსებით მიყვარხართ? ბავშვობიდან, აი, იმ დროიდან, მოკლედ შეკრეჭილი თმა რომ გქონდათ. ვინ რა პასუხს გასცემდა ამაზე? მერიმ მხიარულად გაიცინა. - ოჰ, ედგარ, რა სისულელეს ამბობთ. - თქვენისთანა მშვენიერსა და მომხიბლავ არსებას ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარ. ვიცოდი, ჩემი ოცნება უაზრობა იყო. ოცდახუთი წლით უფროსი ვიყავი, მამათქვენის ტოლი. ვეჭვობდი, რომ ბავშვობაში სასაცილო, ძველი ყაიდის ბებრად მიგაჩნდით. - არასოდეს, - წამოიძახა მერიმ და ცოტა იცრუა. - როგორც უნდა იყოს, ბუნებრივია, თქვენი ტოლი შეგიყვარდებოდათ. მერწმუნეთ, რომ მომწერეთ და მაცნობეთ, ვთხოვდებიო, ვიმედოვნებდი, ბედნიერი იქნებოდით. გული მეტკინა, როცა გავიგე, ასე არ იყო. - ალბათ, მეთიუ და მე ოჯახისთვის ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. - მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. რამდენჯერ მიფიქრია იმაზე, ჩვენი ასაკობრივი სხვაობა მაშინდელივით მნიშვნელოვანი თუ არის თქვენთვის. ამ შეკითხვაზე ისე ძნელი იყო პასუხის გაცემა, რომ მერიმ გაჩუმება არჩია. - მე მუდამ თავს ვუვლიდი. ასაკმა ვერ დამჯაბნა, მაგრამ ჩემი უბედურება ისაა, რომ წლებმა თქვენ ვერაფერი დაგაკლოთ, უფრო დაგამშვენათ. მერიმ გაიღიმა. - არ მეგონა, თუ ოდესმე აღელდებოდით, ედგარ. თქვენ ხომ რკინის კაცი ხართ. - შე პატარა ალქაჯო, მართალს ამბობ, ვღელავ. რაც შეეხება რკინას, თქვენზე უკეთ არავინ იცის, რომ თქვენს ხელში მე მხოლოდ თოვლის გუნდა ვიყავი. - ედგარ, თქვენ ხელს მთხოვთ? - დიახ. ამან გაგაბრაზათ თუ

გაგაოცათ? - არა, არ გავბრაზებულვარ. კარგად იცით, რომ მომწონხართ. თქვენისთანა მამაკაცი ჯერ არ შემხვედრია. ძალიან მსიამოვნებს, რომ ჩემი შერთვა გსურთ. - მაშ, გამომყვებით? მერის უცნაურად აუტოკდა გული. ედგარი ლამაზი კაცი იყო, ბენგალის გუბერნატორის ცოლობა და წარჩინებული მდგომარეობა კი - მიმზიდველი. - თქვენ, მგონი, ორი თუ სამი დღით მიდიხართ. - მეტით არა. სიფეარი ლონდონში უნდა დაბრუნდეს. - დაუცდით პასუხს დაბრუნებამდე? - რა თქმა უნდა, ეს გონივრულიცაა. მოიფიქრეთ. ალბათ, გადაჭრით რომ „არას“ ფიქრობდეთ, მაშინ მოსაცდელიც არაფერი იქნებოდა. - მართალია. - გაიღიმა მერიმ. - მოდით, ნუღარაფერს ვიტყვით. სამწუხაროდ, უნდა წავიდე, თორემ მატარებელი გამასწრებს. მერიმ ტაქსიმდე მიაცილა ედგარი. - ჰო, მართლა, პრინცესას ვუთხრა, რომ დღეს ვერ ესტუმრებით? სადილად ორივე მოხუც პრინცესა სან ფერდინანდოსთან იყვნენ მიწვეულნი. - დიახ, უკვე დავურეკე და ვუთხარი, რამდენიმე დღით ფლორენციიდან მივდივარ-მეთქი. - მიზეზიც შეატყობინეთ? - ხომ იცნობთ იმ ბებერ ტირანს, - ნაძალადევად გაიღიმა ედგარმა. - საყვედურით ამავსო, მითხრა, უკანასკნელ წამს მღალატობო და სიმართლე ვეღარ დავუმალე. - არაფერია, სხვას მიიწვევს, - მიუგო მერიმ გულგრილად. - ალბათ, ჩიროს გაიყოლებთ, რადგან მე არ ვიქნები. - არა, ჩიროს და ნინას გავუშვებ. - საშიშია ამ მიყრუებულ ქუჩებში შუაღამით სიარული, მაგრამ პირობას ხომ არ გადახვალთ? - რა პირობაა? ოჰ, რევოლვერი? ეს კი, მართლაც სასაცილოა. ტოსკანის ქუჩებში არაფერია საშიში, ისევე, როგორც ინგლისის ქუჩებში, მაგრამ თქვენ რომ დაგამშვიდოთ, წავიღებ. მერის მარტო უყვარდა ავტომობილით სეირნობა. ედგარმა ეს იცოდა და როგორც ყველა ინგლისელს, მასაც სწამდა, რომ უცხოელები საშიში ხალხია. ამიტომ მერი ძლივს დაიყოლია, რომ მისთვის რევოლვერი გამოერთმია. - ქვეყანა სავსეა მშიერი მუშებითა და ღატაკი ლტოლვილებით, - უთხრა მაშინ ედგარმა, - ერთი წამითაც ვერ მოვისვენებ, თუ არ მეცოდინება, რომ, საჭიროების შემთხვევაში, თავდაცვას შეძლებთ. ჩირო ტაქსისთან იდგა, რომ ედგარისთვის კარი

გაეღო. ედგარმა ორმოცდაათი ლირა ამოიღო და გაუწოდა. - ჩირო, მე რამდენიმე დღით მივდივარ. ამაღამ სინიორას ვერ მოვაკითხავ. აუცილებლად წაიღოს რევოლვერი, შემპირდა, წავიღებო. - კეთილი, სინიორე, - მიუგო ჩირომ. მერი სარკესთან იჯდა. ნინა ინტერესით უყურებდა და ხანდახან არამკითხესავით რჩევებს აძლევდა. ნინა კარგა ხანია, რაც ლეონარდებთან ცხოვრობდა და ინგლისური ასე თუ ისე იცოდა. მერი კი ამ ხუთ თვეში იტალიურში გაიწაფა. ამიტომ კარგად უგებდნენ ერთმანეთს. - ნინა, საკმარისად მისვია ფერუმარილი? - ჰკითხა მერიმ. - სინიორა, თქვენისთანა ფერის ადამიანს საერთოდ რად უნდა ფერუმარილი. - დღეს წვეულებაზე ყველას ესმევა და მეც თუ ცოტა არ წავისვი, ფერმკრთალი გამოვჩნდები. მერიმ ლამაზი კაბა ჩაიცვა, ბრილიანტის ბეჭდები გაიკეთა და წვეულების შესაფერისი პატარა, სასაცილო, მაგრამ კოხტა შლაპა დაიხურა. ახალ რესტორანში მიდიოდნენ არნოს სანაპიროზე, სადაც გემრიელი საჭმელი ეგულებოდათ. ცის ქვეშ უნდა დამტკბარიყვნენ ივნისის საამური ღამითა და მთვარის შუქით განათებული მდინარის გადაღმა მიდამოებით. იქ მოხუც პრინცესას მომღერალი აღმოეჩინა, არაჩვეულებრივი ხმა აქვსო და უნდოდა, მისი სიმღერით სტუმრებიც დამტკბარიყვნენ. მერიმ ჩანთა აიღო. - ესეც ასე, მე მზად ვარ. - სინიორას რევოლვერი დაავიწყდა. რევოლვერი პატარა მაგიდაზე იდო. მერის გაეცინა. - შე სულელო, მეც ის მინდოდა, რომ დამვიწყებოდა. რად მინდა? არასოდეს მისროლია და რევოლვერის საშინლად მეშინია. ნებართვაც არ მაქვს; რომ მიპოვონ, ვინ იცის, რა უსიამოვნებას გადავეყრები. - აკი შეპირდით სინიორეს? - სინიორე უჭკუო ბებერია. - მამაკაცებს სიყვარული ასულელებთ. მერიმ ნინას სახე აარიდა. სწორედ ახლა არ სურდა ამაზე საუბარი. იტალიაში მომხიბლავი მოახლეები არიან, ერთგულნი და გამრჯენი, მაგრამ არასოდეს იფიქროთ, რომ მათ რაიმეს გამოაპარებთ. მერიმ კარგად იცოდა, რომ ნინა გულწრფელად გაუბამდა საუბარს ედგართან ურთიერთობაზე. მერიმ ჩანთა გახსნა. - კარგი, ჩადე ეს საზიზღრობა. ჩიროს ორადგილიანი, მოძრავსახურავიანი ავტომობილი გამოეყვანა,

რომელიც მერიმ ვილის დაქირავებისას იყიდა და როცა აქედან წავიდოდა, ნებისმიერ ფასად გაყიდდა. მერი ავტომობილში ჩაჯდა. ვიდრე ფლორენციისკენ მიმავალ გზაზე გავიდოდა, ფრთხილად გაიარა ბილიკი, ჭიშკარი და დაკლაკნილი ვაკე. სინათლე ჩართო, საათს დახედა და რადგან ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდა, გზა ნელი სვლით განაგრძო. წვეულებაზე გული არ მიუწევდა. ერჩივნა აივანზე მარტო ესადილა, შემდეგ შუაღამემდე იქვე მჯდარიყო და მყუდროებით დამტკბარიყო. ამ დროს მისი გრძნობაც და გონებაც ფხიზლობდა. ალბათ, იყო რაღაც ტოსკანის ფაქიზ ჰაერში ისეთი, რაც ადამიანის ფიზიკურ შეგრძნებას სულიერ ელფერს ანიჭებდა. აქაური ჰაერი ისევე აგაღელვებდათ, როგორც მოცარტის მელოდიური, მხიარული მუსიკა, თან ნაღვლიანი ჰანგიც რომ გასდევს და ისეთ სიამოვნებას განიჭებთ, თითქოს სხეული სულს განშორდა. ეს რამდენიმე სანეტარო წუთი განგარიდებთ ყოველგვარ ამქვეყნიურ სიბილწეს და ზეციურ მშვენიერებას გაზიარებთ. „ნეტავ, არ წამოვსულიყავი“, გაიფიქრა მერიმ. - „მეც უარი უნდა მეთქვა, რაკი ედგარი არ წამოვიდა.“ - დიახ, იქ წასვლა სისულელეა. სჯობდა სახლში დავრჩენილიყავი და მშვიდად ამეწონ-დამეწონა ყველაფერი. - თქვა მან ხმამაღლა. მართალია, მერი კარგა ხანია ხვდებოდა, რომ ედგარს ის უყვარდა, მაგრამ დღევანდლამდე არ იყო დარწმუნებული, რომ გამოუტყდებოდა. ამიტომაც არასოდეს უფიქრია პასუხზე. ფიქრობდა, რომ სიტუაციის მიხედვით მოიქცეოდა. ახლა კი, როცა ედგარი სიყვარულში გამოუტყდა, საშინელ გაურკვევლობაში ჩავარდა. ამასობაში ქალაქში შევიდა. ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნეებმა და ველოსიპედისტებმა ყურადღება საჭეზე გადაატანინეს. მერი რესტორანში ყველაზე გვიან მივიდა. პრინცესა სან ფერდინანდო ამერიკელი იყო. შევერცხლილი ხუჭუჭი თმა და მბრძანებლური იერი ჰქონდა. იტალიაში ისე გაატარა ორმოცი წელი, რომ სამშობლოში ერთხელაც არ წასულა. ქმარი, რომაელი პრინცი, ოცდახუთი წლის წინ გარდაეცვალა. მისი ორი ვაჟი იტალიის არმიაში მსახურობდა. პრინცესას ჰქონდა ცოტა ფული, მახვილი ენა და ჩინებული ხასიათი. ის არასდროს ყოფილა ლამაზი,

თუმცა ხანშიშესული პრინცესა, მშვენიერი თვალებითა და გამოკვეთილი ნაკვთებით, ალბათ, ახლა უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე ახალგაზრდობაში. ამბობდნენ, ქმარს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდაო, მაგრამ ამას სრულიადაც არ უმოქმედია იმ მაღალ მდგომარეობაზე, რომელიც თავად მოიპოვა. ის იცნობდა ყველას, ვისაც საჭიროდ თვლიდა და მასთან მეგობრობას ყველა აფასებდა. მის სტუმრებს შორის იყვნენ: ინგლისიდან სამოგზაუროდ ჩამოსული პოლკოვნიკი და ლედი გრეის ტრეილი, რამდენიმე იტალიელი და ერთიც ახალგაზრდა ინგლისელი, რაულ ფლინტი, რომელიც მერიმ ფლორენციაში გაიცნო. აღსანიშნავია, რომ ის მერის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. - უნდა გითხრათ, რომ აქ ედგარის მაგივრად ვარ, - უთხრა მან მერის, როცა ხელი ჩამოართვა. - კარგი ქნა, რომ მოვიდა, - ჩაურთო პრინცესამ, - როცა ედგარმა დამირეკა და მითხრა, კანში მივდივარო, რაული დავპატიჟე და მოვიდა კიდეც, თუმცა სხვაგან აპირებდა წასვლას. - ხომ იცით, პრინცესა, თქვენთან სტუმრობისთვის ყველა შეხვედრას გადავდებ, - მიუგო ფლინტმა. პრინცესამ მშრალად გაიღიმა. - უნდა გითხრათ, რომ სანამ დამთანხმდებოდა, დაწვრილებით გამომკითხა, სტუმრად ვინ მეყოლებოდა. - სასიამოვნოა, რომ რაულის საკადრისნი აღმოვჩნდით, - შენიშნა მერიმ. პრინცესამ ფლინტს კვლავ გაუღიმა. მის ღიმილში იგრძნობოდა იმ ბებერი მრუშის თანაგრძნობა, რომელსაც არ დავიწყებია და არც მოუნანიებია თავისი საეჭვო წარსული; ამავე დროს, სამყაროს თავისი ხელისგულივით იცნობს და მისთვის არავინ იმაზე მეტს არ წარმოადგენს, რაც სინამდვილეშია. - დიდი არამზადა ხართ, რაულ, ლამაზი მაინც იყოთ, გეპატიებოდათ, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვწონხართ, - განაცხადა პრინცესამ. რაული სილამაზით მართლაც არ ბრწყინავდა. საშუალო სიმაღლის იყო და არცთუ ცუდი აღნაგობის, თუმცა სმოკინგში უფრო ჩასკვნილი ჩანდა. ვერ იტყოდით, რომ რომელიმე ნაკვთი ლამაზი ჰქონდა: კბილები თეთრი, მაგრამ უსწორმასწორო; კანი ქორფა, თუმცა არც მთლად გლუვი; თმა ხშირი, მაგრამ არც მუქი და არც ღია, რაღაც უცნაური წაბლისფერი

შეფერილობის, ხოლო დიდრონი, ლამაზი თვალები იმდენად ღია ცისფერი, რომ ყველას რუხი ეჩვენებოდა. რაულს ფუქსავატური იერი ჰქონდა. მისი ნაცნობ-მეგობრებიც ამბობდნენ, რომ ის არასანდო კაცი იყო. ერთი სიტყვით, საკმაოდ საეჭვო წარსული ჰქონდა. ოცი წლისამ მშობლიური სახლი დატოვა და სხვაზე დანიშნულ გოგოზე იქორწინა. ორი წლის შემდეგ ცოლმა გათხოვილ ქალთან კავშირში დაადანაშაულა და სასამართლოში უჩივლა. სამი წლის შემდეგ ცოლს გაეყარა და სხვა შეირთო, არა ის, რომელიც ქმარს მის გამო გაშორდა, არამედ სხვა და ისიც ორ-სამ წელიწადში მიატოვა. ახლა ფლინტი ოცდაათ წელს იყო გადაცილებული. მოკლედ, ამ კაცს საშინელი რეპუტაცია ჰქონდა, რასაც იმსახურებდა კიდეც. მასზე კარგს ვერავინ იტყოდა. ინგლისელი მოგზაური, მაღალი, წითური, პირხმელი, უგუნური შესახედაობისა და ჯაგრისის მსგავსი რუხულვაშიანი პოლკოვნიკი ტრეილი განცვიფრებული იყო, პრინცესამ მე და ჩემი ცოლი ამისთანა ვიგინდარას საზოგადოებაში როგორ დაგვპატიჟაო. „ეგ იმ ადამინთა რიცხვს არ ეკუთვნის, წესიერ ქალთან რომ უნდა იჯდეს“, - იტყოდა, ალბათ, პოლკოვნიკი, ვინმესთვის ამისი თქმა რომ შეძლებოდა. ის ნასიამოვნები დარჩა, როცა დაინახა, რომ მისი მეუღლე რაულ ფლინტის არშიყს პირქუშად უსმენდა. ფლინტი რომ უცხო ვინმე ყოფილიყო, კიდევ არა უშავდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ფლინტი და პოლკოვნიკის ცოლი ბიძაშვილები იყვნენ. წარმოშობით ფლინტი აქ მყოფთაგან არავის ჩამოუვარდებოდა და კარგი შემოსავალიც ჰქონდა, მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ საკუთარი თავის სარჩენად თვითონ არასოდეს უმუშავია. ამბობენ, ყველა ოჯახში გამოერევა ერთი შავი ცხვარიო; მაგრამ პოლკოვნიკი ვერ მიმხვდარიყო, რატომ ეხვეოდნენ ფლინტს ქალები. პოლკოვნიკის მსგავს წესიერ ინგლისელს არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ამის მთავარი მიზეზი რაულის ავხორცობა იყო. ისიც კი, რომ ქალებთან ურთიერთობაში დიდი ზრდილობითა და პატიოსნებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა, უფრო მეტ ხიბლს მატებდა. როგორ ცუდადაც უნდა ყოფილიყო ქალი მის მიმართ განწყობილი, ნახევარ საათში ისე

მოულბობდა გულს, რომ აფიქრებინებდა, ნუთუ, ნახევარი მაინცაა მართალი, რასაც მასზე ამბობენო. მაგრამ რომ გეკითხათ, რაულმა რით მოგხიბლათო, პასუხი გაუჭირდებოდა. რასაკვირველია, ფლინტი სილამაზით არ გამოირჩეოდა. გარეგნობაში არაფერი ჰქონდა ისეთი, თვალში რომ გცემოდათ. ავტოფარეხის ხელოსანს ჰგავდა. ელეგანტური სმოკინგი კომბინეზონივით ადგა. ეტყობოდა, აინუნშიც არ აგდებდა თავის გარეგნობას. გამაღიზიანებელი ის იყო, რომ სერიოზულად არაფერს ეკიდებოდა, სიყვარულსაც კი; ქალს ადვილად აგებინებდა, რომ მისგან მხოლოდ ერთი რამ სურდა. მისი ეს გულცივობა აუტანლად შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ რაღაც ჰქონდა ისეთი, ფარ-ხმალს რომ დაგაყრევინებდა - უხეშობის უკან სინაზეს ფარავდა, დაცინვაში კი - სითბოს. იცოდა, რომ ქალი მამაკაცისგან სრულიად განსხვავებული არსება იყო და ეს საოცარ ხიბლს მატებდა. ახლა მისი ვნებიანი ტუჩები და ალერსიანი რუხი თვალები! მოხუცი პრინცესა მისთვის ჩვეული უხეშობით რაულზე ასე ამბობდა: „რა თქმა უნდა, რაული, როგორც კაცი, დიდი ვერაფერია, მაგრამ მე რომ ოცდაათი წლით ახალგაზრდა ვიყო და ცოლობა მთხოვოს, ერთი წამითაც არ დავფიქრდებოდი, თუნდაც ვიცოდე, რომ ერთ კვირაში მიმატოვებს და მთელ ცხოვრებას გამიუბედურებსო“. მაგრამ მას სუფრასთან ზოგადი საუბარი უყვარდა და როცა სტუმრები მაგიდას შემოუსხდნენ, მერის მიმართა: - სამწუხაროა, რომ სერ ედგარი ამ საღამოს ჩვენთან ვერ მოვიდა. - ისიც ძალიან შეწუხდა, კანში მოუწია წასვლა. პრინცესა დანარჩენებს მიუბრუნდა. - ახლა მეტად საიდუმლო ამბავს გაგიმხელთ, მაგრამ ნურავის ეტყვით. ედგარი ახლახან ბენგალის გუბერნატორი გახდა. - მართლა? - შესძახა პოლკოვნიკმა. - ღმერთმანი, ჩინებული თანამდებობაა! - მოულოდნელად მოხდა? - ედგარმა იცოდა, რომ ის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო, - თქვა მერიმ. - ის სწორედ რომ ზედგამოჭრილია ამ ადგილისთვის, - განაცხადა პოლკოვნიკმა, - თავი თუ გაართვა, არც ის გამიკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ინდოეთში ინგლისის მეფისნაცვალი გახდეს. - ოჰ, როგორ მინდა ინდოეთის მეფისნაცვლის ცოლი ვიყო,- თქვა

პრინცესამ. - მერე და რატომ არ მისთხოვდებით? - ჰკითხა ღიმილით მერიმ. - როგორ, ის უცოლოა? - იკითხა ლედი გრეისმა. - დიახ, - პრინცესამ ცბიერი, ღვარძლიანი მზერა მიაპყრო მერის. - დასამალი რა მაქვს, თავდავიწყებით მეარშიყებოდა ამ ექვსი კვირის განმავლობაში. რაულმა ჩაიცინა და თავისი გრძელი წამწამებიდან ცერად გახედა მერის. - მერე, რა გადაწყვიტეთ, მისთხოვდებით? თუ ასეა, არა მგონია, თქვენგან თავის დაღწევა მოახერხოს მაგ საწყალმა. - ვფიქრობ, მეტად შესაფერისი წყვილი იქნება, - მიუგო მერიმ. მერიმ კარგად იცოდა, რომ პრინცესაც და რაულიც ერთ თამაშს თამაშობდნენ, მაგრამ არ უნდოდა, თავი გაეცა. ედგარ სვიფტმა ნათლად აგრძნობინა ყველას, რომ მერი უყვარდა და პრინცესამაც არაერთხელ სცადა მერისგან გაეგო, აქედან რა გამოვიდოდა. - არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა კალკუტის ჰავა, - მიუბრუნდა პრინცესას ლედი გრეისი, რომელმაც ყველაფერი სერიოზულად მიიღო. - ოჰ, მე უკვე იმ ასაკის ვარ, როცა დროებით კავშირს ამჯობინებენ, - გამოეხმაურა პრინცესა, - დასაკარგი დრო სად მაქვს. ამიტომაც რაულს ჩემი გულის პატარა კუნჭული მივუჩინე. მას ხომ ყოველთვის ავხორცი ზრახვები აქვს. პოლკოვნიკმა ამრეზით დახედა თევზს, რომელიც მართლა არ იყო დასაწუნი, რადგან ახლახან ჩამოეტანათ. პოლკოვნიკის ცოლიც ძალდატანებით იღიმებოდა. რესტორანში მცირე ორკესტრი უკრავდა. მუსიკოსებს გაცრეცილი ნეაპოლური ხალხური სამოსი ეცვათ და ნეაპოლურ სიმღერებს ასრულებდნენ. უეცრად პრინცესამ განაცხადა: - დროა იმ მომღერალს მოვუსმინოთ, რომელზეც გელაპარაკეთ. მოხიბლული დარჩებით. საუცხოო ხმა აქვს. ჰაროლდ ატკინსონი სერიოზულად ფიქრობს, რომ საოპეროდ გაწვრთნას. პრინცესამ ოფიციანტს უხმო. - უთხარით იმ მომღერალს, ის სიმღერა გვიმღეროს, ბოლოს რომ მოვისმინე. - თქვენო აღმატებულებავ, მომღერალი დღეს აქ არ არის, ავადაა. - ოჰ, როგორ გულით მინდოდა ჩემს მეგობრებსაც მოესმინათ. - მის მაგივრად სხვა გამოგზავნეს, ოღონდ მევიოლინე, ვეტყვი დაუკრას. - ვიოლინოზე მეტად არაფერი მეჯავრება, - თქვა პრინცესამ, - არ მესმის, რატომ უნდა უსმინო მკვდარი კატის ნაწლავებზე ცხენის

ძუის ფხაჭუნს. უფროსი ოფიციანტი ექვს ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ არც ერთი ენისა არაფერი გაეგებოდა და გადაწყვიტა, პრინცესას ვიოლინოს მოსმენა ძალზე ესიამოვნებაო. ის მევიოლინესთან მივიდა, ისიც ადგა და ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა; უცნაური ნეაპოლური ტანსაცმელი მევიოლინეს რაღაც რომანტიკულ იერს აძლევდა, თუმცა ნახევრად მშიერი გამომეტყველება ჰქონდა - მშვიდი სახე გალეოდა და ლოყები ჩაცვენოდა. მან რაღაც მელოდია დაუკრა. - ეს რა საშინელებაა, ჩემო ჯოვანი, - უთხრა პრინცესამ უფროს ოფიციანტს. უფროსი ოფიციანტი ახლაღა მიუხვდა პრინცესას. - კარგად ვერ უკრავს, ძალიან ვწუხვარ, არ ვიცოდი. მომღერალი ხვალ იქნება. ორკესტრმა სხვა ნაწარმოების დაკვრა დაიწყო. ამით რაულმა ისარგებლა და მერის მიუბრუნდა: - დღეს მეტად მომხიბლავი ხართ. - გმადლობთ. რაულს თვალები აუციმციმდა. - გინდათ გითხრათ, რატომ მომწონხართ? როცა კომპლიმენტს გეუბნებიან, სხვა ქალებივით თავს არ იკატუნებთ; სულაც არ გიკვირთ და თავი ისე გიჭირავთ, თითქოს გეუბნებიან, ყოველ ხელზე ხუთი თითი გაბიათო... - გათხოვებამდე მხოლოდ ჩემი გარეგნობით ვირჩენდი თავს. მამა რომ გარდამეცვალა, მე და დედაჩემი პენსიით ვცხოვრობდით. დრამატული სკოლის დამთავრების შემდეგ როლებს ჩემი გარეგნობის წყალობით მაძლევდნენ. - ვფიქრობ, კინოშიც წარმატებას მიაღწევდით. მერიმ გაიცინა: - სამწუხაროდ, უნიჭო ვარ. გარეგნობის მეტი არაფერი მებადა. ალბათ, თანდათან ვისწავლიდი კიდეც, მაგრამ გავთხოვდი და სცენა მივატოვე. მერი ოდნავ მოიღუშა. ერთი წამით ნაღვლიანად გადაავლო თვალი წარსულს. რაული მის კლასიკურ პროფილს მიშტერებოდა. ის მართლაც მშვენიერი იყო. უნაკლო ნაკვთებთან ერთად, ძალზე კოლორიტული სახე ჰქონდა. - თქვენ ოქროს გოგონა ხართ, - უთხრა ფლინტმა. მერის მუქი ოქროსფერი თმა ჰქონდა, დიდრონი წაბლისფერი თვალები და ბაცი ოქროსფერი კანი. რომ არა ეს ფერები და სწორი ნაკვთები, ცივი სახე ექნებოდა; სწორედ ეს ფერები ანიჭებდა განუზომლად მომხიბლავ სითბოსა და მდიდრულ იერს. - თქვენისთანა მზეთუნახავი ჯერ არ შემხვედრია, -

გადაულაპარაკა ფლინტმა. - რამდენი ქალისთვის გითქვამთ ეგ? - ბევრისთვის, თუმცა ეს ჩემს ენას ხელს არ უშლის სიმართლის თქმაში. მერის გაეცინა: - მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ, მოდით, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი. - რატომ? ეს თემა ყველაზე საინტერესოა. - თექვსმეტი წლიდან მეუბნებიან, ლამაზი ხარო, და ამის გაგონება უკვე აღარ მაღელვებს. ეს განძია და სულელი უნდა ვიყო, რომ არ ვიცოდე მისი ფასი. თუმცა ამას ზიანიც მოაქვს. - თქვენ მეტად ჭკვიანი გოგონა ხართ. - ეს კომპლიმენტი კი ნამდვილად სასიამოვნოა. - კომპლიმენტის თქმას არ ვაპირებდი. - მართლა? მე კი თქვენი ნათქვამი ათასჯერ მოსმენილის შესავლად მომეჩვენა. ულამაზო ქალს შლაპა მიეცი, ლამაზს კი წიგნიო, ასე არაა? რაული არ დაიბნა: - დღეს, ცოტა არ იყოს, ენამწარობთ. - სამწუხაროა, რომ ასე ფიქრობთ. მე მხოლოდ მინდოდა, ერთხელ და სამუდამოდ გაგეგოთ, რომ ვერაფერს გახდებით. - განა, არ იცით, რომ თავდავიწყებით მიყვარხართ? - თავდავიწყებით? მე კი მგონია, რომ ჩემთან თამაშით ერთობით. ქვრივი, ლამაზი, მარტოხელა და ისიც ფლორენციაში, სწორედ რომ თქვენი სამიზნეა. - განა, შეიძლება გაამტყუნოთ ახალგაზრდა, რომელიც გაზაფხულზე სიყვარულზე ოცნებობს? რაულის საქციელი ისეთი მოუგერიებელი იყო, ხოლო გულწრფელობა კი, ისეთი მომხიბლავი, რომ მერიმ ღიმილი ვერ შეიკავა. - არ გამტყუნებთ, ოღონდ, მე რაც შემეხება, ნახტომი არ შეგეშალოთ, არ მინდა ძვირფასი დრო ტყუილად დაკარგოთ. - გმადლობთ გაფრთხილებისთვის. მართალი რომ გითხრათ, დასაკარგი დრო ბევრი მაქვს. - თექვსმეტი წლიდან მამაკაცები სულ მუდამ თავს დამტრიალებდნენ. ვინც უნდა იყვნენ ისინი - ბებრები თუ ახალგაზრდები, მახინჯები თუ ლამაზები, ყველას მიაჩნია, რომ ქალმა მხოლოდ მათი ვნება უნდა დააკმაყოფილოს. - შეყვარებული არ ყოფილხართ? - ერთხელ ვიყავი. - ვინ გიყვარდათ? - ჩემი ქმარი, ამიტომაც მივთხოვდი. წამიერი სიჩუმე გამეფდა. დუმილი პრინცესამ დაარღვია და სუფრის წევრები ისევ საერთო თემაზე ალაპარაკდნენ. ვახშამმა გვიანობამდე გასტანა. თერთმეტს გადასცდა თუ არა,

პრინცესამ ანგარიში მოითხოვა. დაშლას რომ აპირებდნენ, მათთან მევიოლინე მივიდა თეფშით ხელში. თეფშზე რამდენიმე გროში და ცოტაოდენი ქაღალდის ფული ეყარა - ორკესტრის გასამრჯელო. მერიმ ჩანთა გახსნა. - ნუ წუხდებით, - უთხრა რაულმა, - მე მივცემ. ჯიბიდან ათი ლირა ამოიღო და მევიოლინეს თეფშზე დაუდო. - მეც მინდა მივცე, - მიუგო მერიმ. მან ასი ლირა დაუდო. მევიოლინე განცვიფრდა და მერის მიაშტერდა. მერე თავი მდაბლად დაუკრა და წავიდა. - რატომ მიეცით მაგდენი? - წამოიძახა რაულმა. - ხომ არ გაგიჟდით? - იმიტომ, რომ ცუდად უკრავს და, ეტყობა, უბედურია. - მართალია, მაგრამ მაგათ ამდენს არ აძლევენ. - ვიცი და ამიტომაც მივეცი. შეიძლება ეს ფული არცთუ ისე ბევრია, მაგრამ მისთვის რაღაცას ნიშნავს, იქნებ, ამან შეუცვალოს ცხოვრება. იტალიელი სტუმრები თავიანთი ძვირფასი ავტომობილებით წავიდ-წამოვიდნენ. პოლკოვნიკი და მისი ცოლი კი პრინცესამ წაიყვანა. - მერი, იქნებ რაული თქვენ მიგეყვანათ სასტუმროში, - მიმართა პრინცესამ, - ჩემკენ არ მოდის, თორემ მე გავიყოლებდი. - წამიყვანთ? - ჰკითხა რაულმა მერის. მერიმ იეჭვა, რომ ეს წინასწარ მოფიქრებული ეშმაკობა იყო, რადგან იცოდა, როგორ უყვარდა ავხორც ბებერ პრინცესას სასიყვარულო ინტრიგები. რაული კი მისი ფავორიტი იყო. ასეთ საფუძვლიან თხოვნაზე მერის უარის თქმა მოერიდა და დათანხმდა. ისინი ავტომობილში ჩასხდნენ და სანაპიროს გაუყვნენ. გზას მთვარე უნათებდათ. თითქმის არ ლაპარაკობდნენ. რაული გრძნობდა, მერი ჩაფლული იყო საკუთარ ფიქრებში, რომლებიც მას არ ეხებოდა და არ სურდა ხელი შეეშალა, მაგრამ სასტუმროსთან რომ მივიდნენ, უთხრა: - ასეთი სასიამოვნო ღამის ძილში გატარება დანაშაულია, ცოტა ხომ არ გაგვესეირნა? ხომ არ გეძინებათ? - არა. - მაშ, ქალაქგარეთ გავიდეთ. - გვიანი არ არის? - გარეუბნის გეშინია თუ ჩემი? - არც ერთის. მერი მდინარის დინებას გაუყვა და მალე მინდვრებს შორის მისრიალებდნენ. აქა-იქ, გზის პირას, ამაყად აღმართული წერწეტა კვიპაროსის ხეებში თითო-ოროლა გლეხური ქოხი იდგა. - ედგარ სვიფტზე თხოვდებით? - ჰკითხა რაულმა მოულოდნელად. მერიმ სწრაფად შეხედა. - იცოდით, რომ

მასზე ვფიქრობდი? - საიდან უნდა მცოდნოდა. მერიმ პასუხი ოდნავ დააყოვნა. - დღეს მთხოვა ხელი, მე კი დავპირდი, რომ პასუხს ჩამოსვლისთანავე ვეტყოდი. - მაშ, არ გყვარებიათ. მერიმ სვლას უკლო. ეტყობოდა, ლაპარაკი სურდა. - რატომ გგონიათ? - რომ გყვარებოდათ, სამი დღე არ დაგჭირდებოდათ მოსაფიქრებლად, მაშინვე დათანხმდებოდით. - მგონი, მართალი უნდა იყოთ, მე არ მიყვარს ედგარი. - მას კი უყვარხართ. - ედგარი მამაჩემის მეგობარი იყო და ბავშვობიდან ვიცნობ. ყოველთვის საოცრად თბილად მეპყრობოდა და მისი მადლობელი ვარ. - მგონი, ოცი წლით უფროსი უნდა იყოს თქვენზე. - ოცდაოთხით. - წარჩინებული მდგომარეობა ხომ არ გხიბლავთ? - ალბათ. განა, არ იცით, რომ ქალთა უმრავლესობას ეს ხიბლავს? ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ ადამიანი ვარ. - მაშ, თქვენი აზრით, გაცილებით სასიამოვნო იქნება იმ კაცთან ცხოვრება, ვინც არ გიყვართ? - მე არ მსურს სიყვარული. უკვე ყელში მაქვს ამოსული. ეს ისე გააფთრებით თქვა, რომ რაული გაოცდა. - თქვენი ასაკის ადამიანისგან ეს უცნაური მოსასმენია. ახლა ისინი უკვე ქალაქგარეთ იყვნენ და ვიწრო გზას მიჰყვებოდნენ. მოწმენდილ ცაზე მთვარე კაშკაშებდა. მერიმ ავტომობილი გააჩერა. - იცით რა, მე თავდავიწყებით მიყვარდა ჩემი ქმარი. მეუბნებოდნენ, სულელი ხარ, მაგას რომ გაჰყევი, ბანქოს მოთამაშე და ლოთიაო. მე კი არ მაინტერესებდა. მას მაშინ თავზესაყრელად ჰქონდა ფული, მაგრამ ერთი ცენტიც რომ არ ჰქონოდა, მაინც გავყვებოდი. ვერ წარმოიდგენთ, რა მომხიბლავი იყო, რა ლამაზი, მხიარული და გულკეთილი. ერთად ვერთობოდით, მეტად ხალისიანი და მოსიყვარულე იყო სიფხიზლეში. სიმთვრალეში აყალმაყალი და ტრაბახი უყვარდა; თავაშვებული და მოჩხუბარი იყო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მრცხვენოდა, მაგრამ ვერ ვუბრაზდებოდი. რომ გამოფხიზლდებოდა ისე ნანობდა, რომ დალევა აღარ უნდოდა. ჩემთან მუდამ ფხიზელი იყო. სხვებთან კი, თავს ვერ იკავებდა და ორი-სამი ჭიქის შემდეგ ვეღარ ჩერდებოდა. მე ველოდებოდი, სანამ უგონოდ არ დათვრებოდა. მაშინ კი, მიჯერებდა და შინ მომყვებოდა. რა

არ ვიღონე, რომ მომერჩინა, მაგრამ ამაოდ. ვერაფერს გავხდი. არა მგონია, ლოთს რაიმე ეშველოს და იძულებული გავხდი მისი მომვლელი და მეთვალყურე ვყოფილიყავი. აფთრდებოდა ხოლმე, როცა მის დაოკებას ვცდილობდი, მაგრამ, აბა, სხვა რა უნდა მექნა? არ მინდოდა მბრძანებლად მოვჩვენებოდი, მაგრამ ცდას არ ვაკლებდი, რომ ლოთობას გადამეჩვია. ზოგჯერ ბრაზს ვერ ვიკავებდი და საშინლად ვჩხუბობდით. ის თავაწყვეტილი მოთამაშე იყო და სიმთვრალეში ასობით გირვანქა სტერლინგს აგებდა. რომ არ მომკვდარიყო, გაკოტრდებოდა და მე ისევ სცენაზე დაბრუნება მომიწევდა. ახლა ცოტაოდენი ქონება მაქვს და ის თვალ-მარგალიტი, მან რომ ქორწინებისას მაჩუქა. ზოგჯერ მთელი ღამეები შინ არ ბრუნდებოდა; ვიცოდი, რომ ჭკუადაკარგული პირველსავე შემხვედრ ქალს გაეკიდებოდა. თავდაპირველად ეჭვმა ლამის გამაგიჟა და თავს უბედურად ვთვლიდი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, ეს ჩემთვის კარგიც იყო, რადგან შინ დაბრუნებული, ვისკის სუნით გაჟღენთილი და სახეაშლილი მე დამიწყებდა ალერსს, მე კი ვიცოდი, რომ მას არა ჩემდამი სიყვარული აღუძრავდა ვნებას, არამედ სასმელი, მხოლოდ სასმელი. მე ვიქნებოდი თუ სხვა, მაშინ მისთვის სულ ერთი იყო; მისი კოცნა ცუდად მხდიდა, ვნება კი მაძრწუნებდა და შეურაცხმყოფდა. როცა ჟინს მოიკლავდა, ხვრინვას ამოუშვებდა. თქვენ გიკვირთ, რომ ვამბობ, სიყვარული ყელში ამომივიდა-მეთქი? წლების განმავლობაში სიყვარულისგან მე მხოლოდ დამცირება ვიგემე. - რატომ არ გაეყარეთ? - როგორ უნდა გავყროდი? სულითა და ხორცით ჩემზე იყო დამოკიდებული. როცა საქმე ცუდად წაუვიდოდა, ან რაიმე უსიამოვნება შეხვდებოდა, ანდა ავად იყო, დახმარებისთვის მე მაკითხავდა. ბავშვივით მებღაუჭებოდა... მერის ხმა ჩაუწყდა. - ისე მოტყდებოდა ხოლმე, გული მიკვდებოდა. თუმცა მღალატობდა, მემალებოდა, რომ ჩუმად დაელია; თუმცა ზოგჯერ ისეთ დღეს ვაყრიდი, რომ ჩემი დანახვა არ უნდოდა, გულის სიღრმეში მაინც ყოველთვის ვუყვარდი. იცოდა, რომ არასოდეს მივატოვებდი და რომ უჩემოდ დაიღუპებოდა. სიმთვრალეში მხეცი იყო, არამეგობრული, მხოლოდ

ნაძირლებთან მეგობრობდა, წურბელასავით რომ ეკვროდნენ, სისხლს სწოვდნენ და ატყავებდნენ. იცოდა, რომ მე ვიყავი ერთადერთი ამქვეყნად, ვინც მასზე დარდობდა. მეც ვიცოდი, რომ მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, მასსა და მის სრულ განადგურებას შორის და როცა სული ჩემს კალთაზე დალია, გული მომიკვდა. მერის ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები და არც უცდია მათი შეკავება. რაული, ალბათ, ფიქრობდა, ცრემლი შვებას მოუტანსო, და მდუმარედ იჯდა. მერე პაპიროსს მოუკიდა. - მეც მომეცით. ეჰ, რა სულელი ვარ. რაულმა სათუთუნე ამოიღო და მერის გაუწოდა. ჩანთა მათ შუა იდო და როცა რაულმა ცხვირსახოცის ამოსაღებად გახსნა, გაუკვირდა, რომ ხელში რევოლვერი მოხვდა. - რევოლვერი რად გინდათ? - ედგარს არ მოსწონს, მარტო რომ დავდივარ, სიტყვა ჩამომართვა, რომ თან ვატარებდი. ვიცი, რომ სისულელეა. რაულის ამ ახალმა შეკითხვამ მერის დასამშვიდებლად დრო მისცა. - მაპატიეთ, რომ გრძნობას ავყევი. - როდის გარდაგეცვალათ ქმარი? - შარშან. ახლა მადლობელი ვარ, რომ გარდაიცვალა. ახლა ვგრძნობ, რომ მასთან ქორწინებით ცხოვრება დავიმახინჯე, ის კი, მუდამ უიმედოდ განწირული იყო. - რით გარდაიცვალა? - მოტოციკლეტზე დაიმტვრა. მთვრალი იყო, სამოცი მილის სისწრაფით მოდიოდა და ნაწვიმარ გზაზე მოსხლტა. სულ რამდენიმე საათი იცოცხლა. მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალს მივუსწარი. მერი, მე მუდამ მიყვარდიო, ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მერიმ ამოიოხრა: - მისმა სიკვდილმა ორივეს შვება მოგვიტანა. ცოტა ხანს მდუმარედ ისხდნენ და პაპიროსს ეწეოდნენ, რაულმა მეორეს მოუკიდა. - ვითომ ისევ თავს არ იმონებთ, როცა იმაზე თხოვდებით, ვინც არ გიყვართ? - ჰკითხა რაულმა, ისე, თითქოს საუბარი არც შეუწყვეტიათ. - რამდენად იცნობთ ედგარს? - ამ ხუთი თუ ექვსი კვირის მანძილზე, რაც თქვენ დაგდევთ, ხშირად შევხვედრივარ. ის იმპერიის მშენებელია. ედგარისთანა ხალხი მე არ მიზიდავს. მერის გაეცინა. - ეს მეც ვიცი. ის მტკიცე ხასიათის, ჭკვიანი და სანდო ადამიანია. - მე სულ არ მგვანებია. - შეიძლება, რომ ერთი წამით თქვენზე არ ვილაპარაკოთ? - კარგი, განაგრძეთ, ჩამოთვალეთ

მისი სათნოებანი. - ის გულკეთილია, ყურადღებიანი, ამბიციური. მას გაუკეთებია დიდი საქმეები და მომავალში კიდევ უფრო მეტს გააკეთებს. შესაძლოა, მეც დავეხმარო. ალბათ, სულელად ჩამთვლით, მაგრამ მეც მინდა რაიმე სასიკეთო გავაკეთო. - თქვენ ჩემზე კარგი შეხედულების არ ხართ? - არა. - ჩაეცინა მერის. - ნეტავ, რატომ? - თუ გინდათ, გეტყვით, - მიუგო ცივად, - იმიტომ რომ უქნარა და ვიგინდარა ხართ, დროსტარებისა და ქალების გარდა, არაფერზე ფიქრობთ. - ზედმიწევნით ზუსტად დამახასიათეთ. ბედნიერი ვარ, რომ მემკვიდრეობის წყალობით თავის რჩენაზე ფიქრი არ მიწევს. ნუთუ გგონიათ, რომ მუშაობას დავიწყებ და ვინმე ღატაკს ლუკმაპურს წავართმევ? ერთხელ ვცხოვრობ და ჩემს ჭკუაზე უნდა ვიცხოვრო. მე თავდავიწყებით მიყვარს სიცოცხლე. ბედნიერი ვარ და საშუალება მაქვს ვიცხოვრო ცხოვრებისთვის. სულელი ვიქნები, ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე რომ არ ამოვწურო. მიყვარს ქალები და მათაც საოცრად ვუყვარვარ. ახალგაზრდა ვარ და ვიცი, რომ ახალგაზრდობა წარმავალია. რატომ არ უნდა ვატარო დრო, როცა შემიძლია? - როგორ განსხვავდებით ედგარისგან. - გეთანხმებით, მაგრამ, იქნებ ჩემთან ცხოვრება უფრო ადვილი და სახალისოა? - ნუ გავიწყდებათ, რომ ედგარს ჩემი შერთვა სურს. თქვენ კი, დროებით კავშირს მთავაზობთ. - ამას რა გაფიქრებინებთ? - ჯერ ერთი, თქვენ ცოლიანი ხართ. - აი, ამაში კი ცდებით, ცოლს ორი თვის წინ გავეყარე. - და არ ამხელდით! - ვმალავდი, რადგან ქალები უცნაურად უყურებენ ქორწინებას. საქმე გაცილებით ადვილდება, როცა ამაზე ლაპარაკიც არ არის, მაშინ ყველამ თავისი ადგილი იცის. - მიგიხვდით, - ღიმილით მიუგო მერიმ, - რატომ გამიმხილეთ თქვენი დანაშაულებრივი საიდუმლო? თუ მე წესიერად დავიჭერ თავს და დაგნებდებით, მაშინ თქვენ ნიშნობის ბეჭდით დამასაჩუქრებთ, არა? - ძვირფასო, მე იმდენი ჭკუა მაქვს, რომ სულელად არ ჩაგთვალოთ. - ძვირფასს ნუ მეძახით. - დალახვროს ეშმაკმა, მე ახლა ხელს გთხოვთ. - ხელს მთხოვთ? რატომ? - მგონი ცუდი იდეა არ უნდა იყოს, თქვენ რას იტყვით? - საშინელი აზრია. ეს რამ გაფიქრებინათ? - აი, ახლა ვიფიქრე, ქმრის

ამბავს რომ მიყვებოდით, ვიგრძენი, რომ თავდავიწყებით მიყვარხართ. თქვენდამი უნაზესმა გრძნობამ დამიპყრო. - ასე ნუ ლაპარაკობთ. დიდი ეშმაკი ხართ, იცით, როგორ უნდა მოალბოთ ქალის გული. - რომ არ განვიცდიდე, ვერც ვიტყოდი. - ოჰ, გაჩუმდით. თქვენი ბედი, რომ წყნარი ხასიათი მაქვს და ხუმრობა მესმის. მოდით, ფლორენციაში დავბრუნდეთ, სასტუმროსთან ჩამოგსვამთ. - ეს უარის ნიშანია? - დიახ. - რატომ? - გეტყვით, მაგრამ გაგიკვირდებათ: მე სრულებით არ მიყვარხართ. - არ მიკვირს, ვიცი, მაგრამ შემიყვარებთ, თუ შესაძლებლობის ნახევარს ხელიდან არ გაუშვებთ. - ოჰ, რა თავმდაბალი ყმაწვილი ხართ. მაგრამ მე არ მინდა მაგ შესაძლებლობით ვისარგებლო. - გადაწყვეტილი გაქვთ, რომ ედგარ სვიფტს გაჰყვეთ? - ახლა კი. გმადლობთ საუბრისთვის, არავინ მყავდა, ვისაც ამაზე დაველაპარაკებოდი. თქვენ დამეხმარეთ გადაწყვეტილების მიღებაში. - ეშმაკმა დამლახვროს, თუ ვხვდებოდე, როგორ დაგეხმარეთ. - ქალები მამაკაცებისგან განსხვავებულად მსჯელობენ. თქვენს ნათქვამთან, ჩემს ქმართან, მოგონებასთან, ტანჯვასა და უბედურებასთან შედარებით, ედგარი სალ კლდესავით გამოიყურება, ის მტკიცეა და ერთგული. ვიცი, რომ მისი ნდობა შეიძლება. არასოდეს გამიცრუებს იმედს, ამის გაკეთებას ვერ შეძლებს. ის მე უზრუნველ ცხოვრებას მთავაზობს. აი, ამ წამს ისეთი ნაზი გრძნობა მაქვს მის მიმართ, რომ ეს თითქმის უკვე სიყვარულია. - აქ ვიწრო გზაა, - თქვა რაულმა, - თუ გინდათ საჭესთან მე დავჯდები. - ჩემს ავტომობილს მეც კარგად მოვაბრუნებ, გმადლობთ. რაულის ამ სიტყვებმა მერი უცებ წამიერად აანთო. არა იმიტომ, რომ ეს ავტომობილის ტარებას შეეხებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამან მერის ნათქვამს, ცოტა არ იყოს, არადამაჯერებელი ელფერი მისცა. - ორივე მხარეს თხრილია, მეშინია რომელიმეში არ ჩამაგდოთ. - გააჩუმეთ ეგ თქვენი წყეული ენა. რაულმა პაპიროსს მოუკიდა და მერის მიაჩერდა. მერიმ მთელი ძალით შემოაბრუნა საჭე, ძრავა გამორთო, ისევ ჩართო და თხრილს ფრთხილად შემოუარა. გზაზე გავიდა და შინისკენ გასწია. სასტუმრომდე ხმაამოუღებლივ მიდიოდნენ. უკვე გვიანი იყო და

სასტუმროს კარი დაეკეტათ. რაულს არ უცდია ავტომობილიდან გადმოსვლა. - მოვედით, - უთხრა მერიმ. - ვიცი. ის ერთ წამს მდუმარედ იჯდა და რაღაცას მიშტერებოდა. მერიმ ცნობისმოყვარეობით შეხედა. რაულმა ღიმილით უთხრა: - თქვენ სულელი ხართ, მერი, ჩემო კარგო, რადგან უარი მითხარით, თუმცა გეტყვით, რომ მე უფრო კარგი ქმარი ვიქნებოდი, ვიდრე თქვენ გგონიათ. სულელი ხართ, რომ ოცდახუთი წლით უფროს კაცს მიჰყვებით. თავად რამდენის ხართ? ბევრი-ბევრი ოცდაათის. მერი, თქვენ არაფერი გესწავლებათ, საკმარისია, კაცმა შეხედოს თქვენს ტუჩებს, თქვენი თვალების სითბოსა და სხეულის ნაკვთებს, რომ ვნება დაინახოს. ვიცი, უბედურება გამოიარეთ, მაგრამ თქვენს ასაკში ადამიანი იკურნება. ისევ შეგიყვარდებათ ვინმე. ნუთუ გგონიათ, რომ ვნებას დაიოკებთ. ეგ თქვენი მშვენიერი სხეული საალერსოდაა შექმნილი და იგი თავისას გაიტანს. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ და ცხოვრებას კარს ვერ მიუკეტავთ. - რაულ, თქვენ მე ზიზღს მგვრით, ისე ლაპარაკობთ, თითქოს ლოგინი იყოს ჩვენი ცხოვრების მიზანი, მისი არსი. - საყვარელი არ გყოლიათ? - არასოდეს. - ქმრის გარდა, ალბათ, ბევრს უყვარდით. - არ ვიცი. ზოგი მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი, მაგრამ მათ სიტყვებს ჩემთვის ჩალის ფასიც კი არ ჰქონდა. მე იმას კი არ ვამბობ, ცდუნებას არ ავყოლივარ-მეთქი, არა, უბრალოდ, ვერავინ მაცდუნა. - განა, შეიძლება, ფუჭად წავიდეს თქვენი სიყმაწვილე და სილამაზე? ერთიცა და მეორეც წარმავალია, რა ფასი აქვს მოუხმარებელ სიმდიდრეს? თქვენ კეთილი და გულუხვი ქალი ხართ. ნუთუ, არასოდეს გდომებიათ სიმდიდრის გაჩუქება? მერი ერთ წამს ჩუმად იყო. - გინდათ, რაღაც გითხრათ? ალბათ, იმაზე სულელად ჩამთვლით, ვიდრე სინამდვილეში ვარ. - შეიძლება, მაგრამ მაინც მითხარით. - ვიცი, რომ ბევრზე ლამაზი ვარ, სულელი უნდა ვიყო, რომ ეს არ ვიცოდე. ისიც მართალია, რომ ზოგჯერ მიგრძვნია, ბევრი რამის მიცემა შემიძლია ადამიანისთვის, რომელსაც ეს სჭირდება. ეს თავის ქებასავით ხომ არ გამომდის? - არა, სრული ჭეშმარიტებაა. - ამ ბოლო დროს ბევრი თავისუფალი დრო მქონდა.

გამოვტყდები, ბევრ სისულელეზე ვფიქრობდი. თუ ოდესმე საყვარელს გავიჩენ, ის თქვენნაირი არ იქნება. მაგრამ ზოგჯერ მიფიქრია: ვინმე რომ შემხვდეს ღარიბი, მარტოხელა და უბედური, ვისაც ცხოვრებაში არასოდეს განუცდია სიხარული, არასოდეს უგრძვნია ფულის ძალა და შევძლებ, თუნდაც ერთი საათით მაინც გავაბედნიერო, მივანიჭო ისეთი რამ, რაზეც ვერც კი იოცნებებდა და რაც აღარასოდეს განმეორდება, მაშინ სიხარულით მივცემდი მას ყველაფერს, რისი მიცემაც კი შემიძლია. - ასეთი გიჟური რამ არასოდეს გამიგია, - შესძახა რაულმა. - ახლა ხომ გაიგეთ? - მიუგო მერიმ სიცილით. - ახლა ჩადით და შინ გამიშვით. - ამ ღამე მარტო წახვალთ? - დიახ. როგორმე სახლამდე მივაღწევ. - მაშ, ღამე მშვიდობისა, გაჰყევით იმ თქვენი იმპერიის მშენებელს და ჯანდაბამდე გზა გქონიათ. ავტომობილი ფლორენციის დაცარიელებულ ქუჩებში მიდიოდა, შემდეგ აუყვა მთას, რომლის წვერზეც ვილა იდგა. აღმართი, ოღროჩოღრო და ცხენის ჩლიქებით დათხრილი გზის შუაში პატარა, ნახევარწრიული და მოაჯირიანი ტერასიდან ფლორენციის ტაძარი და კოშკები მოჩანდა. ტერასაზე მაღალი, ბებერი კვიპაროსი იდგა. ღამის მშვენიერებით მოხიბლულმა მერიმ ავტომობილი გააჩერა, გადმოვიდა და ტერასიდან გადაიხედა. მოწმენდილი ცის ქვეშ გადაშლილი, სავსე მთვარით განათებული თვალწარმტაცი ველის დანახვაზე გული აუთრთოლდა. უცებ დაინახა, რომ კვიპაროსის ქვეშ ვიღაც კაცი იდგა. შემდეგ ანთებული პაპიროსიც შენიშნა. ცოტა შეეშინდა, მაგრამ არ შეიმჩნია. უცნობმა ქუდი მოიხადა. - მაპატიეთ, თქვენ ის ქალბატონი არ ხართ, გულუხვად რომ დამასაჩუქრეთ რესტორანში? - მიმართა მან. - მინდა მადლობა გადაგიხადოთ. მერიმ მევიოლინე იცნო. - თქვენ მევიოლინე ხართ. მას ახლა არა ხალხური ნეაპოლური, არამედ რაღაც გაურკვეველი, უშნო და გაცვეთილი ტანსაცმელი ეცვა. ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ უცხოური აქცენტით. - სახლის პატრონის ვალი მაქვს. კარგი ხალხია და კარგადაც მეპყრობიან, მაგრამ ღარიბები არიან და ფული სჭირდებათ. ახლა ვალს გადავუხდი. - აქ რას აკეთებთ? - ჰკითხა მერიმ. - შინ მივდივარ. გავჩერდი, რომ ამ ხედით

დავმტკბარიყავი. - აქ ახლოს ცხოვრობთ? - თქვენი ვილის ახლოს, ერთ კოტეჯში. - თქვენ რა იცით, სად ვცხოვრობ? - გხედავთ ხოლმე, როცა ავტომობილით გაივლით, ვიცი, რომ თქვენ მშვენიერი ბაღი გაქვთ და რომ თქვენს ვილაში ფრესკებია. - შიგნით ხართ ნამყოფი? - არა, რას ამბობთ, საიდან? ეს სახლის პატრონმა მითხრა. მერის წამიერმა მღელვარებამ გაუარა. უცნობი კარგი მოუბარი და მეტად მორცხვი ყმაწვილი იყო. გაახსენდა, რა დაბნეული იყო რესტორანში. - გინდათ ბაღი და ფრესკები ნახოთ? - ჰკითხა მერიმ. - ეგ უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებდა, როდის შეიძლება? რაულის მოულოდნელი წინადადებით - ცოლად გამომყევიო, - მერი ისე იყო აღელვებული, რომ საერთოდ არ ეძინებოდა. - თუნდაც ახლა, - წამოცდა მას. - ახლა? - გაიმეორა გაკვირვებულმა ყმაწვილმა. - რატომაც არა? მთვარიან ღამეში ბაღი ძალიან ლამაზია. - მეტად მასიამოვნებთ, - მძიმედ თქვა უცნობმა. ის მერის გვერდით დაჯდა. ავტომობილი დაიძრა და მალე ერთმანეთის მიყოლებით მდგარ კოტეჯებს მიუახლოვდნენ. - აი, აქ ვცხოვრობ, - უთხრა მან მერის. მერიმ სიჩქარეს უკლო და ჩაფიქრებული ამ პატარა ღარიბულ, უსახურ სახლებს გაჰყურებდა. მალე ვილის ღია ჭიშკარში შევიდნენ. მერიმ ავტომობილი გააჩერა და ვიწრო ბილიკს ფეხით აუყვნენ. დარბაზებსა და მის საძინებელში, მეორე სართულზე, საუცხოო კიბით მოხვდებოდით. მერიმ კარი გააღო და სინათლე აანთო. მისაღებში სანახავი ბევრი არაფერი იყო და უცნობი ყმაწვილი სასტუმრო ოთახში წაიყვანა. ეს იყო მშვენიერი ოთახი, რომელიც ვილის პატრონებს ძველი დროის შესანიშნავი ავეჯით მოეწყოთ. დიდ ლარნაკებში თავს იწონებდნენ გაფურჩქნული ყვავილები, რომლებიც რამდენადმე არბილებდნენ ამ ოთახის მეტად მკაცრ სტილს. ოდნავ დაზიანებული ფრესკებისა და სარემონტო კედლების მიუხედავად, მეთექვსმეტე საუკუნის სამოსში გამოწყობილ პირთა სურათები აქაურობას მრავალფეროვნებასა და სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებდა. - შესანიშნავია, შესანიშნავი! - შესძახა უცნობმა. - არ მეგონა, მუზეუმის გარდა, სხვაგანაც თუ შეიძლებოდა ასეთი რამის ნახვა. ვერ წამოვიდგენდი, რომ ეს

ყველაფერი შეიძლება ერთი ადამიანის საკუთრება იყოს. აღფრთოვანებული უცნობის შემყურე მერის გააჟრჟოლა. მან ზედმეტად მიიჩნია ყმაწვილისთვის იმის თქმა, რომ აქ არ იყო არც ერთი სკამი, რომელზეც მოხერხებულად დაჯდებოდა და რომ მარმარილოსიატაკიან და მოხატულჭერიან ოთახში, პაპანაქება სიცხეშიც კი, სიცივისგან აგაკანკალებდათ. - ეს ყველაფერი თქვენია? - ჰკითხა უცნობმა მერის. - ოჰ, არა, ჩემი მეგობრებისაა. აქ არ არიან და დროებით დამითმეს. - მაპატიეთ. თქვენისთანა მშვენიერ არსებას უფლება აქვს ყველა მშვენიერი ნივთი ჰქონდეს. - წავიდეთ, - უთხრა მერიმ, - ღვინოზე დამეწვიეთ და მერე ბაღში გავიდეთ. - არა, არ მისადილია და ღვინო ადვილად მომეკიდება. - რატომ არ ისადილეთ? - ფული არ მაქვს, მაგრამ არაფერია, ხვალ შევჭამ, - თქვა უდარდელი, ბავშვური ღიმილით. - ოჰ, რას ამბობთ! სამზარეულოში წავიდეთ და ვნახოთ, თუ არის რამე. - არ მშია, აქაურობა შიმშილს მავიწყებს, მაჩვენეთ ბაღი მთვარის შუქზე. - ბაღი და მთვარე არსად გაიქცევა. ჯერ ვახშამს მოგიმზადებთ და მერე ნახეთ, რაც გინდათ. ისინი სამზარეულოში ჩავიდნენ. ეს იყო დიდი ოთახი, ქვისიატაკიანი, უზარმაზარი ძველებური ქურით, რომელზეც ორმოცდაათკაციანი სუფრისთვის საკმარისი კერძები შეგეძლოთ მოგემზადებინათ. ნინას და ჩიროს კარგა ხანი იყო, რაც ეძინათ. მზარეული კი, აქედან შორს ცხოვრობდა. საჭმლის მაძიებელი მერი და სტუმარი თავს ქურდებივით გრძნობდნენ. მალე იპოვეს პური, ღვინო, კვერცხები, ლორი და კარაქი, მერიმ ელექტროქურა ჩართო, ზედ პურის ნაჭრები დააწყო და ტაფაზე კვერცხები დაახალა. - ლორი დაჭერით და ისიც შევწვათ, - უთხრა მერიმ უცნობს, - ჰო, მართლა, რა გქვიათ? ერთ ხელში ლორით და მეორეში დანით უცნობმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა. -კარლ რიხტერი, ხელოვნებათმცოდნეობის სტუდენტი. - ოჰ, მე იტალიელი მეგონეთ, - თქვა მერიმ, - გერმანელი ყოფილხართ. - ავსტრიელი ვიყავი, როცა ავსტრია არსებობდა. ეს ისე ნაღვლიანად თქვა, რომ მერიმ ცნობისმოყვარეობით შეხედა. - ინგლისური საიდან იცით? ინგლისში ყოფილხართ? - არა, ინგლისური ჯერ სკოლაში ვისწავლე,

შემდეგ უნივერსიტეტში. - მერე ღიმილით მიუგო: - საოცარია, რომ თქვენ ამის გაკეთება შეგიძლიათ! - რის? - საჭმლის. - შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მე ჩვეულებრივ ოჯახში გავიზარდე და იძულებული ვიყავი საჭმელი თავად მეკეთებინა. - ვერ დაგიჯერებთ. - იმას ხომ დამიჯერებდით, რომ ფუფუნებაში ვცხოვრობდი და თავს აუარებელი მოახლე მეხვია? - დიახ, როგორც პრინცესა ზღაპარში. - მართალია, მე შემიძლია კვერცხისა და ლორის შეწვა იმიტომ, რომ ეს იყო ერთი იმ ნიჭთაგანი, რომელიც ჩემმა ფერია-ნათლიამ დამანათლა. საჭმელი ლანგარზე დააწყვეს და მერი უცნობს სასადილო ოთახისკენ გაუძღვა. ეს იყო დიდი ოთახი, მოხატული ჭერით, ორივე ბოლოში ნოხებითა და კედლებზე დიდი, მოოქრული ხის შანდლებით. ისინი მაგიდასთან მაღალ სკამებზე ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ. - მე მრცხვენია ჩემი ღარიბული და გაცრეცილი ტანსაცმლის, - ღიმილით თქვა კარლმა. - ამ დიდებულ ოთახში ძვირფასი ხავერდი და აბრეშუმი უნდა მეცვას, როგორც კავალრებს ძველ ნახატებში. გაცრეცილი კოსტიუმი, დაკერებული ფეხსაცმელი და საყელოგახსნილი, გახუნებული ხალათი ეცვა. მაგიდაზე მდგარი მაღალი სანთლების შუქზე მერიმ დააფიქსირა მისი ჩაცვენილი შავი თვალები, უცნაურ თავზე მოკლედ შეჭრილი თმა, ამოზნექილი ყვრიმალის ძვლები, ჩავარდნილი ლოყები, ფერმკრთალი კანი, ტანჯული სახე და გაიფიქრა, უფიცის გალერეაში ბრონძინოს1 რომელიმე ნახატში გამოსახული პრინცის ტანსაცმელი რომ ეცვას, მეტად ლამაზი იქნებოდაო. - რამდენი წლის ხართ? - ჰკითხა მერიმ. - ოცდასამის. - მეტი რა გინდათ? - რა ფასი აქვს ახალგაზრდობას, როცა მომავლის იმედი არ გაქვს? მე საპყრობილეში ვცხოვრობ და თავი ვერ დამიღწევია. - მსახიობი ხართ? კარლმა გაიცინა. - ჩემი შესრულების მოსმენის შემდეგ ამას მეკითხებით? მე არ ვარ მევიოლინე. ავსტრიიდან რომ გამოვიქეცი, სასტუმროში მოვეწყვე სამუშაოდ, მაგრამ საქმე კარგად ვერ მიდიოდა და დამითხოვეს. ერთი-ორჯერ შემთხვევითი სამუშაო ვიშოვე, მაგრამ უცხოელისთვის, ისიც, როცა საბუთები წესრიგში არ აქვს, სამუშაოს შოვნა ძალიან ჭირს. თავი

როგორმე რომ გავიტანო, ზოგჯერ ვიოლინოს ვუკრავ ხოლმე, მაგრამ ამგვარი შემთხვევები იშვიათია. - ავსტრიიდან რატომ წამოხვედით? - სტუდენტთა ერთი ნაწილი ანშლუსით2 უკმაყოფილო იყო. ჩვენ წინააღმდეგობის მოძრაობის შექმნა ვცადეთ. ეს, რა თქმა უნდა, სისულელე იყო. იმედი არ გვქონდა. ამას მოჰყვა ის, რომ ორი ჩვენგანი დახვრიტეს და დანარჩენებს კი, საკონცენტრაციო ბანაკში გვიკრეს თავი. მე ექვსი თვით ჩამსვეს, მაგრამ გამოვიქეცი, მთები გადმოვიარე და იტალიაში ჩამოვედი. - რა საშინელებაა, - თქვა მერიმ. ამის თქმა უადგილო იყო, მაგრამ მერიმ სხვა ვერაფერი მოიფიქრა. კარლმა ალმაცერად გადახედა. - მე არ ვარ ერთადერთი ამქვეყნად. ჩემისთანები ათასობით არიან. სამაგიეროდ, თავისუფალი ვარ. - მომავალში რას აპირებთ? კარლს სასოწარკვეთა აღებეჭდა სახეზე და დაფიქრდა. მაგრამ უცებ ხელები მოუთმენლად გააქნია და გაიღიმა: - ამაზე ფიქრის თავი არ მაქვს. ნება მომეცით დავტკბე ამ ფასდაუდებელი წამით. ამისთანა რამ ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. მინდა ისე დავტკბე აქაურობით, რომ მომავალში რაც უნდა გადამხდეს, ეს იყოს ჩემი ერთადერთი სანუკვარი მოგონება. მერიმ უცნაური მზერა მიაპყრო და მოეჩვენა, რომ საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. რაულს რაც უთხრა, ეს ხუმრობა და უზრუნველ დღეთა ნაოცნებარი უფრო იყო; კარგად იცოდა, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამდა. ნუთუ ეს შემთხვევა ახლა დადგა? უცნაური უდარდელობა იგრძნო. ჩვეულებრივ, ცოტას სვამდა და ეს მაგარი წითელი ღვინო, რომელიც მხოლოდ კომპანიის გასაწევად დალია, თავში აუვარდა. ტრაგიკული გარეგნობის ყმაწვილთან ერთად ამ ვეებერთელა, გარდასულ დროსთან ასოცირებულ ოთახში ყოფნა რაღაც გამოუცნობი მღელვარებით ავსებდა. შუაღამეს კარგა გადაცილებული იყო. ღია ფანჯრებიდან თბილი, სურნელოვანი ნიავი უბერავდა. მერიმ მოთენთილობა იგრძნო, თითქოს მკერდში გული დაუდნა, თუმცა, ძარღვებში სისხლი გიჟურად აუჩქეფდა. უცბად წამოდგა. - ახლა ბაღს გიჩვენებთ, მერე კი, დაგემშვიდობებით. ბაღში ყველაზე მოხერხებული გასასვლელი დიდი, ფრესკებიანი ოთახიდან

იყო და მერიც იქით გაუძღვა სტუმარს. ეს უკანასკნელი შეჩერდა. ჯერ კედელთან მდგარ ლამაზ სკივრს და მერე გრამოფონს შეხედა. - რა უცნაურად გამოიყურება გრამოფონი ამ გარემოში! - ზოგჯერ, როცა ბაღში მარტო ვზივარ, ვრთავ ხოლმე. - შეიძლება ჩავრთო? - კი ბატონო. მან სახელური გადასწია. ფირფიტაზე შტრაუსის ვალსი იყო ჩაწერილი. კარლმა სიხარულისგან შეჰყვირა: - ვენა!.. ეს ჩვენი საყვარელი ვენის ვალსია! ანთებული თვალები მიაპყრო მერის, სახე გადაუსხვაფერდა. მერი მიუხვდა გულისნადებს, მაგრამ შეამჩნია, რომ გამჟღავნებას ვერ უბედავდა. მერიმ გაუღიმა: - ცეკვავთ? - ოჰ, როგორ არა. გაცილებით უკეთ, ვიდრე ვუკრავ. - აბა, ვნახოთ. მან წელზე შემოხვია ხელი და მდუმარე ღამეში, საუცხოო, ნახევრადცარიელ ოთახში ვენელი დირიჟორის მომხიბლავ, ძველებურ ჰანგზე ვალსის ცეკვა დაიწყეს. მერე ქალმა კარლს ხელი ჩაჰკიდა და ბაღში გაიყვანა. დღის კაშკაშა სინათლეზე ბაღი ზოგჯერ მიტოვებულად გეჩვენებოდათ, როგორც ოდესღაც ტრფიალების ალის მომდები მშვენებადაკარგული ქალი. მაგრამ ახლა, მთვარიან ღამეში, თავისი შეკრეჭილი ცოცხალი ღობით, მღვიმითა და ხეივნებით, მართლაც რომ თვალწარმტაცი იყო. დრო თითქოს უკან დაბრუნდა, ამ ბილიკებზე მოხეტიალეებს თავი ახლადშექმნილი სამყაროს მობინადრეებად წარმოედგინათ, სადაც მეფობდნენ ინსტინქტები, ხოლო შედეგებზე არავინ ფიქრობდა. ზაფხულის მსუბუქი ჰაერი ყვავილების სურნელით გაჟღენთილიყო. ისინი უხმოდ მისეირნობდნენ ხელიხელჩაკიდებულნი. - ეს სილამაზე გაუსაძლისიც კია, - წაიბუტბუტა კარლმა და გოეთეს ის ბრწყინვალე სტრიქონი წარმოთქვა, უკვე კმაყოფილი ფაუსტი რომ ემუდარება მიმავალ წამიერებას, შეჩერდიო. - აქ ძალიან ბედნიერად უნდა გრძნობდეთ თავს! - დიახ, ასეა, - უპასუხა მერიმ ღიმილით. - მიხარია, ასეთი კეთილი, კარგი და გულუხვი რომ ხართ. თქვენ იმსახურებთ ბედნიერებას, მინდა მჯეროდეს, რომ ყველაფერი გაქვთ, რაც კი გინდათ. მერიმ ჩაიცინა: - ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი მაქვს რაც მჭირდება. კარლმა ამოიოხრა: - ნეტავ, ამაღამ მოვკვდებოდე, სხვა რა

უნდა ვნახო ამის მსგავსი. დღევანდელ საღამოს რა დამავიწყებს. მუდამ მემახსოვრება ეს საღამო, თქვენი სილამაზე და ეს თვალწარმტაცი კუთხე. მუდამ ვიფიქრებ თქვენზე, როგორც ქალღმერთზე და ვილოცებ, როგორც ღვთისმშობელზე. მან მერის ხელი ტუჩებთან მიიტანა, უხერხულად დაუკრა თავი და აკოცა. მერე ნაზად მოუსვა ხელი სახეზე, უეცრად მუხლზე დაემხო და მისი კაბის კალთას ტუჩებით დააცხრა. მერი განუზომელმა აღფრთოვანებამ შეიპყრო, თავზე მოხვია ხელი, თავისკენ მიიზიდა და თვალები და ტუჩები დაუკოცნა; რაღაც გამოუცნობი და დიდებული იყო ამ საქციელში. მერის უცნაური, აქამდე უცნობი გრძნობა დაეუფლა. გულში სინაზე, თითქმის სიყვარული იგრძნო. კარლი წამოდგა და ვნებიანად მოჰხვია მკლავები. ის ოცდასამი წლის იყო. მერი არ იყო ღვთაება, მასზე რომ ელოცა, მაგრამ იყო მიწიერი ქალი, რომელმაც გაიტაცა. ისინი ხელიხელგადახვეულნი სახლში უხმოდ შევიდნენ. ოთახში ბნელოდა, მაგრამ ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან მთვარის შუქი იფრქვეოდა. მერი სწორზურგიან ძველებურ სკამზე იჯდა, კარლი ფეხთით ეჯდა, თავი მის მუხლებზე ედო და პაპიროსს ეწეოდა. მერის შეკითხვაზე კარლმა მიუგო, რომ მამამისი პოლიციის უფროსი იყო ავსტრიის ერთ პატარა ქალაქში, დოლფუსის1 მმართველობის დროს და დაუნდობლად ებრძოდა ყოველგვარ უწესრიგობასა და აჯანყებას. როცა უბრალო გლეხმა კანცლერი დორფუსი მოკლა, სახელმწიფოს მეთაურობა შუშნიგმა2 აიღო, კარლის მამამ თავისი სიმტკიცის წყალობით ადგილი შეინარჩუნა. მან მხარი დაუჭირა ერცჰერცოგ ოტოს აღდგენას, რადგან, მისი აზრით, ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც გერმანიას ხელს შეუშლიდა მისი საყვარელი ავსტრია გადაეყლაპა. მომდევნო სამ წელიწადში მან ავსტრიელი ნაცისტების სიძულვილი დაიმსახურა, რადგან დაუნდობლად სდევნიდა მათ მოღალატურ საქმიანობას. იმ საბედისწერო დღეს, როცა გერმანელთა ჯარები მარშით შევიდნენ ამ პატარა, დაუცველ ქვეყანაში, მან გულში ტყვია დაიხალა. კარლი იმ დროს უნივერსიტეტს ამთავრებდა, ხელოვნების ისტორიას ეუფლებოდა და მასწავლებლობას აპირებდა.

ამ საშინელ დღეს რა უნდა გაეკეთებინა? დაბოღმილი სხვებთან ერთად უსმენდა ქალაქში ტრიუმფით შემოსულ ჰიტლერს, რომელიც ლანდჰაუსის აივნიდან გაჰკიოდა. ესმოდა, რა აღფრთოვანებული შეძახილებით ეგებებოდნენ ავსტრიელები თავიანთ ახალ დამპყრობელს. ამ აღფრთოვანებას მალე იმედგაცრუება მოჰყვა და როცა რამდენიმე მამაკაცს წინააღმდეგობის მოძრაობის შექმნის იდეა გაუჩნდა, მათ მრავალი მომხრე გამოუჩნდათ, მათ შორის, კარლიც; ისინი მართავდნენ კრებებს, მაგრამ კარგად შენიღბვას ვერ ახერხებდნენ. ძალზე ახალგაზრდები იყვნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ მათი ყოველი ნაბიჯი საიდუმლო პოლიციის შტაბში მიჰქონდათ. ერთ დღეს ყველანი დააპატიმრეს. დანარჩენების დასაშინებლად ორი დახვრიტეს, სხვები კი საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. სამი თვის შემდეგ კარლი გაიქცა: გაუმართლა და იტალიის ტიროლის საზღვარზე გადმოვიდა. არც პასპორტი ჰქონდა, არც რაიმე საბუთი, რადგან საკონცენტრაციო ბანაკში ყველაფერი ჩამოართვეს და მუდმივ შიშში ცხოვრობდა, ან დამიჭერენ, როგორც მაწანწალას, ან რეიხს გადამცემენო. იქ კი საშინელი სასჯელი ელოდა. - რევოლვერის საყიდელი ფული რომ მქონოდა, მეც მამაჩემივით თავს მოვიკლავდი. მან მერის ხელი მკერდზე მიიკრა: - აი, აქ ვისროდი, მეოთხე და მეხუთე ნეკნს შუა, სადაც თქვენი თითებია. - ასე ნუ ლაპარაკობთ, - უთხრა შემკრთალმა მერიმ და ხელი გამოსტაცა. კარლმა ნაღვლიანად გაიცინა: - იცით, რამდენჯერ ვმდგარვარ არნოსთან და მიფიქრია, ნეტავ, როდის დადგება ის დრო, როცა მის ტალღებში გადავარდნის გარდა, სხვა გზა არ დამრჩება-მეთქი. მერიმ ღრმად ამოიოხრა, ამ უბედურს ვერანაირი სიტყვებით ვერ ანუგეშებდა. კარლმა ხელზე ხელი მოუჭირა. - ნუ ოხრავ, - უთხრა მან ალერსით, - ამიერიდან აღარაფერს ვნანობ. ამ ერთმა ღამემ ყველაფერი გამოისყიდა. ორივენი დადუმდნენ. მერი კარლის უბედურებაზე ფიქრობდა. ხსნა არსად იყო. რა უნდა ექნა? ფული მიეცა? განა რამდენ ხანს ეყოფოდა? კარლი რომანტიკოსი იყო, მისი მაღალფარდოვანი ენა ააშკარავებდა, რომ თავისი საშინელი თავგადასავლისა და გამოცდილების მიუხედავად,

მას წიგნების უფრო მეტი გაეგებოდა, ვიდრე ნამდვილი ცხოვრების. და შესაძლოა, უარიც ეთქვა მისგან რაიმეს მიღებაზე. უეცრად სიჩუმე მამლის ყივილმა დაარღვია და მერი შეკრთა. მან კარლის ხელი მოიშორა... - ახლა კი წადით, ჩემო კარგო. - ჯერ არა, - წამოიძახა კარლმა,- ჯერ არა, ჩემო საყვარელო. - მალე გათენდება. - ჯერ კიდევ დიდი დროა გათენებამდე. ის მუხლებზე წამოიწია და მერის ხელები მოხვია: - მე თქვენ გაღმერთებთ. მერიმ თავი გაითავისუფლა. - არა, მართლა უნდა წახვიდეთ, უკვე გვიანაა, გთხოვთ. მერიმ უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა კარლს სახეზე სასიამოვნო ღიმილმა როგორ გადაურბინა. მერე წამოხტა, პიჯაკი და ფეხსაცმელი მოძებნა. მერიმ სინათლე აანთო. რომ ჩაიცვა, ისევ ჩაიხუტა მერი. - ჩემო საყვარელო, - ჩასჩურჩულა მან, - თქვენ მე გამაბედნიერეთ. - მე ეს მიხარია. - ისეთი რამ მიბოძეთ, რისთვისაც სიცოცხლე ნამდვილად ღირს. ახლა თქვენ მყავხართ, ანუ ყველაფერი მაქვს. დაე, მომავალმა თავის თავს თვითონ მიხედოს. ცხოვრება არცთუ ისე ბნელია. რაღაც სიკეთისკენ შეიცვლება. - არასოდეს დაგავიწყდებათ? - არასოდეს. მერიმ ტუჩები მიუშვირა: - მაშ, მშვიდობით. - მშვიდობით, მაგრამ როდემდე? - ვნებიანად ჩასჩურჩულა კარლმა. მერიმ ისევ გაითავისუფლა თავი. - სამუდამოდ, ჩემო ძვირფასო. მე აქედან მალე წავალ, ალბათ, სამ-ოთხ თვეში. ჩვენ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით, მე არ ვარ თავისუფალი. - გათხოვილი ხართ? მე მითხრეს ქვრივიაო. ტყუილის თქმა ადვილი იყო. მერიმ არ იცოდა, რამ შეუშალა ხელი. - თქვენი აზრით, რა მქონდა მხედველობაში, როცა გითხარით, თავისუფალი არ ვარ-მეთქი? ჩვენი შეხვედრა შეუძლებელია. თქვენ ხომ არ გინდათ, ცხოვრება დამინგრიოთ? - მაგრამ მე ისევ უნდა შეგხვდეთ, ერთხელ კიდევ, მხოლოდ ერთხელ. - ჩემო კარგო, გონს მოდით, აკი გითხარით, შეუძლებელია-მეთქი. ახლა ჩვენ სამუდამოდ ვშორდებით ერთმანეთს. - მე მიყვარხართ. თქვენ? მერი ერთ წამს შეყოყმანდა, არ უნდოდა გულცივობა გამოეჩინა, მაგრამ სიმართლის თქმა აუცილებლად მიიჩნია. მან თავი გააქნია და ღიმილით უთხრა: - არა. კარლი ისე მიაშტერდა, თითქოს ვერ მიუხვდაო: - მაშ, რად მომიყვანეთ? - ისეთი

მარტოსული და უბედური იყავით, მინდოდა წამიერი სიამოვნება მომენიჭებინა. - ღმერთო, ეს რა სისასტიკეა. მერის ხმა აუთრთოლდა: - ამას ნუ ამბობთ, არ მინდოდა ცუდად მოგქცეოდით. გული მხოლოდ სინაზითა და სიბრალულით მქონდა სავსე. - მერე და როდის გთხოვეთ, შემიბრალეთ-მეთქი?! რას მერჩოდით, ზეცაში ამიყვანეთ და ისევ მიწაზე მანარცხებთ? არა! არა! არა! როცა ამ სიტყვებს ამბობდა, თითქოს გაიზარდა. მის რისხვაში იყო რაღაც ტრაგიკული. მერი ვერაფერს მიხვდა, ვერ წარმოედგინა, რომ კარლი მის საქციელს ასე მიიღებდა. - ალბათ, ძალიან სულელი ვიყავი, - უთხრა მან, - სულაც არ მინდოდა თქვენთვის გული მეტკინა. ახლა კარლის თვალთაგან სიყვარულის ნაცვლად განუზომელი რისხვა გამოკრთოდა. ისედაც გაფითრებული სახე უფრო გაუფითრდა და მკვდრის ნიღაბს დაემსგავსა. მერი შეშფოთდა. ახლა მიხვდა, რა სისულელე ჩაიდინა. მსახურებს ეძინათ და რომ დაეყვირა კიდეც, ვერ გააგონებდა. სულელი იყო, სულელი. ერთადერთი გამოსავალი ისღა იყო, თავი შეეკავებინა და შიში არ გაემჟღავნებინა. - ძალიან ვწუხვარ, - ბორძიკით წარმოთქვა მან, - არ ვაპირებდი თქვენი გრძნობებისთვის ვნება მიმეყენებინა. თუკი შეიძლება რითიმე გამოვისყიდო დანაშაული, სიხარულით გამოვისყიდი. კარლი მოიღუშა: - ახლა რას აპირებთ, ფულს მთავაზობთ? მე არ მინდა თქვენი ფული. მაინც რამდენი გაქვთ? მერიმ ჩანთა აიღო მაგიდიდან. ხელი რომ ჩაყო, რევოლვერი მოხვდა და შეკრთა. თავის დღეში არ გაესროლა. ვერ წარმოედგინა, რომ საქმე აქამდე მივიდოდა, ეს სისულელე იყო, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ რევოლვერი ჰქონდა. ძვირფასი ედგარი, არცთუ ისე სულელი ბებერი ყოფილა. „როცა იარაღის წაღებას მაიძულებდა, ედგარს ასეთი სიტუაცია სულაც არ ჰქონდა მხედველობაში“, - გაუელვა თავში, თუმცა თავი უფრო მხნედ იგრძნო. - აქ ორი-სამი ათასი ლირა მექნება. შვეიცარიაში წასასვლელად გეყოფათ. იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებით! დამიჯერეთ, ეს ჩემთვის ბევრი არაფერია. - რა თქმა უნდა, თქვენთვის არაფერია. განა, მდიდარი არ ხართ? რა არის თქვენთვის ერთი ღამის გასართობის საფასური? მუდამ ფულს უხდით საყვარლებს? მე რომ

ფული მინდოდეს, როგორ გგონიათ, რამდენიმე ლირას ავიღებდი? ხელიდან აი, მაგ მარგალიტებსა და სამაჯურს წაგაძრობდით. - თუ გინდათ, წაიღეთ, არც ესენი მიღირს რამედ. - თქვენ უნამუსო ქალი ხართ. იმდენად უნამუსო, რომ გგონიათ, ამ ფასად ყველა მამაკაცს იყიდით. სულელო, ჩემთვის ფულს რომ ფასი ჰქონდეს, როგორ გგონიათ, ნაცისტებს ვერ გავურიგდებოდი? ახლა აღარც დევნილი ვიქნებოდი, აღარც მშიერი. - ღმერთო ჩემო, როგორ ვერ შეგაგნებინეთ, მე თქვენთვის სიკეთე მინდოდა, თქვენ კი პირიქით გგონიათ. თუ გაწყენინეთ, თუ გული გატკინეთ, გთხოვთ, მაპატიოთ. მე მხოლოდ კარგი მინდოდა. - სტყუით! თქვენ უქნარა, ავხორცი, უღირსი ქალი ხართ. ნეტავ, რა სიკეთე გაგიკეთებიათ თქვენს ცხოვრებაში?! დაძრწით და ეძებთ ვნებას, ახალ-ახალ თავგადასავლებს, ყველაფერს, რაც მოწყენილობას გაგიქარვებთ, სხვისი ბედი კი არაფრად გიღირთ. მაგრამ ამჯერად შეცდომა დაუშვით, უცხო კაცის შინ შეყვანა სახიფათოა. მე ღმერთქალი მეგონეთ, თქვენ კი, მეძავი ყოფილხართ. კარგი იქნება მოგკლათ, ამით სხვებს გადავარჩენ. იცოდეთ, შემიძლია ამის ჩადენა - ვინ მიიტანს ჩემზე ეჭვს? ვინ დამინახა აქ შემოსული? მან მერისაკენ წაიწია. ქალი შიშმა აიტანა. კარლს ტანჯული სახე ზიზღისგან დაემანჭა და შავი, ღრმად ჩამჯდარი თვალები ავბედითად აუელვარდა. მერიმ თავის შეკავება სცადა. მერე ჩანთიდან რევოლვერი ამოიღო და კარლს მიუშვირა. - თუ არ წახვალთ, გესვრით, - დაუყვირა მან. - მესროლეთ. კარლმა ისევ მისკენ წაიწია. - ერთი ნაბიჯიც და გესვრით. - მესროლეთ! ნუთუ გგონიათ, სიცოცხლე რამედ მიღირს? თქვენ მე აუტანელ ტვირთს მომაშორებთ. მესროლეთ, მესროლეთ და მე ყველაფერს მოგიტევებთ. მე თქვენ მიყვარხართ. კარლს სახე შეეცვალა, გააფრთებამ გაუარა და დიდი შავი თვალები აღფრთოვანებით აუელვარდა. ისევ მერისკენ მიიწევდა. თავი უკან ჰქონდა გადაწეული, ხელები წინ გაწვდილი, მკერდი კი რევოლვერზე მიშვერილი. - იტყვით, რომ ქურდი შემოგივარდათ და მოჰკალით. ჩქარა, ჩქარა! მერიმ რევოლვერი დააგდო, სკამზე დაეშვა, სახე ხელებში ჩამალა და აქვითინდა. კარლი ერთხანს უხმოდ შეჰყურებდა.

- ვერ გაბედეთ? საცოდავო ბავშვო, რა სულელი ხართ, რა სულელი. კაცებს ისე ნუღარ გაეთამაშებით, როგორც მე გამეთამაშეთ. წამოდით. მან მერის ხელი მოჰხვია და სცადა სკამიდან აეყენებინა. მერი ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა კარლს მისგან და ცრემლმორეული ისევ სკამს ჩაეჭიდა. კარლმა ხელი სტაცა. მერიმ ტკივილისგან შეჰყვირა და სკამს ხელი გაუშვა. ელვის სისწრაფით კარლმა მერი ხელში აიტაცა და საწოლზე დაანარცხა. მერე გვერდით მიუწვა, ჩაიხუტა და კოცნა დაუწყო. მერი გასხლტომას ლამობდა, მაგრამ კარლი არ უშვებდა, ის გაცილებით ღონიერი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ეტყობოდა. მერიმ ერთხანს უმწეოდ იფართხალა მის ღონიერ მკლავებში, მერე დანებდა... რამდენიმე წუთის შემდეგ კარლი წამოდგა. მერი განადგურებული იყო. კარლი მას თავს ადგა და დაჰყურებდა. - შენ მთხოვე, არ დამივიწყოო. მე დაგივიწყებ, მაგრამ შენ - ვერა. მერი გაუნძრევლად იწვა, შეშინებული თვალებით მიშტერებოდა. კარლმა უხეშად ჩაიცინა. - ნუ გეშინიათ, არაფერს გავნებთ. მერიმ არაფერი უპასუხა. მის ავ მზერას ვერ გაუძლო და თვალები დახუჭა. ესმოდა, რომ კარლი ბნელ ოთახში ფეხაკრეფით დაბორიალობდა. უცებ მას ჯერ სროლის და მერე დავარდნის ხმა მოესმა. მერი ფეხზე წამოიჭრა და თავზარდაცემულმა შეჰკივლა: - ღმერთო ჩემო, ეს რა ჰქენით? კარლი ფანჯარასთან იწვა, ზედ მთვარის შუქი ეფინებოდა. მერიმ დაიჩოქა: - კარლ, კარლ, რა ჩაიდინეთ? მერე მისი ხელი აიღო და როცა გაუშვა, ხელი მოცელილივით დაეშვა იატაკზე, ცალი ხელი სახეზე მოუსვა, მეორე კი გულზე მიადო. კარლი მკვდარი იყო. მერი უკან გადაქანდა და გვამს თავზარდაცემული დააშტერდა. გონება დაკარგა. არ იცოდა, რა ექნა. თავბრუ ეხვეოდა, ეშინოდა, გული არ წასვლოდა. უცებ შეკრთა, ნაბიჯების ხმა გაიგონა. ვიღაც ფეხშიშველა მოდიოდა. მერე ხმა მიწყდა. მერი მიხვდა, რომ კარს უკან ვიღაც იდგა და ყური კარზე ჰქონდა მიდებული. ის ელდანაკრავი შეჰყურებდა კარს. ჩუმი კაკუნი გაისმა. მერი შიშის ზარმა აიტანა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეკივლა. იატაკზე იჯდა, კარლის გვამივით გარინდული. კაკუნი განმეორდა, მერიმ თავს ძალა დაატანა და გაეხმაურა: - ვინ არის? -

ხომ არაფერი გიჭირთ, სინიორა? - ეს ნინას ხმა იყო. - მომეჩვენა, თითქოს ვიღაც დაეცა. მერიმ ხელები ერთმანეთს მოუჭირა ისე, რომ ფრჩხილებით ლამის ხელისგულები დაისისხლიანა, ოღონდ ხმაში არაფერი დატყობოდა. - ალბათ, დაგესიზმრა. მე არაფერი გამიგია, წადი, დაიძინე. - კეთილი, სინიორა. ერთ წამს სიჩუმე გამეფდა. მერე ისევ ფეხის ხმა გაიგონა და თავი მიაბრუნა, თითქოს სურდა ამ ხმისთვის მზერა მიეყოლებინა. ერთხანს ასე იჯდა. ცდილობდა, გონება მოეკრიბა. მერე მძიმედ ამოიოხრა, დაიხარა, ავსტრიელს ერთხელ კიდევ შეხედა. გააჟრჟოლა. შემდეგ ფეხზე წამოდგა, ცხედარს ხელები იღლიაში ამოსდო. უნდოდა ფანჯრიდან გადაეთრია. ვერ აცნობიერებდა, რას სჩადიოდა. რაღაც გამოუცნობი ძალა აიძულებდა გვამი ოთახიდან გაეტანა, მაგრამ მძიმე იყო. ძლივს სუნთქავდა, თაგვივით უღონო ეჩვენა თავი. უეცრად გაიფიქრა, რა სისულელე მომივიდა, ნინა რომ გავაბრუნეო. ახლა კი, გვიან იყო. აკი უთხრა, არაფერი მომხდარაო, რატომ უთხრა, არაფერი გამიგონიაო? რას იტყოდა ნინა, ამ მკვდარ კაცს რომ ნახავდა? საშინელი ფიქრები თავში მორევივით უტრიალებდა. ვაი, სირცხვილო, ვაი, ღირსებავ! რა პასუხს გასცემდა, როცა ჰკითხავდნენ, რად მოიკლა თავიო? მას მხოლოდ სიმართლის თქმა შეეძლო. სიმართლე კი ამაზრზენი იყო. საშინელი იყო მარტოობა, როცა არავინ ჰყავდა დამხმარე და მრჩეველი. მას ახლა დახმარება სჭირდებოდა, დახმარება. და მერის უეცრად რაული გაახსენდა. დარწმუნებული იყო, თუ სთხოვდა, მოვიდოდა. რაულს უყვარდა მერი, აკი უთხრა, მიყვარხარო, და თუმცა უხამსი, მაინც კარგი ბიჭი იყო. რჩევას მისცემდა. მაგრამ გვიანი რომ იყო? რა იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ამ შუაღამისას რაულს ნახავდა? გათენებამდე ლოდინი დაუშვებლად მიიჩნია, ეს საქმე ახლავე უნდა მოგვარებულიყო. მერიმ რაულის ტელეფონის ნომერი იცოდა, რადგან ედგარიც იმ სასტუმროში ცხოვრობდა. მან ნომერი აკრიფა. ჯერ არავინ უპასუხა, მერე ვიღაცამ იტალიურად უთხრა რაღაც, ალბათ, მორიგე იყო, რომელსაც ქურდული ძილი დაუფრთხო. მერიმ სთხოვა, რაულ ფლინტთან დამაკავშირეო. ესმოდა ზარის რეკვა, მაგრამ არავინ პასუხობდა. ერთ

წამს მერის თავზარი დაეცა, ვაითუ, რაული ჯერ არ მისულა, იქნებ, სადმე წავიდა სათამაშოდ ან ვინმე ქალს გადაეყარა (ეს მისგან გასაკვირი არ იყო) და შინ წაჰყვაო. შვებით ამოისუნთქა, როცა მკვახე, ნამძინარევი ხმა გაიგონა: - დიახ, ვინ არის? - რაულ, მე ვარ, მერი, უბედურება შემემთხვა. უცებ იგრძნო, რომ რაული გამოფხიზლდა და გაიგონა როგორ ჩაიცინა: - რა დროს უბედურებაა ამ შუაღამისას? რა მოხდა? - ვერ გეტყვით, ჩემთან მოდით. - როდის? - ახლავე, ახლავე, ღვთის გულისთვის, რაც შეიძლება ჩქარა. რაულს ესმოდა, რომ მერის ხმა უკანკალებდა. - მოვდივარ, დამშვიდდით. რა შვება მოჰგვარა მერის ამ სიტყვებმა! ყურმილი დადო და ცდილობდა გამოეცნო, რამდენ ხანში მივიდოდა რაული. სასტუმროდან ვილამდე სამ მილზე მეტი არ იქნებოდა, მაგრამ სულ აღმართი იყო. ამ შუაღამისას ტაქსის, ალბათ, ვერ ნახავდა. ფეხით რომ წამოვიდეს, ერთი საათი დასჭირდება. ერთ საათში გათენდება კიდეც. მერის ოთახში მარტო ყოფნა აღარ შეეძლო. სასწრაფოდ ჩაიცვა კაბა, სინათლე ჩააქრო, კარი გააღო და ფეხაკრეფით გავიდა დერეფანში. წინა კარი გააღო და უზარმაზარ კიბეზე დაეშვა. იქიდან ფართო ბილიკზე გავიდა და მის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხეების ჩრდილს გაუყვა. მთვარე, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ასე აღაფრთოვანა, ახლა თავისი სინათლით აშინებდა. მერი ჭიშკართან გაჩერდა. გული უცემდა, როცა ამ გაუთავებელ მოლოდინზე ფიქრობდა. უეცრად ფეხის ხმა შემოესმა. შეშინებული მერი ხეების ჩრდილს მიეფარა. ვიღაც ამოდიოდა კიბეზე და ვილაში მოიჩქაროდა. მერე სიბნელიდან გამოვიდა და მერიმ რაული იცნო. საოცარი შვება იგრძნო. - მადლობა ღმერთს, მოხვედით, როგორ გაჩნდით ასე მალე? - მორიგეს ეღვიძა და ველოსიპედი ვთხოვე. კიბესთან დავტოვე, ვიფიქრე, კიბეზე ავალ, უფრო მოკლე გზა იქნება-მეთქი. - წამოდით. რაული სახეში ჩააცქერდა. - მითხარით, რა ხდება? საშინლად გამოიყურებით. მერიმ თავი გააქნია. ვერაფერი უპასუხა. ხელში სწვდა და სახლისკენ გაუძღვა. - რაც შეიძლება ფრთხილად, - ჩასჩურჩულა მან, როცა სახლში შევიდნენ, - კრინტი არ დაძრათ. რაული თავისი ოთახისკენ წაიყვანა და კარი გააღო. რაული

ოთახში შეჰყვა. მერიმ კარი ჩაკეტა. ერთხანს სინათლის ანთებას ვერ ბედავდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, ამიტომ აანთო. ვეება ჭაღმა ოთახი გაანათა. რაული გაოგნდა, როცა ფანჯარასთან გაშოტილ მამაკაცის გვამს მოჰკრა თვალი. - ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მან. - ეს რას ნიშნავს? - მერის მიუბრუნდა და მიაშტერდა. - მკვდარია. - ჯანდაბა, მართლაც მკვდარს ჰგავს. მან დაიჩოქა და მიცვალებულს თვალები დაუხუჭა. მერე გულზე ხელი დაადო: - ნამდვილად მკვდარია. რევოლვერი ისევ ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული მიცვალებულს. - თავი მოუკლავს. - თქვენ გეგონათ, მე მოვკალი? - მოახლეები სად არიან? პოლიციას შეატყობინეთ? - არა, - ძლივს ამოილუღლუღა მერიმ. - უნდა შეატყობინოთ. აქ ასე ხომ ვერ დატოვებთ, რაღაც უნდა მოვიფიქროთ. რაულმა ანგარიშმიუცემლად გამოაცალა მიცვალებულს ხელიდან რევოლვერი და დახედა. - ეს რევოლვერი ძალიან ჰგავს იმას, ავტომობილში რომ მაჩვენეთ. - ის რევოლვერია. რაული მერის მიაშტერდა. ვერაფერს მიხვდა. ან კი, რას მიხვდებოდა? - რატომ მოიკლა თავი? - ღვთის გულისთვის, ნურაფერს მეკითხებით. - იცნობთ? - არა. გაფითრებული მერი ცახცახებდა. გეგონებოდათ, სადაცაა, გული წაუვაო. - გამაგრდით, მერი, შიში ვერაფერს გიშველით. მოიცადეთ, კონიაკს მოგიტანთ, სად ინახავთ? რაულმა გასვლა დააპირა, მაგრამ მერიმ შეჰკივლა: - მარტო არ დამტოვოთ, მეშინია. - მაშ, წამოდით, - უთხრა რაულმა მკვახედ, მხარზე მოხვია ხელი და ოთახიდან გაიყვანა. სასადილო ოთახში სანთლები ისევ ენთო და შიგ როგორც კი შევიდნენ, რაულმა მაგიდაზე მაშინვე დაინახა ორი თეფში, ორი ჭიქა, ერთი ბოთლი ღვინო და ტაფა. ის მაგიდასთან მივიდა. სკამზე კარლის გაცრეცილი თექის შლაპა იდო. აიღო, შეათვალიერა და მერე მერის მიუბრუნდა. ქალმა თვალი აარიდა. - მოგატყუეთ, რომ გითხარით, არ ვიცნობდი-მეთქი. - მართალი გითხრათ, ამაში ეჭვი არ მეპარება. - ღვთის გულისთვის, გაჩუმდით, რაულ, მე ჩემი უბედურებაც მეყოფა. - მაპატიეთ, - მიუგო რაულმა ალერსიანად, - მაშ, ვინ არის? - მევიოლინე, რესტორანში თეფშით ხელში რომ ჩამოიარა, არ გახსოვთ? - სახე კი მეცნო. ნეაპოლელი

მეთევზის ტანსაცმელი ეცვა, არა? ამიტომ ვერ ვიცანი, ახლა კი სულ მთლად შეცვლილა. აქ როგორ გაჩნდა? მერი შეყოყმანდა. - შინ რომ მოვდიოდი, გზაში შევხვდი, ტერასაზე იდგა. გამომელაპარაკა. ისეთი მარტოსული და უბედური ჩანდა. რაულმა თავი ჩაღუნა, უხერხულობა იგრძნო. მერისგან ამას არ მოელოდა. - ძვირფასო, ხომ იცით, არაფერს დავიშურებ თქვენთვის. მინდა დაგეხმაროთ. - მშიერი იყო. ვაჭამე. რაული შეიჭმუხნა. - საჭმელი აჭამეთ და მერე ადგა და თავი მოიკლა, არა? მერი ატირდა. - ღვინო მოსვით. ტირილს კიდევ მოასწრებთ. მერიმ თავი გააქნია. - არა, კარგად ვარ, აღარ ვიტირებ. ახლა ვხვდები, რომ სიგიჟე იყო, მაგრამ მაშინ ასე არ მეგონა. მგონი, წამიერმა სიგიჟემ მომიარა. გახსოვთ, რა გითხარით, ავტომობილში რომ დაგშორდით? რაული მიუხვდა. - მე რომანტიკული სისულელე მეგონა, რას წარმოვიდგენდი, რომ ამგვარ სიგიჟეს ჩაიდენდით. რატომ მოიკლა თავი? - არ ვიცი, არ ვიცი. რაული ერთ წამს ჩაფიქრდა. მერე თეფშები და ჭიქები მოაგროვა და ლანგარზე დააწყო. - რას შვრებით? - ჰკითხა მერიმ. - ამ კაცის კვალი უნდა მოვსპოთ. სამზარეულო სად არის? - ამ კარში გადით და მერე კიბით დაბლა ჩახვალთ. რაულმა ლანგარი გაიტანა. უკან რომ დაბრუნდა, მერი მაგიდასთან იჯდა, სახე ხელებში ჩაემალა. - კიდევ კარგი, ძირს ჩავედი. იქაურობა გაჩახჩახებული დაგიტოვებიათ, გეტყობათ, მიჩვეული არ ხართ კვალის დაფარვას. მოახლეს ნასადილევს ჭურჭელი არ გაურეცხავს და ჭიქები და თეფშები გაურეცხავ ჭურჭელს შევურიე. იმედია, ვერაფერს შეამჩნევენ. ახლა კი, პოლიციას უნდა შევატყობინოთ. მერიმ კინაღამ შეჰკივლა. - რაულ! - მომისმინე, ძვირფასო, გონებას მოუხმეთ. აი, რა მოვიფიქრე. - უნდა თქვათ, რომ გეძინათ და ვიღაც უცნობმა კაცმა გაგაღვიძათ. უეჭველია, ქურდი იყო. თქვენ სინათლე აანთეთ და დასწვდით რევოლვერს, რომელიც მაგიდაზე იდო. თქვენ შორის ჩხუბი ატყდა და რევოლვერი გავარდა. თქვენ მოჰკალით, თუ თავად მოიკლა თავი, ამას მნიშვნელობა არ აქვს. საკმარისი იქნება თქვათ, რომ, როცა კუთხეში მიიმწყვდიეთ, შეეშინდა, თქვენს ყვირილზე მოახლეები არ ამოცვენილიყვნენ და თავი მოიკლა. - ამას ვინ დაიჯერებს?

წარმოუდგენელი ამბავია. - ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო სარწმუნოა, ვიდრე სიმართლე. ამას ჩაეჭიდეთ და ტყუილში ვერავინ დაგიჭერთ. - ნინამ გაიგონა სროლის ხმა, ამოვიდა და მკითხა, რა მოხდაო, მე ვუთხარი, არაფერი-მეთქი. პოლიციაში ხომ იტყვის ამას დაკითხვაზე. მერე რაღა ვქნა? არა, ეს არ გამოდგება. ეს რამ მათქმევინა, როცა ოთახში მკვდარი ეგდო?! - ნუთუ, არ შეგიძლიათ სიმართლე მითხრათ? - ოჰ, თავისმომჭრელია ეს სიმართლე, მაგრამ მაშინ მეგონა, რაღაც კეთილშობილურსა და კარგს ჩავდიოდი. მერი გაჩუმდა. რაული მიაჩერდა, სანახევროდ მიუხვდა ნათქვამს. მერიმ მძიმედ ამოიოხრა. - პოლიციას შევატყობინოთ და ამით მოვრჩეთ. დავიღუპე, მაგრამ ღირსი ვარ. თვალს ვეღარავის გავუსწორებ, გაზეთები ერთ ამბავს ატეხავენ. ედგარს რაღა ვუყო? მორჩება ჩვენი ამბავი და ის იქნება. - შემდეგ საოცარი რამ დაუმატა: - ბოლოს და ბოლოს, ის საცოდავი ბიჭი იყო და არა ქურდი. მე მივაყენე ტკივილი ამ უბედურს და სახელი რატომ უნდა გავუტეხო? ჩემი ბრალია ყველაფერი და რაც მომივა, მომივა... რაულმა დაკვირვებით შეხედა: - მართლაც დაიღუპებით. მართალს ამბობთ, ერთი აურზაური ატყდება. ცუდი ამბავი გელით, ჩემო კარგო, და ვერავინ გიშველით. თუმცა, გინდათ გარისკოთ? იცოდეთ, თუ არ გაგვიმართლდა, თქვენი მდგომარეობა უფრო დამძიმდება. - ყველანაირ რისკზე წავალ. - მოდით, ეს ცხედარი აქაურობას მოვაშოროთ, ვინ დაეჭვდება, რომ მის სიკვდილში თქვენ მიგიძღვით ბრალი? - როგორ მოვახერხებთ? ეს შეუძლებელია. - შესაძლებელია, ოღონდ გვამი ავტომობილში ჩამადებინეთ. ახლომახლო მთებია, ისეთ ადგილას დავმალოთ, რომ კარგა ხანს ვერავინ მიაგნოს. - ძებნას რომ დაუწყებენ? - ვინ დაუწყებს ძებნას? ვიღაც იტალიელი მევიოლინისთვის თავს ვინ შეიწუხებს? მას შეეძლო ვალის გადაუხდელობის გამო გაქცეულიყო, ან სხვის ცოლთან ერთად. - იტალიელი არ არის, ავსტრიელი ლტოლვილია. - მით უკეთესი. შეგიძლიათ სანაძლეო დადოთ, რომ ის არავის გაახსენდება. - საშინელი საქმეა, რაულ. და თქვენ? თქვენც ხომ საფრთხე გემუქრებათ? - სხვა გზა არ არის, ჩემო კარგო, ნუ დარდობთ. მართალი

გითხრათ, მიყვარს ხიფათთან თამაში, მინდა ცხოვრების ყველანაირი მღელვარება გამოვცადო. მერის ოდნავ გულს მოეშვა. არც ისე აუტანელი მოეჩვენა საკუთარი ტანჯვა. რაღაც იმედი იყო იმისა, რომ მოახერხებდნენ გვამის გადამალვას. მაგრამ უცებ ისევ ეჭვმა შეიპყრო: - სადაცაა ინათებს. გლეხები სამუშაოდ განთიადზე გამოდიან. რაულმა საათს დახედა: - ხუთამდე არ თენდება, ერთი საათი კიდევ გვაქვს. დროს ნუ დავკარგავთ და ყველაფერს მოვასწრებთ. მერიმ ღრმად ამოიოხრა: - თქვენს ხელში ვარ, რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ. - მაშ, წამოდით და, ღვთის გულისთვის, გამაგრდით. რაულმა კარლის შლაპა აიღო. ორივე გვამთან მივიდა. - ფეხებში მოკიდეთ ხელი, - უთხრა რაულმა მერის, - მე კი, მკლავებით ავწევ. გვამი ასწიეს, დარბაზში გაიტანეს, იქიდან კი - გარეთ. რის ვაი-ვაგლახით კიბეზე ჩაიტანეს, მერე მიწაზე დაასვენეს. ძალიან მძიმე იყო. - აქ ვერ მოიყვანთ ავტომობილს? - ჰკითხა რაულმა. - მოვიყვან, მაგრამ მოსაბრუნებელი ადგილი არ არის, - მიუგო შეფიქრიანებულმა მერიმ. - მე მოვახერხებ. მერიმ მალევე მოიყვანა ავტომობილი. ამასობაში რაული სახლში შებრუნდა. აბაზანიდან სველი პირსახოცი გამოიტანა და მარმარილოს იატაკზე სისხლი მოწმინდა. საბედნიეროდ, ცოტა სისხლი იყო, რადგან კარლს გულშდი დაეხალა ტყვია და სისხლი შიგვე ჩაქცეოდა. იატაკი მუქი წითელი მარმარილოსი იყო და რაული მალევე დარწმუნდა, რომ მოახლე ვერაფერს შეამჩნევდა. მერე გასისხლიანებული პირსახოცი აიღო და გარეთ გავიდა. მერი ავტომობილთან უცდიდა. რაულისთვის არაფერი უკითხავს. რაულმა ავტომობილის უკანა კარი გააღო, გვამს იღლიებში ამოსდო ხელი და ასწია. მერიმ დაინახა, რომ აწევა გაუჭირდა და მიეხმარა. ორივე ჩუმად იყო. ცხედარი ავტომობილში დაასვენეს და რაულმა წელქვეშ სველი პირსახოცი დაუფინა, ვაითუ, ავტომობილის რყევისას სისხლი წამოუვიდესო. შლაპა დაახურა და საჭეს მიუჯდა. მანქანა უკუსვლით ჭიშკრამდე მიიყვანა, აქ კი საკმაო ადგილი იყო მოსაბრუნებლად. - წავიდეთ? - ჰკითხა მან მერის. - წავიდეთ, მთის ძირას მარჯვნივ შეუხვიეთ. - მთავარი გზიდან, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გადავიდეთ.

- აქედან ოთხ-ხუთ მილზე გზა მთის ფერდობზე გაშენებული სოფლისკენ უხვევს, თუ კარგად მახსოვს, ერთ მხარეს ტყე უნდა იყოს. შარაზე რომ გავიდნენ, რაულმა სიჩქარეს მოუმატა. - ძალიან ჩქარა მიდიხართ, - უთხრა მერიმ. - დასაკარგი დრო არ გვაქვს, ჩემო კარგო, - მიუგო რაულმა მკვახედ. - ძალიან მეშინია. - ეს, რა თქმა უნდა, უზომოდ დაგვეხმარება. რაული უკმეხად ექცეოდა და მერი გაჩუმდა. მთვარე უკვე ჩავიდა და უკუნი სიბნელე ჩამოწვა. მერი სპიდომეტრს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ოთხმოცი მილის სისწრაფით მიჰქროდნენ. ხელი ხელზე შემოეჭდო. იცოდა, საშინელ ამბავს ჩადიოდნენ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. გული მტკივნეულად უცემდა და გამუდმებით იმეორებდა, ეს რა სისულელე მომივიდაო. - ხუთ მილს უკვე გავივლიდით, გადასახვევს ხომ არ გავცდით? - არა, მაგრამ სადაც არის, მივალთ. ცოტა ნელა იარეთ. - ავტომობილი მისრიალებდა. მერი მთებში შეხიზნული დაბისკენ მიმავალ შარაგზას გაფაციცებით ეძებდა. ორ-სამჯერ იყო ამ გზაზე ნამყოფი, რადგან შორიდანვე მოხიბლა პატარა დაბამ, რომელიც ძველი ფლორენციის ფონზე დახატულ ტილოსა და სახარების სცენის რომელიღაც ფრესკას აგონებდა. - აი, გადასახვევი, - წამოიძახა უცებ მერიმ. რაულმა ავტომობილი დაამუხრუჭა, რადგან გადასახვევს უკვე გასცდა, და უკუსვლით დაბრუნდა. ისინი ნელა გაუყვნენ მთებისკენ მიმავალ გზას, თან სიბნელეში ორივე მხარეს ათვალიერებდნენ. უეცრად მერი მკლავში სწვდა რაულს და მარცხნივ მიახედა. რაულმა ავტომობილი გააჩერა. იქ, ფერდობზე აკაციის ტყე უნდა ყოფილიყო. ნიადაგი ხშირ ბუჩქნარს დაეფარა, გვერდით კი ღრმა ხევი მოჩანდა. რაულმა სინათლე ჩართო. - გადავალ და დავათვალიერებ, შესაფერი ადგილი ჩანს. რაული ავტომობილიდან გადავიდა და ხშირ ტყეში გაუჩინარდა. ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში ტოტების ოდნავი ლაწალუწიც კი საშინლად ხმამაღალი აღმოჩნდა. რაული მალე დაბრუნდა. - მგონი, გამოდგება. მართალია, იქ კაცის ჭაჭანება არ იყო, მაგრამ რაული მაინც ჩურჩულებდა. - გადმოტანაში დამეხმარეთ. თუ შევძელი, მარტო წავიღებ, თქვენ იქ ვერ ჩამოხვალთ, დაიმტვრევით. -

არაფერია! - მე თქვენი დარდი კი არ მაქვს, - უკმეხად უთხრა რაულმა. - რას ეტყვით მოახლეებს, წინდები რომ შემოხეული გექნებათ და ფეხსაცმელი დასვრილი. გვამის წაღებას მარტოც მოვახერხებ. მერი ავტომობილიდან გადმოვიდა, უკანა კარი გააღეს. ის იყო ცხედარი უნდა გამოეტანათ, რომ გზის ზემოდან სინათლე გამოჩნდა. მთიდან ავტომობილი მოდიოდა. - ოჰ, ღმერთო, დავიღუპეთ, - წამოიძახა მერიმ, - რაულ, გაიქეცით, ამ ამბავში თქვენ ვერ გაგრევთ. - სისულელეებს ნუ ჩმახავთ. - ვერ გაგრევთ, - დაუყვირა სასოწარკვეთილმა მერიმ. - ნუ სულელობთ, გონს მოდით და არაფერი მოგვივა. თავს დავიძვრენთ. - არა, რაულ, ღვთის გულისთვის, დავიღუპე. - ჩუმად, დაწყნარდით, ავტომობილში ჩაჯექით. - ის იქ არის. - ჩუმად. მან მერი ავტომობილში შეაგდო და თვითონაც შეჰყვა. მომავალი ავტომობილის შუქი ერთი წამით მოსახვევს მიეფარა და ისევ გამოჩნდა. - მომეკარით, შეყვარებულები ვეგონებით. ოღონდ მშვიდად, არ გაინძრეთ. ავტომობილი ახლოვდებოდა. ორ-სამ წუთში აქ გაჩნდებოდა, გზა კი ისე ვიწრო იყო, რომ გვერდის ასაქცევად ნელი სვლით უნდა წამოსულიყო. რაულმა მერის ხელები მოჰხვია და მიიზიდა. მათ ფეხქვეშ მიცვალებულის მოკუზული გვამი ესვენა. - მე ახლა გაკოცებთ, თქვენც მაკოცეთ. ავტომობილი უკვე ახლოს იყო, აქეთ-იქით ქანაობდა. ავტომობილში მსხდომნი ხმამაღლა მღეროდნენ. - ღმერთო ჩემო, მთვრალები უნდა იყვნენ, ნეტავ, შეგვამჩნიონ, თორემ დაგვეჯახებიან და დავიღუპებით. აბა, მაკოცეთ ჩქარა. მერიმ ტუჩები რაულის ტუჩებთან მიიტანა და გეგონებოდათ, ისეთი თავდავიწყებით კოცნიდნენ ერთმანეთს, მოახლოებულ ავტომობილს ვერ ამჩნევენო. ავტომობილი ხალხით იყო სავსე, მათი ღრიალი მკვდარსაც კი გააღვიძებდა. ალბათ, შინ მიმავალი მექორწილენი იყვნენ. შუაგზაზე მოდიოდნენ და გეგონებოდათ, სადაცაა გზაზე მდგარ ავტომობილს დაეჯახებიანო. გამოსავალი არსად იყო. უცებ ვიღაც აყვირდა. გაჩერებული ავტომობილი შეამჩნიეს. მუხრუჭებმა დაიღრჭიალა და მანქანა ერთ ადგილას გაქვავდა. ეტყობა, მძღოლი საფრთხემ გამოაფხიზლა, რადგან ბოლოს

სიჩქარე შეანალა. მერე ვიღაცამ მოჰკრა თვალი ჩაბნელებულ ავტომობილში მსხდომ ერთმანეთს ჩაკონებულ წყვილს და ყველანი ხმამაღლა ახარხარდნენ. ერთმა უხამსად იხუმრა, ორმა თუ სამმა ღრიანცელი ატეხა. რაულს ჩახუტებული ჰყავდა მერი. სიყვარულის ალში გახვეულებს თითქოს ყველაფერი დავიწყებოდათ. ვიღაც ჭკუამხიარულმა ტკბილი ბარიტონით „ლა დონნა ე მობილე“ წამოიწყო ვერდის „რიგოლეტოდან“. დანარჩენებმა სიტყვები კარგად არ იცოდნენ, მაგრამ სიმღერის დიდი სურვილი გამოამჟღავნეს და ღრიალით აჰყვნენ. მათ ნელა ჩაუარეს მერის ავტომობილს. - კისერზე მომეხვიეთ, - წაუჩურჩულა რაულმა მერის და როცა მექორწილეებმა ჩაუარეს, ხელი მხიარულად დაუქნია. - ყოჩაღ, ყოჩაღ, - დაუყვირეს ნაქეიფრებმა, - კარგად გაერთეთ. - და ბარიტონმა ერთხელ კიდევ წამოიწყო „ლა დონნა ე მობილე“. ისინი სახიფათო სიჩქარით დაეშვნენ მთიდან. მალე თვალს მიეფარნენ, მაგრამ ღრიანცელი მაინც ისმოდა. რაულმა ხელი გაუშვა მერის და არაქათგამოცლილი ქალი ავტომობილის კუთხეში მიიკუნჭა. - ჩვენთვის კარგია, რომ მთელ მსოფლიოს უყვარს შეყვარებულები, - თქვა რაულმა, - აბა, ახლა კი საქმეს მივხედოთ. - საშიში არ არის? სწორედ აქ რომ იპოვონ? - რომ იპოვონ, შეიძლება ეჭვი შეეპაროთ, მაგრამ სხვაგან უკეთეს ადგილს ალბათ ვერც ვიპოვით. ეგეც არ იყოს, დრო არ გვაქვს. ისინი მთვრალები იყვნენ. თქვენნაირი ფიატი ბევრს ჰყავს და რაღა მაინცდამაინც ჩვენზე იფიქრებენ. რატომ არ უნდა ეგონოთ, რომ ეს თვითმკვლელობაა? გადმოდით. - არა მგონია, ფეხზე დგომა შევძლო. - როგორმე უნდა დამეხმაროთ გადმოტანაში. მერე კი სადმე აქ დაჯექით. რაული გადმოვიდა და მერი ხელისკვრით გადმოიყვანა. უეცრად მერის ტირილი აუტყდა და დაიჩოქა. რაულმა სახეში სილა გააწნა. მერის შიშისგან სუნთქვა შეეკრა და ფეხზე წამოდგა. ტირილი უმალვე შეწყვიტა. ხმა არ ამოუღია. - ახლა მომეხმარეთ. საქმეს უსიტყვოდ შეუდგნენ და ერთად გადმოიტანეს გვამი. - ახლა ფეხები მეორე ხელზე დამიწყეთ. საშინლად მძიმეა. როგორმე ეს ბუჩქები ისე მისწი-მოსწიეთ, რომ არ გავთელო და ისე გავიარო. მერიმ ბუჩქები

გადასწია და რაული მძიმე ნაბიჯით შევიდა ბუჩქნარში. თავზარდაცემულ მერის ლაწუნი ისე ხმაურიანი მოეჩვენა, ეგონა, რამდენიმე მილის მანძილზე გაიგონებდნენ. რაულის წასვლის მერე განვლილი დრო უსასრულოდ ეჩვენა. ბოლოს გზაზე მომავალი რაული დაინახა. - სხვა გზით დაბრუნება ვამჯობინე. - როგორ არის საქმე? - ჰკითხა მერიმ მოუთმენლად. - მგონი, კარგად. ღმერთო, როგორ დავიღალე, რამეს დავლევდი. მერე ღიმილმორეულმა მერის შეხედა და უთხრა: - ახლა, თუ გინდათ, იტირეთ. მერიმ არაფერი უპასუხა. ავტომობილში ჩასხდნენ. რაულმა ავტომობილი დაძრა. - საით მიდიხართ? - ჰკითხა მერიმ. - აქ ვერ მოვაბრუნებ. თანაც აჯობებს, ცოტა გავიაროთ, რომ ავტომობილის კვალი არ დარჩეს. ხომ არ იცით, როგორ უნდა გავიდეთ მთავარ გზაზე? - არა, ეს გზა სოფელში მიდის. - ცოტა გავიაროთ და მერე მოვბრუნდეთ. ერთხანს ჩუმად იყვნენ. - პირსახოცი აქ არის. - მე წავიღებ და სადმე გადავაგდებ. - ზედ ლეონარდების გვარი აწერია. - არაფერია, რამეს მოვახერხებ, ქვას გამოვაბამ და არნოში გადავაგდებ. რამდენიმე მილი გაიარეს და გზისპირას პატარა ვაკეს მიადგნენ. რაულმა ავტომობილის მობრუნება დააპირა და უცბად შეჰყვირა: - ღმერთო, რევოლვერი? - ჩემს ოთახშია. - სულ გადამავიწყდა. თუ გვამი იპოვეს და რევოლვერი კი ვერა, ეჭვს აიღებენ, გვამთან უნდა დაგვეგდო. - რა ვქნათ? - რაღას ვიზამთ, ბედს მივენდოთ, ჯერჯერობით გვწყალობს. შეიძლება პოლიციამ იფიქროს, რომ ცხედარს რევოლვერი ვინმე პატარა ბიჭმა აართვა. ისინი სწრაფად მიჰქროდნენ. დროგამოშვებით რაული ცას უყურებდა. ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ ისეთი უკუნი აღარ იყო, როგორც აქეთობისას. აისის მოახლოება იგრძნობოდა. იტალიელი გლეხი უთენია გადის მინდორში და რაულს უნდოდა მერი მანამ მიეყვანა ვილაში, სანამ ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. როგორც იქნა, მიაღწიეს მთის ძირს, რომლის წვერზეც ვილა იდგა და რაულმა ავტომობილი გააჩერა. აისი დგებოდა. - სჯობს, მარტო წახვიდეთ, მე აქ დავტოვე ველოსიპედი. რაულმა შეამჩნია, რომ მერიმ ძლივს გაუღიმა. შეატყო, ლაპარაკი სურდა და მხარზე ხელი

მოუთათუნა. - ნურაფერზე იდარდებთ. მისმინეთ, დასაძინებელი აბი დალიეთ. სიფხიზლე და ფიქრი არაფერს გარგებთ. ტკბილი ძილის შემდეგ თავს კარგად იგრძნობთ. - მგონი, ვეღარასოდეს დავიძინებ. - ვიცი, ამიტომაც გეუბნებით, აბი გადაყლაპეთ-მეთქი. ხვალ მოვალ. - მთელი დღე შინ ვიქნები. - მეგონა, ატკინსონებთან იქნებოდით სადილად. მე მთხოვეს, წამოიყვანეო. - დავურეკავ, უქეიფოდ ვარ-მეთქი. - არა, ამას ნუ იზამთ, წადით და ისე მოიქეცით, თითქოს არაფერი მომხდარა. ყველაზე ჭკვიანური ეს იქნება. ვთქვათ, ეჭვი მიიტანეს თქვენზე, თქვენს ქცევაში არაფერი უნდა იგრძნობოდეს ისეთი, რაც თქვენს სინდისის ქენჯნაზე მიუთითებს, მიხვდით? - მივხვდი. მერი საჭეს მიუჯდა და დაიცადა, ვიდრე რაული ველოსიპედს სამალავიდან გამოიტანდა. მერე მთისკენ მიმავალ გზას შეუდგა. ავტომობილი ჭიშკართან გარაჟში დატოვა, ბილიკი გაიარა და სახლში ფეხაკრეფით შეიპარა. თავისი ოთახის კართან შეჩერდა, შეყოყმანდა, შევიდე თუ არაო. შესვლა არ უნდოდა და წამიერმა შიშმა შეიპყრო - ვაითუ, კარლი შემომეგებოს თავის გაცრეცილ კოსტიუმშიო. მწუხარებისგან ლამის გონება დაკარგა, მაგრამ თავი შეიმაგრა, თუმცა სახელური რომ გადასწია, ხელი აუკანკალდა. სინათლე აანთო და გულზე მოეშვა, როცა ოთახი ცარიელი, უცვლელი დაინახა. საწოლთან საათს დახედა, ჯერ ხუთი არ იყო. რა საშინელი ამბები დატრიალდა ამ მოკლე ხანში! არაფერს დაიშურებდა ამქვეყნად, ოღონდ კი, დრო უკან დაბრუნებულიყო, რომ ერთხელ კიდევ ყოფილიყო ისეთი უზრუნველი, როგორიც ამ რამდენიმე საათის წინ. ცრემლები გადმოსცვივდა. ღონეგამოცლილს მთელი სხეული უკანკალებდა და გონებაში უთავბოლოდ, ელვასავით გაურბინა ამ საბედისწერო ღამემ. ტანთ ნელა გაიხადა, დაწოლა არ უნდოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. რამდენიმე დღე კიდევ დარჩებოდა ამ ვილაში. რაული ეტყვის, როდის სჯობს აქედან წასვლა. თუ ედგარზე ქორწინებას დათანხმდებოდა, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა ფლორენციიდან უფრო ადრე თუ წავიდოდა, ვიდრე განზრახული ჰქონდა. მას აღარ ახსოვდა, რა უთხრა ედგარმა ინდოეთში წასვლაზე. ის კი ცხადი იყო, რომ მალე უნდა

წასულიყო. იქ მერი უსაფრთხოდ იქნებოდა და ამ ამბავს დაივიწყებდა. დაწოლისას, რაულის მიერ სამზარეულოში გატანილი ჭურჭელი მოაგონდა. მიუხედავად რაულის ნათქვამისა, მაინც სურდა თავისი თვალით ენახა. ხალათი მოისხა და სამზარეულოში ჩავიდა. მოახლეს რომ შემთხვევით ენახა, მერი ეტყოდა, შიმშილმა გამომაღვიძა და ჩამოვედიო. სახლი ცარიელი მოეჩვენა, სამზარეულო კი - გავარვარებულ გამოქვაბულად. ლორი მაგიდიდან აიღო და განჯინაში შედო. კვერცხის ნაჭუჭები სათლში ჩაყარა, ჭიქები და თეფშები გარეცხა და თავის ადგილას დააწყო. ტაფა ისევ ჩამოკიდა. ეჭვის აღმძვრელი აღარაფერი იყო და ისევ საწოლ ოთახში შეიპარა. მერე ძილის წამალი დალია და სინათლე ჩააქრო. იფიქრა, მალე დამეძინებაო, და სანამ თავს ეუბნებოდა, თუ არ დამეძინა, გავგიჟდებიო, როგორც იქნა, ჩაეძინა კიდეც. როცა თვალი გაახილა, საწოლთან ნინა დაინახა. - რა ხდება? - ჰკითხა ნამძინარევმა მერიმ. - უკვე გვიანია სინიორა, პირველ საათზე ვილა ბოლონიეზეში უნდა იყოთ, ახლა კი უკვე თორმეტია. უეცრად მერის წუხანდელი ამბავი მოაგონდა და გულში საშინელი ტკივილი იგრძნო. უკვე გამოფხიზლებული შესცქეროდა მოახლეს. ნინა, როგორც ყოველთვის, მეგობრულად უღიმოდა. მერიმ გონება მოიკრიბა. - შენ რომ გამაღვიძე, მერე აღარ დამეძინა და ძილის წამალი დავლიე. - მაპატიეთ, სინიორა. ხმაური შემომესმა და ვიფიქრე, ავალ და ვნახავ, რა ამბავია-მეთქი. - რა ხმაური? - თითქოს გაისროლესო. გამახსენდა, რომ სინიორემ რევოლვერი დაგიტოვათ და შემეშინდა. - ალბათ, ავტომობილი თუ იყო, ღამით ხმაური შორს ვრცელდება. ყავა მომიმზადე და მერე ვიბანავებ, უნდა ვიჩქარო. ნინა წავიდა თუ არა, მერი ლოგინიდან წამოხტა და კარადასთან მიირბინა, რომლის უჯრაშიც რევოლვერი დამალა. ერთ წამს შიშმა შეიპყრო, ვაითუ, რომ მეძინა, ნინამ იპოვა და წაიღოო. ჩირო, ნინას ქმარი შეატყობდა, რომ ნასროლი იყო, თუმცა, რევოლვერი ადგილზე იდო. ყავის მოლოდინში ფიქრებმა გაიტაცა. მიხვდა, რატომ ურჩია რაულმა სადილად ატკინსონებთან წასულიყო. მის საქციელში არაფერი უნდა ყოფილიყო

უცნაური. ახლა ფხიზლად ყოფნა რაულის გამოც მართებდა. დიდად მადლიერი იყო მისი. რა ჭკვიანურად, დაკვირვებით მოიქცა რაული! ვინ იფიქრებდა, რომ ამ უქნარას ამდენი ჭკუა ექნებოდა. რა მოუვიდოდა მერის, რაულს რომ არ გაემხნევებინა იმ საბედისწერო წამს, როცა ნაქეიფარი იტალიელები შეხვდნენ? მერიმ ამოიოხრა. შეიძლება, რაული საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი იყო, მაგრამ იმას კი ვერავინ დაუკარგავდა, რომ კარგი მეგობრობა იცოდა. ყავა დალია და იბანავა. მერე სარკეს მიუჯდა და თავი მოიწესრიგა. საოცარი იყო, რომ ამდენი ამბის შემდეგ სრულიად არ შეცვლილა. შიშისა და ცრემლის კვალიც აღარ დარჩენოდა სახეზე. თავს ფხიზლად და კარგად გრძნობდა. მისი თაფლისფერი კანი ისევ მიმზიდველი იყო. თმა უბზინავდა და თვალები უბრწყინავდა. რაღაცნაირი მღელვარება მაინც იგრძნო. ამან მოაგონა მომავალი წვეულება, სადაც უნდა ემხიარულა, რათა მერე ეთქვათ - მერი დღეს მართლაც მომხიბლავი იყოო. დაავიწყდა რაულისთვის ეკითხა, ისიც იქნებოდა თუ არა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ მიპატიჟებაზე დათანხმდა. რაულის იქ ყოფნა თავდაჯერებულობას შემატებდა მერის. როგორც იქნა, წასასვლელად მოემზადა. ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში. ნინამ ტკბილი ღიმილი შეაგება. - სინიორა, დღეს ისე ლამაზად გამოიყურებით, როგორც არასდროს. - ამდენი პირფერობა არ შეიძლება, ნინა. - ჰო, მაგრამ ეს სიმართლეა. დიდხანს ძილი მოგიხდათ, პატარა გოგოს ჰგავხართ. ატკინსონები შუახნის ამერიკელები იყვნენ, დიდი და საუცხოო ვილა ჰქონდათ, რომელიც ადრე მედიჩებს ეკუთვნოდათ. ოცი წელი აგროვებდნენ ავეჯს, ნახატებსა და ქანდაკებებს, რითაც ეს ვილა ფლორენციაში ერთ-ერთ გამორჩეულ ღირსშესანიშნაობად იქცა. სტუმართმოყვარე ატკინსონები დიდ წვეულებებს ხშირად მართავდნენ. მერი სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, სადაც მრავლად იყო აღორძინების დროის კარადები, სანსოვინოსა1 და სეტინიანოს2 ღვთისმშობლის გამოსახულებები, პერუჯინოსა3 და ფილიპინო ლიპის4 ტილოები. სტუმართა უმრავლესობა უკვე მოსულიყო. ოთახში ორი მოსამსახურე მიდი-მოდიოდა - ერთს ლანგრით კოქტეილი

დაჰქონდა, მეორეს კი - სხვადასხვა საჭმელი. პარიზულ კაბებში გამოწყობილი ქალები საუცხოოდ გამოიყურებოდნენ. მამაკაცებს თხელი კოსტიუმები ეცვათ და თავი თავისუფლად ეჭირათ. დიდი, ღია ფანჯრები გადიოდა ინგლისურ ბაღში, რომელსაც ბილიკის ორივე მხარეს შეკრეჭილი ბზა გასდევდა. აქა-იქ ყვავილებით სავსე ქვის დიდი ქოთნები და დროთა დინების მიერ დაზიანებული ბაროკოს ქანდაკებები იდგა. ივნისის ამ თბილ დღეს თითქოს ჰაერს დაეყენებინა ეს ხალხი ასეთ კარგ განწყობაზე. ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდათ, თითქოს არავის არაფერი ადარდებდა. ყველას ეტყობოდა, რომ ფული თავზესაყრელად ჰქონდათ და ამ ცხოვრებით ტკბებოდნენ. ვერ დაიჯერებდით, რომ სადღაც ვიღაც შიმშილობდა. დიახ, ასეთ დღეს მართლაც შეტრფოდი სიცოცხლეს. მერიმ მაშინვე იგრძნო, რომ ყველა მხიარული კეთილგანწყობით შეეგება, მაგრამ სწორედ ამ წამის უნებლიე სიამოვნებამ გავარვარებული ღუმელის მცხუნვარებასავით შეაძრწუნა, სინდისის ქენჯნა იგრძნო. ის უბედური ყმაწვილი ამ წუთას ღია ცის ქვეშ ეგდო არნოს ნაპირას აზიდულ გორაკზე. რა საშინელებაა ამაზე ფიქრი! ამ დროს ოთახის მეორე ბოლოში თვალი მოჰკრა რაულს და მისი გაფრთხილება გაახსენდა. რაული მისკენ წამოვიდა. მასპინძელი ჰაროლდ ატკინსონი, მეტად მოხდენილი ჭაღარა კაცი იყო. სისხლსავსესა და ახოვანს ლამაზი ქალები უყვარდა. მერისაც ეარშიყებოდა. მან მერის ხელი ჩამოართვა და დიდხანს აღარ გაუშვა. რაული მათთან მივიდა. - ამ წუთას ვეუბნებოდი ამ გოგონას, რომ ნახატივით მშვენიერია, - მიუბრუნდა ატკინსონი რაულს. - ტყუილად ჰკარგავთ დროს, ჩემო კარგო, - მომხიბლავი ღიმილით მიუგო რაულმა, - თქვენ შეგიძლიათ იგივე უთხრათ თავისუფლების ქანდაკებას. - რატომ, უარი გტკიცათ? - დიახ. - არ ვამტყუნებ. - მისტერ ატკინსონ, მე ყმაწვილკაცები არ მიყვარს, - მიუგო მერიმ და თვალები აუციმციმდა. - გამოცდილებით ვიცი, რომ საინტერესო საუბარი მხოლოდ ორმოცდაათს გადაცილებულ მამაკაცთან შეიძლება. - როდესმე ერთად შევიკრიბოთ და ამაზე ვისაუბროთ, - უთხრა ატკინსონმა, - დარწმუნებული ვარ, ბევრი საერთო გვაქვს... - და უცებ

მიბრუნდა, რათა ახალშემოსულ სტუმარს მისალმებოდა. - დიდებული ხარ, - ხმადაბლა ჩაულაპარაკა რაულმა მერის. მისმა მზერამ, რომელშიც მოწონება გამოიხატებოდა, მერი გაამხნევა, მაგრამ მაინც შეშინებული და შეწუხებული თვალებით შეხედა. - გამაგრდით, წარმოიდგინეთ, რომ მსახიობი ხართ და როლს თამაშობთ. - აკი გითხარით, მსახიობობის ნიჭი არ მაქვს-მეთქი, - მიუგო მერიმ ღიმილით. - თქვენ ქალი ხართ, ანუ მსახიობობა თანდაყოლილი გაქვთ, - მოუჭრა რაულმა. მერიც მთელი წვეულების განმავლობაში თამაშობდა. მარჯვნივ ეჯდა მასპინძელი, რომელთან არშიყობაც ართობდა და სიამოვნებას ჰგვრიდა. მარცხნივ კი - იტალიელი ხელოვნებათმცოდნე, ვისთანაც მხატვრობაზე საუბრობდა. ფლორენციაში წარჩინებული წრის ოჯახი ბევრი არ არის და რამდენიმე სტუმარი წინა დღითაც ნახა რესტორანში. პრინცესა სან ფერდინანდო, მერის გუშინდელი მასპინძელი, ატკინსონის მარჯვნივ იჯდა. ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რამაც მერის სიმშვიდე დაუკარგა. მოხუცი ლედი მაგიდაზე გადმოიხარა და მერის უთხრა: - ახლა ჰერცოგს ვუყვებოდი წუხანდელ ამბავს. მერე ატკინსონს მიუბრუნდა: - პეპინოსთან ვიყავით გუშინ, მინდოდა ერთი მომღერლისთვის მოესმინათ. საოცარი ხმა აქვს, თქვენ წარმოიდგინეთ, მაგრამ გუშინ არ მღეროდა. - მომისმენია მისთვის, - უპასუხა ატკინსონმა, - მისის ატკინსონი გადამეკიდა, დააფინანსე, რომ ისწავლოს და ოპერის მომღერალი დადგესო. - მის ნაცვლად ერთი საშინელი მევიოლინე იყო, პეპინომ მითხრა, გერმანელი ლტოლვილია და ხანდახან მოწყალების გამო მოგვყავსო. დამპირდა, ამის მეტად აღარ მოვიწვევო. გახსოვთ, მერი, არა? აუტანელი იყო. - კარგად ვერ უკრავდა. მერიმ გაიფიქრა, ნეტავ, ჩემი ხმა სხვებსაც ჩემსავით არაბუნებრივად თუ მოეჩვენათო. - კარგად ვერ უკრავდაო, რას მიქვია. მის ადგილას, თავს მოვიკლავდი. მერიმ იგრძნო, რაღაც უნდა ვთქვაო და მხრები აიჩეჩა: - ალბათ, მასეთ ხალხს უჭირს ცხოვრებაში ადგილის პოვნა. - სამწუხაროა, - თქვა ატკინსონმა. - ახალგაზრდაა? - დიახ, სულ ყმაწვილია, - მიუგო პრინცესამ, - ძალიან საინტერესო თავი ჰქონდა,

არა, მერი? - არ შემიმჩნევია, - მიუგო მერიმ, - ის უცნაური ტანისამოსი, ალბათ, ძალით თუ ჩააცვეს. - არ ვიცოდი, თუ ლტოლვილი იყო, ახლა ძალიან მებრალება. მე რომ გავანჩხლდი, ალბათ, იმიტომ მითხრა პეპინომ, გავაგდებო. თუ სადმე შევხვდი, ორას-სამას ლირას მივცემ, სამუშაოს პოვნამდე თავი რომ ირჩინოს. საუბარი გაუთავებლად კარლს შეეხებოდა. მერიმ შეშფოთებით გახედა რაულს, მაგრამ ის მაგიდის ბოლოში იჯდა და ვერ ხედავდა. მერი მარტო უნდა გამკლავებოდა ამ სიტუაციას. ბოლოს, საბედნიეროდ, საუბრის თემა შეიცვალა. მერი მოიქანცა, ის ხან რაზე ლაპარაკობდა, ხან რაზე. კისკისებდა მეზობლის ოხუნჯობაზე, თავს იკატუნებდა, ვითომ ძალიან მოსწონდა მისი ენამახვილობა, თან, წუხანდელი ამბები თავიდან არ შორდებოდა, ისე გამუდმებით უცოცხლდებოდა განაწამებ მეხსიერებაში, თითქოს სცენაზე პიესას უყურებსო. შვებით ამოისუნთქა, როცა მასპინძლებს ემშვიდობებოდა. - დიდი მადლობა, საუცხოო იყო, არა მგონია, სადმე ასეთი კარგი დრო გამეტარებინოს. მისის ატკინსონს, გულკეთილ და გამჭრიახ ჭაღარა ქალს, მერის ხელი ეჭირა. - გმადლობთ ჩემო ძვირფასო, თქვენ ისეთი მშვენიერი ხართ, რომ ყოველ წვეულებას ამშვენებთ. ჰაროლდმაც ჩინებული დრო გაატარა, ხომ იცით, ის გამოუსწორებელი ბებერი როგორი მუსუსია. - მე კარგად მექცეოდა. - ასეც უნდა ყოფილიყო. მართალია, რომ მალე დაგკარგავთ? მერი მიუხვდა, რომ ედგარზე ეუბნებოდა. ალბათ, პრინცესამ უთხრა. - ვინ იცის? - გაიღიმა მერიმ. - ვიმედოვნებ, რაც გავიგე, სიმართლეა. იცით, მე ადამიანთმცოდნეობაში რაღაც გამეგება. თქვენ არა მხოლოდ ლამაზი, არამედ კეთილი, სათნო და ბუნებრივი ადამიანი ხართ. ბედნიერებას გისურვებთ. მერის თვალზე ცრემლი მოადგა. ამ კეთილ ლედის ნაძალადევად გაუღიმა და სწრაფად წავიდა. შინ დაბრუნებულ მერის დეპეშა დაუხვდა: „ხვალ მოვფრინავ. ედგარი“. ტერასებად დაყოფილ ბაღში მერის ერთი საყვარელი ადგილი ჰქონდა. ეს იყო პატარა მდელო, რომელიც კეგლის სათამაშო მოედანს მოგაგონებდათ. გარსშემორტყმული კვიპაროსების ხეივანი ერთ მხარეს ქმნიდა თაღს, საიდანაც მოჩანდა

ზეთისხილის ხეებით შეფენილი გორაკი, მის კორტოხზე გაშენებული სოფლის წითელსახურავიანი სახლები და ეკლესიის სამრეკლო. ამ მივარდნილ ადგილას ყოველთვის გრილოდა. შეზლონგზე ჩამომჯდარი მერი აქ სულის სიმშვიდეს ეძებდა. ამ ადგილას განმარტოებულს მშვიდად შეეძლო საკუთარ ფიქრებს მისცემოდა. როცა ცოტა ხნის შემდეგ ნინამ ჩაი ამოუტანა, მერიმ უთხრა: - რაულს ველოდები და როგორც კი მოვა, ვისკი, სიფონი და ყინული მოიტანე. - კეთილი, სინიორა. ნინას ჭორაობა უყვარდა. ახლაც, როცა ცინცხალი ამბავი მოუტანა მზარეულმა აგატამ, ვერ ითმენდა, ერთი სული ჰქონდა დიასახლისს როდის გაუზიარებდა. აგატას ნათესავებს ოთახი მიექირავებინათ ვიღაც ლტოლვილისთვის, რომელიც ისე გაქცეულიყო, რომ არც ბინის ქირა და არც საჭმლის ფული არ გადაეხადა. აგატას ნათესავები კი, ღატაკები იყვნენ და ფულის დაკარგვას ვერ შერიგებოდნენ. გაქცეულს რაც ზედ ეცვა იმის გარდა არაფერი ებადა თურმე და რაც დაუტოვებია, ის ხუთი ლირაც არ ღირდა. სამი კვირის ქირა მართებდა, მაგრამ დაუცლიათ, კარგი ყმაწვილი ყოფილა და შესცოდებიათ. იმან კი აი, რა ოინი უყო! ჭკუა ისწავლონ. კაცს რა სიკეთეც უნდა უქნა, სამაგიეროს ნუ ელი! - როდის გაქცეულა? - ჰკითხა მერიმ. - გუშინ საღამოს პეპინოსთან წასულა ვიოლინოს დასაკრავად, მართლა, თქვენც ხომ იქ იყავით? უთქვამს, დავბრუნდები და ვალს მოგცემთო. მაგრამ აღარ დაბრუნებულა. ასუნტას პეპინოსთან მოუკითხავს, მაგრამ პეპინოს უთქვამს, არაფერი ვიცი, არ მოგვეწონა და დავითხოვეთო. ფული ჰქონია: თეფშიდან თავისი წილი აუღია. ვიღაც ლედის ასი ლირა უჩუქებია. მერიმ შეაწყვეტინა. აღარ უნდოდა ამაზე ლაპარაკი. - ჰკითხე აგატას, რამდენი მართებდა იმ ყმაწვილს ასუნტასი, არ მინდა ასუნტა დაისაჯოს იმის გამო, რომ ვიღაცას სიკეთე გაუკეთა. მე გადავუხდი. - ოჰ, სინიორა, იცით, ეგ რა სიკეთე იქნება მათთვის? ორივე შვილი ჯარში ჰყავს, შემოსავალი კი, არაფერი აქვთ. ოთახის გაქირავებით ირჩენდნენ თავს. ამ მდგმურსაც ეს საწყლები აჭმევდნენ, დღეს კი, საჭმელი ძალიან ძვირია. ჩვენ, ღარიბ ხალხს, გვიწევს ტანჯვა

იმისთვის, რომ იტალია ძლიერი ქვეყანა გახდეს. - კარგი, წადი. დღეს უკვე მეორედ ელაპარაკებოდნენ კარლზე. მერი შიშმა შეიპყრო. ის უბედური ყმაწვილი, რომელზეც სიცოცხლეში არავინ ნაღვლობდა, ახლა როგორღაც ზედმეტ ყურადღებას იპყრობდა. მერის პრინცესას ნათქვამი გაახსენდა - რადგან ჩემი გულისთვის დაკარგა სამუშაო, მინდა რითიმე დავეხმაროო. პრინცესა თავისი სიტყვის პატრონი და ჯიუტი ქალი იყო და კარლს ძებნას დაუწყებდა. და თუ ვერ იპოვიდა, ცასა და დედამიწას შესძრავდა, რომ მისი ასავალ-დასავალი გაეგო. „აქაურობას უნდა გავეცალო, მეშინია“. ნეტავ, რაული მოსულიყო. ახლა მხოლოდ ის იყო მისი ერთადერთი მფარველი. მერიმ ედგარის დეპეშა ამოიღო ჩანთიდან და ერთხელ კიდევ წაიკითხა. ეს იყო ხსნის ერთადერთი გზა. ფიქრებმა წაიღეს. უეცრად თავისი სახელი შემოესმა. - მერი! ეს რაული იყო. მდელოს ბოლოდან მხრებში მოხრილი, ჯიბეში ხელებჩაწყობილი მოდიოდა. მის სიარულში ვერ იგრძნობდით შნოსა და ლაზათს, ფეხებს ტლანქად მოათრევდა. ვინმეს ამ სახელგატეხილი ყმაწვილის ასეთი უდარდელიქცევა ახლა შეიძლება უადგილოდ მოსჩვენებოდა, მერის კი სიმშვიდეს ანიჭებდა. - ნინამ მითხრა, აქ არისო. სასმელი მოაქვს, მეც სწორედ დალევის გუნებაზე ვარ. დასწყევლოს ღმერთმა, ამ თქვენს მთაზე ამოსვლა მართლაც ძნელია. და მერის დაკვირვებით შეხედა. - რა ხდება? რაღაც უგუნებოდ გამოიყურებით. - მოითმინეთ, ნინა რომ წავა, მერე გეტყვით. რაული დაჯდა და პაპიროსი გააბოლა. ამ დროს ნინაც მოვიდა. რაული სიცილით გაეხუმრა: - აბა, ნინა, რას იტყვი იმაზე, დუჩე რომ ამბობს, ყოველმა იტალიელმა ქალმა ბავშვით უნდა მოამარაგოს იტალიაო? არ გეტყობა, რომ ამ პატრიოტულ მოვალეობას ასრულებდე. - მამმა მია, დღეს ადამიანს თავისი თავი ვერ ურჩენია და ღლაპებს რა უნდა ვაჭამოთ? ნინა რომ წავიდა, რაული მერის მიუბრუნდა: - რა მოხდა? მერიმ დაწვრილებით მოუყვა, საუზმეზე რა თქვა პრინცესამ კარლზე, ამ საღამოს კი - ნინამ. რაულმა ყურადღებით მოუსმინა და მიუგო: - ჩემო კარგო, აქ საგანგაშო არაფერია. ეგ სულ თქვენი ნერვების ბრალია. მას ეგონა, მუდმივ სამუშაოს ვიშოვიო და რომ ვერ იშოვა, თავი მოიკლა.

დიასახლისის ფული ემართა, შეჰპირდა, ფულს გაგისტუმრებო, მაგრამ სამყოფი ფული ვერ მოაგროვა. ვთქვათ, გვამი იპოვეს: მან თავი მოიკლა და საამისოდ ბევრი მიზეზი ჰქონდა. რაულის ნათქვამი დამაჯერებლად ჟღერდა. მერიმ გაუღიმა და ამოიოხრა. - მართალი ხართ, ნერვების ბრალია, მაგრამ უთქვენოდ რა მეშველებოდა? - არ ვიცი, - ჩაიხითხითა მან. - წუხელ რომ დავეჭირეთ, რა მოგვივიდოდა? - კისერს მოვიტეხდით, საყვარელო. მერის სუნთქვა შეეკრა. - ციხეში ჩაგვსვამდნენ? რაულმა დამცინავი ღიმილით შეხედა. - ამას უამრავი ახსნა-განმარტება დასჭირდებოდა. ორი ინგლისელი ვიღაცის გვამს ავტომობილით ქალაქგარეთ დაატარებს. არ ვიცი, როგორ დავამტკიცებდით, რომ მან თავი მოიკლა. ან მე დამაბრალებდნენ, ან თქვენ. - თქვენ რატომ? - ვინ იცის, რა აზრები გაჩნდებოდა პოლიციელის თავში. ჩვენ პეპინოსგან წუხელ ერთად წამოვედით; ხოლო, როცა საქმე ქალებს შეეხება, ჩემზე ამბობენ, სანდო არ არისო; თქვენ კი შეუდარებელი მზეთუნახავი, ცთუნების განსახიერება ხართ, როგორც ბიბლიური ვაშლი. როგორ დავამტკიცებდით, რომ ჩვენ შორის არაფერი მოხდა? იფიქრებდნენ, რომ მე ეს ყმაწვილი თქვენს ოთახში აღმოვაჩინე და მოვკალი. ან პირიქით, მან მოგვისწრო ჩვენ და მე მოვკალი ის თქვენი ღირსების გადასარჩენად. სამწუხაროდ, ამგვარ იდიოტობებს ადამიანები ხშირად სჩადიან. - თქვენ საშინლად გარისკეთ. - ამაზე არც ღირს ლაპარაკი. - წუხელ ისე დავიბენი, მადლობაც კი არ მითქვამს. მადლობელი ვარ, რაულ, თქვენს ვალს ვერასოდეს გადავიხდი. თქვენ რომ არა, ალბათ, თავს მოვიკლავდი. არ ვიცი, რით დავიმსახურე თქვენგან ამდენი სიკეთე. ერთი წამით რაულმა მერის მშვიდად შეხედა, მერე კი ტკბილად გაუღიმა: - ჩემო კარგო, ამას ნებისმიერი მეგობრისთვის გავაკეთებდი. რა ვიცი, იქნებ, სრულიად უცხოსთვისაც. იცით, მე მიყვარს რისკი; არ ვარ კანონმორჩილი ადამიანი. ერთხელ მონტე კარლოში ათასი გირვანქა სტერლინგი დავდე კაზინოს სასწორზე. არაჩვეულებრივი შეგრძნება იყო, მაგრამ წუხანდელს ვერ შევადარებ. ჰო, მართლა, რევოლვერი სად არის? - ჩანთაში, სახლში დატოვება ვერ გავბედე და წამოვიღე.

შემეშინდა, ნინას არ ეპოვა. რაულმა ხელი გაუწოდა: - მომეცით ჩანთა. მერი ვერ მიუხვდა რას აპირებდა, მაგრამ მაინც გაუწოდა. რაულმა რევოლვერი ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. - რატომ აკეთებთ ამას? რაული სკამის ზურგს მიეყრდნო. - ადრე თუ გვიან, გვამს იპოვიან. სჯობს, რევოლვერიც მასთან ერთად ნახონ. მერიმ შიშისგან კინაღამ შეჰკივლა. - ისევ იქ უნდა წახვიდეთ? - რატომაც არა. მშვენიერი საღამოა, გავისეირნებ. ველოსიპედი ვიქირავე. შარაგზას გავუყვები. იქნებ, სულაც სოფლის ლამაზი ხედით ტკბობა მინდა!.. - ტყეში რომ დაგინახონ? - ისეთ დროს შევარჩევ, რომ ახლომახლო არავინ იყოს. რაული წამოდგა. - ახლა მიდიხართ? - დიახ. მართალი გითხრათ, მეჩხერი ტყეა. გუშინ არ მითქვამს, ვიფიქრე, შეგეშინდებოდათ, სხვა ადგილის მოძებნის დრო კი აღარ იყო. ვფიქრობ, გვამს საკმაოდ მალე იპოვიან. - სანამ დაბრუნდებით, მე ჩემი დამემართება. - მართლა? - გაუღიმა რაულმა. - გამოგივლით და ერთ ჭიქას კიდევ დავლევ. - ოჰ, რაულ! - ნუ გეშინიათ, თავისიანებზე ეშმაკსაც კი თვალი უჭირავს. რაული წავიდა. წუხანდელი ამბავი ამ ლოდინთან შედარებით უმნიშვნელო იყო. რაულის ეს ნაბიჯი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ არ უნდა გადაედგა, რადგან საკუთარ თავს უგებდა მახეს მხოლოდ იმიტომ, რომ რისკთან თამაში სიამოვნებდა. მას ასეთი სისულელეების ჩადენის უფლება არ ჰქონდა. უცებ მერი რაულზე გაბრაზდა და გაიფიქრა, უნდა დამეშალაო, მაგრამ ისე ხალისით ლაპარაკობდა, მოვლენათა სრული სიცხადით დანახვა შეუძლებელი იყო. უფრო მეტიც, მერი გრძნობდა, რომ რაულს ვერავინ გადაათქმევინებდა ერთხელ განზრახულს. უცნაური კაცი იყო, ვინ იფიქრებდა, რომ ეს თავქარიანი ასეთი მტკიცე ხასიათის იქნებოდა. „მართლა ხელიდან წასული კაცია“, - წარმოთქვა გაღიზიანებულმა მერიმ. როგორც იქნა, რაული დაბრუნდა. მერიმ შვებით ამოისუნთქა. კარგ გუნებაზე იყო, ტუჩებზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. ერთი შეხედვით მიხვდებოდით, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ის სკამზე დაეშვა; ვისკი ჭიქაში გადმოისხა და სიფონიდან სოდიანი წყალი დაამატა. - კარგი საქმე გავაკეთეთ. ახლომახლო სულიერი არ

ჭაჭანებდა. იცით, მგონია, რომ ზოგჯერ შემთხვევა დახმარების ხელს უწვდის ბოროტმოქმედს. წყალი შევნიშნე, იმ ადგილას წყარო უნდა იყოს, ბუჩქებიც ამიტომაა. რევოლვერი წყალში ჩავაგდე. რამდენიმე დღეში დაიჟანგება კიდეც. მერის გვამის ამბავი უნდოდა გამოეკითხა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოახერხა. ერთხანს ჩუმად ისხდნენ. რაული ზანტად აბოლებდა პაპიროსს და სიამოვნებით წრუპავდა ცივ სასმელს. - წუხანდელი ამბავი დაწვრილებით უნდა იცოდეთ, - უთხრა ბოლოს მერიმ. - არ არის საჭირო. მთავარს ვხვდები, დანარჩენი კი, არაა აუცილებელი. - მაგრამ, მინდა, იცოდეთ. ვერ ვხვდები, მაინც რატომ მოიკლა თავი იმ უბედურმა. სინდისი მქენჯნის. რაული მდუმარედ უსმენდა. ცივი, ცბიერი მზერით აკვირდებოდა მერის, სანამ ის ყვებოდა, რაც თავს გადახდა კვიპაროსის ჩრდილში კარლთან შეხვედრიდან იმ თავზარდამცემ წუთამდე, როცა სროლის ხმაზე საწოლიდან წამოვარდა. ზოგი რამის თქმა ეძნელებოდა, მაგრამ იცოდა, რომ რაულის დაჟინებულ მზერას მაინც არაფერი გამოეპარებოდა. ამ სამარცხვინო ისტორიის მოყოლისას მერის ეჩვენებოდა, თითქოს, ზურგიდან მძიმე ტვირთს იშორებდა. მერი თავის სათქმელს მორჩა, რაული სკამის ზურგზე გადაწვა და რგოლებად გამოშვებულ პაპიროსის ბოლს მიაჩერდა. - ვფიქრობ, შემიძლია, გითხრათ, რატომ მოიკლა თავი, - მიუბრუნდა რაული ბოლოს. - ის უსახლკარო იყო, დევნილი, უფულო და სანახევროდ მშიერი. უმიზნოდ ცხოვრობდა. მოულოდნელად თქვენ გამოეცხადეთ. არა მგონია, თქვენისთანა ლამაზი ქალი ოდესმე ენახა. თქვენ მიეცით ისეთი რამ, რაზეც ის სიზმარშიც ვერ იოცნებებდა. თვალის დახამხამებაში მთელი სამყარო შეეცვალა, რადგან თქვენ ის შეიყვარეთ. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ სიყვარულით არ დანებდით? და აი, თქვენ ეუბნებით, შემეცოდეთ და იმიტომო. მერი, საყვარელო, მამაკაცები და ისიც ახალგაზრდები, თავმოყვარენი არიან. განა, არ იცოდით? თქვენ ის დაამცირეთ, მიწასთან გაასწორეთ და სულაც არ მიკვირს, რომ კინაღამ მოგკლათ. ჯერ ცამდე აიყვანეთ და მერე ისევ ჭუჭყში გადაისროლეთ. ის ტუსაღს ჰგავდა, რომელიც ციხის კართან

მიიყვანეს და სწორედ მაშინ მიუჯახუნეს ცხვირწინ კარი, როცა თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებდა. განა, ეს არ კმაროდა, რომ გადაეწყვიტა: სიცოცხლე არაფრად ღირსო? - თუ ეს ასეა, მაშინ ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ. - შეიძლება მე მართალს ვამბობ, მაგრამ, არა მგონია, მხოლოდ ეს იყოს მიზეზი. ადრეც, ალბათ, გაუწონასწორებელი ყმაწვილი იყო. იმ ყველაფრის შემდეგ, რაც თავს გადახდა, შეიძლება საღი აზროვნების უნარი დაკარგა. იქნებ, სხვა მიზეზებიც იყო. შესაძლოა, თქვენმა ნაჩუქარმა წუთებმა იმდენად აღაფრთოვანა, რომ იფიქრა, ცხოვრება ამაზე უკეთესს ვერაფერს მისცემდა, რომ ეს მისი უკანასკნელი ბედნიერების დღე იყო. ყველას გვქონია ცხოვრებაში ბედნიერების ისეთი წამი, რომ გვითქვამს - ღმერთო, ნეტავ, ახლა მომკლა! ჰოდა, მასაც დაუდგა ასეთი მომენტი, გაუჩნდა ასეთი გრძნობა და მოკვდა. მერი გაოცებული შეჰყურებდა რაულს. ნუთუ, ეს მართლა ის რაული იყო - დამცინავი, უდარდელი, თავზეხელაღებული? მან ასეთი რაულის არსებობაზე არაფერი იცოდა. - ამას მე რატომ მეუბნებით? - ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ამბავი გულთან ძალიან ახლოს არ მიიტანოთ. ახლა ამას აღარაფერი ეშველება. ისღა დაგრჩენიათ, დაივიწყოთ, რაც მოხდა, და ჩემი ნათქვამი შეიძლება ამაში დაგეხმაროთ. მან მერის დამცინავი ღიმილით შეხედა. - მეორეც, იმიტომ, რომ, ალბათ, ბევრი დავლიე და ცოტა მკვახედ ვლაპარაკობ. მერიმ არაფერი უთხრა. ედგარის დეპეშა გაუწოდა. - გაყვებით ცოლად? - ჰკითხა რაულმა. - მინდა, აქაურობას მოვშორდე; ახლა ეს სახლიც მეზიზღება. ოთახში რომ შევდივარ, საშინლად მინდება ყვირილი. - ინდოეთი კი აქედან შორსაა. - ედგარი მტკიცე ხასიათისაა. მას ვუყვარვარ. თქვენ იცით, რომ ბოლო წლებში ბევრი სიმწარე გადავიტანე. მინდა, ჩემზე ვინმე ზრუნავდეს. ჩემმა ქედმაღლობამ კი თავისი უკვე მომიზღო. ისეთი ადამიანი მჭირდება, ვისაც ზემოდან ვერ შევხედავ. - ამით კი, საქმეს ეშველება, ასეა? მერი ვერ მიხვდა, ამ სიტყვებში რაულმა რა იგულისხმა. ყურადღებით შეხედა, მაგრამ ის არაფრისმთქმელი ღიმილით შეჰყურებდა. მერიმ ოდნავ ამოიოხრა: - თუმცა, შეიძლება, არც შემირთოს. - რას ამბობთ.

ლამის ჭკუა დაკარგოს თქვენთვის. - ყველაფერი უნდა ვუთხრა. - რაა? - შესძახა განცვიფრებულმა რაულმა. - ამ ტვირთით ვერ გავყვები. ეს არ იქნება სწორი. მთელი ცხოვრება ვერ მოვისვენებ. - ვერ მოისვენებთ? მერე და მის სიმშვიდეზე არ ფიქრობთ? ნუთუ, გგონიათ, რომ მადლობელი დაგრჩებათ? დამიჯერეთ, ყველაფერი მოგვარებულია, ახლა იმ უბედურის სიკვდილთან თქვენ აღარაფერი გაკავშირებთ. - მაგრამ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა პატიოსნება! რაული მოიღუშა. - საშინელ შეცდომას უშვებთ. მე ვიცნობ მაგ იმპერიის მშენებლებს: პატიოსნება და მისთანანი. შემწყნარებლობის მათ არაფერი გაეგებათ, რადგან თავად არასოდეს დასჭირვებიათ ეს. არ გაგიჟდეთ და თქვენდამი ნდობა არ გაუცრუოთ. თქვენ მისი კერპი ხართ, უყვარხართ და სრულყოფილების განსახიერება ჰგონიხართ. - მერედა, რა სიკეთეა აქედან? მე ხომ ასეთი სულაც არ ვარ! - ნუთუ, გგონიათ, რომ რაც უფრო კარგს ფიქრობენ თქვენზე, მით უფრო ხშირად უნდა დაადასტუროთ, რომ ასეა? თქვენს ედგარს ბევრი კარგი თვისება აქვს, რამაც გახადა ის, რაც არის, მაგრამ - მაპატიეთ, და უნდა გითხრათ - როგორღაც ჯიუტად სულელიც არის, რაც კარიერის შექმნაში უდავოდ დაეხმარა. თქვენ რას ელოდებით? რატომ გგონიათ, რომ ქალის ფსიქოლოგიის წვრილმან ნიუანსებში გარკვევას შეეცდება და გაგიგებთ? - თუ მართლაც ვუყვარვარ, გამიგებს. - რას ვიზამთ, ჩემო კარგო, მოიქეცით ისე, როგორც გნებავთ. ედგარი ჩემი ჭკუის არ არის. მე რომ ქალი ვიყო, ასეთ სუბიექტს არ მივთხოვდებოდი. მაგრამ, რაკიღა გული მისკენ მიგიწევთ, უნდა გაჰყვეთ კიდეც. ოღონდ, თუ გსურთ აქედან რამე გამოვიდეს, გირჩევთ, ენას კბილი დააჭიროთ. მან ოდნავ ჩაიხითხითა, მერის ხელზე ხელი მოუთათუნა და მხიარული ნაბიჯით წავიდა. მერის თავში გაუელვა, ვაითუ, მეტჯერ ვეღარ ვნახოო და მწვავე ტკივილი იგრძნო. ნეტავ, ხუმრობით ისევ ეთხოვა მისთვის ხელი. ახლა თავად გაიცინებდა, რაულის გაოცებული სახის დანახვაზე, როცა მის ხუმრობით ნათქვამ წინადადებაზე სერიოზულად უპასუხებდა და დათანხმდებოდა. მეორე დღეს მერი ბაღში იჯდა და თავს ქარგვით

ირთობდა. დოთხი საათი იქნებოდა, მასთან ნინა მივიდა და უთხრა, ედგარ სვიფტი გირეკავთო. ედგარი ის-ის იყო ქალაქში ჩამოსულიყო და აინტერესებდა, როდის შეძლებდა მერის ნახვას. მერიმ არ იცოდა თვითმფრინავის ჩამოსვლის ზუსტი დრო და ედგარს ლანჩის შემდეგ ისედაც ელოდებოდა. ნინას პირით შეუთვალა, როცა გსურთ, მაშინ მოდითო. გულისცემა ოდნავ გაუხშირდა. ჩანთიდან სარკე ამოიღო და ჩაიხედა. ფერმკრთალი იყო, მაგრამ ფერუმარილი არ წაისვა, იცოდა, ედგარს არ მოსწონდა. სახე მსუბუქად შეიპუდრა და პომადა წაისვა. თხელი, ყვითელი საზაფხულო კაბა ეცვა, ისეთი უბრალო, რომ მოახლეს უფრო შეეფერებოდა, თუმცა საუკეთესო პარიზელ მკერავთან შეიკერა. მალე ავტომობილის ხმა შემოესმა და ედგარიც გამოჩნდა. მერი წამოდგა და შეეგება. როგორც ყოველთვის, ედგარს, ახლაც ასაკისა და მდგომარეობის შესაფერისად, კოხტად ეცვა და მიმზიდველად გამოიყურებოდა. მისი დანახვა ერთი სიამოვნება იყო, ისე ამაყად და გამართულად მოაბიჯებდა. შლაპა მოეხადა. თავზე ხშირი შავი კულულები უბზინავდა. თმა რომ არ გაჩეჩვოდა, თავზე სპეციალური ბალზამი ესვა. ხშირი წარბებიდან ალერსით უელავდა მშვენიერი ცისფერი თვალები. სუსტ, ლამაზ სახეზე მკაცრი იერის ნაცვლად ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა. ის თბილად მიესალმა მერის. „რა ნორჩი და მშვიდი იერი გაქვთ, კალმით ნახატს ჰგავხართ“, ყოველ შეხვედრაზე ეუბნებოდა ხოლმე მისტერ ატკინსონი მერის ამ გაცვეთილ სიტყვებს და იგივეს მოსმენა ედგარისგან საკმაოდ საეჭვო სიამოვნება იქნებოდა მისთვის. და როცა მომავალმა საქმრომ ზუსტად ეს უთხრა, გაიფიქრა, ალბათ, ამას ეუბნებიან გარკვეული ასაკის ჯენლტმენები თავისზე გაცილებით ახალგაზრდა ქალებსო. - დაჯექით, ნინა ჩაის მოიტანს. კარგად იმგზავრეთ? - მოხარული ვარ, რომ ისევ გნახეთ, - მიუგო ედგარმა, - ასე მგონია ჩვენი ბოლო შეხვედრიდან საუკუნე გავიდა... - სინამდვილეში ეს ახლახან იყო. - საბედნიეროდ, ზუსტად ვიცი, ამ ხნის განმავლობაში რითი იყავით დაკავებული და ფიქრებით სულ თან დაგყვებოდით. მერიმ ნაძალადევად გაიღიმა. - ძალიან დაკავებული ვიყავი. ორჯერ დიდხანს ვისაუბრეთ მე და

მინისტრმა და, მგონი, შევთანხმდით. სექტემბრის დამდეგს გავემგზავრები, ძალიან კარგად მიმიღო. არ დამიმალა, ძნელი საქმეაო, თუმცა ეს ისედაც ვიცოდი. მითხრა, ამიტომაც მჭირდებითო. არ მინდა თავი შეგაწყინოთ იმის მოსმენით, თუ როგორ მაქებდა, მაგრამ... - მითხარით, სულაც არ შემაწყენთ. - მითხრა, განსაკუთრებული გარემოების გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ პიროვნებას, რომელიც შემრიგებლურ პოლიტიკას გაატარებს ადგილობრივების მიმართ და ამასთანავე, მტკიცე ხასიათიც ექნებაო. მერე პატივი დამდო და მითხრა, თქვენ გარდა არავინ მეგულება, ვინც ასე ჩინებულად ათავსებს ამ ორ თვისებასო. - დარწმუნებული ვარ, მართალი უთქვამს. - ასეა თუ ისე, მეტად მესიამოვნა. იცით, რა დიდხანს ვიბრძოლე და მსიამოვნებს, რომ, ბოლოს და ბოლოს, მაღალი თანამდებობა მივიღე. ეს მძიმე საქმეა და უაღრესად მნიშვნელოვანი. ახლა საშუალება მეძლევა, მთელი ჩემი შესაძლებლობა გამოვავლინო და, ჩვენ შორის დარჩეს, ბევრის გაკეთებაც შემიძლია. ედგარი წამიერად შეყოყმანდა. - თუ თავი გავართვი, იქნებ, ხის კენწეროზეც აღმოვჩნდე. - თქვენ პატივმოყვარე უნდა იყოთ, ედგარ, არა? - მგონი, კი. მიყვარს ძალაუფლება და არც პასუხისმგებლობის მეშინია. რაღაც ნიჭი მაქვს და როცა შემთხვევა მეძლევა, ამას მაქსიმალურად ვიყენებ. - გუშინწინ ვახშამზე პოლკოვნიკმა ტრეილმა თქვა, თუ ედგარმა წარმატება მოიპოვა ბენგალში, მაშინ მეფისნაცვლობასაც მიაღწევსო. ედგარს თვალები აუციმციმდა. - მეფისნაცვალს ახლა გენერალ-გუბერნატორს უწოდებენ. მგონი, არც ესაა შეუძლებელი. უილინგდონი მეფისნაცვალი იყო და კარგი მეფისნაცვალიც. ისინი ჩაის სმას მორჩნენ. ედგარმა ჭიქა მაგიდაზე დადგა. - იცით, მერი, ის მომავალი სიამოვნება, რასაც ჩემი საქმიანობა მომანიჭებს და ის პატივი, რაც თან ახლავს, ფუჭი იქნებოდა, რომ არა თქვენი ჩემ გვერდით ყოფნის იმედი. მერის სუნთქვა შეეკრა. დადგა ის წამი, რომელზეც გამუდმებით ფიქრობდა. მან პაპიროსს მოუკიდა. ედგარს არ უყურებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი მოსიყვარულე თვალები ღიმილით

მისჩერებოდნენ. - თქვენ შემპირდით, რომ პასუხს დაბრუნებისას მეტყოდით. - უთხრა ედგარმა და ჩაიცინა: - მოუთმენლად ველი პასუხს, ამიტომაც მოვიჩქაროდი. მერიმ პაპიროსი გადააგდო და ამოიოხრა: - პასუხის თქმამდე რაღაც უნდა გითხრათ. ვაითუ, ჩემმა ნათქვამმა გული გატკინოთ. გთხოვთ, მომისმინოთ და არ შემაწყვეტინოთ. თუ რამ სათქმელი გექნებათ, ბოლოს მითხარით. ედგარს უცებ სახე მოეღუშა და სწრაფად შეხედა: - ხელს არ შეგიშლით. - არაფერს დავიშურებდი, რომ დამემალა, მაგრამ უთქმელობა ჩემი მხრიდან უსინდისობა იქნებოდა. მომისმინეთ და მერე თავად განსაჯეთ. - გისმენთ. მერი ერთხელ კიდევ მოჰყვა იმ სამწუხარო ისტორიას, რაც წინა დღეს რაულსაც დაწვრილებით უამბო. ცდილობდა, არაფერი დაემატებინა და არც გამოეტოვებინა. ოღონდ, ესეც იყო, ამ ამბის ედგარისთვის მოყოლა უფრო ეძნელებოდა. ედგარი გაუნძრევლად უსმენდა. სახეგაქვავებული იჯდა. მისი თვალებიდან ვერაფერს ამოიკითხავდით. მერი გრძნობდა, რომ მისი საქციელი ახლა უფრო სულელური და ავხორცული ჩანდა, ვიდრე მაშინ, როცა რაულს უყვებოდა. მერი დამაჯერებელ სიტყვებს ვერ პოულობდა. ზოგი რამ სარწმუნოდ არ ჟღერდა და მხნეობა დაკარგა, როცა გაიფიქრა, ალბათ, ედგარი არ მიჯერებსო. ახლა მიხვდა, რა შემაძრწუნებელი იყო გვამის ავტომობილში ჩადება და მთებში მივარდნილ ადგილას დამალვა. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა? მან ხომ არ იცოდა, საშინელი სკანდალისთვის თავი როგორ აერიდებინა? ღმერთმა იცის, როგორ წავიდოდა საქმე პოლიციაში, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მსგავსი რამ მერისთანა ადამიანს შეემთხვა. ასეთი ამბავი ხომ მხოლოდ სიზმარში შეიძლება მოხდეს და არა ცხადში. როგორც იქნა, თხრობა დაასრულა. ედგარი მშვიდად იჯდა. მერე ადგა. მდელოზე ბოლთის ცემას მოჰყვა. თავდახრილს ხელები ზურგს უკან შემოეწყო. ასეთი მოღუშული და ცხვირჩამოშვებული ედგარი მერის ჯერ არ ენახა. ასაკი უფრო ეტყობოდა. ბოლოს მერის წინ გაჩერდა, შეხედა და სახე მწუხარების ღიმილმა დაუფარა. ხმა კი, ისეთი ნაზი ჰქონდა, მერის გული შეეკუმშა. - მაპატიეთ, ჩემი შეცბუნების გამო. ამას თქვენგან არ

მოველოდი. მე მაშინ გიცნობდით, როცა თქვენ უმანკო, მომხიბლავი გოგონა იყავით. წარმოუდგენელია, რომ მრავალთაგან თქვენ... ედგარმა ლაპარაკი შეწყვიტა, მაგრამ მერი სათქმელს მიუხვდა. წარმოუდგენელი იყო, რომ მრავალთა შორის მხოლოდ მერი გახდებოდა ვიღაც შემთხვევით შემხვედრი მაწანწალის საყვარელი. - თავის გამართლებას არც ვცდილობ. - სამწუხაროა, მაგრამ საშინელი სისულელე ჩაგიდენიათ. - უფრო უარესი. - ამას თავი დავანებოთ. მე ისე მიყვარხართ, რომ გაგიგებთ და შეგინდობთ. - ამ ძლიერ მამაკაცს ხმა აუკანკალდა, მაგრამ ახლა თბილად და ალერსით გაიღიმა.- - თქვენ მეოცნებე, სულელი ბავშვი ხართ. დარწმუნებული ვარ: იმ ყმაწვილის თვითმკვლელობის შემდეგ რაც გააკეთეთ, შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო. თავი საშინელ საფრთხეში ჩაიგდეთ, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი კეთილად დამთავრდა. თქვენ, ჩემი აზრით, მფარველი გჭირდებათ. მერიმ ეჭვის თვალით შეხედა. - მას შემდეგ, რაც გითხარით, ისევ აპირებთ ჩემს შერთვას? ედგარი შეყოყმანდა, მაგრამ ისე წამიერად, რომ მერის გარდა ამას სხვა ვერავინ შენიშნავდა. - როგორ გგონიათ, ამ მძიმე მდგომარეობაში მიგატოვებთ? მერი, ძვირფასო, მე ამას ვერ ვიზამ. - ჩემი საქციელის მრცხვენია. - მინდა, რომ ცოლად გამომყვეთ. არაფერს დავიშურებ თქვენი ბედნიერებისთვის. კარიერა ყველაფერი არ არის. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ წინანდებურად ახალგაზრდა არ ვარ. ქვეყნისთვის ბევრი გამიკეთებია და არ მესმის, ახალგაზრდებს რატომ არ უნდა დავუთმო გზა. მერი დაბნეული მიაშტერდა - ამას არ მოელოდა. - რისი თქმა გსურთ? ედგარი ისევ დაჯდა. - ჩემო კარგო, თქვენი ამბავი ოდნავ ცვლის საქმის ვითარებას. მე აღარ შემიძლია, ამ თანამდებობის დაკავება. ეს ჩემი მხრიდან არაჯენტლმენური საქციელი იქნება. თუ თქვენი ამბავი გამჟღავნდა, ამას შეიძლება საშინელი შედეგი მოჰყვეს. მერის ელდა ეცა. - ვერ მიგიხვდით. - ნუ სწუხხართ, მერი, ძვირფასო, მინისტრს ვაცნობებ, რომ ცოლს ვირთავ და ინდოეთში ვერ წავალ. თქვენს ჯანმრთელობას მოვიმიზეზებ. ისეთ მდგომარეობას ვეღარ შემოგთავაზებთ, როგორსაც ვიმედოვნებდი,

მაგრამ შეგვიძლია რივიერაზე სახლი და იახტა ვიყიდოთ. ზღვაზე ვიმოგზაუროთ და ვითევზაოთ - დროს კარგად გავატარებთ. - შეგიძლიათ ხელი აიღოთ ყველაფერზე, როცა მიზანთან ასე ახლოს ხართ? - იცით, ძვირფასო, რას გეტყვით, თანამდებობა, რომელსაც მთავაზობენ, საკმაოდ დელიკატურ მიდგომას საჭიროებს. ეს ჩემგან მთელი გონების დაძაბვასა და სულიერ სიმშვიდეს მოითხოვს. ახლა კი მუდამ იმის უნდა მეშინოდეს, რომ ოდესმე შენი ისტორიის თუნდაც პატარა დეტალი არ გახმაურდეს. როცა კაცი ვულკანზე ზის, მან საღად როგორ უნდა იაზროვნოს?! - რა შეიძლება, გამოაშკარავდეს? - აი, თუნდაც რევოლვერი. თუ პოლიცია ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდება, გაარკვევს, რომ რევოლვერი ჩემია. - ვერ გაარკვევენ. ამაზე მეც ვიფიქრე. იფიქრებენ, რომ კარლმა მომპარა რესტორანში. - მართალია, ათასი რამ შეიძლება იფიქრონ; მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ახსნა-განმარტების მიცემა დამჭირდება. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ტყუილის თქმას რომ არაფრად აგდებენ. ესეც არ იყოს, ეს უკვე მხოლოდ თქვენი საიდუმლო არ არის, რაულ ფლინტმაც იცის. - ერთი წამითაც ნუ გაივლებთ გუნებაში, რომ რაული გაგვცემს. - სწორედ ეგ მაეჭვებს. რაული უსინდისო ვიგინდარაა, უქნარა, დაუნდობელი. მაგისთანებს მე ვერ ვენდობი. რა იცით, რას იზამს, ერთ ჭიქას რომ დალევს? ეს ისეთი ამბავია, ძნელია, კაცს ენაზე დაადგეს. ვიღაც ქალს გაანდობს, ჯერ ერთს ეტყვის, მერე - მეორეს და მოხედვას ვერ მოასწრებთ, უკვე მთელ ლონდონს მოედება. თუ დამიჯერებთ, ინდოეთამდე ჩასვლაც არ გაუჭირდება. - ედგარ, არ ხართ მართალი. მას არასამართლინად სჯით. ვიცი, თავნება და თავზეხელაღებულია, ასეთი რომ არ ყოფილიყო, ჩემს გადასარჩენად თავს საფრთხეში არ ჩაიგდებდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი ნდობა შემიძლია. არასოდეს გამცემს, უმალ მოკვდება, ვიდრე ამას იზამს. - სამწუხაროდ, ადამიანის ბუნებას მე უფრო კარგად ვიცნობ. გეუბნებით, ისეთი კაცი არ არის, რომ რამე ენაზე დაადგეს. - თუ ასე ფიქრობთ, მაშინ სულერთი არ არის, იმუშავებთ თუ არა? - თუ არ ვიმუშავებ, ჭორი და მითქმა-მოთქმა

ვერაფერს დამაკლებს. შეგვიძლია, არხეინად ვიყოთ, რაც შეუძლებელი იქნებოდა ბენგალის გუბერნატორობის შემთხვევაში. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ბოროტმოქმედება ჩაიდინეთ. რამდენადაც ვიცი, კანონი ბოროტმოქმედის გაცემას ითვალისწინებს. არამეგობრულ იტალიას კარგი შემთხვევა მიეცემა ლაფში ამოგვსვაროს. არ გიფიქრიათ, რომ შეიძლება მკვლელობა თქვენ დაგაბრალონ? ედგარმა ისე პირქუშად შეხედა, რომ მერის გააჟრჟოლა. - ჩემი სინდისი წმინდა უნდა იყოს. მთავრობა მენდო და იმედებს ვერ გავუცრუებ. თანაც იმ თანამდებობაზე, რომელსაც მთავაზობენ. ბუნებრივია, არაფერი უნდა ითქვას ისეთი, რაც მე ან ჩემს ცოლს ჩირქს მოგვცხებს. ჩვენი ქვეყნის მომავალი ინდოეთში დიდად არის დამოკიდებული ადგილობრივ ადმინისტრაციაზე. სახელშერცხვენილი თუ გადავდგები, ამან შეიძლება სერიოზული გართულებები გამოიწვიოს. არ ღირს ამაზე კამათი. მე გავაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია. ედგარის ხმას თანდათან ემატებოდა სიმძაფრე და უკმეხობა, სახეც მოეღუშა. მერის წინაშე ახლა იდგა მთელ ინდოეთში გამბედაობითა და შეუბრალებლობით, ასევე ნიჭიერებით ცნობილი ადამიანი. როცა უყურებდა ედგარის პირქუში სახის ნაკვთებს, მის თვალთა ელვარებას, მერი მისი გულისნადების ამოცნობას ლამობდა. კარგად იცოდა, რომ თავისი აღსარებით დიდი დარტყმა მიაყენა. ედგარს კი, ასეთი აღმაშფოთებელი, შემზარავი საქციელის შეწყნარების უნარი არ შესწევდა. მას დაეკარგა მერისადმი რწმენა და ბოლომდე ვეღარასდროს ენდობოდა. მაგრამ ის კაცი არ იყო, რომ პირობა უკან წაეღო. როცა მერიმ თავისი ნებით გაუმხილა ის, რისი დაფარვაც იოლად შეეძლო, ქალის გულწრფელობას ედგარმა დიდსულოვნება შეაგება. ის მზად იყო მერი შეერთო და ამით თავისი კარიერა, თუ სახელის მოხვეჭის შესაძლებლობა გაეწირა. მერი ეჭვობდა, რომ ედგარს ამგვარი მსხვერპლის გაღება ერთგვარ მწარე სიხარულს ანიჭებდა, არა იმიტომ, რომ ის უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ ამით შესაძლებლობა ეძლეოდა საკუთარ თვალში ამაღლებულიყო. კარგად იცნობდა ედგარს და იცოდა, არასოდეს

დააყვედრიდა, მომავალი შენს გამო დავინგრიეო. მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ის იმდენად ენერგიული, შრომისმოყვარე და ამბიციური იყო, მუდამ სანანებლად ექნებოდა, რომ ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან გაუშვა. ამასთან, მას უყვარდა მერი და უნდოდა ცოლად მოეყვანა, მაგრამ მერი თითქმის დარწმუნებული იყო, ედგარი მასზე უარს იტყოდა (თუმცა გულისტკივილით), თუ მისი ღირსება არ შეილახებოდა. დიახ, ედგარი თავისი თავის მონა იყო. ამ აღმოჩენით გახალისებულმა მერიმ თვალები დახარა, ედგარმა არაფერი შემამჩნიოსო. რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, შექმნილი სიტუაცია თავშესაქცევად მიიჩნია, რადგან საბოლოოდ დარწმუნდა: ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ხვალვე, ედგარს ინდოეთში მეფისნაცვლის თანამდებობა რომ მიეღო, მას აღარ უნდოდა მისი ცოლობა. მერი ადრინდელი და ახლანდელი თანაგრძნობისთვის მისი მადლობელი იყო. ახლა მთავარი იყო უარი ისე ეთქვა, რომ მისი პატივმოყვარეობა არ შელახულიყო. დიდი სიფრთხილე მართებდა. ერთი დაუფიქრებელი სიტყვაც რომ წამოსცდენოდა, ედგარი გაჯიუტდებოდა, ადვილად დაძლევდა მერის წინააღმდეგობას და თითქმის ძალით დაითანხმებდა. უარეს შემთხვევაში, მის თვალში ძალიან დაეცემოდა. რასაკვირველია, მერის ეს არ უნდოდა, მაგრამ ამ მსხვერპლისთვისაც მზად იყო. რაც უფრო ცუდს იფიქრებს მერიზე, მით უფრო ადვილად შეელევა. მერიმ ამოიოხრა და რაული მოაგონდა: რა ადვილი იყო იმ უსინდისო ვიგინდარასთან ურთიერთობა. როგორი ნაკლიც უნდა ჰქონოდა რაულს, სიმართლის მაინც არ ეშინოდა. მერიმ გონება მოიკრიბა და თქვა: - იცით, ედგარ, მთელი ცხოვრება დამტანჯავს იმაზე ფიქრი, რომ მე მომავალი დაგინგრიეთ. - ერთი წამითაც არ გაივლოთ ეს გუნებაში. გპირდებით, სამსახურიდან რომ წამოვალ, ერთ წამსაც აღარ ვიფიქრებ ამაზე. - მაგრამ ჩვენ ხომ მარტო ჩვენს თავზე არ ვფიქრობთ. თქვენ პირდაპირ ამ საქმისთვის ხართ დაბადებული. თქვენ სახელმწიფოსთვის საჭირო კაცი ხართ. თქვენი ვალია ქვეყანას ემსახუროთ და არა საკუთარ გრძნობებს... - ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა არ მაქვს, არც შეუცვლელი ვარ. - ედგარ, მე ყოველთვის

აღფრთოვანებული ვიყავი თქვენით. ვერ ავიტან, ჩემ გამო სამსახური რომ მიატოვოთ მაშინ, როცა ამას აუცილებლობა არ მოითხოვს. ჩემი აზრით, თუ სამსახურს მიატოვებთ, ამას სისუტედ ჩაგითვლიან. ედგარი ოდნავ შეიშმუშნა და მერიმ იგრძნო, რომ გამოიჭირა. - სხვა გზა არ მაქვს. ამ თანამდებობის დაკავება ჩემგან უსინდისობა იქნებოდა. - მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს! ღმერთმანი, რა ვალდებული ხართ, რომ მე შემირთოთ? ედგარმა სწრაფი მზერა ესროლა. მერიმ მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა. ედგარი მიხვდა, მერის რისი თქმაც უნდოდა. „ღმერთო ჩემო, ნუთუ გამოსავალს მთავაზობს? ეს როგორ გამოვიყენო?“ მაგრამ, რასაკვირველია, ედგარმა საკუთარი გრძნობების დამალვა კარგად იცოდა და მერის ღიმილიანი სახითა და თბილი სიტყვებით უპასუხა: - მაგრამ ამქვეყნად თქვენი შერთვის გარდა, სხვა არაფერი მინდა! - ედგარ, ძვირფასო, მე ძალიან მომწონხართ. თქვენთან ვალში ვარ. თქვენისთანა მეგობარი არასოდეს მყოლია. ვიცი, რომ საუცხოო, ერთგული და გულკეთილი ხართ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ არ მიყვარხართ. - მესმის, მე ბევრად უფროსი ვარ თქვენზე და ვიცი, ისე ვერ შემიყვარებთ, როგორც თანატოლს. ვიმედოვნებდი, რომ ამას ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობით აგინაზღაურებდით. ძალიან ვწუხვარ, რომ ის, რაც ახლა შემიძლია შემოგთავაზოთ, ალბათ, არ არის თქვენი ყურადღების ღირსი. „ოჰ, ღმერთო, ყველაფერს როგორ ართულებს! რატომ პირდაპირ არ მეტყვის, უნამუსო ქალი ხარ და ჯანდაბამდე გზა გქონია, მე შენი ცოლად მომყვანი არ ვარო?!“ მერის ისღა დარჩენოდა, რომ ადუღებული ზეთით სავსე ქვაბში თვალდახუჭული ჩამხტარიყო. - ედგარ, მინდა ბოლომდე გულახდილი ვიყო. თუ ბენგალის გუბერნატორი გახდებოდით, თქვენც და მეც უამრავი საქმე გვექნებოდა. ბოლოს და ბოლოს, მე ადამიანი ვარ და რაღა დაგიმალოთ, მაღალი მდგომარეობა მხიბლავდა. მაშინ ჩემთვის საკმარისი იქნებოდა ის, რომ მომწონხართ. ჩვენ ბევრი რამ გვექნებოდა საერთო და არაფრად ჩავაგდებდი იმას, რომ არ მიყვარხართ. ახლა მერის უმძიმესი წამისთვის უნდა გაეძლო. -

მაგრამ, თუ ჩვენ მხოლოდ მყუდრო ცხოვრებას ვაპირებთ რივიერაზე, თუ დილიდან საღამომდე უქმად უნდა ვიყოთ, ამ შემთხვევაში ჩვენი შეუღლება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მეც თავდავიწყებით მეყვარებოდით. - რივიერა სიტყვამ მოიტანა, თორემ სადაც მოისურვებთ, იქ ვიცხოვროთ. - მერე ამით რაიმე შეიცვლება? ედგარი კარგა ხანს ჩუმად იყო. მერე მერის ცივად შეხედა. - მაშ, თქვენ ბენგალის გუბერნატორს გაჰყვებით ცოლად, სამსახურიდან წამოსულ მოხელეს კი არა? - არსებითად ასეა. - მაშინ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. - მართალია, ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. ედგარი კვლავ გაჩუმდა. სახე მოეღუშა. მის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდით. მართალია, ის ახლა, მერისგან გაწბილებული, თავს დამცირებულად გრძნობდა, მაგრამ მერი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ედგარმა გულის სიღრმეში შვება იგრძნო. თუმცა, ამას არასდროს გაამჟღავნებდა. ედგარი სკამიდან წამოდგა. - მგონი, ფლორენციაში ჩემს ყოფნას აზრი აღარ აქვს. თუ, რა თქმა უნდა, ჩემი დარჩენა აუცლებელი არ არის... ჰმ, იმ თვითმკვლელის გამო. - ოჰ, არა, ამის საჭიროება ნამდვილად არ არის. - მაშინ, ხვალ ლონდონში წავალ. ალბათ, სჯობს, ახლავე დაგემშვიდობოთ. - მშვიდობით, ედგარ, და მაპატიეთ. - არაფერი მაქვს საპატიებელი. თქვენ არაფერი დაგიშავებიათ. ის ხელზე ეამბორა მერის. შემდეგ ღირსეულად, თითქოს არც არაფერი მომხდარა, ისე დინჯად გაუყვა მწვანე მდელოს და მალე ბზის ღობეს მიეფარა. მალე მერის მიმავალი ავტომობილის ძრავის ხმა შემოესმა. ედგართან საუბარმა მერი დაღალა. ორი ღამის უძილოს ტკბილად ჩაეძინა. ზაფხულის ამ მყუდრო საღამოს, ბუნების სიმშვიდეს მხოლოდ ჭრიჭინას საამო, ერთფეროვანი ჭრიჭინი არღვევდა. ერთ საათში გაეღვიძა და თავი მხნედ იგრძნო. ძველ ბაღში გაისეირნა და მერე გაიფიქრა, აივანზე დავჯდები და ამ საღამოს მწუხრში ქვემოთ გადაშლილი ქალაქის ცქერით დავტკბებიო. ამ დროს ჩირომ მოირბინა და უთხრა, სინიორ რაული ტელეფონთან გთხოვთო. - ჰკითხეთ, რა უნდა. - თქვენთან სურს ლაპარაკი, სინიორა. მერიმ მხრები აიჩეჩა. სწორედ ახლა არ უნდოდა რაულთან ლაპარაკი. თუმცა,

მაშინვე გაიფიქრა, იქნებ, რაიმე ახალი აქვს სათქმელიო. მთის ფერდობზე მიგდებული იმ საცოდავი ყმაწვილის გვამი აჩრდილივით დასდევდა. მერი ტელეფონთან მივიდა. - ყინული გაქვთ? - ჰკითხა რაულმა. - ამის გასარკვევად მომიყვანეთ ტელეფონთან? - ცივად ჰკითხა მერიმ. - მარტო ამისთვის არა, მინდოდა მეკითხა, ჯინი ან ვერმუტიც თუ გაქვთ. - მეტი არაფერი? - ოჰ, როგორ არა, მინდოდა მეკითხა, ახლა რომ ტაქსიში ჩავჯდე და თქვენთან ამოვიდე, კოქტეილს თუ დამალევინებდით. - ბევრი საქმე მაქვს. - ჩინებულია, მოვალ და მოგეხმარებით. გაღიზიანებულმა მერიმ მხრები აიჩეჩაა, ჩიროს უთხრა, კოქტეილის გასაკეთებლად რაც კი საჭიროა, მოიტანეო და ტერასაზე გავიდა. ერთი სურვილი ჰქონდა: რაც შეიძლება, მალე გაცლოდა ფლორენციას. ახლა მერის ეს ქალაქი სძულდა, მაგრამ არ უნდოდა მის წასვლას მითქმა-მოთქმა გამოეწვია. ალბათ, კარგიცაა, რაული რომ მოდის, რჩევას ჰკითხავს. სისულელე კი იყო ასეთი კაცის ნდობა. თხუთმეტ წუთში რაული მერისთან გაჩნდა. როცა ტერასაზე მოდიოდა, მერიმ შენიშნა, რამდენად განსხვავდებოდა ის ედგარისგან. ტანად, გამხდარსა და ელეგანტურ ედგარს თავი მუდამ ღირსეულად და თავდაჯერებულად ეჭირა. ეს ბუნებრივიც იყო. წლების განმავლობაში ის მიეჩვია, რომ მუდამ სხვები ემორჩილებოდნენ. ბრბოში რომ მდგარიყო, იკითხავდით, ვინ არის ეს კაცი, რომლის გამომეტყველებაც სიმტკიცეს, ხოლო თავდაჭერა კი, ძალაუფლებას მოწმობსო. ტანმორჩილ და ჯმუხ რაულს კი ტანსაცმელი მუშის სამუშაო ხალათივით ადგა; რაული, ჩვეულებისამებრ, ჯიბეში ხელებჩაწყობილი, მოხრილი მოდიოდა. მისი მოურიდებლობა, მხიარულება და უდარდელობა ადამიანს რაღაცნაირად იზიდავდა, რასაც მერიც აღიარებდა. სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, რუხი, ალერსიანი თვალები დამცინავად უციმციმებდა და, რასაკვირველია, სერიოზულ ადამიანად არ მიიჩნევდით, მაგრამ ადვილად შეეწყობოდით. უცებ მერიმ გააცნობიერა, თუ რატომ გრძნობდა თავს თავისუფლად რაულთან მისი მრავალი ნაკლის (და მისთვის გაწეული დიდი სამსახურის) მიუხედავად. მასთან შეგეძლო გულახდილი

ყოფილიყავი, თავი არ მოგეკატუნებინა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მახვილი თვალი ჰქონდა - ვერაფერს გამოაპარებდი და მასხრად აგიგდებდა, და მეორეც, თავს თავადაც არასოდეს იკატუნებდა. რაულმა თვითონ შეაზავა კოქტეილი და ერთი ყლუპით გადაჰკრა. მერე სავარძელში ღრმად მოკალათდა და მერის უტიფრად შეხედა. - მაშ, ძვირფასო, იმპერიის მშენებელს უარი სტკიცეთ? - საიდან გაიგეთ? - უმალვე ჰკითხა მერიმ. - სასტუმროში მოსვლისთანავე მატარებლის განრიგი იკითხა და მაშინვე მივხვდი. როცა გაიგო, რომი-პარიზის ექსპრესს მიუსწრებდა, ავტომობილით პიზაში გაემგზავრა. პირში ჩალაგამოვლებული რომ არ ყოფილიყო, ასე უკანმოუხედავად არ გაიქცეოდა. მაგნაირი კაცი თქვენს ამბავს ასე ადვილად ვერ მოინელებს. რაკიღა რაული ამ ფაქტს ასე მსუბუქად უყურებდა, აქედან ტრაგედიის შექმნას აზრი არ ჰქონდა. ასე რომ, მერიმ ღიმილით უპასუხა: - თავი ღირსეულად ეჭირა. - რა თქმა უნდა! დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტი ჯენტლმენივით მოიქცეოდა. - ედგარი ჭეშმარიტი ჯენტლმენია. - მე კი მანამდე ბევრი მიკლია. მე ხომ დაბადებით ვარ ჯენტლმენი და არა ბუნებით. - ამისი თქმა ჩემთან არ გჭირდებათ, რაულ. - მგონი, ამ ამბავს დიდად არ განიცდით. - მე? არა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ მასთან საუბრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვერანაირი მიწიერი კეთილდღეობისთვის ვერ გავყვებოდი. - გამოდის, იოლად დაგიხსნიათ თავი. მაშინ ბევრი არაფერი გითხარით, მეგონა, ცოლად მიჰყვებოდით. არადა, მოწყენილობა მოგკლავდათ. მე ვიცნობ ქალებს, თქვენ ისეთი ქალი არ ხართ, იმპერიის მშენებელს რომ მისთხოვდეთ. - ის გამორჩეული ადამიანია, რაულ. - კარგად ვიცი, ვინც არის. ეს ადამიანი სწორედ ამითაა გამორჩეული, რომ მუდამ გამორჩეულობანას თამაშობს. ის მთელი ცხოვრება ერთი როლითაა დაკავებული. ვთქვათ, როგორც ჩარლი ჩაპლინი თამაშობს თავის თავს. - მე აქედან წასვლა მინდა, რაულ. - რატომაც არ უნდა წახვიდეთ. ადგილის გამოცვლა არ გაწყენთ. - თქვენ დიდი სიკეთე გამიკეთეთ! ძალიან დამაკლდებით. - ოჰ, კარგი ერთი. ვფიქრობ, მომავალში არაერთხელ შევხვდებით

ერთმანეთს. - ასე რატომ ფიქრობთ? - იმიტომ, რომ, როგორც ვხედავ, ჩემ გარდა ვერავის მისთხოვდებით. მერი წამოიწია და მიაშტერდა. - რას გულისხმობთ? - ბევრი რამ მოხდა მას შემდეგ და ალბათ, თქვენ დაგავიწყდათ, რომ ხელი გთხოვეთ. ხომ არ გგონიათ, რომ თქვენი პასუხი საბოლოოდ ჩავთვალე? დღემდე, ვისაც კი ცოლობა ვთხოვე, ყველა დამთანხმდა. - მეგონა, ხუმრობდით. ახლა კი, როგორ შემირთავთ. რაული სავარძლის ზურგზე გადაწვა. პაპიროსს აბოლებდა, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, თვალები მხიარულად უციმციმებდა. ისე უდარდელად ლაპარაკობდა, იფიქრებდით, ხუმრობს და ეს ხუმრობა თვითონაც სიამოვნებსო. - იცით რა, ჩემო კარგო, ჩემი უპირატესობა ისაა, რომ ქარაფშუტა ვარ. ბევრი მსაყვედურობს ჩემი ქცევების გამო. გულახდილად გეტყვით, მართალნი არიან. მაგრამ არავისთვის დიდი ვნება არ მიმიყენებია. ქალებს ვუყვარვარ. მოგეხსენებათ, მეც ბუნებით მოსიყვარულე ხასიათი მაქვს, ასე რომ, ყველაფერი თავისდაუნებურად ხდება. არც უფლება მაქვს და არც სურვილი, სხვებს ვუსაყვედურო მათი საქციელის გამო. მე ვერავის განვიკითხავ. შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრე! - აი, ჩემი დევიზი. როგორც ხედავთ, არც იმპერიის მშენებელი ვარ და არც უმწიკვლო სახელი მაქვს. მე ერთი უდარდელი ყმაწვილი ვარ, რომელსაც აქვს ფული და უყვარს დროსტარება. თქვენ მეუბნებით, ვიგინდარა და უქნარა ხართო. კარგი, მაგრამ, განა, არ შეიძლება გამოვიცვალო? კენიაში მამული მაქვს და მოურავს ვეძებ, რადგან ახლანდელი მოურავი არ ვარგა. ხშირად მიფიქრია, მოდი, წავალ და ჩემს მამულს თვითონვე მივხედავ-მეთქი. ალბათ, უკვე დროა სადმე მუდმივად დავსახლდე. ვფიქრობ, თქვენ იქაურობა მოგეწონებათ. რაული გაჩუმდა, იქნებ, რაიმე თქვასო, მაგრამ მერი დუმდა. ის ისე იყო განცვიფრებული, რაულის წინადადება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაშტერებული უცქერდა, თითქოს ვერაფერს ხვდებაო. რაულმა განაგრძო, სიტყვებს წელავდა, თითქოს მერის სასაცილო ამბავს უყვებოდა და თან დარწმუნებული იყო, რომ მას ეს მოეწონებოდა. - იცით, თქვენ ცამდე მართალი იყავით, როცა მითხარით, ჩემთან

დროსტარება გინდათო. მართალია, რატომაც არა? თქვენ ისეთი მომხიბლავი ხართ! ნამეტანი სულელი უნდა იყოს კაცი, თქვენდამი სიმპათია რომ არ გაუჩნდეს. მაგრამ იმ საღამოს, სასტუმრომდე ავტომობილით რომ მიმაცილეთ, თქვენ ერთი-ორი ისეთი რამ თქვით, რაც გულზე მომხვდა. მივხვდი, რომ ძალიან კეთილი და გულისხმიერი ხართ. - მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. - ვიცი, და არც დაგიმალავთ, იყო წამი, როცა თქვენზე ძალიან ვბრაზობდი. მერიმ წამწამებს ქვემოდან შეხედა. - იმიტომ გამარტყით? - ავტომობილიდან რომ გადმოვედით, მაშინ? გაგარტყით იმიტომ, რომ ტირილი შეგეწყვიტათ. - ძალიან მატკინეთ. - იმიტომაც გაგარტყით. მერიმ თვალები დახარა. როცა ედგარს მასსა და იმ უბედური ყმაწვილს შორის მომხდარზე უთხრა, მას მწუხარებისგან სახე გაუფითრდა, თავზარი დაეცა. მერი მიხვდა, რომ მასზე იმოქმედა მხოლოდ სიწმინდის შებღალვამ. სინამდვილეში ედგარს დაქალებული მერი კი არ უყვარდა, არამედ ისევ ის პატარა, ლამაზი გოგონა, რომელსაც შოკოლადს ჩუქნიდა და რომელიც მას ოდესღაც თავისი ხალასი ბავშვური უმანკოებით აჯადოებდა. იმ დროს, როცა გაარტყა, რაულსაც მამაკაცური შური, განუხორციელებელი სქესობრივი ჟინი ამოძრავებდა. უცნაური კია, მაგრამ მერის გული სიამაყით აევსო, ამას რომ მიხვდა. რაულს შეხედა და ამ მზერაში ღიმილი გამოკრთა. მათ თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. - მაგრამ, მე აღარ ვბრაზობ თქვენზე. თქვენ მოინადირეთ ჩემი გული, იმ საშინელ დროს დასახმარებლად მე რომ მომმართეთ. თავიც კარგად გეჭირათ. ნერვების დაოკება შეძელით და ესეც მომეწონა. კაცმა რომ თქვას, ნამდვილი სულელივით მოიქეცით, მაგრამ ეს იმაზე მეტყველებს, რომ კეთილი გული გაქვთ, რასაც ქალებში ხშირად ვერ იპოვით. ამგვარად, თავდავიწყებით მიყვარხართ! - რა უცნაურები ხართ მამაკაცები, - ამოიოხრა მერიმ. - თქვენცა და ედგარიც განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებთ იმას, რაც სინამდვილეში ჩალის ფასადაც არ ღირს. მე ის მიღრღნის გულს, რომ საბრალო ყმაწვილი ჩემი წყალობით დაუმარხავი გდია ღია ცის ქვეშ. - გინდ ღია ცის ქვეშ ყოფილა და გინდ სასაფლაოზე, მისთვის

სულერთია. მწუხარებით მას ვეღარ დავუბრუნებთ სიცოცხლეს, რომელსაც მისთვის არავითარი ფასი არ ჰქონდა. ეგეც არ იყოს, ვინაა იგი თქვენთვის? არავინ! ხვალ რომ გვერდით ჩაევლო ქუჩაში, ალბათ, ვერც იცნობდით. „განიწმინდეთ გონება ფარისევლობისგან!“ - თქვა დოქტორ ჯონსონმა და მართლაც რომ, კარგი რჩევაა. მერიმ ფართოდ გაახილა თვალები. - თქვენ რა გაგეგებათ დოქტორ ჯონსონის? - ჩემი ავად გატარებული ცხოვრების მოცალეობის ჟამს, რომელიც მოგეხსენებათ, თავსაყრელად მაქვს, ბევრს ვკითხულობ. ყველაზე მეტად ბებერი სემ ჯონსონი მიყვარს. საღი გონების კაცი იყო და ადამიანის ბუნებისაც რაღაც გაეგებოდა. - რაულ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, სპორტული ამბების გარდა, სხვა რამესაც თუ კითხულობდით. - უბრალოდ, არ მიყვარს ჩემი სიმდიდრის ვიტრინაში გამოფენა, - ჩაიცინა რაულმა. - ჩემი ცოლობა არც ისეთი მოსაწყენი იქნება, როგორც თქვენ გგონიათ. უცებ მერის სახე გაუნათდა - მან შესაბამისი პასუხი იპოვა: - რა ჯანდაბით მოვახერხო, რომ ჩემი ერთგული ოდნავ მაინც იყოთ? - ო, ეს თქვენზეა დამოკიდებული. ამბობენ, ქალს საქმე უნდა ჰქონდესო. ვფიქრობ, ჩემი ზნეობის გასაკონტროლებლად კენია საუკეთესო ადგილია. მერი წამით ჩაფიქრებული უყურებდა. - რაულ, რატომ გინდათ თავი შეიწუხოთ ჩემი შერთვით? თუკი ისე გიყვარვართ, როგორც ამბობთ, წინააღმდეგი არ ვარ სამოგზაუროდ წამოგყვეთ, შეგვიძლია ავტომობილით ვიმოგზაუროთ პროვანსში. - ეს მართლაც ჩინებული იდეაა, მაგრამ მეტად უხამსი. - აზრს ვერ ვხედავ იმაში, რომ კარგი მეგობარი გულგრილ ქმრად გარდავქმნა. - აი, ეს კი შეშვენის წესიერ ქალს! - მე სულაც არ ვარ წესიერი. მომხდარის შემდეგ, მეტისმეტი არ იქნება, ცხვირაწეულმა რომ ვიარო? - არა, არა მგონია. იცოდეთ, როგორც კი არასრულფასოვნების კომპლექსის ნიშნებს შეგამჩნევთ, ისე მიგბერტყავთ, რომ დიდხანს ვერ დაივიწყებთ. ან ქორწინება, ან არაფერი, საყვარელო. მე თქვენ სამუდამოდ მინდიხართ. - მაგრამ, მე რომ არ მიყვარხართ? - იმ ღამესაც გითხარით: შემიყვარებთ, თუ შესაძლებლობის ნახევარს მაინც გამოიყენებთ! მერი ერთხანს ეჭვით

უყურებდა. მერე უეცრად მორცხვი, მაგრამ ოდნავ დამცინავი ღიმილი გამოუკრთა თვალთაგან. - გასაკვირი კი იქნება, მართალი რომ აღმოჩნდეთ! - წაიბუტბუტა მან, - იმ ღამეს, ავტომობილში, მთვრალებმა რომ ჩაგვიარეს და თქვენ ჩამიხუტეთ, შეშინებული კი ვიყავი, მაგრამ არ დაგიმალავთ, ტუჩებში რომ მაკოცეთ, არცთუ უსიამოვნო განცდა მქონდა... რაულმა ხმამაღლა გაიცინა. წამოდგა. მერი სავარძლიდან ააყენა და ნაზად ჩაიხუტა. მერე ტუჩებში აკოცა. - ახლა? - რაკი არ მეშვებით, ცოლად გამომყევიო... მაგრამ ორივე ძალიან ვრისკავთ! - ძვირფასო, ცხოვრება რისკის გარეშე შეუძლებელია!